

ჯონ ჟევირი

„უტორი ბობ-ულარ-ული წიგნისა
„სატანის სატექუარა“

უფლის მიში

აღმოაჩინეთ ღმერთთან ახლო
ურთიერთლობის საიდუმლო

თქვენს გულს პასუხის მიმღებ მიგომარეობაში აყინებს
ღვთით დაცვას გპირიება
გარკვეულობას და სწორ გებს უჭრენველყოფს
სიმდიდრეს, პაცივსა და სიცოცხლეს წარმოშობს



ჯონ ბევირი

უფლის გიგი

**აღმოაჩინეთ ღმერთთან ახლო
ურთიერთობის საიდუმლო**

**თბილისი
2012**

Originally Published in English under the title

The Fear of the Lord

John Bevere

Copyright © 1997, 2012 by John Bevere, All rights reserved

ეს და სხვა რესურსები, ქართულ ენაზე შეგიძლიათ
ჩამოტვირთოდ უფასოდ საიტიდან:

www.ResourceLibrary.org

მე მინდა ეს წიგნი მივუძღვნა
ჩემს მეულლეს, ლიზას. ჩემთვის დიდი პატივია ასეთ
ქალბატონთან ქორნინებაში
ყოფნა. მთელი წიგნი დამჭირდება იმისათვის, რომ
მისი შესანიშნავი თვისებებისა და ლვთისმოსაობის შეს-
ახებ მოგითხროთ,
მაგრამ თუ მის ცხოვრებას ერთი ფრაზით განვაზოგა-
დებთ, შეიძლება ითქვას:
იგი არის ცოლი, მოშიში ლვთისა.

„პირს ხსნის იგი სიბრძნით და წყალობის რჯულია მის
ენაზე. თვალყურს ადევნებს თავისი სახლის გზებს
და სიზარმაცის პურს არ ჭამს. დგებიან მისი შვილები
ლოცავენ მას, მისი ქმარიც და – აქებს მას: „მრავალ-
მა ასულმა მიაღწია წარმატებას, მაგრამ შენ ყველას
გადააჭარბე!“ მაცდურია მშვენიერება და ამაოა სილა-
მაზე, უფლის მოშიში ქალი კი ქებულია“.
-იგავ.31:26-30

მე მადლობას გიხდი ზეციერო მამაო,
შენი შვილისთვის, ლიზა ბევირისთვის.

უდრევასი მადლობა ...

ჩემს მეუღლეს. მე შენ ყველაზე მეტად მიყვარხარ, თუ არ ჩავთვლით ღმერთს. შენ ხარ ჩემი ყველაზე დიდი საგანძურო. მადლობა იმ ღროისთვის, რომელიც ამ წიგნის რედაქტირებას მიუძღვენი. მე შენ მიყვარხარ, ძვირფასო!

ჩვენს ოთხ ვაჟს. თქვენ – ჩემს ცხოვრებაში უდიდესი სიხარულის წყაროს წარმოადგენთ. მადლობა, რომ ჩემთან ერთად გაიზიარეთ ღმერთის მოწოდება და მოგზაურობების და ლიტერატურული მოღვაწეობის დაწყებას შთამაგონებდით.

ჩემს მშობლებს, ჯონ და ქეი ბევირებს. უღრმესი მადლობა, რომ თქვენი ღვთისმოსავი ცხოვრებით ბავშვობაშივე მასწავლეთ უფლის შიში.

იმ ადამიანებს, რომლებიც მითმობდნენ დროს და თავიანთი ცხოვრების ნაწილს მაძლევდნენ, რათა ჩემთვის ღვთის სასუფევლის გზები ესწავლებინათ. ყოველ მათგანში იესო ქრისტეს პიროვნების მრავალფეროვნება დავინახე.

ჯონ ბევირის ღვთისმსახურების მუშაკებს. მადლობა თქვენი შეუცვლელი მხარდაჭერისა და ერთგულებისთვის. მე და ლიზას ძალიან გვიყვარხართ.

გამომცემლობა „Creation House“ – ის ყველა თანამშრომელს, რომლებიც ჩვენთან ერთად შრომობენ და მხარს უჭერენ ჩვენს მიერ წარმოებულ ღვთისმსახურებას. ჩვენ გვიხარია თქვენთან ერთად შრომა.

ახლა კი ყველაზე მთავარი: გულწრფელად ვმადლობ ჩემს უფალს. როგორი სიტყვებით გამოვხატო მადლიერება იმ ყველაფრისთვის, რაც შენ ჩემთვის და შენი ხალხისთვის გააკეთე? შეუძლებელია იმ დიდი სიყვარულის გადმოცემა, რომელსაც შენს მიმართ განვიცდი. უფალო, მე შენ ყოველთვის მეყვარები!

სარჩევი

| | |
|--|-----|
| შესავალი..... | 7 |
| თავი I ქარი ზეციდან..... | 13 |
| თავი II შეცვლილი დიდება..... | 23 |
| თავი III სამყარო ქადაგებს..... | 33 |
| თავი IV წესრიგი, დიდება და სამსჯავრო (ნაწ. 1)..... | 45 |
| თავი V წესრიგი, დიდება და სამსჯავრო (ნაწ. 2)..... | 59 |
| თავი VI ახალი ტაძარი..... | 67 |
| თავი VII უპატივცემულოდ მიტანილი ძღვენი..... | 79 |
| თავი VIII გადადებული სამსჯავრო..... | 93 |
| თავი IX მომავალი დიდება..... | 109 |
| თავი X ღმერთის დიდების აღდგენა..... | 127 |
| თავი XI ხედვის უნარი..... | 145 |
| თავი XII დიდებიდან დიდებაში..... | 163 |
| თავი XIII ღმერთთან მეგობრობა..... | 183 |
| თავი XIV წმიდა შიშის კურთხევები..... | 201 |
| ეპილოგი..... | 207 |

წმიდა შიში – ესაა
ლმერთის საგანძურის გასაღები,
რომელიც გადარჩენის, სიბრძნის და
ცოდნის საუნვალებს ხსნის.

შესავალი

1 994 წლის ზაფხულში საქადაგებლად მიმიწვიეს ერთ ეკლესიაში, რომელიც შეერთებული შტატების სამხრეთში მდებარეობდა. ეს მსახურება ერთ-ერთი ყველაზე არასა-სიამოვნო მსახურება აღმოჩნდა ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ ამის შედეგად ჩემს გულში უფლის შიშის შეცნობის მგზნებარე სურვილი დაიბადა.

ორი წლით ადრე ამ ეკლესიამ ერთი ცხებული მსახურის მახარებლობის შედეგად ღმერთის ძლიერი შეხება განიცადა. ეს ღვთის კაცი ოთხი კვირის განმავლობაში იმყოფებოდა მათთან, და უფალი მივიდა და გამოაღვიძა ეკლესია. მასში არ იყო იმის ნაკლებობა, რასაც მრავალნი „წმინდა სიცილს“ უწოდებენ. ამაში იმდენი სიახლე, სიცოცხლე იყო! მაგრამ პასტორის და მრავალი ქრისტიანის ცხოვრებაში მოხდა ის, რაც ასე ხშირად ხდება ხოლმე: ისინი აგრძელებდნენ დასვენებას იმის ნაცვლად, რომ ღმერთის ძიება გაეგრძელებინათ. მალე მათთვის უფრო მნიშვნელოვანი განცდილი სულიერი განახლება გახდა, ვიდრე ყოველივე ამის მომცემი უფლის შეცნობა.

მეორე ღვთისმსახურების დროს, ღმერთის სულმა უფლის შიშის შესახებ საქადაგებლად აღმძრა. იმ დროს ბოლომდე არ მესმოდა, თუ რა იყო ეს, მაგრამ ღმერთმა მიბრძანა მექადაგა ის, რაც მან წმიდა წერილის საშუალებით უკვე განმიცხადა.

სრულიად მოუმზადებელი აღმოვჩნდი იმისათვის, რაც შემდეგ საღამოს უნდა მომხდარიყო. ქება-დიდების მსახურების დამთავრების შემდეგ პასტორი ადგა, და ჩემთან შეუთანხმებლად, იმ ქადაგების შესწორება დაიწყო, რომელიც წინა მსახურებაზე ვიქადაგე. ამ დროს პირველ რიგში ვიჯექი და ყოველივე ამით თავზარდაცემული გახლდით. მის შესწორებებს იქითკენ მივყავდით, რომ ახალი აღთქმის მორწმუნეს არ უნდა ეშინოდეს ღმერთის. იგი ეყრდნობოდა 1იოან. 4:18-ს: „სიყვარულში არ არის შიში, არამედ სრულყოფილი სიყვარული სდევნის შიშს, ვინაიდან შიშში ტანჯვაა, ხოლო მშიშარა არ არის სიყვარულში სრულყოფილი“. მან ეს ორი რამ, შიშის სული და უფლის შიში, ერთმანეთში აურია.

უფლის შიში

მეორე დღეს, დილით გამოვედი სასტუმროდან, მოვძებნე მყუდრო ადგილი და დიდი ხნის განმავლობაში ვლოცულობდი. მე გახსნილი გულით მივედი უფალთან, მზად ვიყავი ნებისმიერი დარიგება მიმედო მისგან. ვიცოდი, რომ უფლის დარიგება ყოველთვის სასარგებლოა ჩემთვის. იგი გვსჯის, რათა წილი გვქონდეს მის სიწმინდეში (იხ. ეპრ. 12:7-11); თითქმის მაშინვე განვიცადე ცათა ღმერთის ყოვლისმომცველი სიყვარული; ვიგრძენი, რომ ღმერთი იმედგაცრუუბული კი არა, არამედ კმაყოფილი იყო ჩემი ქადაგებებით და მე ავტირდი მის საოცარ თანდასწრებაში.

მე ვაგრძელებდი ლოცვას და რალაც დროის გასვლის შემდეგ, აღმოვაჩინე, რომ სულის სიღრმიდან ღმერთს ვთხოვდი უფლის შიშის შემეცნება მოეცა ჩემთვის. ხმა ავიმაღლე და მთელი ძალით შევლადადე: „ზეციერო მამაო, მინდა ვიცოდე, რა არის უფლის შიში, და ამის შესაბამისად ვიცხოვრო!“.

როდესაც დავასრულე ლოცვა, აღარ მაღელვებდა, რასთან მომინევდა მომავალში შეჯახება. მე მხოლოდ ერთი რამ მინდოდა: მცოდნოდა ღმერთის გული. ვიგრძენი, რომ უფალს ძალიან მოსწონდა ჩემი წყურვილი შემეცნო მისი წმიდა ბუნება. იმ დღიდან მოყოლებული ღმერთი გამუდმებით მიხსნიდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი რამ არის უფლის შიში. ღმერთმა თავისი წყურვილის შესახებაც განმიცხადა, მისი სურვილია, ყოველ მორწმუნეს ესმოდეს ამ საკითხის მნიშვნელობა.

თუმცა ყოველთვის ვაცნობიერებდი უფლის მოშიშების მნიშვნელობას, მაინც ვერ შევძელი სრულად ჩავწვდომოდი იმას, თუ რამდენად მთლიანია ის, სანამ ღმერთმა თვალი არ ამიხილა ამ ლოცვის პასუხად. ღმერთის სიყვარულს ყოველთვის უფალთან ურთიერთობის საფუძვლად მივიჩნევდი. მაგრამ ძალიან მალე აღმოვაჩინე, რომ უფლის შიშიც ისეთივე საფუძველს წარმოადგენს. ესაია წინასწარმეტყველმა თქვა:

„ამაღლებულია უფალი, რადგან მაღლის მკვიდრია, მან გაავსო სიონი სამართლითა და სიმართლით. და იქნება იგი სიმტკიცე შენი დროებისა, ხსნის უხვება, სიბრძნე და ცოდნა, ღვთის მოშიშება მისი განძია“.

-ეს. 33:5-6;

წმიდა შიში – ესაა ღმერთის სარწმუნო საფუძვლის გასაღები, რომელიც გადარჩენის, სიბრძნის და ცოდნის საუნჯეებს ხსნის. ღმერთის სიყვარულთან ერთად იგი აშენებს საფუძვ-

შესავალი

ელს ცხოვრებისთვის! ჩვენთვის სწრაფად ხდება ცნობილი, რომ უფლის მოშიშების გარეშე შეუძლებელია ნამდვილად გვიყვარდეს უფალი. ზუსტად ასევე ჩვენ ვერ შევძლებთ უფლის მოშიშებას ისე, როგორც ეს მას სურს, თუ არ გვეყვარება იგი.

როდესაც ამ წიგნს ვწერდი, ჩვენი ოჯახი ახალ სახლს აშენებდა. მე ხშირად მივდიოდი სამშენებლო მოედანზე და ღმერთი იყენებდა ამ მომენტებს, რათა ჩემთვის მშენებლობის ზოგიერთი ძირითადი პრინციპი ესწავლებინა. მშენებლობა საძირკვლის ჩაყრით და სახლის კარკასის აღმართვით იწყება. ეს მათ უკავია ყველა დანარჩენი მასალა, მაგალითად: კრამიტი, იატაკი, ფანჯრები, კედლების მოსაპირეთებელი მასალა და სალებავი. როდესაც სახლის მშენებლობა დამთავრებულია, აღარ ჩანს საძირკველი, და არც კარკასი, თუმცა ეს მათ უკავიათ ესოდენ შესანიშნავი განყობა და მოპირკეთება. კარკასის გარეშე ყოველივე ეს უბრალოდ სამშენებლო მასალის გროვა იქნებოდა.

იგივე წესი შეიძლება მივაკუთვნოთ მოცემული წიგნის აზრთწყობას. ჩვენ მკვეთრ საზღვარს ვავლებთ ღმერთის შიშა და მის სამსჯავროს შორის, და მხოლოდ ამის შემდეგ ვაგრძელებთ ღმერთთან სიახლოვის შესახებ საუბარს. ჩვენ ზოგადად შევეხებით იმას, თუ როგორ გვიცავს ეს შიში მსჯავრდადებისაგან, და დავასრულებთ იმით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ღმერთთან სიახლოვეს. წიგნის ყოველი თავი შეიცავს ჭეშმარიტებებს, რაც გვიხსნის და გვცვლის. პირველი რამდენიმე თავი აშენებს კარკასს, რათა მასზე ამ წიგნის დანარჩენი შემადგენლობა განთავსდეს. ეს ჩვენს სულს მისცემს ძალას დაიტიოს ის, რისი გაცხადებაც ღმერთს უნდა ჩვენთვის.

კითხვის დროს ეს წიგნი წარმოიდგინეთ, როგორც მშენებარე სახლი. ნუ ჩქარობთ კარკასის აგების შემდეგ იატაკის საფარის დაგებას. სახურავის გარეშე მისი შეცვლა მოგინევთ, ვიდრე მშენებლობა დასრულდება. მშენებლობა – პროცესია.

გამოყავით დრო, რათა ყურადღებით წაიკითხოთ და აწონდანონოთ თითოეული თავი. სთხოვეთ სულინმიდას გაგიხსნათ ღმერთის სიტყვის ჭეშმარიტებები ამ წიგნის სამუალებით, „ვინაიდან ასო კლავს, სული კი აცოცხლებს“ (2კორ.3:6;).

უფლის შიშის შეცნობა გონებით არ ხდება, იგი პირდაპირ გულზე აღიბეჭდება. ჩვენ მას სულინმიდა გვიხსნის, როცა სიტყვას ვკითხულობთ. უფლის მოშიშება – ესაა ღვთის სულის ერთ-ერთი გამოვლინება (იხ.ესაია.11:1-3). ღმერთი ადამიანთა გულებში დებს უფლის მოშიშებას, იმ ადამიანებისა, რომლებიც გულმოდგინედ ეძებენ ცათა მეუფის სახეს (იერ. 29:11-14; 32:40;).

უფლის შიში

წაკითხვის წინ, მოდით, ვილოცოთ:

„ზეციერო მამაო, იქსო ქრისტეს სახელით გადავშალე ეს წიგნი, რამეთუ მსურს ვიცოდე, რა არის უფლის წმი-
და შიში. ვხვდები, რომ ეს შეუძლებელია სულინმიდის
დახმარების გარეშე. გთხოვ მცხე შენი სულით; ამიხილე
თვალი, რათა ვხედავდე; მომეცი ყური სასმენად; გახსენი
ჩემი გული, რათა გავაცნობიერო ის, რასაც შენ მეუბ-
ნები.

მამაო, დამელაპარაკე ამ წიგნის თითოეული სიტყვი-
დან. შემცვალე, გადამიყვანე დიდებიდან დიდებაში, ვი-
დრე საბოლოოდ, არ გიხილავ პირისპირ. დაე, შეიცვალოს
ჩემი ცხოვრება, და არავითარ შემთხვევაში არ დავრჩე
ისეთი, როგორიც ამ წიგნის წაკითხვამდე ვიყავი.

მე გიძლვნი შენ ქებას, დიდებას და პატივს ამიერიდან
და საუკუნოდ.

ამინ.

**ჯონ ბევირი
ორლანდო, ფლორიდის შტატი**

როგორ ფიქრობთ, მეცნეთა მეცნე
და უფალთა უფალი მივა იქ, სადაც მას
ჯეროვან პატივს და დიდებას არ მიაგებენ?

თავი |

ქარი ზეციდან

„ჩემთან მოახლოებულებმა უნდა დამაფასონ მე!
მე წმიდა უნდა ვიყო მათვის და მთელი ხალხისთვის“.
-ლევ. 10:3; (თანამედ. თარგმანი).

გავიდა 1997 წლის პირველი ათი დღე. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში მე უკვე მოვასნარი ევროპაში და აზიაში ყოფნა და ლოთის სიტყვის ქადაგება. ძალიან ვლელავდი და აღფრთოვანებას ვერ ვმალავდი, როცა თვითმფრინავში ვჯდებოდი, რომელიც სამხრეთ ამერიკაში მიფრინავდა. პირველად მივემგზავრებოდი ბრაზილიაში, და ის ფაქტი, რომ საქადაგებლად ეროვნულ კონფერენციაზე მიმიწვიეს, რომელიც სამ დიდ ქალაქში უნდა ჩატარებულიყო, ჩემთვის დიდი პატივი იყო. მთელი ლამე მივფრინავდი. აეროპორტში ეკლესის რამდენიმე ლიდერი დამხვდა, რომელთაც რაღაც სხეუროდათ და რაღაცის მოლოდინში იყვნენ. ისინი ამ კონფერენციას ელოდებოდნენ, და მათი ენთუზიაზმი აღმაფრენას იწვევდა ჩემში.

პირველი ლვთისმსახურება იმავე სალამოს დედაქალაქში, ქალაქ ბრაზილიაში ტარდებოდა. რამდენიმე საათი დავისვენე, შემდეგ მე და ჩემი თარჯიმანი სასტუმროდან წაგვიყვანეს და სხვა მსახურებაზე მიგვიყვანეს. ქუჩები და ავტოსადგომები სავსე იყო მანქანებით, და მივხვდი, რომ ლვთისმსახურებაზე ბევრი ხალხი იქნებოდა. როდესაც შენობას ვუახლოვდებოდით, მუსიკის ხმა გავიგონე, რომელიც ჩემამდე სავენტილაციო ხვრელიდან აღწევდა. ყურს ვუგდებდი რა განდიდების სიმღერის ხმას, რომელიც ჩვენსას ჰგავდა და პორტუგალიურ ენაზე სრულდებოდა, ენაზე, რომელზეც ბრაზილიაში საუბრობენ, მე უფრო მეტად ავლელდი რაღაცის მოლოდინში.

როგორც კი დარბაზში შევედი სცენისკენ წამიყვანეს. დარბაზი, რომელიც ოთხიათას კაცს იტევდა, სავსე იყო ხალხით. მუსიკა ისეთი ხმამაღალი იყო, რომ სცენა ირყეოდა. გუნდი და მათი ლიდერები ჩინებული ხმებით მდეროდნენ ძალიან ლამაზ სიმღერას. თუმცა მაშინვე შევნიშნე, რომ იქ არ იყო ღმერთი.

უფლის შიში

თვალი გადავავლე დარბაზში მყოფ ხალხს, სცენაზე მდგომ
მუსიკოსებს და გავიფიქრე: „სადაა ღმერთი? ამიტომ მაშინვე
დავსვი კითხვა: „უფალო, სად არის შენი თანდასწრება?“.

მე ველოდებოდი პასუხს და თვალს ვადევნებდი იმას, რაც
იქ ხდებოდა. დარბაზში მოხეტიალე ადამიანებს კაშკაშა სინა-
თლე აშუქებდა სცენიდან. ზოგი იდგა და ერთ წერტილს მის-
ჩერებოდა. ზოგიერთებს ხელები ჯიბეებში ჩაეწყოთ, ზოგს
კი დაბლა ჰქონდათ დაშვებული. ყველაფერი, მათი პოზა და
სახის გამომეტყველება, მოწმობდა იმას, რომ ისინი იშვიათ
დამსწრებებს წარმოადგენდნენ, და მოთმინებით ელოდებოდნენ
წარმოდგენის დაწყებას. ერთნი ერთმანეთში საუბრობდნენ,
სხვები გასასვლელთან ახლოს დასეირნობდნენ, ხან შემოდი-
ოდნენ დარბაზში, ხან კი გადიოდნენ.

ამან ძალიან დამალონა. ეს საევანგელიზაციო ღონისძიება
როდი იყო, არამედ კონფერენცია მორწმუნებისათვის. ვიცო-
დი, რომ აუდიტორიაში შეიძლება რამდენიმე ურწმუნო ადამი-
ანი ყოფილიყო, თუმცა ისიც ვიცოდი, რომ იქ მყოფ გულგრილ
ადამიანთა უმრავლესობა „ქრისტიანებად“ იწოდებოდნენ.

ვიმედოვნებდი, რომ ხალხი უფლის ჭეშმარიტ თაყვანისცე-
მაში შევიდოდა. ვფიქრობდი: „ეს ატმოსფერო აუცილებლად
უნდა შეიცვალოს“. მაგრამ ეს არ ხდებოდა. 20-30 წუთის შემ-
დეგ მუსიკის ტემპი შენელდა და ე.წ. „თაყვანისცემის საგა-
ლობლები დაიწყო“. თუმცა ის, რისი მოწმეც ვიყავი, ძალიან
შორს იყო ჭეშმარიტი თაყვანისცემისგან. ადამიანები კვლავ
გულგრილად იქცეოდნენ, როგორც მაშინ, როდესაც დარბაზში
შევედი.

როცა მუსიკალური ღვთისმსახურება დასასრულს მიუახ-
ლოვდა, მეგონა, რომ უკვე საათზე მეტი დრო იყო გასული,
სინამდვილეში კი ნახევარ საათზე ნაკლები დრო მოანდომეს
ამ მსახურებას. ისინი დასხდნენ, მაგრამ დემონსტრაციულად
განაგრძობდნენ ხმამაღლა საუბარს. ერთ-ერთმა ლიდერმა მი-
კროფონი აიღო, რათა ხალხი დაეწყნარებინა, მაგრამ ისინი
მაინც განაგრძობდნენ საუბარს. ეს ლიდერი რაღაცას კითხ-
ულობდა ბიბლიიდან და ასწავლიდა. მთელი ამ დროის გან-
მავლობაში ხალხის ყრუ დრტვინვა ესმოდა ჩემს ყურებს, და
დარბაზში მიმოსვლა კვლავ გრძელდებოდა. ასევე შევამჩნიე,
რომ მქადაგებელს ყურადღებასაც კი არ აქცევდნენ. მე მი-
ვუბრუნდი ჩემს ბრაზილიელ თარჯიმანს და აღმფოთებულმა
ვკითხე, ყოველთვის ასე იქცეოდნენ თუ არა ისინი ღვთისმსახ-
ურების დროს.

იგი იზიარებდა ჩემს აღმფოთებას მომხდართან დაკავშირე-
ბით.

ქარი ზეცილან

„ზოგჯერ შენიშვნების მიცემა და ადამიანების წესრიგისკენ მოწოდება მიწევს ხოლმე“, – ჩამჩურჩულა მან. მე ძალიან გავ-ბრაზდი. სხვა შეკრებებზეც ვყოფილვარ, სადაც ადამიანები ამგვარად იქცეოდნენ, მაგრამ არა ასე უკიდურესად! ყოველ მსგავს მსახურებაზე ამგვარ სულიერ ატმოსფეროს ვხვდე-ბოდი – სიცარიელის მძიმე შეგრძნება ღმერთის თანდასწრების ნაცვლად. ახლა ვიცოდი, რომ ჩემს შეკითხვაზე – „უფალო, სად არის შენი თანდასწრება?“ – პასუხი ნათელი იყო. ღმერ-თის თანდასწრება იქ ნამდვილად არ იგრძნობოდა.

შემდეგ ღმერთის სული დამელაპარაკა: „მინდა, რომ შენ დაუპირისპირდე ამას“.

როდესაც, როგორც იქნა წარმადგინეს, ხმაური და ღრი-ანცელი ცოტა ხნით შეწყდა, მაგრამ არა სრულად. მე ავედი სცენაზე, გავჩირდი და თვალი გადავავლე დარბაზში მსხდომ ხალხს. მტკიცედ გადავწყვიტე, რომ არაფერს არ ვიტყოდი, სანამ მათ ყურადღებას არ მივიპყრობდი. ვგრძნობდი, როგორ ენთო ჩემს მკერდში ღვთიური გულისწყრომა. ერთი წუთის შემდეგ დარბაზში ხმაური შეწყდა, გააცნობიერეს რა, რომ სცენაზე არაფერი არ ხდებოდა.

არ გავეცანი და არც მივესალმე შეკრებილ ხალხს. ამის ნაცვლად ვკითხე: „მოგენონებოდათ, თქვენ ვინმესთვის რომ მიგემართათ, ამ ადამიანს კი ყურადღება არ მოექცია თქვენთ-ვის და თავის მეზობელთან გაეგრძელებინა საუბარი? ან მო-საუბრე თქვენს მიმართ ინტერესს და პატივისცემას რომ არ ამჟღავნებდეს, და აზრები სხვაგან გაურბოდეს?“

ცოტა ხნით შევჩირდი და შემდეგ თავად ვუპასუხე საკუთარ შეკითხვას: „თქვენ ასეთი რამე არ მოგენონებოდათ, ხომ ასეა?“

ფრთხილად გავაგრძელე: „ერთიც ვნახოთ და მეზობელი, რომელიც ყოველთვის, როცა კი მასთან სტუმრად მიდიხართ, გულგრილად გესალმებათ და უხალისოდ გეუბნებათ: „აპ, ეს ისევ შენ ხარ ... კარგი, შემოდი“.“

მე კვლავ ცოტა ხნით შევჩირდი და შემდეგ დავამატე: „თქვენ ამ მეზობელთან მეორედ აღარ მიხვალთ, ხომ მართალია?“.

შემდეგ მტკიცედ წარმოვთქვი: „მაშ, რატომ ფიქრობთ, რომ მეფეთ მეფე და უფალთ უფალი მივა იქ, სადაც მას ჯერო-ვან პატივს და დიდებას არ მიაგებენ? თქვენ ფიქრობთ, რომ შემოქმედი უფალი ილაპარაკებს მაშინ, როდესაც მის სიტყვას არაფრად აგდებენ, როდესაც მას ყურადღებით არ უსმენენ? თქვენ ცდებით, თუ ასე ფიქრობთ!“.

მე ვაგრძელებდი: „დღეს, როდესაც ამ შენობაში შემოვე-

უფლის შიში

დი, საერთოდ ვერ ვიგრძენი ღმერთის თანდასწრება, არც განდიდების, არც თაყვანისცემის, არც სიტყვით შეგონების, და არც შესასირავის შეგროვების დროს. ამას აქვს მიზეზი: უფალი არასოდეს არ მიდის იქ, სადაც მას პატივს არ სცემენ. თქვენი ქვეყნის პრეზიდენტი დიდ პატივს მიიღებდა დღეს ამ სცენიდან, უბრალოდ იმის გამო, რომ მის თანამდებობას სცემთ პატივს. ახლა მე თქვენთვის საყვარელ ფეხბურთელთან ერთად რომ ვიდგე ამ სცენაზე, დიდი ყურადღებით და ინტერესტ მოუსმენდით მას. მაგრამ, როცა დარბაზში ღვთის სიტყვა უღერდა, თქვენ უხალისოდ ისმენდით, ვინაიდან ნაკლებად აფასებთ მას“.

ამის შემდეგ, წავიკითხე ღმერთის მოთხოვნა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მასთან მიდიან:

„ჩემთან მოახლოვებულებმა უნდა დამაფასონ მე! მე წმინდა უნდა ვიყო მათვის და მთელი ხალხისათვის“. -ლევ. 10:3; (თანამედ. თარგმანი)

შემდეგი ნახევარი საათის განმავლობაში მე ვქადაგებდი სიტყვას, რომელიც ღმერთმა ჩემს გულში ააგიზგიზა. ამ სიტყვას გაბედულად და ძალაუფლებით წარმოვთქვამდი და არ მეშინოდა, თუ რას იფიქრებდნენ ადამიანები ჩემზე, ან როგორ რეაგირებას მოახდენდნენ.

„მე ისიც კი არ მალელვებს, რომ მათ შეუძლიათ ხვალ თავიანთი ქვეყნიდან გამაძეონ. უმჯობესია ღმერთს დავემორჩილო!“ – მტკიცედ გადავწყვიტე მე.

ჩემს ფრაზებს შორის პაუზის დროს ბუზის გაფრენის ხმა ისმოდა. ამ ნახევარი საათის განმავლობაში დარბაზი დუმდა. უკვე აღარ იყო უპატივცემულობა. ღმერთის სული დაეუფლა ადამიანთა ყურადღებას ღმერთის სიტყვის საშუალებით. თვალის დახამხამებაში შეიცვალა ატმოსფერო. ვგრძნობდა, როგორ არლვევდა ღმერთის სიტყვა ადამიანთა გულების გაუხეშებულ გარსს. ქადაგების დასასრულს დარბაზში მყოფ ყოველ ადამიანს თვალების დახუჭვა ვთხოვე. მონანიებისკენ მოწოდება იყო ნათელი და მოკლე: „თუ თქვენ ჩვეულებრივად მიიჩნევდით იმას, რასაც ღმერთი უნოდებს წმიდას, თუ არასწორი დამოკიდებულებით ცხოვრობდით ღმერთის ფასეულობების მიმართ და თუ დღეს სულიწმიდამ გამხილათ თავისი სიტყვის საშუალებით, მზად ხართ მოინანიოთ უფლის წინაშე? თუ დიახ, მაშინ ადექით თქვენი ადგილებიდან“. ყოფმანის გარეშე

ქარი ბეჭილან

წამოდგა დარბაზში მსხდომი ადამიანების 75 პროცენტი.

თავი დავხარე და ხმამაღლა ვილოცე ამ უბრალო და გულწრფელი ლოცვით: „უფალო, დაამონმე შენი სიტყვა, რომელიც დღეს ამ ადამიანებს ექადაგა“.

მაშინვე ღმერთის თანდასწრებამ აავსო აუდიტორია. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეკრება ლოცვით არ დავიწყე, დარბაზიდან მაინც ისმოდა სლუკუნის და ტირილის ხმა. თითქოს ღმერთის თანდასწრების ტალღამ გადაუარა მთელ დარბაზს, რომელსაც განაწილდა და განახლება მოჰქონდა. ყველამ ვერ შეძლო საკურთხეველთან გამოსვლა, ამიტომ მათ მოვუწოდე მონანიების ლოცვით თავიანთი ადგილებიდან ელოცათ. ვხედავდი, როგორ იწმენდნენ ადამიანები ცრემლებს. ღმერთის საოცარი თანდასწრება იმ ადგილზე რჩებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ღმერთის თანდასწრება უკვე ნაკლებად იგრძნობოდა. მოვუწოდებდი ამ ადამიანებს, რომ არ შეეწყვიტათ უფლის მიმართ ყურადღების გამოჩენა. „მიუახლოვდი ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ თქვენ“ (იაკ.4:8;).

ერთ წამში შენობა მისი თანდასწრების ახალმა ტალღამ აავსო. ადამიანები უფრო მეტად ატირდნენ და აქვითინდნენ. ამჯერად მისი თანდასწრება გაცილებით ღრმად აღწევდა და უფრო მეტი ადამიანი გრძნობდა უფლის შეხებას. ეს შეგრძნება გაგრძელდა რამდენიმე წუთი და შემდეგ ისევ მიჩუმდა. ხალხს ვთხოვე არ მიჰყოლოდნენ ტალღებს შორის დინებას, არამედ ყურადღება გაემახვილებინათ იმაზე, რაზეც საკუთარი გული მიუთითებდა.

რაღაც დროის შემდეგ სულინმიდა ჩემს გულს დაელაპარაკა: „მე ისევ ვბრუნდები“. მყისვე ვიგრძენი ეს და ვთქვი: „იგი ბრუნდება!“.

ის ყველაფერი, რასაც შემდეგ დავწერ, ვერ შეძლებს ზუსტად გადმოსცეს ყოველივე ის, რაც მერე მოხდა. მეტყველების შესაძლებლობები შეზღუდულია, ხოლო ღმერთი მეტისმეტად განსაცვიფრებელი. გადაჭარბება გამორიცხულია, რადგან ამაშიც უპატივცემულობა ვლინდება. მე გამოვკითხე ეკლესიის სხვა სამი ლიდერი, რომლებიც აღნიშნულ კონფერენციას ესწრებოდნენ, რათა გამერკვია სურათი და დამედასტურებინა ის, რასაც ახლა დავწერ. ვერ მოვასწარი თქმა „იგი ბრუნდება“, რომ საოცარი რამ მოხდა. დანახულის აღწერა მხოლოდ ერთი საშუალებით შემიძლია – ეს შევადაროთ იმ სიტუაციას, როდესაც გიგანტური რეაქტიული თვითმფრინავი მიწას პირდაპირ ჩემს თვალწინ სწყდება, მე კი ასაფრენ ზოლს მხოლოდ 100

უფლის შიში

მეტრით ვარ დაშორებული. ასე შეიძლება დავახასიათოთ ქარის ღმუილი, რომელმაც წამიერად ჩაუქროლა აუდიტორიას. თითქმის ამ მოვლენის ერთდროულად დაიწყეს ადამიანებმა გულმხურვალე და ხმამაღალი ლოცვა. მათი ხმები თითქმის ერთ დაღადში იღვრებოდა.

როდესაც ქარის ხმა გავიგონე, გავიფიქრე, რომ ეს რეაქტიულმა თვითმფრინავმა გადაუფრინა შენობას. არ მინდოდა ეს რაღაც მიმეკუთვნებინა ღმერთისათვის, თუ ამაში ჯერ კიდევ რჩებოდა ეჭვი. შევეცადე გამეხსენებინა, იყო თუ არა ახლო მახლო აეროპორტი. შენობა სადაც მე ვიმყოფებოდი არ მდებარეობდა აეროპორტის მახლობლად და ბოლო ორი საათის განმავლობაში არც თვითმფრინავს არ გადაუფრენია მის თავზე.

მთელი გულით მივმართე სულინმიდას, ვაცნობიერებდი რა იმას, რომ მომხდარი შეიძლება ღმერთის თანდასწრების განსაცვიფრებელი გამოვლინება ყოფილიყო, რომელმაც ადამიანები ლოცვაში ჩაძირა. რა თქმა უნდა, თავზე გადაფრენილი თვითმფრინავი მათ სალოცავად ვერ აღძრავდა.

ეს თვითმფრინავი რომ ყოფილიყო, მას შენობიდან დაახლოებით 100 მეტრის სიმაღლეზე უნდა ეფრინა ასეთი ძლიერი ხმა რომ გაგვეგონა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ეს ძლიერი ხმაური შეიძლება სამიათასი კაცის ლოცვის შედეგად გამოწვეულ ხმაურს დაეხშო.

ხმა, რომელიც მესმოდა, გაცილებით ხმამაღალი იყო და მნიშვნელოვნად აღემატებოდა ადამიანთა ხმების ხმაურს. გავაცნობიერე რა, რომ ეს სულინმიდის ქარი იყო, გავჩიმდი. არ მინდოდა ხალხისთვის მცდარი ინფორმაცია გადამეცა ან ჩემი ვარაუდი ამ სულიერ გამოვლინებასთან დაკავშირებით. ქარის ხმაური დაახლოებით ორი წუთი გაგრძელდა. როდესაც იგი მიჩიმდა, დატოვა გამოლვიძება – მლოცველი და ატირებული ადამიანები. დარბაზში ატმოსფერო წმინდა მოწინებით იყო გაუღენითილი. ღმერთის თანდასწრება იყო ძალიან ძლიერი და რეალური.

ღმერთის თანდასწრების სიახლოესისაგან გამოწვეული მოწინებული თრთოლვა კიდევ თხუთმეტი-ოცი წუთის განმავლობაში იგრძნობოდა. შემდეგ მე სცემა შეკრების წამყვანს დავუთმე და შენობიდან გასვლა ვითხოვვე. ღვთისმსახურების შემდეგ ხშირად ვრჩები და ხალხს ვესაუბრები ხოლმე, ახლა კი ამის გაკეთება უადგილოდ მეჩვენებოდა. ეკლესიის ლიდერებმა სადილად მიმიწვიეს, მაგრამ უარი ვუთხარი. ღმერთის თანდას-

ქარი ზეცილან

წრებით იმდენად შეძრული ვიყავი, რომ მხოლოდ ესლა ვთქვი: „არა, მინდა ჩემს ნომერში დავბრუნდე“.

მანქანამდე მიმაცილეს. სასტუმროში ჩემი თარჯიმანის და ერთი ცოლ-ქმრის თანხლებით ვბრუნდებოდი, რომლებიც ეკლესიის ლიდერები იყვნენ. ცოლი მუსიკოსი გახლდათ, და მისი მუსიკალური ჩანაწერები ძალიან პოპულარული იყო იმ ქვეყანაში.

იგი ჩაჯდა მანქანაში და წამოიძახა: „თქვენ გაიგეთ ქარის ხმაურ?“.

მაშინვე ვუპასუხე: „ეს თვითმფრინავი იყო“. (თუმცა გულით ვგრძნობდი, რომ ასე არ იყო, მინდოდა დამონშება და გადავწყვიტე, რომ პირველს არ გამეეცებინა რაიმე დასკვნა).

„არა, – თქვა მან თავის ქნევით. – ეს ღმერთის სული იყო“.

შემდეგ მისმა ქმარმა, რომელიც ჩუმი და თავდაჭერილი გახლდათ, დარწმუნებით განაცხადა: „არავითარი თვითმფრინავი არ ყოფილა“.

„მართლა?!“ – წამოვიძახე მე.

მან განაგრძო: „უფრო მეტიც, ამ ქარის ხმა არ გამოვლინდა ხმის მართვის პულტის ინდიკატორებზე და არც მაგნიტოფონის ფირზე ალბეჭდა, რომელზეც ღვთისმსახურება იწერებოდა“. მოკრძალებულმა შიშმა მომიცვა. მე ვდუმდი.

მოგვიანებით გავიგე მიზეზი იმისა, თუ რატომ იყო ეს ადამიანი ასე დარწმუნებული, რომ ქარი, რომლის ხმაც ჩვენ გავიგონეთ, თვითმფრინავისგან არ იყო გამოწვეული. დაცვის თანამშრომლები და პოლიციელები იტყობინებოდნენ, რომ ძლიერი ხმაური, რომელიც მათ ყურს მისწვდა, შენობიდან გამოდიოდა. ქუჩაში არავითარი ქარი არ ყოფილა, გარეთ ჩვეულებრივი წყნარი ბრაზილიური სალამო იდგა.

მისი ცოლი თვალცრემლიანი განაგრძობდა: „მე ვხედავდი ცეცხლის ტალღებს შენობის გარშემო და ანგელოზებს, რომლებიც ყველგან იყვნენ“.

საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. ზუსტად იგივე აღწერილობა მოვისმინე ერთი ღვთისმსახურის პირიდან ორი თვის წინ ჩრდილოეთ კაროლინას ღვთისმსახურებაზე. ვქადაგებდი უფლის შიშის შესახებ, და ღმერთის თანდასწრება ძლიერად დაეშვა იქ შეკრებილ ხალხზე – ასობით პატარა ბავშვი ტიროდა მთელი საათის განმავლობაში. ერთმა მსახურმა ქალმა პასტორს უამბო, რომ მან დაინახა, თუ როგორ შემოერტყა ცეცხლის სფეროსებრი ტალღები შენობას. ეს გუნდის სამმა მომლერალმა დაინახა.

უფლის შიში

უფალთან განმარტოვება მინდოდა. როდესაც სასტუმროს ნომერში მარტო დავრჩი, ის, რისი გაკეთებაც შემეძლო – იყო თაყვანისცემა და ლოცვა.

კიდევ ერთ მსახურებაზე უნდა მექადაგა რიო-დე-ჟანეიროში გამგზავრებამდე. ამჯერად, როდესაც აუდიტორიაში შევედი, სრულიად განსხვავებული ატმოსფერო დამსვდა. უფლისადმი პატივისცემა ვიგრძენი. ამჯერად მუსიკა არ იყო უბრალოდ კარგი. იქ ღმერთის თანდასწრება იგრძიოდა. მუსიკა იყო სა-ოცარი და ცხებული, უფლის თანდასწრება კი საამო.

დავითი ამბობდა: „.... ვეთაყვანები შენს წმიდა ტაძარს – შენდამი შიშით“ (ფსალმ.5:8;). ყოველგვარი ჭეშმარიტი თაყვანისცემა განუყრელად დაკავშირებულია ღმერთის თანდასწრების პატივისცემასთან, რადგან ღმერთმა თქვა: „... ჩემი საკურთხევლის გეშინოდეთ. მე ვარ უფალი“ (ლევ. 19:30;).

ამ მეორე ღვთისმსახურებაზე ბევრმა ადამიანმა მიიღო გათავისუფლება და განკურნება. ის ადამიანები, რომლებიც სიბრაზის სულით იყვნენ დატყვევებულები და სხვებზე გაბრაზებას საკუთარ გულებში მალავდნენ, განთავისუფლდნენ. სადაც უფალი დაფასებულია, იქ მისი თანდასწრება გამოვლინდება, ხოლო მის თანდასწრებაში ადამიანები თავიანთი საჭიროებების დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას მიიღებენ.

ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ ამახვილებდა დავითი ყურადღებას იმაზე, რომ:

„მოიშიშეთ უფლისა, წმიდანო მისნო, რადგან არა აქვთ შეჭირვება მოშიშთა მისთა“.

-ფსალმ. 33:10;

დღეს, თქვენს წინაშე წარმოდგენილი წერილის ძირითადი თემა – არის უფლის შიში. სულინშიდის დახმარებით თქვენ ამ წიგნის ფურცლებზე აღმოაჩენთ არა მხოლოდ უფლის შიშის ცნების განმარტებას, არამედ მიაგნებთ პასუხს კითხვაზე, თუ რას წიშნავს იარო ამ იდუმალ ჭეშმარიტებაში. ჩვენ შევიტყობთ მსჯავრდადების შესახებ, რომელიც მოდის, თუ არ გვაქვს წმიდა შიში, ასევე იმ კურთხევის შესახებ, რომელშიც ვმკვიდრობთ, ვცხოვრობთ რა უფლის მოშიშებით.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც
მზად არიან იქსო აღიარონ საკუთარ მხსნელად,
მკურნალად და განმანთავისუფლებლად ... თუმცა
თავიანთი ქმედებებით და გულის დამოკიდებულებით
მის დიდებას წარმავალი ადამიანის
დიდების დონემდე ამცირებენ.

თავი ॥

შეცვლილი დიდება

„რადგან ვინ შეედრება ცაში უფალს, ვინ მიემსგავსება უფალს
ლვთის შვილებში? ღმერთი დიდებულია წმიდათა კრებულში
მეტად, და საშიშია ყველასათვის მის ირგვლივ“.
-ფსალმ. 88:7-8;

3იდრე განვიხილავთ, თუ რა არის უფლის შიში, ჩვენ წარ-
მოდგენა უნდა ვიქენიოთ იმ ღმერთის დიდების და სიდ-
იადის შესახებ, რომელსაც ვემსახურებით. მეფისალმუნე
თავდაპირველად საუბრობს ღმერთის დიდებული სასწაულების
შესახებ, და მხოლოდ ამის შემდეგ იძლევა დარიგებას, რომ
გვეშინოდეს მისი. თუ მის სიტყვებს თანამედროვე ენაზე გად-
მოვთარგმნით, გაბედულ რიტორიკულ შეკითხვას მივიღებთ:
„ვინ შეედრება უფალს მთელ ამ სამყაროში?“. ეს გვაფიქრე-
ბინებს, რომ ღმერთის დიდება მიუწვდომელია. ვინაიდან, რო-
გორ შეგვიძლია საკადრისად ვცეთ მას თაყვანი, თუ არაფერი
ვიცით მისი სიდიადის შესახებ, და ასევე ის თუ, რატომ არის
იგი პატივისა და თაყვანისცემის ლირსი?

სახელგანთქმული, მაგრამ უცნობი

ყოველივე ეს გასაგები რომ იყოს, მოდით წარმოვიდგინოთ
ადამიანი, რომელიც სახელგანთქმულია მსოფლიოს ყველაზე
ძლიერ ქვეყანაში. იქ ყველამ იცის მისი სიდიადისა და დიდების
შესახებ. იგი გახლავთ გამომგონებელი, ცნობილი მეცნიერე-
ბაში შეტანილი წვლილით და კაცობრიობისათვის ყველაზე
მნიშვნელოვანი აღმოჩენებით. იგი თავის ქვეყანაში საუკეთესო
სპორტსმენია. ფაქტობრივად, არავის არ შეუძლია მას შეეჯი-
ბროს. ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მას ბადალი არ ჰყავს.
ამასთანვე, იგი მმართველიცაა, თანაც ბრძენი მმართველი.
თავის ქვეყანაში მას უდიდეს პატივს მიაგებენ. მის პატივსაცე-
მად დიდებული აღლუმები და მიღებები იმართება.

რა მოხდება, თუ ამ მონარქს სხვა ქვეყანაში გამგზავრება

უფლის შიში

მოუწევს, სადაც მისი მდგომარეობის და დიდებულების შესახებ ცნობილი არ არის? როგორ მიიღებენ მას უცხო ქვეყანაში, რომელიც ყოველმხრივ ჩამორჩება მის დიდებულ სახელმწიფოს?

მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნის დიდი ადამიანები ნაკლებად სახელგანთქმულნი არიან, ვიდრე ეს კეთილშობილი მონარქი, იგი იღებს გადაწყვეტილებას მათ ქვეყანას მეფური სამოსის, დიდგვაროვნობის დამადასტურებელი ნიშნის, დაცვის, მრჩეველთა და მსახურთა გარეშე ესტუმროს, ანუ ამ ქვეყანაში ჩავიდეს ისე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები ჩადიან ხოლმე. იგი მოვიდა მარტო. როგორი იქნება მისდამი დამოკიდებულება?

უბრალოდ რომ ვთქვათ, მისდამი დამოკიდებულება ნებისმიერი უცხოელის მიმართ არსებულ დამოკიდებულებაზე უკეთესი არ იქნება. თუმცა ამ ადამიანის სიდიადე ბევრად აღმატება ამ ქვეყნის ყველაზე ცნობილ ადამიანთა სიდიადეს, იგი ნაკლებად პატივდებული იქნება, ესეც საკითხავია, იქნება კი. დროდადრო იგი შეიძლება უგულვებელყონ მხოლოდ იმიტომ, რომ უცხო ქვეყნის შვილია. მისმა გამოგონებებმა და მეცნიერულმა აღმოჩენებმა უდიდესი სარგებლობა მოუტანა ამ ქვეყანას, მაგრამ ამ ქვეყნის ხალხისთვის ყოველივე ეს უცნობია, ისინი არ იცნობენ ამ სახელოვან ადამიანს, და ამიტომაც არ მიაგებენ მას ჯეროვან პატივს და დიდებას.

ახლა მოისმინეთ, რას ამბობს იოანე იესოს – ემანუელის, ხორცში განხორციელებული ღმერთის შესახებ:

„იყო სოფელში და სოფელი მის მიერ შეიქმნა, და სოფელმა ვერ იცნო იგი. თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ მიიღეს იგი“.

-იოან. 1:10-11;

სამწუხაროა, რომ სამყაროს შემოქმედს საკადრისად არ შეხვდნენ, და არც ჯეროვანი პატივი მიაგეს. კიდევ უფრო ტრაგიკულია ის ფაქტი, რომ იგი მოვიდა თავის ხალხში – მასთან აღთქმაში მყოფ და მის მომლოდინე ადამიანებთან, იმ ხალხთან, რომლებმაც არაერთგზის მიიღეს მისი ძალით გადარჩენა; მიუხედავად ამისა იგი პატივდებული მაინც არ იყო მათი მხრიდან. თუმცა ისინი საუბრობდნენ მისი მოსვლის შესახებ, ლოცულობდნენ იმ კურთხევებისთვის, რომლებიც მის მმართველობას თან უნდა ახლდეს. როცა მოვიდა ცის, მიწის და ადამიანთა მეუფე, ადამიანებმა ვერ იცნეს იგი.

შეცვლილი ლადება

მისმა ხალხმა ვერ იცნო ის დიდებული, რომელსაც ერთ-გულება აღუთქვა. ისრაელიანებმა არც ღვთიური ძალის სიდი-ადის და არც მისი სიბრძნის სიდიადის შესახებ არა იცოდნენ რა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მის მიმართ მოშიშებით და მოკრძალებით არ განიმსჭვალნენ, რომელსაც იგი იმსახ-ურებდა. ღმერთი ასე განმარტავს ყოველივე ამას:

„...იმის გამო, რომ მომიახლოვდა ეს ხალხი თავისი პირ-ით და თავისი ბაგით პატივს მცემს მე, მისი გული კი შორს არის ჩემგან, - მათი მოშიშობა ჩემს წინაშე ადამი-ანთა ნასწავლ მცნებად იქცა“.

-ესაია. 29:13;

ღმერთმა თქვა: „მათი მოშიშობა ჩემს წინაშე ადამიანთა ნას-წავლ მცნებად იქცა“. იგი ამბობს, რომ ადამიანებმა უფლის დიდება წარმავალი ადამიანის დიდების დონემდე დაიყვანეს. ისინი იმ ღმერთის ხატებას ემსახურებოდნენ, რომელიც თვი-თონვე შექმნეს; არა ჭეშმარიტ ღმერთს, არამედ მათ წარმოდ-გენაში არსებულ ღმერთს.

უკვდავი ღმერთის დიდების შეცვლა

ღმერთის დიდებას მხოლოდ იესოს თანამედროვეები როდი ამცირებდნენ, თუმცა ღმერთისადმი უპატივცემულობა იესოს დროს უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სხვა რომელიმე პერიოდში. ეს ცდომილება თაობიდან თაობაში მეორდებოდა იმ ხალხში, რომელიც ღვთის ხმა უნდა ყოფილიყო და რომელმაც საკუთარ თავზე აიღო ეს ვალდებულება.

ჩვენ ამ უპატივცემულობას ადამის მიერ ჩადენილ ცოდვა-შიც კი ვხედავთ. მან ყურად იღო გველის სიბრძნე: „რადგან უწყის ღმერთმა, რომელ დღესაც შეჭამთ მაგ ნაყოფს, აგებ-ილებათ თქვენ თვალები და იქნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელინ“ (დაბ.3:5;).

„ღმერთო, ვინ არის შენი ბადალი?“ (ფსალმ. 70:19;) – კითხ-ვას სვამდა მეფსალმუნე. მაშასადამე ადამისთვის არაფერი იყო ფიქრი იმის შესახებ, რომ იგი როდისმე შეძლებდა ღმერ-თის მსგავსად ყოფნას თვით შემოქმედი ღმერთის უარყოფით. ადამის პატივმოყვარე ფიქრებმა ღმერთი უბრალო ადამიანის დონემდე ჩამოიყვანა.

უფლის შიში

თქვენ თუ გადახედავთ იმ ცდომილებებს, რომლებიც ისრაელის ძეებს უდაბნოში ყოფნისას ჰქონდათ, აღმოაჩენთ იგივე ფესვს, რაც მათი მეამბოხეობის მიზეზი გახდა. მათ შეეშინდათ ღმერთის, რამეთუ არასწორად აღიქვეს მისი დიდება.

მოსე ავიდა სინაის მთაზე, რათა მიელო ღმერთის სიტყვა. გავიდა რამდენიმე დღე, და „ხალხი ... შეიკრიბა აარონთან“ (გამ.32:1;). პრობლემები ყოველთვის იწყება მაშინ, როდესაც ადამიანები ამა თუ იმ საკითხის მოგვარებას საკუთარი სიბრძნით, ღმერთის ძალისა და თანდასწრების გარეშე იწყებენ. იმის ნაცვლად, რომ დაველოდოთ, რას გვიპრძანებს ღმერთი, ადამიანები საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ცდილობენ რაღაც მოიმოქმედონ. ის, რისი მოცემაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია, დროებითი ნაყალბევით იცვლება.

ისინი ყოველთვის ხედავდნენ ღმერთის ძალის გამოვლინებას. მიუხედავად ამისა მათ ოქროს ხბო ჩამოასხეს. დღეს ეს შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ისრაელიანები ასე არ ფიქრობენ. ოთხ საუკუნეზე მეტი ხანია იცხოვრეს ებრაელებმა ეგვიპტეში, სადაც ასეთ კერპებს ხედავდნენ. კერპათმსახურება კარგად ნაცნობი ეგვიპტური კულტურის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა და ამიტომ იყო ეს მათვის ჩვეულებრივი მოვლენა.

როგორც კი ოქროს ხბო გააკეთეს, ის ხალხს წარუდგინეს, რომლებმაც ერთხმად შესძახეს: „...ესაა ღმერთი შენი, ისრაელი, რომელმაც ამოგიყანა შენ ეგვიპტის ქვეყნიდან“ (გამ.32:4;). შემდეგ ხალხის ლიდერმა განაცხადა: „უფლის დღესასწაულია ხვალ“. იმისათვის, რომ გავიგოთ, რა იგულისხმებოდა ამაში, ჩვენ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ებრაულ სიტყვაზე, რომელიც მე-5 მუხლში ითარგმნება, როგორც „უფალი“. ესაა სიტყვა „იაჰვე“, აგრეთვე ცნობილი, როგორც „იელოვა“ ან „იაღვე“. ეს სიტყვა ითარგმნება როგორც „არსებული“ – ჩვენი ღმერთის ჭეშმარიტი სახელი.

ისინი იყენებდნენ ერთიანი ჭეშმარიტი ღმერთის სახელს. ეს იყო იმ ღმერთის სახელი, ვისაც მოსე ქადაგებდა, ვისთანაც აბრაამმა აღთქმა დადო და ვისაც ჩვენ ვემსახურებით. ბიბლიაში სახელი იელოვა ან იაჰვე არ გამოიყენება ცრუ ღმერთების აღსანიშნავად. ეს სახელი იმდენად წმინდა იყო, რომ ებრაელ მწიგნობრებს ეკრძალებოდათ ამ სიტყვის მთლიანად დაწერა: ისინი განზრას არ წერდნენ ხმოვნებს და ამით პატივს მიაგებდნენ ამ სახელის სიწმინდეს.

არსებითად ხალხი თავის ლიდერებთან ერთად ოქროს ხბოსკენ მიიღორიკა, და მას უწოდა იელოვა, ერთადერთი ჭეშმარიტი

შეცვლილი ლიტერატურა

ღმერთი, რომელმაც ისინი ეგვიპტის მონობიდან დაიხსნა! მათ არ თქვეს: „ეს ბაალმა დაგვიხსნა ეგვიპტის მონობიდან“, – და არც სხვა ცრუ ღმერთის სახელი არ დაუსახელებიათ. ხალხმა ამ ხბოს უფლის სახელი უწოდა, და ამგვარად უფლის სიდი-ადე მათთვის კარგად ნაცნობი ზოგადი და განსაზღვრული ხატების დონემდე დაიყვანეს.

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ისრაელიანები უწინდებუ-რად აღიარებდნენ, რომ სწორედ იელოვა ღმერთმა გაანთავი-სულა ისინი მონობიდან. ისინი არ უარყოფდნენ იმას, რომ ეს მან მოიმოქმედა. ამ ერმა ღმერთის სიდიადე მათთვის გასაგებ დონემდე ჩამოიყვანა. ძველ აღთქმაში ეგვიპტიდან გამოსვლა ქვეყნიერებიდან გამოსვლის და გადარჩენის მიღების პირველ-სახეს წარმოადგენს, რის შესახებაც ახალი აღთქმა გვასწავ-ლის. ქვეყნიერებაზე მომხდარი და ძველ აღთქმაში ჩაწერილი მოვლენები – ესაა აჩრდილი და პირველსახე იმისა, რაც ახალ აღთქმაში უნდა განხორციელებულიყო.

ღმერთისადმი მსახურება ჩვენს მიერ შექმნილი სახეებით

ახლა მოისმინეთ, რას წერს პავლე ახალ აღთქმაში:

„ვინაიდან მისი უხილავი, მისი მარადიული ძალა და ღვ-თაება სოფლის დასაბამიდან ქმნილებათა ხილვით შეიც-ნობა. ასე რომ, მათ პატიება არა აქვთ. რადგან შეიც-ნეს ღმერთი და არ ადიდეს, როგორც ღმერთი, არც მადლობდნენ, არამედ ამაო გახდა მათი გონიერება და დაუბნელდათ უმეცარი გული“.

-რომ. 1:20-21;

შენიშნეთ, რომ მათ არ განადიდეს ღმერთი, როგორც ღმერ-თი. ისრაელის ძეებმა აღიარეს, რომ განთავისუფლება იელოვა ღმერთისგან მოვიდა, მაგრამ მათ არ მიაგეს მას ის პატივი და დიდება, რომელსაც იგი იმსახურებდა. იმ დროიდან ცოტა რამ თუ შეიცვალა, რადგან ნახეთ, რას ამბობს პავლე იმ ხალხის შესახებ, რომელნიც დამსახურებულ პატივს არ მიაგებდნენ ღმერთს ახალაღთქმისეულ პერიოდში:

„და უხრწნელი ღვთის დიდება გაცვალეს ხრწნადი ადა-მიანის, ფრინველთა, ოთხფეხთა და ქვენარმავალთა ხატების მსგავსებაში“.

-რომ. 1: 23;

უფლის შიში

ჩვენ კიდევ ერთხელ ვხდებით ღმერთის ჭეშმარიტი და დიდებული ხატის დამცირების მოწმენი. ამჯერად იგი შეიცვალა არა ხბოს, არამედ ადამიანის ხატებით. ისრაელი ცხოვრობდა იმ ერების გარემოცვაში, რომლებიც ცხოველების და ქვენარმავლების გამოსახულებიან ოქროს კერპებს ეთაყვანებოდნენ. თანამედროვე ეკლესიას გარს არტყია კულტურა, რომელიც ადამიანს განადიდებს.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამუდმებით ერთი რამის შესახებ ვფიქრობდი:

ჩვენ ვემსახურებით ღმერთს იმ სახით, რომელიც ჩვენ თვითონვე შევქმნით.

ჩემი მოგზაურობების დროს ეკლესიებში მე ვაწყდებოდი ისეთ ადამიანებს, რომელთაც ღმერთის ხატება და დიდება ჩვეულებრივი წარმავალი ადამიანის ხატების დონემდე დაყავთ. აზრთა ეს წყობილება ფართოდ არის გავრცელებული მორწმუნეთა შორის.

არსებობენ ადამიანები, რომლებიც მზად არიან იესო მიიღონ საკუთარ მხსნელად და მკურნალად. საკუთარი ბაგებით აღიარებენ მის უფლობას პირად ცხოვრებაში. თუმცა თავიანთი ქმედებებით და გულის მდგომარეობით მისი დიდება წარმავალი ადამიანის დონემდე ჩამოყავთ.

ისინი ამბობენ: „ღმერთი – ჩემი მეგობარია; მას ესმის ჩემი გულის მდგომარეობა“. სრული სიმართლეა, ღმერთს ნამდვილად ესმის ჩვენი, და უკიდურესადაც კი, ვიდრე თვითონ ჩვენ გვესმის საკუთარი თავის. მაგრამ ჩვეულებრივ მსგავს სიტყვებს საკუთარი ქმედებების გასამართლებლად ამბობენ ხოლმე, იმ ქმედებების, რომლებიც ეწინააღმდეგებიან უფლის ალთქმას. ისინი, ფაქტობრივად არ ემორჩილებან ღმერთის სიტყვას. ღმერთი წმინდა წერილში თავის მეგობრებს უწოდებს მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც თრთოლით ეპყრობიან მის დიდებას და თანდასწრებას, და მარდნი არიან მოსმენაში, მიუხედავად იმისა, თუ რად ულირთ მათ ეს.

ამიტომ იგი არ იღებს დიდებას და პატივს, რომელსაც იმსახურებს, სხვაგვარად ურჩნი მაშინვე დაემორჩილებოდნენ მას. ისინი ბაგეებით მიაგებენ მას პატივს, მაგრამ მის წინაშე მოშიშობა მათ ადამიანური მცნებებით ისწავლეს. ამ ადამიანებმა ღმერთის სიტყვა და მისი მცნებები საკუთარი აზროვნებისა და კულტურის პრიზმაში გაატარეს. ღმერთის დიდების შესახებ წარმოდგენა ამ პიროვნებებს უფრო საკუთარი შემოსაზღვრული აღქმის ზეგავლენით ჩამოუყალიბდათ, ვიდრე ღმერ-

შეცვლილი ლიტერატურა

თის ცოცხალი სიტყვის ზემოქმედებით, რომელიც შემოქმედის ჭეშმარიტ ხატებას ასახავს.

ეს უბიძგებდა ამ კაცებს და ქალებს მთავრობის გასამართლებისკენ, რაშიც ძალიან მარდია ჩვენი საზოგადოება. მრავალი სატელევიზიო პროგრამა, ტელესერიალებით დაწყებული და თოქ შოუებით დამთავრებული, გამუდმებით ლანძღავს მთავრობას. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები დასცინიან ხელმძღვანელობას და მაღალ წრეებს, ცამდე აჰყავთ უპატიოსნონი და მეამბოხენი. მაგრამ თუკი მთავრობა მართლაც კორუმპირებულია? რას ამბობს ღმერთი ამის შესახებ? იგი ამბობს: „შენი ხალხის მთავარზე აუგს ნუ იტყვი“ (საქმე. 23:5). მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ღმერთი კორუმპირებული ხელმძღვანელობის გაკრიტიკების უფლებას გვაძლევს, რამეთუ ამ საკითხის მიმართ ღმერთის დამოკიდებულება ჩვენი საზოგადოების დონეზე დავამცირეთ, დავიყვანეთ რა იგი წარმავალი ადამიანის ხატების დონეზე ეკლესიებშიც კი.

მე მომისმენია, როგორ ამართლებენ ეკლესიის ღიდერები გაყრას შემდეგი სიტყვებით: „ღმერთს სურს ბედნიერი დამინახოს“. მათ სჯერათ, რომ მათი პირადი ბედნიერება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ღმერთის სიტყვის მორჩილება, ვიდრე მათი აღთქმა ღმერთთან.

ერთმა ეკლესიის ღიდერმა მითხრა: „ჯონ, გადავწყვიტე გავშორდე ჩემს მეუღლეს, რამეთუ ამ ბოლო 18 წლის განმავლობაში ჩვენ არაფერი საერთო არ გვქონდა. ჩვენ ერთად არ ვუყურებთ ტელევიზორს და არ ვისვენებთ ერთად. შენ იცი, რომ მიყვარს იქსო, და თუ რამეს არასწორად ვაკეთებ, ის მიმითითებს ამის შესახებ“. ღმერთმა რატომ უნდა განგვიმარტოს რაღაც პირადად, თუკი ჩვენ უგულვებელვყოფთ იმას, რაც მან უკვე ბიბლიის საშუალებით თქვა?

ასეთი ადამიანები, ასე თუ ისე, ამახინჯებენ იქსოს სიტყვებს, ამართლებენ რა საკუთარ განსაკუთრებულობას. თითქოს იქსო ამბობდა: „როდესაც ჩემს სიტყვაში ვთქვი, რომ გაყრა მეზიზლება, ეს შენ არ გეხებოდა. მე მსურს, რომ ბედნიერი იყო იმ მეუღლესთან, რომელთანაც სასიამოვნო იქნება დროის გატარება. ასე გააგრძელე და განქორნინდი. და თუ რაიმეში არასწორი ხარ, მონანიებას მოგვიანებით შეძლებ“.

ეს არის ჩვენი საზოგადოების პოზიცია. ჩვენ თითქოს მდუმარედ ვაცხადებთ: „ის, რაც სხვებისათვის შავ-თეთრია, ჩემთვის ნაცრისფერია. მე ვთვლი, რომ სხვები ცუდად იქცევიან იმიტომ, რომ ეს მე არ მეხება, მაგრამ შემიძლია გამონაკლისი

უფლის შიში

ვიყო წესების დაცვაში, თუკი ამ წესების დაცვა უხერხულ მდგომარეობაში მაყენებსა!“.

თუკი ასეთი რამ ცალკეულ ადამიანებს ემართებად, იგივე შეიძლება დაემართოს მთელ საზოგადოებას. ამიტომ გასაკვირი ის არ არის, რომ ეკლესიაში ღმერთის დიდება შეიძლება წარმავალი ადამიანის დიდების დონემდე დამცირდეს ყველაფერში – ეკლესის ხელმძღვანელების პირადი ცხოვრებიდან დაწყებული იმ ქადაგებებით დამთავრებული, რომელიც კათედრიდან იქადაგება.

როგორ შეუძლია ღმერთის დიდების დამამცირებელ ამ უნიკებას მორწმუნეთა შეკრების წარმართვა? იგი ამბობს: „ღმერთი არ გულისხმობს ან არ აკეთებს იმას, რასაც ამბობს“. ამის შემდეგ ჩვენ კიდევ გვიკვირს, თუ რატომ იფურჩქნება ცოდვა ჩვენს შორის ესოდენ მძაფრად და რატომ არ არის ჩვენში ღმერთის შიში. რა გასაკვირია, რომ ცოდვილები გულგრილად სხედან ეკლესიაში და არ ღებულობენ მხილებას ჩვენი ქადაგებებიდან. რა გასაკვირია, რომ გულგრილი დამოკიდებულება ჭარბობს ჩვენს ეკლესიებში, ვისი ცხოვრებაც „დაფუძნებულია“ ბიბლიაზე. ისიც არ არის გასაკვირი, რომ მორწმუნენი უგულვებელყოფენ ქვრივებს, პატიმრებს, ავადმყოფებს და უპატრონო ადამიანებს.

ხშირად უნიკებას, რომელსაც ჩვენ ბოლო 20 წლის განმავლობაში კათედრიდან ვქადაგებდით და ტრანსლირებას ვახდენდით რადიოთი და ტელევიზიოთ, ღმერთს წარმოადგენდა, როგორც „ზეცაში მყოფ ტკბილ მამიკოს“, რომელიც ცდილობს მოგვცეს ყველაფერი, რასაც მოვისურვებთ და როცა მოვისურვებთ. ამიტომაც, ჩვენი მიძღვნა იყო ზერელე, ამ მიძღვნის მოგვები კი ეგოისტური. მშობლები, რომლებიც ასე ზრდიან თავიანთ შვილებს, შედეგად ხელიდან წასულ ადამიანებს იღებენ. ასეთი ბავშვები ჭეშმარიტად არ სცემენ პატივს ხელისუფლებას, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ისინი არ ღებულობენ იმას, რაც მათ სურთ, და როცა სურთ. რადგან ისინი პატივს არ სცემენ ხელისუფალთ, მათ თავისუფლად შეუძლიათ ღმერთზე განაწყენდნენ.

როგორ შეგვიძლია მივაღწიოთ პატივისცემის აღდგენას, თუ ჩვენ სრულიად მოკლებულნი ვართ ღმერთის დიდებას? როგორ გაიმარჯვებს მორჩილება, როდესაც დაუმორჩილებლობა და მეამბოხეობა ითვლება ნორმალურად? ღმერთი თავის ხალხში აღადგენს წმიდა შიშს და დაიბრუნებს მათ, ვინც მას ეკუთვნის, რათა მათ შეძლონ ის ჯეროვანი პატივი და

შეცვლალი დაღება

დიდება მიაგონ მას, რომელსაც იგი ჭეშმარიტად იმსახურებს. ღმერთმა აღგვითქვა: „მაგრამ, ცოცხალი ვარ, და აღიგსება უფლის დიდებით მთელი ქვეყანა“ (რიცხ.14:21;).

რაც უფრო ღრმად გვესმის ღმერთის
სიდიადე ... მით უფრო მეტად
გვეშინია და პატივს ვცეთ მას.

თავი III

სამყარო ქადაგებს

„ღმერთო, შენ ხარ ჩემი ღმერთი; ცისკრის
უამიდან გეძებ, მოსწყურდი ჩემს სულს ...
რათა მენახა სიძლიერე და პატიოსნება შენი“.
-ფსალმ. 62:2-3;

მერთისათვის სათანადო პატივის მისაგებად ჩვენ მისი დიდების სიდიადის შეცნობისაენ სწრაფვა გვმართებს. ეს შეძახილი მოსეს გულიდან აღმოხდა, როცა იგი შემართებით ლოცულობდა: „...მაჩვენე შენი დიდება“ (გამ.33:18;).

რაც უფრო ღრმად გვესმის ღმერთის სიდიადე (თუმცა თავისთავად იგი მიუწვდომელია), მით უფრო მეტად გვეშინია და პატივს უცემთ მას. სწორედ ამიტომ შეგვაგონებს მეფსალმუნე შემდეგი სიტყვებით: „რადგან მთელი ქვეყნიერების მეფეა ღმერთი, უგალობეთ გონივრულად“ (ფსალმ. 46:8;). ჩვენ მიწვეულნი ვართ, რომ მისი სიდიადე ვიხილოთ.

თუმცა შემდეგ მეფსალმუნე ამბობს: „დიდია უფალი და ქებულია ფრიად, და მისი სიდიადე მიუწვდომელია“ (ფსალმ.144:3;). ეს მაიძულებს გავიხსენო წმინდა ავგუსტინეს სიკვდილის ისტორია. ავგუსტინე თავისი დროის ეკლესიის ერთ-ერთი დიდებული ლიდერი იყო. მისი წიგნები ჩვენი ღმერთის საკვირველი სასწაულების შესახებ მოგვითხრობს. მისი წაშრომებით ადამიანები უკვე ათასი წელია სარგებლობენ. მის ერთ-ერთ დიდებულ ნაშრომს „ლვთის ქალაქი“ წარმოადგენს.

იწვა რა სასიკვდილო სარეცელზე, თავის ახლო მეგობრების გარემოცვაში, იგი უფალთან გადავიდა, რათა მარადისობა მასთან გაეტარებინა, სუნთქვა შენელდა, გულმა შეწყვიტა ფეთქვა, ოთახი კი წარმოუდგენელი მშვიდობის შეგრძნებით აიგსო.

მოულოდნელად მან ისევ გაახილა თვალები, სახე გაუბრნებინდა, მიმართავდა რა იქ მყოფ დამსწრებებს, შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „მე ვნახე უფალი. ყველაფერი, რაც დავწერე – უვარგისია“. ამ სიტყვებით იგი თავის მარადიულ სამყოფელში გაემგზავრა.

უფლის შიში

წმიდაა, წმიდაა, წმიდაა ...

ესაია წინასწარმეტყველი გამოუკვლეველი ღმერთის
დიდების მხილველი გახდა.

„...წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ცაბაოთი! სავსეა მთე-
ლი ქვეყანა მისი დიდებით“.

-ეს. 6:3;

ჩვენ ამ სიტყვებს ეკლესიებში ვმღეროდით, და უფალს
ვაქებდით. თუმცა ჩვენს ქებაში ხშირად არ არის ის გულმსურ-
ვალე სწრაფვა, როგორიც ამ ანგელოზებს ჰქონდათ ღმერთის
მიმართ. ქება-დიდების მსახურების დროს, როცა გუნდი ამ სი-
ტყვებს მღერის, თქვენ, ალბათ, დაინახავთ ადამიანებს, რომ-
ლებიც ამთქნარებენ და თვალებს აქეთ იქით აცეცებენ. რა
საგრძნობლად განსხვავდება ეს ატმოსფერო ღმერთის ტახტის
ირგვლივ არსებულ ატმოსფეროსგან!

ამ ძლიერ ანგელოზებს არაფერი არ დღით და არც არაფერი
იპყრობს მათ ყურადღებას; ისინი უბრალოდ ლამაზ სიმღერებს
როდი მღერიან. ისინი არ ამბობენ: „ღმერთო, მე ამ სიმღე-
რას უკვე მრავალი მილიონი წლის განმავლობაში ვმღერი
შენი ტახტის წინაშე. როგორ ფიქრობ, იქნებ ის სხვა სიმღე-
რით შეგვეცვალა? სხვა ადგილების ნახვა მსურს ზეცაში“. არავითარ შემთხვევაში! ისინი არ გამოთქვამენ სხვა ადგილას
ყოფნის სურვილს, მათ შემოქმედი ღმერთის ქება-დიდება სწყ-
ურიათ.

ეს ანგელოზები უბრალოდ არ მღერიან. ეს გახლავთ მათი
რეაქცია ყოველივე იმაზე, რასაც ზეცაში ხედავენ. მათ წი-
ნაშე ყოველ წამს იხსნება ახალი ზღვარი და ღმერთის დიდების
ახალი, კიდევ უფრო მეტად დიდებული განზომილება. დან-
ახულით შეძრული ანგელოზები გაიძახან: „წმიდაა, წმიდაა,
წმიდა!“, „და შეირხა ზღურბლთა წირთხლები დამძახებლის
ხმისაგან და კვამლით აიგსო სახლი“ (ესაია.6:4;). ერთია, როცა
ბეგერითი ტალღები არყევნენ ჩვეულებრივ ნაგებობებს დედამი-
ნაზე, და სულ სხვა რამ არის ციური არქიტექტურის წირთხ-
ლთა შერყევა! ეს ანგელოზები უთვალავი საუკუნის განმავ-
ლობაში იდგნენ ღმერთის ტახტის წინაშე. მიუხედავად ამისა,
ისინი აგრძელებდნენ ღვთიური ძალისა და სიბრძნის უსას-
რულო გამოცხადებების მიღებას. ცათა მეუფის სიდიადე ჭეშ-
მარიტად გამოუკვლეველია.

სამყარო ქადაგებებს მისი საქმეები ქადაგებენ მისი დიდების შესახებ

ბოლო თავში ჩვენ შევიტყვეთ ადამიანის უდიდესი შეც-დომის შესახებ – უფლის დიდების ჩვენს დონემდე – ნარმა-ვალი ადამიანის დიდების დონემდე დამცირების შესახებ. ჩვენ დავინახეთ ისიც, თუ რა საშინელ მასშტაბებს მიაღწია ყოვე-ლიმე ამან ეკლესიებში. ამ თავის დანარჩენი ნაწილი ქმნილე-ბაში გამოვლენილი ღვთის სიდიადის მცირე ექსკურსს დაე-თმო. მოდით, თავი დავანებოთ იმას, თუ როგორ მოხდა ეს, და ვიფიქროთ იმ სასწაულზე, რომლის შესახებაც ვისაუბრებთ, რამეთუ თვით ქმნილება ქადაგებს თავისი შემოქმედის შეს-ახებ, და გვთავაზობს თემებს, რომლებზეც ღირს დაფიქრება.

ფსალ.144:10-11-ში ნათევამია: „გადიდებდეს შენ, უფალო, ყველა შენი ნამოქმედარი ... შენი მეფობის დიდებას იტყვიან, და შენს სიძლიერეზე ილაპარაკებენ“.

მე ოთხი ვაჟი მყავს. იყო დროის ისეთი პერიოდი, როდესაც ჩემი შვილები ერთი პროფესიონალი კალათბურთელით დაინ-ტერესდნენ. იგი ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ სპორტსმენს ნარ-მოადგენდა მთელს ამერიკაში და ამ ქვეყნის მრავალი ადამია-ნის კერპი გახლდათ. ნაციონალური კალათბურთის ნაკრების თამაშები სრული დატვირთვით მიმდინარეობდა. მე მესმოდა, თუ როგორ ახსენებდნენ ამ კალათბურთელის სახელს პრე-საში, ასევე ჩემი შვილები და მათი მეგობრები.

მე ოჯახთან ერთად ვიმყოფებოდი ატლანტის სანა-პიროზე . ჩვენ ეს-ეს არის დავბრუნდით სახლში პლაჟიდან, სადაც ჩემი შვილები ყირაზე დგებოდნენ და წყალში მხიარუ-ლად ხტუნაობდნენ. როდესაც ცურაობის შემდეგ გავშრით, მე უფროს შვილებთან გასაუბრება გადავწყვიტე.

თითოთ მიეუთითე ფანჯრისკენ და თან ვკითხე: „შეხედეთ ბიჭებო, მართლაც რა დიდია ეს ოკეანე, არა?“.

მათ ერთხმად მიპასუხეს: „დიახ, მამა“.

მე გავაგრძელე: „თქვენ შეგიძლიათ იგი მხოლოდ ერთი ან ორი მილის მანძილზე დაინახოთ, მაგრამ სინამდვილეში ოკეანე ათას მილზეა გადაჭიმული“.

თავს გრძნობდნენ რა თბილათ და უსაფრთხოთ, პირსახ-ოცებში გახვეულები, ბიჭები ფართოთ გახელილი თვალებით მისმენდნენ.

„და ეს ყველაზე დიდი ოკეანე არ არის; არსებობს სხვა, უფრო დიდი ოკეანე, რომელსაც წყნარი ოკეანე ჰქვია. და გარ-და ამისა, არის კიდევ ორი დიდი ოკეანე“.

უფლის შიში

გაკვირვებული ბავშვები ხმაამოუღებლად აქნევდნენ თავებს, უსმენდნენ რა გარედან ჩვენამდე მოღწეულ ზვირთცემის ხმას.

ვიცოდი რა, რომ ბიჭებმა უკვე რაღაც დონეზე წარმოიდგინეს ჩემს მიერ აღწერილი ეს უზარმაზარი წყლის მასები, მე ვკითხე მათ: „ბიჭებო, იცით, რომ მთელი ეს წყალი, რომლის შესახებაც გესაუბრებოდით, ღმერთმა საკუთარი მუჭით არნყა?“ (იხ. ეს. 40:12;).

ბავშვების თვალებში წრფელი გაოცება აისახა. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე, რადგან იმ ცნობილ სპორტსმენს შეეძლო ერთი ხელით დაეჭირა კალათბურთის ბურთი! ახლა კი ბურთის ერთი ხელით დაჭერის უნარი უკვე არაარსებითი ჩანდა.

„იცით, კიდევ რას ამბობს ბიბლია ღმერთის დიდებულების შესახებ?“ – ვკითხე კვლავ.

„რას ამბობს, მამა?“

„ბიბლია ამბობს, რომ ღმერთმა ცა თავისი მტკაველით გადაზომა“ (ეს.40:12;). მე ვაჩვენე მათ ჩემი ხელის მტევანი და განვუმარტე, რომ მტკაველი – ესაა მანძილი ნეკა თითის წვერიდან ცერა თითის წვერამდე. „ღმერთს შეუძლია სამყარო თავისი მტკაველით გადაზომოს!“.

დაუსრულებელი ქადაგება

თვით სამყარო მოწმობს უფლის სიდიადის შესახებ. აი, რას ამბობს დავითი:

„ცანი ღაღადებენ ღმერთის დიდებას, და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს სამყარო. დღე დღეს გადასცემს სიტყვას, ღამე კი ღამეს უმხელს აზრს, არც ენა უნდა და არც სიტყვა, მათი ხმა რომ ისმოდეს. მთელი დედამიწის ზურგზე გადის მათი ხაზი და სამყაროს კიდეებამდე აღნევს მათი სიტყვები...“.

-ფსალმ. 18:2-5;

წამით გაჩერდით და წარმოიდგინეთ სამყაროს უსაზღვროდ გაშლილი სივრცეები. გააკეთეთ ეს, და თქვენ შეიცნობთ ღმერთის დაუსრულებელ დიდებას! დავითი ამბობს, რომ სამყარო ადიდებს ღმერთს. ღმერთის ქმნილება მხოლოდ პლანეტა დედამიწით როდი შემოიფარგლება, ის სამყაროს უცნობ ადგილებსაც მოიცავს. ღმერთმა თავისი თითებით განალაგა ცაზე ვარსკვლავები (იხ.ფსალმ.8:4;).

სამყარო ქსლაგებს

მრავალ ჩვენგანს უჭირს ჩასწვდეს სამყაროს მასშტაბებს. მზე – დედამიწასთან ყველაზე ახლოს მყოფი ვარსკვლავი – ჩვენგან 4,3 სინათლის წლით არის დაშორებული. იმისათვის, რომ ეს ციფრი ჩვენთვის უბრალო ციფრად არ დარჩეს, მოდით, განვმარტოთ მისი მნიშვნელობა. სინათლე მოძრაობს 300 000 კილომეტრი წამში სიჩქარით – არა საათში, არამედ წამში. ეს არის დაახლოებით 1 078 231 000 კილომეტრი საათში. ჩვენი თვითმფრინავები დაახლოებით 800 კილომეტრი საათში სიჩქარით დაფრინავენ. მთვარის ორბიტა დედამიწიდან დაახლოებით 385 000 კილომეტრში გადის. ჩვენ მთვარეზე თვითმფრინავით რომ გავფრინდეთ, ამას დასჭირდებოდა 20 დღე. მაშინ, როდესაც სინათლე ამ მანძილს 1,3 წამში გადის!

ახლა გავაგრძელოთ. მზე დედამიწიდან 149 664 900 კილომეტრით გაახლავთ დაშორებული. დღეს თქვენ ზებგერითი თვითმფრინავით მზეზე რომ გაფრინდეთ, თქვენი მოგზაურობა 21 წელი გაგრძელდება! თანაც ყოველგვარი გაჩერებების გარეშე! რა ხდებოდა თქვენს თავს 21 წლის წინ? 21 წელი – დიდი დროა. შეგიძლიათ მზის მიმართულებით ასეთი ხანგრძლივი გადაფრენის წარმოდგენა? ის კი, ვისაც ავტომანქანით სიარული ურჩევნია... ამას ერთ სიცოცხლეზე მეტ დროს მოანდომებდა. ამას დასჭირდებოდა 200 წელი, თუ არ ჩავთვლით საწვავის ჩასასხმელად და დასასვენებლად გაკეთებულ გაჩერებებს! მაგრამ სინათლე ამ მანძილს სულ რაღაც 8 წუთში და 20 წამში გადის!

თავი დავანებოთ მზეს და ჩვენი ყურადღება მიგაპყროთ უახლოეს ვარსკვლავს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მზე დედამიწიდან 4,3 სინათლის წლით არის დაშორებული. ჩვენ ავაგებთ დედამიწის, მზისა და უახლოესი ვარსკვლავის მასშტაბურ მოდელს, მივიღებთ შემდეგს: ამ მასშტაბში დედამიწა იქნება პილპილის მარცვლის ზომის, ხოლო მზე ბურთის ზომის, რომლის დიამეტრიც 20 სანტიმეტრია. ამ მასშტაბის მოდელის შესაბამისად დედამიწიდან მზემდე მანძილი იქნება 24 მეტრი, რაც ამერიკული ფეხბურთის მინდვრის სიგრძის მეოთხედს შეადგენს. მაგრამ გაახსოვდეთ, რომ ამ მოდელის თვითმფრინავს 24 მეტრი მანძილის დასაფარად 21 წელზე მეტი დრო დასჭირდება.

ამიტომ, თუკი ასეთია დედამიწისა და მზის თანაფარდობა, შეძლებთ იმის გაგებას, თუ რამდენად შორს შეიძლება იმყოფებოდეს უახლოესი ვარსკვლავი დედამიწიდან, რომელიც პილპილის მარცვლის ზომისაა? თქვენ ფიქრობთ რომ ათასი

უფლის შიში

მეტრის, ორი ათასი მეტრის ან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით? საეჭვოა, როდისმე წარმოგეფებინათ ის, რომ ჩვენგან უახლოესი ვარსკვლავი 6,5 ათასი კილომეტრით არის დაშორებული ჩვენს პილპილის მარცვლის ზომის დედამიწას! ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი თქვენ პილპილის მარცვლის ზომის დედამიწის მოდელს მოათავსებთ მაგალითად, ქალაქ სან-დიეგოში, კალიფორნიის შტატში, მაშინ ამ მასშტაბის მოდელის უახლოესი ვარსკვლავი განთავსდებოდა ქალაქ ნიუ-იორკზე შორს, ატლანტის ოკეანეში, ნაპირიდან თითქმის ორი ათას კილომეტრზე!

უახლოეს ვარსკვლავამდე თვითმფრინავით მისასვლელად, ჩვენ დაგვჭირდებოდა 51 მილიარდი წელი ფრენა გაჩერებების გარეშე! ანუ 51 000 000 000 წელი! მაგრამ სინათლე, რომელიც ამ ვარსკლავიდან მოდის, დედამიწამდე 4,3 წლის განმავლობაში აღწევს!

გავაგრძელოთ. ვარსკვლავები, რომლებსაც თქვენ შეუიარაღებელი თვალით ხედავთ, დედამიწას 100-1000 სინათლის წლით არიან დაშორებულნი. არც კი შევეცდები იმის დათვლას, თუ რამდენი წელი დასჭირდებოდა თვითმფრინავს ერთერთ ამ ვარსკვლავამდე. მაგრამ წარმოიდგინეთ ასეთი რამ: სინათლე მოძრაობს 300 000 კილომეტრი სიჩქარით წამში, და მას მაინც სჭირდება ათასი წელი იმისათვის, რომ დედამიწამდე მოაღწიოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ვარსკვლავებიდან სინათლე, რომელიც გამოვიდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ მოსე წითელ ზღვას გაყოფდა და რომელიც ყოველ საათში 1 078 231 ათას კილომეტრ მანძილს შეჩერებისა და შენელების გარეშე გადის, ეს-ეს არის მოაღწევს დედამიწამდე!

მაგრამ ეს მხოლოდ ვარსკვლავებია ჩვენს გალაქტიკაში. გალაქტიკა – ესაა ვარსკვლავების უზარმაზარი სისტემა, ჩვეულებრივ მათი რიცხვი მილიარდია. გალაქტიკა, რომელშიც ჩვენ ცცხოვრობთ, ირმის ნახტომად იწოდება. გავაგრძელოთ საუბარი.

ანდრომედია ჩვენი გალაქტიკის უახლოესი გალაქტიკაა. იგი დაახლოებით 2,31 მილიონი სინათლის წლით არის დაშორებული. წარმოგიდგენიათ, ორ მილიონზე მეტი სინათლის წელი!

მეცნიერების შეფასებით არსებობს მილიარდი გალაქტიკა, და თითოეული მათგანი მილიარდობით ვარსკვლავისგან შედგება.

გალაქტიკის ქმნიან შეჯგუფებებს. ანდრომედა და ირმის ნახტომი გახლავთ იმ ვარსკვლავთა სისტემის ნაწილი, რო-

სამყარო ქსლაგებს

მელიც მინიმუმ 30 გალაქტიკისაგან შედგება. სხვა შეჯგუფები რამდენიმე ათასი გალაქტიკისაგან შემდგარ სისტემებს წარმოადგენს.

გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის მტკიცებით 1994 წლის ივნისში აღმოჩენილ იქნა ჭიის პარკის ფორმის მქონე ახალი გალაქტიკების შეჯგუფება. მეცნიერებმა გამოთვლის შედეგად დაადგინეს, რომ შეჯგუფების განაპირა ვარსკვლავებს შორის მანძილი ექვსიათას მილიონ სინათლის წელს შეადგენს! შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რამდენი დრო დასჭირდება თვითმფრინავს ამ მანძილის დასაფარავად? გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნი ასევე ამტკიცებს იმას, რომ ყველაზე შორს მყოფი ობიექტი, რომლის დანახვაც ადამიანს ჯერ კიდევ შეუძლია, 13,2 მილიარდი სინათლის წლით არის დაშორებული. ჩვენს შემოსაზღვრულ გონებას არ შეუძლია ჩასწვდეს ასეთ უზარმაზარ მანძილს. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, რომ მხოლოდ დროდადრო ვუყუროთ ჩვენთვის ხილული გალაქტიკათა სისტემის უბნებს, და ვიოცნებოთ იმაზე, რომ სამყაროს დავინახავთ. ღმერთს კი შეუძლია სამყარო თავისი მტკაველით გაზომოს! დასასრულს მეფსალმუნე ამბობს: „იგი თვლის ვარსკვლავთა რიცხვს, ყველას თავის სახელს უწოდებს. დიდია უფალი და დიდალოვანი, მისი გონიერება განუზომელია“ (ფსალმ.146:4-5;). ღმერთმა მრავალი მილიარდი ვარსკვლავის მხოლოდ რაოდენობა კი არ იცის, არამედ მისთვის ყოველი ვარსკვლავის სახელწოდებაც ცნობილია! გასაკვირი არ არის ის, რასაც მეფსალმუნე ამბობს: „მისი გონიერება განუზომელია“.

სოლომონმა თქვა: „ნუთუ ნამდვილად იმკვიდრებს მიწაზე ღმერთი? აპა, ვერ გიტევენ შენ ცანი და ცანი ცათანი ...“ (3მეფ.8:27;). შეიტყვეთ, უფრო მეტი რამ ღმერთის სიდიადის შესახებ?

ღმერთის დიდებული სიბრძნე ვლინდება მის ქმნილებაში

„მან შექმნა ქვეყანა თავისი ძალით, განამტკიცა სამყარო თავისი სიბრძნით, და თავისი გონიერებით განავრცო ცა“.

-იერ.10:12;

ქმნილებაში ღმერთის დიდების სიდიადესთან და ძალასთან ერთად მისი სიბრძნე და ცოდნაც გამოვლინდა. მრავალი წლის

უფლის შიში

განმავლობაში მეცნიერებამ დიდი რაოდენობით ფული დახარჯა რათა ბუნებრივი სამყარო შეესწავლა. ღმერთის ჩანაფიქრი და მასალა, რომლითაც ღმერთმა ეს საოცარი სამყარო შექმნა.

შექმნილი სიცოცხლის ყველა ფორმას აქვს უჯრედული აგებულება. უჯრედები – ესაა მცენარეების, ცხოველების, ადამიანის სხეულის და ნებისმიერი ცოცხალი არსების საშენი მასალა.

ადამიანის სხეული სრულყოფილ ნაგებობას ჰქონის. იგი შედგება (შეგიძლიათ ამ ციფრის წარმოდგენა?) 100 000 000 000 000 უჯრედისაგან, რომელთა შორისაც დიდი რაოდენობის სხვადასხვა სახის უჯრედებიც არსებობენ. უფალი ბრძენია, მან თითოეულ უჯრედს განსაკუთრებული ამოცანის შესრულება განუსაზღვრა. ისინი ღმერთის მიერ დადგენილი პროგრამით იზრდებიან, მრავლდებიან და კვდებიან.

თუმცა უჯრედების დანახვა შეუძლებელია შეუიარაღებელი თვალით, ისინი მაინც არ წარმოადგენენ ადამიანისთვის ყველაზე უმცირეს ნაწილაკებს. უჯრედები უამრავი მცირე სტრუქტურისაგან, მოლეკულებისაგან შედგებიან, მოლეკულები კი უფრო პატარა ნაწილაკებისაგან – ატომებისაგან.

ატომი იმდენად უმცირესი ნაწილაკია, რომ ამ წინადადების ბოლოში დასმული წერტილის ადგილას მიღიარდი ატომი მოინახება. როგორი უმცირესი ნაწილაკიც არ უნდა იყოს ატომი, იგი თითქმის მთლიანად შეუვსებელი სივრცისაგან შედგება. ატომის დანარჩენი ნაწილი პროტონებს, ნეიტრონებს და ელექტრონებს შეიცავს. პროტონები და ნეიტრონები ბირთვში შემავალი ნაწილაკებია, ბირთვი კი ატომის ცენტრში მდებარეობს. ენერგიის პატარა შენადედები, ელექტრონები, სინათლის სიჩქარით ბრუნავენ დადებითად დამუხტული ბირთვის გარშემო. სწორედ ისინი წარმოადგენენ საკვანძო საშენ მასალას, რომელსაც ყველაფერი ერთობაში მოჰყავს.

მაშ, საიდან იღებს ატომი ენერგიას? და რა ძალა აკავებს ამ ენერგეტიკულ ნაწილაკებს ერთად? მეცნიერები მას ატომის ენერგიას უწოდებენ. ეს უბრალოდ მეცნიერული ტერმინია იმისა, რისი ახსნაც მათ არ შეუძლიათ. რადგანაც ღმერთმა უკვე თქვა, რომ ეს მას უპყრია ყოველივე „თავისი ძალის სიტყვით“ (ებრ.1:17;). კოლ.1:17-ში ნათქვამია: „იგი არის უწინარეს ყოვლისა და ყოველივე მისით დგას“.

ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ჩვენს წინაშე დიდებული შემოქმედია, რომელსაც ვერ იტევს სამყარო. სამყარო მისი მტკაველით იზომება, მაგრამ მან იმდენად კარგად მოიფიქრა

სამყარო ქადაგებს

ამ ერთი ციცქანა მიწის და თავისი ქმნილების კონსტრუქცია, რომ ამას დაბნეულობამდე მიჰყავს გარე სამყაროს გულდას-მით შემსწავლელი თანამედროვე მეცნიერება.

ახლა თქვენ შეგიძლიათ უფრო ზუსტად გაიგოთ მეფსალმუნის მიერ თქმული სიტყვების მნიშვნელობა: „გადიდებ, რადგან საოცრებით შემქმენი“ (ფსალმ.138:14;). თქვენ ასევე შეძლებთ იმის გაგებას, განსაკუთრებით ისტორიის განვითარების ამ ეტაპზე, როცა კაცობრიობამ უზარმაზარი მეცნიერული ცოდნა დააგროვა, თუ რატომ ამბობს წმიდა წერილი: „თქვა უგუნურმა თვის გულში: „არ არის ღმერთი“ (ფსალმ.13:1;).

რასაკვირველია, მრავალი წიგნის დაწერა შეიძლება ღმერთის ქმნილების საოცრებებისა და სიპრძნის შესახებ. მაგრამ მე არ ვაპირებ ამის გაკეთებას. ჩემი მიზანი – ესაა გაგაოცოთ და გაგაკვირვოთ ღმერთის ხელის ნამოქმედარით, რადგან ისინი ღმერთის დიდებას გვამცნობენ!

„გავიგეთ, მამა!“

დავუბრუნდეთ ჩემი შვილების შესახებ თხრობას. მას შემდეგ, რაც მთელი ეს მეცნიერული ინფორმაცია მათთვის კარგად ნაცნობი ცნებების გამოყენებით გადავეცი, მე დავსვი შემდეგი კითხვა: „აბა, ისევ ახდენს თქვენზე შთაბეჭდილებას ეს კალათბურთელი, რომელსაც დაახლოებით ხუთი მეტრიდან შეუძლია პაერით გაბერილი ბურთის პატარა კალათში ჩაგდება?“.

ბიჭებმა თქვეს: „ახლა ყველაფერი გასაგებია, მამა!“

„რა აქვს ამ კალათბურთელს ისეთი, რაც მისთვის ღმერთს არ მიუცია?“ – ვიკითხე მე.

„არაფერი!“ – მიპასუხეს ბიჭებმა.

მას შემდეგ მათი დამოკიდებულება ამ ადამიანის მიმართ შეიცვალა. მის მიმართ, როგორც გმირის მიმართ, თაყვანის-ცემა ჯანსაღი პატივისცემით შეიცვალა. ახლა ამ კალათბურთელების სურათებიან ბარათებს ისინი უნოდებენ „სამლოცველო ბარათებს“. ისინი იმ ხალხის გადარჩენისათვის ლოცულობენ, რომლებსაც სხვები გმირებად მიიჩნევენ.

ახლა თქვენ შეგიძლიათ უკეთ გაიგოთ ის, თუ სინამდვილეში რას ეუბნებოდა ღმერთი იობს, როდესაც ეკითხებოდა: „ვინ გამომიწვია მე, რომ გადავუხადო? მთელი ცისქვეშეთი ჩემია“ (იობ.41:11 (3).

უფლის შიში

რა არის ადამიანი?

„როცა შევხედავ შენს ცას – შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე: რა არის კაცი, რომ იხსენიებ? ან ძე ადამიანისა, რომ ყურადღებას აქცევ?“.

-ფსალმ. 8:4-5;

თუმცა არ შემიძლია ამის დამტკიცება, მჯერა, რომ მე-8 ფსალმუნში ასახულია ღმერთის ტახტის ახლოს მყოფი ერთერთი ძლიერი ანგელოზი – სერაფიმის რეაქცია ღმერთის ქმნილებაზე. შეჩერდით და დაფიქრდით ამაზე, და შეეცადეთ საგნებს ამ ანგელოზის თვალით შეხედოთ. ყოვლადძლიერი დიდებული ღმერთი, რომელმაც ახლახან შექმნა სამყარო და საკუთარი ხელით განალაგა ვარსკვლავები თავიანთ ადგილებზე, ახლა თავის ყურადღებას ერთი ციცქა ნაწილაკისაკენ – პლანეტა დედამიწისკენ მიმართავს, და იმას, რაც უმნიშვნელო მტვრის გროვას ნარმოადგენდა, ადამიანის ფორმას ანიჭებს.

მაგრამ ის, რაც ნამდვილად აკვირვებს ამ ანგელოზს გახლავთ ღმერთის ესოდენ დაჟინებული ყურადღება. ღმერთის ყურადღება მთლიანად მიჰყრობილია იმ არსებაზე, რომელსაც ადამიანი ჰქვია. მეფსალმუნის სიტყვებიდან ვიგებთ, რომ ღმერთის ამაღლებული ზრახვები აქვს ჩვენს მიმართ, და მათი რაოდენობა ქვიშაზე უმრავლესია (იხ.ფსალმ.138:18-19;). მჯერა, რომ ამის დანახვაზე ანგელოზმა წამოიძახა: „რას წარმოადგენს ამისთანას ადამიანი, რომ შენ თვალჩაციებით უთვალთვალებ მას ასეთი სიყვარულით და თრთოლით? რას წარმოადგენს ეს უმნიშვნელო არსება, რომელიც მუდმივად იკავებს შენს ფიქრებს და რომლის ირგვლივაც შენს გეგმებს აწყობ?“.

გამოყავით დრო, გაჩერდით და იფიქრეთ ღმერთის ხელის ნამოქმედარზე. ჩვენ ნაპრძანები გვაქვს ამის გაეთება. როდესაც თქვენ ამას მოიმოქმედებთ, თვით ქმნილება დაიწყებს ღმერთის დიდების შესახებ ქადაგებას!

მანამ, სანამ ლმერთის დიდება მოვა,
ლმერთის წესრიგი უნდა დამყარდეს.

თავი IV

ცესრიბი, დიდება და სამსპესორო

ნაწილი 1

„ვინაიდან ღმერთმა, რომელმაც ბრძანა, რომ ნათელი ბნელი-დან გამოპრწყინებულიყო, მანვე გაანათა ჩვენს გულებში, რათა გაგვინათოს ღვთის დიდების ცოდნით იესო ქრისტეს სახეში“. -2კორ. 4:6;

მემდეგ რამდენიმე თავში ჩვენ დავინახავთ ძალიან მნიშვნელოვან კანონზომიერებას, რომელიც წმიდა წერილში გვხვდება. ამ კანონზომიერების ფარგლებში ის ისტორიული მაგალითები იქნება განხილული, რომლებიც დღესაც აქტუალურია.

ღმერთის კანონზომიერება

ეს იყო პირველი საღამო იმ ოთხიდან, რომლებიც ჩვენი გეგმის თანახმად კანადაში სასკაჩევანის პროვინციაში უნდა გაგვეტარებიან. პასტორმა იქ შეკრებილ ხალხს ამცნო ჩემი სტუმრობის შესახებ, და მე სამი წუთის შემდეგ სცენაზე უნდა ავსულიყავი.

მოულოდნელად ღვთის სულმა გამიცხადა ის კანონზომიერება, რომელიც წითელ ზოლივით გასდევს მთელ ბიბლიას, როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმას. აი, ეს კანონზომიერება:

1. ღვთიური წესრიგი;
2. ღმერთის დიდება;
3. სამსჯავრო.

ვიდრე ღმერთი თავის დიდებას გამოავლენს, ღმერთის წესრიგი უნდა მოვიდეს. ღმერთის დიდების მოსვლას თან სდევს დიდი კურთხევა. მაგრამ, როდესაც ღმერთის დიდება მოდის, ყოველგვარ უპატივცემულობას, უწესრიგობას და დაუმორჩილებლობას მაშინვე მსჯავრი ედება.

უფლის შიში

ღმერთმა ეს კანონზომიერება ორ წუთზე ნაკლებ დროში მაჩვენა, და მაუწყა, რომ სწორედ ამის შემდეგ უნდა მექადაგა ჭეშმარიტებებს მოწყურებული კანადელებისთვის, რომლებიც ახლა ჩემს წინ ისხდნენ. იმ დღის ღვთისმსახურება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მსახურება გახლდათ, რომელიც როდისმე ჩამიტარებია, და მე მსურს ეს ჭეშმარიტება თქვენც გაგიზიაროთ.

დასაწყისი

იმისათვის, რომ საძირკველი ჩავყაროთ, მოდით, დავუბრუნდეთ დასაწყისს, როდესაც ღმერთმა შექმნა ცა და მიწა:

„და მიწა იყო უსახურ-უდაბური, და იყო ბნელი უფსკრულის პირზე. და სული ღვთისა იძვროდა წყლის პირზე“.
-დაბ. 1:2;

სიტყვა „უსახურ-უდაბური“ თარგმანში ორი ებრაული სიტყვის კომბინაციას წარმოადგენს. ეს სიტყვები გახლავთ „ხაია“ და „ტოხუვი“. ერთად აღებული ეს სიტყვები ზუსტ აღწერას იძლევიან: „მიწა იყო უფორმო და ქაოსური“. მასზე არ იყო წესრიგი, არამედ უწესრიგობა.

თუმცა ღმერთის სული იძვროდა და შრომობდა ამ ქაოსის მოსანესრიგებლად, იგი არაფერს არ აკეთებდა, ვიდრე ღმერთის სიტყვა არ გამონთავისუფლდებოდა. ამ პლანეტაზე ღმერთის წესრიგმა მოქმედება დაიწყო ღმერთის მიერ გამოთქმულ სიტყვებთან ერთად. იგი ექვსი დღის განმავლობაში აწესრიგებდა მიწას, სანამ თავის დიდებას გამოანთავისუფლებდა მასზე. ღმერთმა მონდომებით გააშენა ბალი თავისი ხალხისთვის. ამის შემდეგ მან მთელი ქმნილების გვირგვინი – ადამიანი შექმნა.

გააშენა რა ბალი, ღმერთმა „შექმნა ადამიანი მიწის მტვრისაგან...“. მეცნიერებამ აღმოაჩინა, რომ ადამიანის სხეულის ყოველ ქიმიურ ელემენტს დედამიწის ქერქი შეიცავს. ეს ღმერთმა შექმნა მეცნიერების და ტექნიკის სასწაული.

ღმერთის წესრიგს თან მოაქვს ღმერთის დიდება

ღმერთს ექვსი დღე დასჭირდა დედამიწაზე თავისი წესრიგის დასამყარებლად. ამის შემდეგ ღმერთმა ადამიანის სხეული მოაწესრიგა, და როდესაც ღვთიური წესრიგი დამყარდა,

წესრიგი დალექა და სამსჯავრო: ნტელი 1

მან „შთაბერა მის ნესტონებს სიცოცხლის სუნთქვა, და იქმნა კაცი ცოცხალ არსებად“ (დაბ.2:7;). ღმერთმა, პირდაპირ თავისი სული შთაბერა ადამიანის სხეულს.

ღმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად და მსგავსად, შემდეგ ქალი გამოსახა მამაკაცის ნეკნისაგან. პირველ ადამიანებს არ ჰქონდათ ტანისამოსი ან სხვა რაიმე შესამოსელი: „და იყვნენ ორივენი შიშვლები, ადამი და მისი დედაკაცი, და არ რცხვენოდათ“ (დაბ.2:25;). შემოქმედმა ღმერთმა ყველა დანარჩენი ქმნილება შესაბამისი სამოსით შემოსა. ცხოველებს ტყავი მისცა, ფრინველებს – ბუმბული, თევზებს კი ქერცლი ან ნიჟარა. მაგრამ ადამიანი არ საჭიროებდა ფიზიკურ სამოსს, რადგან როგორც მეფესალმუნე ამბობს, ღმერთმა „... დიდება და ღირსება დაადგა გვირგვინად“ (ფსალმ.8:6;). ებრაული სიტყვა „ატარი“, რომელიც თარგმნილია როგორც „დაადგი“, ნიშნავს „შემოახვია“ ან „შემოსა“. არსებითად, მამაკაცი და დედაკაცი უფლის დიდებით იყვნენ შემოსილნი და არ საჭიროებდნენ ფიზიკურ შესამოსელს.

შეუძლებელია იმ კურთხევების აღწერა, რომლებსაც ეს პირველი წყვილი ღებულობდა. ბალი დამოუკიდებლად იზრდებოდა, მას მოვლა არ სჭირდებოდა. მაგრამ ამ წყვილისთვის ყველაზე დიდ კურთხევას ღმერთთან ყოფნის პრივილეგია წარმოადგენდა!

სამსჯავრო

ღმერთმა თავისი ღვთიური წესრიგი თავისი სიტყვით და სულით მოიტანა. ამის შემდეგ გამოვლინდა მისი დიდება. კურთხევები უხვად იყო იქ, მაგრამ შემდეგ მოვიდა შეცოდება. უფალმა ღმერთმა მცნებად დაუდო ადამიანს არ ეჭამა კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხის ნაყოფი, რადგან დაუმორჩილებლობა სულიერ სიკვდილს იწვევს.

დასცინოდა რა ღმერთს, სატანამ აბუჩად აიგდო ღმერთის სიტყვა თავისი მზაკვრული უარყოფით: „....არ მოკვდებით. რადგან უწყის ღმერთმა, რომელ დღესაც შეჭამთ მაგ ნაყოფს, აგეხილებათ თქვენ თვალები და იქნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელნი“ (დაბ.3:4;). მაშინ ადამია, რომელიც სრულად აცნობიერებდა თავის მოქმედებას, გადაწყვიტა არ დამორჩილებოდა ღმერთს. მისი უპატივცემულობა სხვა არაფერი იყო თუ არა ღალატი. როცა ეს მოხდა, მოვიდა მსჯავრდადება.

უფლის შიში

ადამი და ევა მაშინვე მიხვდნენ, რომ შიშვლები იყვნენ. ღმერთის დიდებამ დატოვა ისინი, დარჩნენ რა შიშვლები და ღმერთს ჩამოშორებულნი, სულიერი სიკვდილის მდგომარეობაში. ისინი ამაოდ ცდილობდნენ თავიანთი სიშიშვლის დაფარვას, მათ საჩქაროდ აიღეს რამდენიმე ფოთოლი და ლერნი, და საკუთარი ხელით გაკეთებული სამოსით შეიმოსნენ. ღმერთმა დაინახა რა მათი ეს ქმედება, თავისი სასჯელი წარმოთქვა მათ მიმართ, და ტყავის სამოსით შემოსა, ალბათ, ცხვრის ტყავით, რომელიც არის ღვთის კრავის ნიშანი, კრავისა, რომელიც მოვა და ალადგენს ადამიანის ღმერთთან ურთიერთობას. ამის შემდეგ ცოდვაში ჩავარდნილი ეს წყვილი გამოაძევეს ედემის ბალიდან. სასჯელი იყო მკაცრი – ესაა ღმერთის დიდების თანდასწრებაში ადამის უპატივცემულობის და დაუმორჩილებლობის შედეგი.

ღმერთის დიდების კარავი

გავიდა რამდენიმე საუკენე, და ბოლოს და ბოლოს, ღმერთმა იპოვა მეგობარი აბრამის სახით. ღმერთმა აღთქმა დაუდო აბრამს, მას სახელი შეუცვალა და აბრაამი უნდა. ამ ადამიანის მორჩილებით ღმერთის აღთქმები ისევ განუყოფელ ნაწილად იქცა მრავალი თაობისათვის. აბრაამის შთამომავლობა ეგვიპტეში მონობაში იმყოფებოდა და ოთხას წელზე მეტ ხანს დიდ გაჭირვებას ითმენდა. მაშინ ღმერთმა მათ წინასწარმეტყველი და მხსნელი მოუვლინა, რომლის სახელიც იყო მოსე.

როგორც კი აბრაამის შთამომავლები განთავისუფლდნენ მონობისაგან, ღმერთმა ისინი უდაბნოში წაიყვანა. სწორედ უდაბნოში სინაის მთაზე გამოაცხადა ღმერთმა თავისი ჩანაფიქრი: მას თავის ხალხში ყოფნა სურდა. ღმერთმა მოსეს უთხრა: „... მე ვარ უფალი, ღმერთი მათი, რომელმაც გამოვიყვანე ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან, რათა დავივანო მათ შორის...“ (გამ.29:46;).

ღმერთი ისევ ივლის ადამიანთან ერთად, რადგან მას ყოველთვის სურდა ეს. მაგრამ რადგან ადამიანმა შესცოდა, ღმერთს არ შეუძლია დაივანოს მასში. ამიტომ იგი მოძღვრავს მოსეს: „და გამიკეთონ მე საწმიდარი და დავივანებ მათ შორის“ (გამ.25:8;). ამ საწმიდარს კარავი ეწოდებოდა.

მანამ, სანამ ღმერთის დიდება მოვა, ღმერთის წესრიგი უნდა დამყარდეს. ამიტომ ღმერთმა დაწვრილებით აუხსნა მოსეს, როგორ აეშენებინა კარავი. ღმერთისათვის მნიშვნელობა

წესრიგი დაღება და სამსჯავრო: ნტელი 1

ჰქონდა იმას, თუ ვინ ააშენებდა კარავს და ვინ იმსახურებდა იქ. ამ მითითებებში დაწვრილებით არის აღნერილი კარვის მასალა, ზომები, განლაგება და მსხვერპლშეწირვა. ამ დაწვრილებით მითითებებს რამდენიმე თავი უკავია გამოსვლის წიგნში.

ეს ადამიანების ხელით აგებული ტაძარი ციური ტაძრის ანარეკულს წარმოადგენდა (იხ. ებრ.9:23-24). ღმერთი მოსეს აფრთხილებდა: „იხილე ... და გააკეთე ყოველივე იმის მსგავსად, რაც მთაზე გეჩვენა“ (ებრ.8:5; და ასევე იხ. გამ 25:40;). ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ყველაფერი ზუსტად ისე გაკეთებულიყო, როგორც ღმერთმა აჩვენა მოსეს. ამას ღმერთის წესრიგის უზრუნველყოფა უნდა მოეხდინა, რომელიც საჭირო იყო იმისათვის, რომ მეფის დიდება გამოვლენილიყო ადამიანთა წინაშე.

ხალხმა მოიტანა შემოწირულობა, რომელთა შორისაც ყველა აუცილებელი მასალა მოიძებნებოდა – ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ცისფერი, ძმწეული და ჭიაფერი ქსოვილი, ბისონი, ცხვრის წითელი და ლურჯი ტყავები, აკაციის ხეები, გასანათებელი ზეთი, სურნელებანი საცხებელი ზეთისთვის და საკმევლისათვის და ძვირფასი ქვები.

უფალმა უთხრა მოსეს: „აპა, მე მოვუხმე სახელით ბეცალელს, ... იუდას ტომიდან. და ავავსე იგი ღვთის სულით, სიბრძნით, გონებით, ცოდნითა და ყოველგვარი ხელოვნებით, ... და აპა, მე მივეცი მას აპოლიაბი, ძე ახისამაქისა, დანის ტომიდან, და ყოველი ბრძენის გულს მივეცი მე სიბრძნე. და მათ გააკეთონ ყოველი, რაც მე გიბრძანე შენ ...“ (გამ.31:2-3,6;). ღმერთის სულმა დაივანა ამ ადამიანებზე, რათა ღვთიური წესრიგი მოსულიყო. ღმერთის სულმა, რომელიც ღვთის სიტყვასთან ჰარმონიაში და ერთობაში მყოფი ადამიანების მხრიდან მოქმედებს, კვლავ ღვთის წესრიგი უნდა დაამყაროს.

შემდეგ ყველა ამ მარჯვე ადამიანმა კარვის აგება დაიწყო. მათ გააკეთეს ფარდა, ძელაკები და სვეტები; დაამზადეს კიდობანი, ტაბლა, ოქროს სასანთლე, საკერძოს სამსხვერპლო, სამსხვერპლო სრულადდასანველისათვის, სპილენძის ცხაური. მოამზადეს სამოსი მღვდლებისათვის და ზეთი ცხებისათვის.

„ყოველივე, როგორც უფალმა უბრძანა მოსეს, ისე შეასრულეს ისრაელის ძეთ, მთელი სამუშაო. და ნახა მოსემ ყოველი საქმე, და აპა, გაუკეთებიათ იგი. როგორც უბრძანა უფალმა, ისე გააკეთეს. და აკურთხა ისინი მოსემ. და უთხრა უფალმა მოსეს: „პირველი თვის პირველ დღეს

უფლის შიში

დადგი საკრებულო კარავი“.

-გამ. 39:42-40:2;

ღმერთისთვის მნიშვნელოვანი იყო ის დღეც, როდესაც კარავი უნდა აღმართულიყო: პირველი თვის პირველი დღე. მოსემ დახელოვნებულ ხელოსნებთან ერთად აღმართა კარავი. შემდეგ წერია:

„და დაასრულა მოსემ საქმე“.

-გამოს. 40:33;

ახლა ყველაფერი მზად იყო. ღმერთის წესრიგი დამყარებულ იქნა ღვთის სიტყვით, და ხალხი სულინმიდის მმართველობას დაემორჩილა. ახლა კი ნახეთ ის, რაც მოხდა:

„და დაჰთარა ღრუბელმა საკრებულო კარავი, და უფლის დიდებამ აღავსო სავანე. და ვერ შევიდა მოსე საკრებულო კარავში, რადგან დაივანა მასზე ღრუბელმა და უფლის დიდებამ აღავსო სავანე“.

-გამ. 40:34-35;

როგორც კი დამყარდა ღვთიური წესრიგი, ღმერთის დიდებაც გამოვლინდა. ეკლესიების უმრავლესობას არ ესმის, რა არის უფლის დიდება. მე მრავალ ღვთისმსახურებაზე ვარ ნამყოფი, სადაც მსახურები ან არცოდნის, ან ადამიანების დასაინტერესებლად, აცხადებდნენ: „აქ ღმერთის დიდებაა!“, ვიდრე საუბარს გავაგრძელებთ, მოდით, განვიხილოთ, თუ რა არის უფლის დიდება.

უფლის დიდება

უპირველეს ყოვლისა, უფლის დიდება – ეს არაა ღრუბელი. ზოგიერთმა შეიძლება დასვას შემდეგი კითხვა: „მაში რატომ ახსენებენ წმიდა წერილში ყოველთვის ღრუბელს, როდესაც უფლის დიდება ვლინდება?“. აი, რატომ: ღმერთი ამ ღრუბელში მალავს თავის თავს. იგი მეტისმეტად დიდებულია იმისათვის, რომ ხალხმა მისი დანახვა შეძლოს. მის სახეს ღრუბელი რომ არ ფარავდეს, ირგვლივ ყველაფერი შთაინთქმებოდა და მყისვე ყველა დაიღუპებოდა.

წესრიგი დაღება და სამსჯავრო: ნაშელი 1

„და უთხრა (მოსემ): „მაჩვენე მე შენი დიდება“... და თქვა (ლმერთმა): „ვერ შეძლებ ჩემი სახის ხილვას, რადგან არ ძალუძს ადამიანს, მიხილოს და ცოცხალი დარჩეს.“.

-გამ.33:18,20;

მოკვდავი სხეული ვერ გაუძლებს წმიდა უფლის თანდას-ნრების და მისი დიდების ხილვას. პავლე მოციქული ამბობს:

„...ნეტარ და ერთადერთი ხელმწიფე, მეფეთა მეფე და უფალთა უფალი, ერთადერთი, რომელსაც უპყრია უკვ-დავება, მკვიდრობს მიუწვდომელ ნათელში, რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუძს მისი ხილვა. მას პატივი და საუკუნო მეუფება. ამინ“.

-1ტიმ.6:15-16;

ეპრ.12:29-ში ნათქვამია, რომ ღმერთი – შემჭმელი ცეცხ-ლია. როდესაც ამის შესახებ დაიწყებთ ფიქრს, ნუ შეეცდებით ცეცხლმოკიდებული შეშის წარმოდგენას. მჭამელ ცეცხლს ვერ დაიტევს თქვენი ბუხარი. „ღმერთი არის ნათელი, და მასში არ არის არავითარი სიბნელე“ (იოან.1:5). ცეცხლი, რომელიც თქვენს ბუხარში გიზგიზებს, სრულყოფილ სინათლეს როდი გამოსცემს. მასში არის სიბნელე. თქვენ შეგიძლიათ მიუახ-ლოვდეთ მას და უცქიროთ რამდენიც გინდათ.

მოდით, ჩვენი ყურადღება გადავიტანოთ უფრო ძლიერ სინათლეზე. წარმოიდგინეთ ლაზერის სხივი. ეს სინათლე ძალიან კაშკაშაა, რადგან ერთი წერტილისკენ არის მიმართულია, მაგრამ ეს მაინც არ წარმოადგენს სრულყოფილ სინა-თლეს. მიუხედავად იმისა, რომ ლაზერის სინათლე ძლიერი და კაშკაშაა, მასშიც შეინიშნება ბნელი ადგილები.

წარმოიდგინეთ მზე. იგი უზარმაზარი ციური სხეულია, და მასთან მიახლოება შეუძლებელია, მზე კაშკაშა და ძლიერია, მაგრამ მის სინათლეშიც არის ბნელი ადგილები.

პავლე მოციქული ტიმოთეს ეუბნება, რომ ღმერთის დიდება – ესაა მიუწვდომელი სინათლე, „რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუძს მისი ხილვა“.

პავლე მოციქულს თავისუფლად შეეძლო ამის შესახებ საუ-ბარი, რადგან მან ამ სინათლის რაღაც განსაზღვრული ნაწილი იხილა დამასკოს გზაზე. აი, რას ეუბნება პავლე ამის შესახებ მეფე აგრიპას:

უფლის შიში

„შუადლისას, მეფევ, გზაზე ვიხილე ნათელი ციდან, მზის უბრწყინვალესი ნათელი, რომელიც მოგვეფინა მე და ჩემს თანამგზავრებს“.

-საქმე.26:13;

პავლე მოციქულმა თქვა, რომ ეს ნათელი უფრო ბრწყინვალე იყო, ვიდრე შუადლის მზის სინათლე! ერთი წუთი გამოყვით იმისათვის, რომ შუადლის მზის სინათლეს შეხედოთ. ძნელია უყურო მზეს, თუ იგი ღრუბლებით არ არის დაფარული. ღმერთი კი თავის დიდებით მრავალჯერ აღემატება მზის ბრწყინვალებას.

პავლეს არ დაუნახავს უფლის სახე; მან მხოლოდ მისგან გამოსული სინათლე იხილა, და სწორედ ამიტომ იკითხა: „ვინ ხარ შენ, უფალო?“. იგი იმდენად იყო დაბრმავებული მისი დიდების სინათლით, იმ სინათლით, რომელიც ახლო აღმოსავლეთის მზის სინათლის ბრწყინვალებას ბევრად აღემატებოდა, რომ ვერ დაინახა ის, ვინც დამასკოს გზაზე გამოეცხადა!

ეს, ალბათ, განმარტავს იმას, თუ რატომ ამტკიცებდნენ იოელი და ესაია წინასწარმეტყველნი, რომ ბოლო დროს, როდესაც უფლის დიდება გამოვლინდება, მზე დაბნელდება. „აი, მოდის უფლის დღე ... ცის ვარსკვლავები და მათი თანავარსკვლავედნი არ გამოსცემენ თავიანთ სინათლეს, მზე დაბნელდება მისი ამოსვლისას და მთვარე არ მოაფენს თავის ნათელს“ (ესაია.13:9-10;).

უფლის დიდება ყველა სხვა სინათლეზე ძლიერი იქნება. „და ადამიანები ჩაძრვებიან კლდეთა გამოქვაბულებში და მიწის ხვრელებში უფლის შიშისაგან და მისი დიდებულების ბრწყინვალებისაგან, როდესაც ის აღდგება ქვეყნის მოსასპობად“ (ესაია.2:19;).

ღმერთის დიდება იმდენად დიდია, რომ როდესაც ის ის-რაელის ძეებთან ღრუბლის სახით მოდიოდა სინაის მთაზე, ადამიანები თავზარდაცემულნი, შეძრწუნებულნი ყვიროდნენ და ზურგს აქცევდნენ მის დიდებას. მოსემ ასე აღწერა ყოველივე ეს:

„ეს სიტყვები გითხრათ უფალმა მთელ თქვენს კრებულს მთაზე, ცეცხლის, ღრუბლის და ნისლის შუაგულიდან დიდი ხმით, და მეტი არაფერი დაუმატებია. და დაწერა ისინი ორ ქვის დაფაზე, და მომცა მე. და როცა მოისმინეთ თქვენ ხმა წყვდიადიდან, ხოლო მთა ცეცხლში

წესრიგი, დადება და სამსჯავრო: ნაშელი 1

იწვოდა, მაშინ მოხვედით ახლოს თქვენი ტომის ყველა მთავარი და თქვენი ერის უხუცესები. და მითხარით: „აპა, გვიჩვენა ჩვენ უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, თავისი დიდება და თავისი სიდიადე, და მისი ხმა გვესმა ჩვენ ცე-ცხლის შუაგულიდა. ამ დღეს ვიხილეთ ჩვენ, რომ ღმერ-თი ელაპარაკა ადამიანს და ადამიანი ცოცხალი დარჩა. და ახლა რისთვის დავიხოცოთ? ხომ გვშთანთქავს ეს დიდი ცეცხლი, თუ ჩვენ კვლავ მოვისმენთ უფლის, ჩვენი ღმერთის, ხმას, მაშინვე დავიხოცებით“.

-რკლ.5:22-25;

თუმცა ისინი ღმერთს სქელი ღრუბლის მიღმა ხედავდნენ, ამ ღრუბელმაც კი ვერ შეძლო მისი დიდების ბრნყინვალების დაფარვა.

ყოველივე ეს ღმერთს ხდის ღმერთად

ახლა, მოდით, დავსვათ კითხვა: რა არის უფლის დიდება? პასუხის გასაგებად, მოდით დავუბრუნდეთ მოსეს თხოვნას. მოსემ თქვა:

„მაჩვენე მე შენი დიდება“.

-გამ.33:18;

ებრაული სიტყვა „კავოდი“, რომელიც მოსემ ამ შემთხვევა-ში დიდების აღსანიშნავად გამოიყენა, სტრონგის ბიბლიურ ლექსიკონში ასე განიმარტება: „რაიმეს წონა, მხოლოდ გა-დატანითი მნიშვნელობით და კარგი გაგებით; წონადობა“. ეს ცნება ასევე შეიცავს სიდიადის, სიუხვისა და პატივის ცნებებს. მოსემ ღმერთს სთხოვა: „მაჩვენე მთელი შენი სიდიადე“. ყურ-ადლება მიაქციეთ ღმერთის პასუხს:

„და უთხრა: „მე ჩამოვატარებ მთელს ჩემს სიკეთეს შენს წინაშე და წარმოვთქვამ უფლის სახელს შენს წინ და შე-ვიწყალებ, ვინც უნდა შევიწყალო, და შევიბრალებ, ვინც უნდა შევიბრალო“.

-გამოსვ.33:19;

მოსემ ღმერთს მთელი დიდების ჩვენება სთხოვა, ღმერ-

უფლის შიში

თმა კი ამას „მთელი ჩემი სიკეთე“ უწოდა. ებრაული სიტყვა „ტუვბი“, თარგმნილი როგორც „სიკეთე“, ნიშნავს სიკეთეს, ამ სიტყვის ფართო გაგებით“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიტყვა „დიდება“ ძალიან ფართო გაგების ცნებაა.

შემდეგ ღმერთმა თქვა: „ნარმოვთქვამ უფლის სახელს შენს წინ“. მიწიერი მეფის სეფე დარბაზში შესვლას ყოველთვის მისი სახელის წარმოთქმა უსწრებს წინ. ამის შემდეგ იგი დიდებულად შედის დარბაზში. მეფის სიდიადე ცხადია, და სასახლეში ყველამ იცის ვინ არის მეფე. ამ მონარქს ქალაქის ქუჩებში ჩვეულებრივი სამოსით შემოსილს რომ ევლო, ადამიანები ისე ჩაუვლიდნენ გვერდით, რომ ვერც კი მიხვდებოდნენ, თუ ვინ არის იგი. არსებითად, ღმერთმა იგივე მოიმოქმედა მოსასოფლის. იგი ამბობს: „მე წარმოვთქვამ უფლის სახელს შენს წინ ... ჩავივლი შენს წინ მთელი ჩემი სიდიადით“.

ჩვენ ვხედავთ, რომ უფლის დიდება – ესაა ყველაფერი ის, რაც ღმერთს წარმოაჩენს ღმერთად. ყველა მის თვისებას, ძალაუფლებას, ძალას, სიბრძნეს – სიტყვასიტყვით, განუზომელ წონას და ღმერთის სიდიადეს – ყოველივე ამას ღმერთის დიდება შეიცავს. არათერია დაფარული და დამალული!

ღმერთის დიდება გამოჩნდა ქრისტეში

ნათქვამია, რომ უფლის დიდება ჩვენთვის იესო ქრისტეს სახით გამოჩნდა (2კორ.4:6;). მრავალნი ამტკიცებენ, რომ ხილვაში იესო იხილეს და მას სახეში უყურებდნენ. ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია. პავლე ამას ასე აღწერდა: „ვინაიდან ახლა ჩვენ ვხედავთ სარკით, ბუნდოვნად, მაშინ კი პირისპირ“ (1კორ.13:12;). მისი დიდება დაფარულია ბუნდოვანი სარკით, რადგან არც ერთ ადამიანს არ შეუძლია შეხედოს მის დიდებას და ცოცხალი დარჩეს, თუ იგი არათრით არ არის დაფარული.

ვინმემ შეიძლება იკითხოს: „მოციქულები ხომ უყურებდნენ იესოს სახეს მას შემდეგ, რაც იგი მკვდრეთით აღსდგა!“. ესეც მართალია. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ იგი გახსნილად არ აჩვენებდა თავის დიდებას. ძველალთქმისეულმა ადამიანებმაც კი იხილეს უფალი, მაგრამ იგი მათ თავისი დიდებით როდი ეცხადებოდა. უფალი აბრაამს მამრეს მუხასთან გამოეცხადა (იხ.დაბ.18:1-2;). იესო ნავეს ძემ იერიხოს ბრძოლის წინ შეხედა უფალს სახეში (იხ.იესო.5:13-14;). უფალმა უთხრა მას: „გაიძრე ფეხზე შენი ფეხსამოსი, რადგან ადგილი, რომელზეც შენ დგახარ, წმიდაა“ (იხ.15).

წესრიგი დაღება და სამსჯავრო: ნაშელი 1

მსგავსი რამ უფლის ალდეომის შემდეგაც ხდებოდა. მონაფები იქსოსთან ერთად ჭამდნენ თვეზე ტიბერიის ზღვის პირას (იხ.იოან.21:9-10). ორი მონაფე იქსოსთან ერთად მიდიოდა ემაუსის გზაზე, „...მაგრამ თვალები დაბმული ჰქონდათ და ვერ იცნეს იგი“ (ლუკ.24:16). ყველა ამ ადამიანმა იქსოს სახე იხილა იმიტომ, რომ მან არ გამოავლინა თავისი დიდება.

მოციქულმა იოანემ, პირიქით, უფალი იხილა სულში, და ეს მოულოდნელი შეხვედრა სულაც არ გავდა უფალთან ერთად ზღვის პირას საუზმობას, რადგან იოანემ იქსო მთელი თავისი დიდებით იხილა:

„მე ვიყავი სულში უფლის დღეს და ზურგსუკანიდან შემომესმა დიდი ხმა, საყვირის მსგავსი, ... მივბრუნდი, რომ დამენახა ხმა, რომელიც მელაპარაკებოდა, და მიბრუნებისას ვიხილე შვიდი ოქროს სასანთლე. შვიდი სასანთლის შუაში ვიხილე მსგავსი კაცის ძისა, რომელსაც ემოსა მოსასხამი და გულმკერდზე ოქროს სარტყელი ერტყა. მისი თავი და თმები თეთრი იყო, როგორც თეთრი მატყლი, როგორც თოვლი. თვალები მისი, როგორც ცეცხლის ალი. მისი ფეხები, როგორც მოელვარე სპილენძი, როგორც ქურაში გავარვარებული. მისი ხმა, როგორც ბევრი წყლის ხმაური. მარჯვენა ხელში ეჭირა შვიდი ვარსკვლავი, მისი პირიდან გამოდიოდა ორლესული მახვილი, მისი სახე იყო როგორც მზე, თავის სრულ ძალაში რომ ანათებს. როცა ვიხილე იგი, მკვდარივით დავეცი მის ფეხთით...“.

-გამოცხ.1:10,12-17;

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ მისი სახე იყო მზის მსგავსი, რომელიც თავის სრულ ძალაში ანათებს. მაშინ როგორ შეეძლო იოანეს მისი დანახება? აი, როგორ: იგი იყო სულში ისევე, როგორც ესაია იყო სულში, როდესაც უფლის ტახტი, მის გარშემო მყოფი სერაფიმები, და ტახტზე მჯდომარე უფალი იხილა (იხ.ეს.6:1-4). მოსეს არ შეეძლო უფლისთვის სახეში შეხედვა, რადგან იგი თავის მატერიალურ სხეულში იმყოფებოდა.

იგი თავის დიდებას ჩვენს გამოსაცდელად აკავებდა

უფლის დიდება – ესაა ყველაფერი, რაც ღმერთს წარ-

უფლის შიში

მოადგენს. იგი მნიშვნელოვნად აღემატება ჩვენს უნარს ჩავწედეთ და შევიცნოთ იგი, რადგან ძლიერი სერაფიმებიც კი არ წყვეტდნენ თოთოლვით და დაუსრულებელი გაკვირვებით შემდეგი სიტყვების წარმოთქმას: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა...“. მისი ტახტის წინ ოთხი ცხოველი გაიძახოდა: „წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი, რომელიც იყო, არის და მოვა“. (გამოცხ.4:8;).

„როცა ცხოველები დიდებას, პატივს და მადლობას უძღვნიდნენ ტახტზე მჯდომარეს, ცოცხალს უკუნითი უკუნისამდე, ოცდაოთხი უხუცესი დაემხო ტახტზე მჯდომარის წინ და თაყვანი სცა უკუნითი უკუნისამდე ცოცხალს. თავიანთი გვირგვინები დაამხეს ტახტის წინ და თქვეს: „შენ ღირსი ხარ, უფალო და ღმერთო ჩვენო, რომ მიიღო დიდება, პატივი და ძალა, ვინაიდან შენ შექმენი ყოველივე და შენი ნებით იყვნენ და შეიქმნენ“. -გამოცხ.4:9-11;

ღმერთი იმსახურებს უფრო მეტ დიდებას, ვიდრე ნებისმიერ ცოცხალ ქმნილებას შეუძლია მიაგოს მას მთელი უსასრულობის განმავლობაში!

გვახსოვდეს, რომ ჩვენ სამყაროს შემოქმედ ღმერთს ვემსახურებით. იგი იყო და მარად იქნება! არავინ არის მისი მსგავსი. ღმერთი თავისი სიბრძნით განზრახ აკავებს თავისი დიდების გამოცხადებას, რათა დაინახოს, მთელი სიყვარულით და პატივისცემით მოვემსახურებით მას, თუ მივმართავთ იმას, რასაც ამქვეყნიური დიდება მოაქვ მაგრამ მქრქალდება ღმერთის დიდებასთან შედარებით.

ნუ გექნება იმის იმედი, რომ ღმერთის
თანდასწრებაში პატივისცემის
გარეშე შევალთ.

თავი V

წესრიგი, დიდება და სამსჯავრო

ნაწილი 2

„და ვეღარ შეძლეს მღვდლებმა იქ დგომა და სამსახურის გაწევა
ღრუბლის გამო, რადგან უფლის ფილებამ აავსო ღვთის სახლი“.
-26ეშტ.5:14;

ქ ღიმართა რა კარავი, მაშინვე ღვთიური წესრიგი დამყარ-
და. და როდესაც ყველაფერი თავის ადგილზე დადგა:

„და დაჰპარა რღუბელმა საკრებულო კარავი, და უფლის
დიდებამ აავსო სავანე. და ვერ შევიდა მოსე საკრებულო
კარავში, რადგან დაივანა მასზე ღრუბელმა და უფლის
დიდებამ აღავსო სავანე“. -გამ.40:34-35;

მას შემდეგ რაც განვიხილეთ, თუ რა არის უფლის დიდე-
ბა, ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ რატომ ვერ შეძლო მოსემ,
ღმერთის მეგობარმა, საკრებულო კარავში შესვლა. კარავი გა-
უდენთილი იყო უფლის დიდებით!

ისრაელში გამოვლენილ და დავანებულ ღმერთის დიდებას
უზარმაზარი კურთხევები მოჰქონდა. მის დიდებაში ადამიან-
ები უზრუნველყოფას, დარიგებას, განეურნებას და დაცვას
პოულობდნენ. მტერი ვერ უმკლავდებოდა ისრაელს. ღმერთის
სიტყვა უხვად იყო ისრაელში. ღმერთის დიდების ღრუბელს
კიდევ ერთი უპირატესობა ჰქონდა: იგი უდაბნოს ხვატისგან
იცავდა ისრაელიანებს მთელი დღის განმავლობაში, ღამის
სიცივეში კი ათბობდა და სინათლეს აშუქებდა. ისინი არაფერ-
ში განიცდიდნენ უკმარისობას.

უფლის შიში

სამსჯავრო

ღმერთმა წინასწარ უბრძანა მოსეს: „მიიახლოვე აარონი, შენი ძმა, და მისი ძენი მასთან ერთად, ისრაელის ძეთაგან, რათა მღვდლობა გამინიოს, აარონი და ნადაბი, აბიჰუ, ელეაზ-არი და ითამარი, ძენი აარონისა“ (გამ.28:1;).

ეს ადამიანები გამოაცალკევეს და მათ უფლისადმი მსახურება და ერისთვის შუამდგომლობა ასწავლეს. მათი მოვალეობა და ღმერთისადმი თაყვანისცემის მოთხოვნილება განსაზღვრული იყო ძალიან კონკრეტული მითითებების სახით, რომელიც მოსემ ღმერთისგან მიიღო. ამ ადამიანების მომზადება ღმერთის წესრიგის შემადგენელ წანილს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც ეს ადამიანები განისწავლნენ, ისინი მღვდლებად აკურთხეს. მათი მსახურება დაიწყო მაშინ, როდე-საც ყველაფერს უკვე თავისი ადგილი ჰქონდა მიჩენილი.

ყურადღებით წაიკითხეთ ის, რას აკეთებდა ეს ორი მღვდელი მას შემდეგ, რაც უფლის დიდება გამოვლინდა კარავში:

„აიღეს აარონის ძეთ, ნადაბმა და აბიჰუმ, თითოეულ-მა თავისი საცეცხლური და ჩადეს მათში ცეცხლი, და დაადეს მასზე საკმეველი, და მიიტანეს უფლის წინაშე უცხო ცეცხლი, რომელიც არ უბრძანებია უფალს მათ-თვის“. -ლევ.10:1;

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ნადაბმა და აბიჰუმ უფლის თანდასწრებაში მიიტანეს ბინიერი ცეცხლი. ამ სიტყვის ერთ-ერთ განმარტებაში ნათქვამია:

„უპატივცემულობის ან ზიზლის გამოვლინება წმიდათა წმიდის მიმართ; არაპატივისმცემელი“.

ეს ნიშნავს უბრალო დამოკიდებულებას იმის მიმართ, რასაც ღმერთი უწოდებს წმიდას ან წმიდათა წმიდას. ამ ადამიანებმა უფლის თაყვანისცემისთვის განკუთვნილ საცეცხლურებში საკუთარი შეხედულებებისამებრ მოათავსეს ცეცხლი და საკმეველი, და არა ისე, როგორც ეს ღმერთმა დაანახა.

(ინგლისურ თარგმანში „უცხო“-ს ნაცვლად გვხვდება სიტყვა „ბინიერი“ – მთარგმნელის შენიშვნა)

წესრიგი, დალება და სამსჯავრო: ნაშელი2

ისინი დაუდევრად მოეპყრნენ უფლის წმიდათა წმიდას და მის მიმართ უპატივცემულობა გამოავლინეს. ისინი მოწინების გარეშე შევიდნენ უფლის თანდასწრებაში, მიიტანეს რა ისეთი მსხვერპლი, რომელსაც ღმერთი არ იღებს. ისინი საწმიდარს ეპყრობოდნენ ისე, როგორც რაღაც ჩვეულებრივს. ნახეთ, რა მოჰყვა ყოველივე ამას:

„და გამოვიდა ცეცხლი უფლისაგან და დაწვა ისინი, და დაიხოცნენ უფლის წინაშე“.

-ლევ.10:2;

ისინი მყისვე დაისაჯნენ თავიანთი უპატივცემულობის გამო. ეს ორი ადამიანი მაშინვე მოკვდა. მათ უპატივცემულობას ღმერთის დიდების გამოვლენის შემდეგ ჰქონდა ადგილი. თუმცა ნადაბი და აბიჟუ მღვდლები იყვნენ, ისინი როდი თავისუფლდებოდნენ ღმერთისთვის პატივის მიგების მოვალეობისთვის. მათი შეცოდება მდგომარეობდა იმაში, რომ ისინი მიუახლოვდნენ ღმერთს, როგორც უბრალო ადამიანს. ეს ადამიანები მეტისმეტად მიეწვივნენ ღმერთის თანდასწრებას! ახლა მოისმინეთ მოსეს სიტყვები, რომლითაც მან აარონს ამ შემთხვევის შემდეგ მიმართა:

„და უთხრა მოსემ აარონს: „ეს თქვა უფალმა: „ჩემს ახლობლებში განვინმიდები და მთელი ხალხის წინაშე განვდიდდები.“ და დადუმდა აარონი“.

-ლევ:10:3;

ღმერთმა ჩვენთვის აშკარად გასაგები გახადა ის, რომ წმიდა ღმერთის თანდასწრებაში ადგილი არა აქვს უპატივცემულობას. ღმერთი არასოდეს იქნება შებლალული. დღეს არაფერი არ შეცვლილა: იგი – ისევ ის წმიდა ღმერთია. ნუ გვექნება იმის იმედი, რომ ღმერთის თანდასწრებაში პატივისცემის გარეშე შევალთ.

ნადაბი და აბიჟუდი მოსეს ძმიშვილები იყვნენ. მაგრამ მოსემიცოდა, რომ უკეთესია ღმერთის სამსჯავრო არ იქცეს დავის საგნად, რამეთუ ღმერთი სამართლიანია. მოსემ აარონს და მის ორ ვაჟს უბრძანა, რომ არ ეგლოვათ დახოცილები, რათა თვითონაც არ დახოცილიყვნენ. ეს უფრო მეტად შეურაცხყოფდა უფალს, ამიტომ ნადაბის და აბიჟუს გვამები ბანაკის გარეთ გაიტანეს და იქ დამარხეს.

უფლის შიში

ჩვენ კვლავ იგივე კანონზომიერებას ვხედავთ: ღმერთის წესრიგი, ღმერთის დიდების გამოვლინება და სამსჯავრო უპატივცემულობის გამო.

ახალი ტაძარი

თითქმის ხუთი საუკუნის შემდეგ მეფე დავითის ვაჟმა, სოლომონმა დაიწყო ტაძრის, ღმერთის თანდასწრების სავანის მშენებლობა. ეს გრანდიოზული ღონისძიება იყო. საწყობები სამშენებლო მასალის უზარმაზარ მარაგს შეიცავდნენ, რომლის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ მეფე დავითის მმართველობის დროს შეგროვდა.

სიკვდილის წინ დავითმა დაარიგა სოლომონი:

„აპა, ჩემს სიღარიბეში უფლის სახლისათვის გავამზადე ასიათასი ქანქარი ოქრო, მილიონი ქანქარი ვერცხლი, სპილენძსა და რკინას წონა არა აქვს, რადგან უამრავია. ხე-ტყე და ქვაც გავამზადე, მაგრამ შენც შეგიძლია მიუმატო. ბევრი ხელოსანი მყავს: ტყისმჭრელები, ქვისმთლელები, ხუროები და ყველანაირი ხელობის მცოდნენი. ოქროს, ვერცხლს, სპილენძს თვლა არა აქვს. ახლა ადექი და საქმეს შეუდექი და უფალი შენთან იქნება.“.

-16ეშტ.22:14-16;

სოლომონმა შეგროვილ სამშენებლო მასალას კიდევ დაამატა და ტაძრის მშენებლობა თავისი მმართველობის მეოთხე წელს დაიწყო. პროექტის თანახმად ეს უნდა ყოფილიყო დიდებული, არაჩვეულებრივად შემკული ნაგებობა. ამ საქმისათვის საგანგებოდ გამოყვეს ათასობით მშენებელი, მაგრამ მასალის შეგროვებას და სამშენებლო სამუშაოებს მთელი შვიდი წელი დასჭირდა. შემდეგ დაწერილია:

„და მოათავა ყველა საქმე, რასაც უფლის სახლისათვის აკეთებდა სოლომონი.“

-26ეშტ.5:1 (პირ. ნან.).

ამის შემდეგ სოლომონმა მთელი ისრაელი შეკრიბა იერუსალიმში, იქ სადაც აღიმართა ტაძარი. „და დაასვენეს მღვდლებმა უფლის აღთქმის კიდობანი მისთვის განკუთვნილ ადგილზე...“

წესრიგი, ღილაკი და სამსჯავრო: ნაშელი2

(26ეჭტ.5:7). ყველა მღვდელი განიწმიდა. ღმერთის თანდასწრებაში ადგილი არ უნდა ჰქონოდა არანაირ უპატივცემულობას. მათ ძალიან კარგად ახსოვდათ ორი შორეული ნათესავის ნადაბის და აბიჟუს ბედი.

შემდეგ ბისონით შემოსილი ლევიტელნი, რომლებიც მგალობლები და მუსიკოსები იყვნენ, დადგნენ სამსხვერპლოს აღმოსავლეთით და მათთან ერთად ას ოცი მესაყვირე მღვდელი. და კვლავ, განსაკუთრებულმა ზრუნვამ, დრომ, რომელიც მოხმარდა მომზადებას, და დიდი რაოდენობის საქმეებმა და მზადებებმა ღვთიური წესრიგი დამყარეს. და რა მოჰყვა ღმერთის წესრიგს? მოდით, წავიკითხოთ ამის შესახებ:

„ხმაშეწყობილნი იყვნენ მესაყვირენი და მგალობელნი, რათა ერთხმად ეგალობათ უფლისთვის და ედიდებინათ, და როცა იქუხა საყვირების და წინწილების ხმამ, უფლის ქებით, რადგან კეთილია იგი, რადგან უკუნისამდეა წყალობა მისი, მაშინ სახლი, უფლის სახლი, ღრუბელმა აავსო, და ვეღარ შეძლეს მღვდლებმა იქ დგომა და სამსახურის გაწევა ღრუბლის გამო, რადგან უფლის დიდებამ აავსო ღვთის სახლი“.

-26ეჭტ.5:13-14;

როდესაც ღმერთის წესრიგი დამყარდა, მოვიდა ღმერთის დიდება. იგი იმდენად უსაზღვრო იყო, რომ მღვდლებმა ვეღარ შეძლეს მსახურება უფლის დიდების გამო, რომელიც ტაძარს ავსებდა.

სამსჯავრო

ღმერთის დიდების გამოცხადება როგორც ვხედავთ, კვლავ მისი თანდასწრების და მისი სიტყვის უპატივცემულობით შეიცვალა. თუმცა ისრაელიანებმა იცოდნენ უფლის ნება, მათ გულებში იზრდებოდა დაუდევრობა იმის მიმართ, რასაც ღმერთი წმიდათა წმიდას უწოდებს.

„ასევე მღვდლებისა და ხალხის ყველა წინამძღოლი მრავალს სცოდავდა წარმართა ყველა სისაძაგლის კვალზე, და ბილწავდნენ უფლის სახლს, რომელიც იერუსალიმში განწმიდა მან. უფალი, მათი მამა-პაპის ღმერთი, ადრიდანვე უგზავნიდა და უგზავნიდა მათ სიტყვას თავის

უფლის შიში

მოციქულთა ხელით, რადგან ებრალებოდა თავისი ერი და თავისი სამყოფელი. მაგრამ ისინი აპუჩად იგდებდნენ ღვთის მოციქულებს, არად აგდებდნენ მის სიტყვებს და დასცინოდნენ მის წინასწარმეტყველებს, ვიდრე მის ერს უფლისაგან უსაშველო როსხვა არ დაატყდა“.

-2ნეშტ.36:14-16;

ისინი დასცინოდნენ ღვთის მოციქულებს და უგულვებელყოფდნენ მათ გაფრთხილებებს. ხალხი აპუჩად იგდებდა ღმერთის წინასწარმეტყველთ. ღლეს მე იგივეს, ღმერთის მოშიშების დიდ ნაკლებობას ვხედავ.

ახლახან მე ვმსახურობდი ერთ-ერთ დიდ ეკლესიაში, სადაც ვიქადაგე მკაცრი უწყება იესოს უფლობისა და მორჩილების შესახებ. ჩემი მსახურების ერთ-ერთი თანამშრომლის მეულლე თავის პატარა ბავშვთან ერთად გამოვიდა ფოიეში, სადაც ეს მსახურება შიდა საკაბელო ტელევიზიის საშუალებით გადაიცემოდა. მან მოისმინა ორი ქალის საუბარი, რომლებიც ამ ეკლესიის წევრები იყვნენ, ისინი ჩემს ქადაგებას განიხილავდნენ: „რა დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე? გამორთეთ მისი ქადაგება!“ – ზიზღით ამბობდნენ ისინი. სადღაა უფლის შიში? ისრაელი და იუდა იტანჯებოდნენ გამუდმებული სამსჯავროებისგან, რადგან მათ არ ჰქონდათ შიში და პატივისცემა წმიდა უფლის თანდასწრების და მისი სიტყვის მიმართ. მათ თავს დატეხილმა ღვთის სამსჯავრომ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც აპრაამის შთამომავლები ბაბილონის ტყვეობაში აღმოჩდნენ. წავიკითხოთ, რა წერია ამის შესახებ:

„მაგრამ ისინი აპუჩად იგდებდნენ ღვთის მოციქულებს, არად აგდებდნენ მის სიტყვებს და დასცინოდნენ მის წინასწარმეტყველებს, ვიდრე მის ერს უფლისაგან უსაშველო როსხვა არ დაატყდა. მოუვლინა მათ ქალდეველთა მეფე და მახვილით ამოხოცა მათი ჭაბუკები საწმიდრის სახლში, არ დაინდო არც ჭაბუკი და არც ქალწული, არც მოხუცი და არც თმაჭალარა — ყველანი მის ხელში ჩაყარა. ღვთის სახლის ყველა ჭურჭელი, დიდი და მცირე, უფლის სახლის განძეულობა, მეფისა და მთავრების განძეულობითურთ ერთიანად ბაბილონში გაზიდა. გადაწვეს ღვთის სახლი და დაანგრიეს იერუსალიმის კედელი, გადაბუგეს ყველა მისი სასახლე და გაანადგურეს ყველა მისი ძვირფასეულობა“.

-2ნეშტ.36:16-19;

წესრიგი, დაცება და სამსჯავრო: ნაშელი2

მე მინდა, რომ თქვენ იმსჯელოთ იმაზე, რის თქმასაც ახლა ვაპირებ. თქვენ განიხილეთ სამი ადგილი წმიდა წერილიდან – ედემის ბალში მომხდარი ამბავი, კარავი და ტაძარი. თითოეულ შემთხვევაში სამსჯავრო მკაფრი იყო. ყოველ მათგანს შედე-გად სიკვდილი და ნგრევა მოჰყვა.

ამ ისტორიებში ყველაზე გამოსაფხიზლებელი არის ის ფაქტი, რომ ჩვენ არ ვსაუბრობთ იმ ადამიანების შესახებ, რომ-ლებსაც არასოდეს არ განუცდიათ ღმერთის დიდება ან მისი თანდასწრება. ეს სამსჯავროები მიმართული იყო იმ პიროვნებების წინააღმდეგ, ვისაც არა მხოლოდ ესმოდა მისი სიტყვა, არამედ მის თანდასწრებაშიც დადიოდა და მისი დიდებაც განცდილი ჰქონდა!

ახლა, როცა საფუძველი ჩავყარეთ ძველი აღთქმიდან, გა-დავინაცვლოთ ახალი აღთქმის დროში. ჩვენ კვლავ აღმოვა-ჩენთ საკუთარი თავისთვის ზოგიერთ გამომაფხიზლებელ ჭეშ-მარიტებას და შესანიშნავ გამოცხადებებსაც მივიღებთ!

იესომ ნათლად დაგვანახა, რომ ვიდრე გავყვებით მას,
ჩვენ უნდა გავერკვეთ, თუ რა არის ამის ფასი ... და ფასი –
სხვა არაფერია, თუ არა თვით ჩვენი სიცოცხლე.

პეტრი ტაძარი

„რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერპებთან? რადგან თქვენ
ხართ ცოცხალი ღვთის ტაძარი, როგორც ღმერთმა თქვა: „დავმ-
კვიდრდები და ვივლი მათ შორის, ვიქნები მათი ღმერთი და
ისინი იქნებიან ჩემი ხალხი“

-2კორ.6:16;

ძველი აღთქმის პერიოდში ღმერთის დიდებული თანდას-
წრება იმყოფებოდა ჯერ კარავში, შემდეგ კი სოლომონ
მეფის ტაძარში.

ახლა ღმერთი ემზადება იმისათვის, რომ გადასახლდეს იმ
ადგილას, რომელიც მას ყოველთვის თავის საცხოვრებელ
ადგილად სურდა – არა ტაძარში, რომელიც ქვებით არის ნაე-
ბი, არამედ ტაძარში, რომელიც მისი ვაჟების და ასულების
გულებში არსებობს.

უფალს წარუდგინეთ მომზადებული ხალხი

მაგრამ პირველ ადგილზე მაინც ღვთიური წესრიგი უნდა
იდგეს. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ არა გარეგნულ,
არამედ შინაგან წესრიგზე. ახლა უფლის დიდება გამოვლინდე-
ბა ადამიანის გულის საიდუმლო ადგილებში.

ეს წესრიგი და გარდაქმნის პროცესი დაიწყო იოანე
ნათლისმცემლის მსახურებიდან. შეცდომა იქნება, თუ იოან-
ეს ჩავთვლით ძველი აღთქმის წინასწარმეტყველად, რადგან
ბიბლია მის მსახურებას აღწერს, როგორც იესო ქრისტეს
სახარების დასაწყისს (იხ.მარკ. 1:1;). მისი ქადაგება ოთხ-
ივე სახარების დასაწყისშია მოცემული. იესომ ამ აზრს ხაზი
გაუსვა შემდეგი სიტყვებით: „რჯული და წინასწარმეტყველნი
იოანემდე იყო. მას შემდეგ ღვთის სასუფეველი იხარება და
ყველა ძალით შედის მასში“ (ლუკ.16:16). ყურადღება გაამახვი-
ლეთ იმაზე, რომ იესოს არ უთქვამს: „რჯული და წინასწარმ-
ეტყველნი ჩემამდე იყო“.

უფლის შიში

იოანეს დაბადება ანგელოზმა ახარა ზაქარიას, რომელიც მისი მმობელი მამა გახლდათ. იოანეს მსახურების მიზანი განზოგადებულა შემდეგი სიტყვებით: „მრავალ ისრაელიანს მოაქცევს უფლისაკენ – მათი ღვთისაკენ ... და წარუდგინოს უფალს მომზადებული ხალხი“ (ლუკ.1:16-17;).

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ იოანეს მომზადებული ხალხი უნდა წარედგინა უფლისთვის. ისე, როგორც ოსტატები და ხელოსნები სცხო ღმერთმა, რათა კარავი აეგოთ მოსეს დღეებში, იოანეც სცხო ხელთუქმნელი ტაძრის მოსამზადებლად. ღმერთის სულის ძალით მან ახალი ტაძრის მომზადების პროცესი დაიწყო.

ესაია იოანეს შესახებ წინასწარმეტყველებდა:

„ხმა მღაღადებლისა უდაბნოში: „განუმზადეთ გზა უფალს, მოუსწორეთ ტრამალზე ბილიკი ჩვენს ღმერთს“. ყველა ხევი ამაღლდება და ყველა მთა და ბორცვი დადაბლდება, და ციცაბო ვაკედ იქცევა და მთაგრეხილი – დაბლობად. გამოჩნდება უფლის დიდება და იხილავს მას ყველა ხორციელი ერთიანად, რადგან უფლის ბაგემ წარმოთქვა“.

-ეს.40:3-5;

ეს მთები და ბორცვები ბუნებრივი ლანდშაფტის ელემენტებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ უფრო ადამიანურ გზებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ღმერთის გზებს. ადამიანის განდიდება და მისი გულზიადი სიამაყე უნდა დამცირებულიყო. უფლის დიდებისთვის გზის გამზადების პროცესში ადამიანის უპატივცემულობას და უგუნურებას წინააღმდეგობა უნდა შეხვედროდა და შემცირებულიყო.

ებრაული სიტყვა „აკობი“, რომელიც ზემოთ მოყვანილ მუხლში თარგმნილია, როგორც „მთაგრეხილი“, სტრონგის ლექსიკონში მოცემულია შემდეგი განმარტებით: „გაიძვერობა, სიცრუე, უწმინდურება და სიმრუდე“. ადვილია იმის გაგება, რომ სიტყვა „მთაგრეხილი“ არ აღნიშნავს უსწორ-მასწორო ადგილს. სიტყვა „აკობის“ უფრო ზუსტი თარგმანი – ესაა „სიცრუე“.

იოანე არ გზავნიდა თავის მოწაფეებს იმ ადამიანებთან, რომლებმაც არ იცოდნენ უფლის სახელი. იგი იელოვა ღმერთან უკვე აღთქმაში მყოფ ადამიანებთან გზავნიდა მათ. ისრაელი რელიგიური გახდა, თუმცა სჯეროდა, რომ მას ყველაფერი

ახალი ცადარი

რიგზე ჰქონდა. ღმერთი ანახვებდა სიმართლეს იმის შესახებ, რომ ისრაელიანები დაკარგულ ცხვრებს ჰგავდნენ. ადამიანებმა, რომლებიც კეთილსინდისიერად დადიოდნენ სინაგოგებში, სრულიად არაფერი იცოდნენ საკუთარი გულების ნამდვილი მდგომარეობის შესახებ. ისინი მოტყუებულნი იყვნენ და სჯეროდათ, რომ მათ თაყვანისცემას და მსახურებას ღმერთი იღებდა.

იოანემ ამხილა ეს ტყუილი და საბურველი ჩამოხსნა ასეთ ცდუნებას. მან შეარყია მერყევი საძირკველი, რომლის თანახმადაც ისინი მართლდებოდნენ, როგორც აპრაამის შთამომავლები. მან სინათლე შეიტანა უხუცესთა მცდარ სწავლებაში და ამხილა მათი, ყოველგვარ გრძნობასა და ძალას მოკლებული ფორმალური ლოცვები. მან დაანახა მეათედის მოტანის უსარგებლობა, თუ ადამიანები, რომლებიც გასცემენ მეათედს, უგულვებელყოფენ ან ძარცვავენ ღარიბებს. მან მიუთითა მათი უსიცოცხლო, რელიგიური წესჩვეულებების სიცარიელეზე და დაანახა ის, თუ რამდენად შორსაა ღმერთისაგან მათი გაქვავებული გულები.

იოანე მოვიდა, და ქადაგებდა სინანულის ნათლისცემას (იხ. მარკ. 1:4); ბერძნული სიტყვა, რომელიც გადათარგმნილია როგორც „ნათლისცემა“ – ბაპტისმა, – ნიშნავს „ჩაფლვას“. ვებსტერის ლექსიკონის თანახმად, „ჩაფლვა“ ნიშნავს „წყალში მთლიანად ჩაყვინთვას“. ამიტომ იოანეს ქადაგება იყო არა ნაწილობრივი მონანიების შესახებ, არამედ ადამიანის გულის ძირ-ფესვიანად შეცვლის შესახებ.

იოანეს გაბეჭულმა გამონათქვამებმა ძირი გამოუთხარეს მცდარ გულდაჯერებულობას, რომელსაც ისრაელიანები თავიანთ მყარად დამკვიდრებულ, ძვალ-რბილში გამჯდარ ცდომილებებში პოულობდნენ. მისი ქადაგება ადამიანებს მოუწოდებდა კვლავ ღმერთისკენ მოექციათ საკუთარი გულები. მისი ღვთიური დავალება ასწორებდა იმ ადამიანების გულების ნიადაგს, რომლებიც ლებულობდნენ მას. სიამაყის ქედმალალი მთები და რელიგიის გულზვიადი ბორცვები სწორდებოდა ამზადებდნენ რა ხალხს იესოს მსახურების მიღებისთვის.

მთავარი ხუროთმოძღვარი

როგორც კი იოანეს მისია დასრულდა, მოვიდა იესო, რათა მშენებლობის პროცესის დასრულებამდე მორჩილების გზით მოემზადებინა ტაძარი. იესომ ჩაყარა საძირკველი და დაიწყო

უფლის შიში

შენება: „ვინაიდან არავის ძალუძს დაუდოს სხვა საძირკველი, გარდა იმისა, რაც დადებულია, რომელიც არის იესო ქრისტე (1კორ.3:11;).

ჩვენ კვლავ ვხედავთ იმას, თუ როგორ მოაქვს ღმერთის სიტყვას ღვთიური წესრიგი. მაგრამ ამჯერად ღმერთის სიტყვა გამოჩიდა ხორცში! იესოა მთავარი ხუროთმოძღვარი (იხ. ეპრ.3:1-4;), და ეს ასეა, არა მხოლოდ მისი მოძღვრების თანახმად, არამედ იმ ცხოვრებიდან გამომდინარე, რომლითაც მან დედამიწაზე იცხოვრა. იესო ადამიანებს უჩვენებდა გზას, რომელიც სათნო და მისაღები იყო ღმერთისთვის.

ისინი, ვინც იღებულობდა იოანეს მსახურებას, მზად იყვნენ მიეღოთ თავიანთი მთავარი ხუროთმოძღვრის საქმეები. და პირიქით, ისინი, რომლებიც უარყოფდნენ იოანეს, მზად არ იყვნენ იესოს სიტყვების მისაღებად, რადგან მათი გულის ნიადაგი იყო უსწორმასწორო და მერყევი. იქ არავითარი საფუძველი არ იყო ჩაყრილი. ისინი არ იყვნენ მზად იმისათვის, რომ მათ შიგნით ტაძარი აღმართულიყო.

იესო მიმართავდა რელიგიურ ამპარტავან ადამიანებს, რომლებიც ენინააღმდეგებოდნენ მას: „ვინაიდან მოვიდა თქვენთან იოანე სიმართლის გზით და არ ერწმუნეთ მას, ხოლო მებაჟეები და მეძავები ერწმუნენ. თქვენ კი იხილეთ ეს და მაინც არ მოინანიეთ, რათა გერწმუნათ იგი“ (მათ.21:32;). იმ დროის ცოდვილი ადამიანები იღებდნენ იოანეს სიტყვას და თავიანთ გულებს იესო ქრისტეს უხსნიდნენ. „ახლოს მიდიოდა მასთან ყველა მებაჟე და ცოდვილი და უსმენდა მას“ (ლუკ.15:1;). ისინი ვერ პოულობდნენ ნუგეშს თავიანთ რელიგიაში და იცოდნენ, რომ მხსნელს საჭიროებდნენ.

ბოლო მოსამზადებელი ეტაპი

როდესაც იესომ ყველაფერი შეასრულა, რაც მას ზეციერმა მამამ დაავალა, იგი ავიდა ჯვარზე, როგორც სამსხვერპლო კრავი, კაიაფას მიერ, რომელიც იმ წელიწადს მღვდელმთავ-რობდა. ეს საბოლოო და ყველაზე მთავარი ნაბიჯი გახლდათ ადამიანის გულის ტაძრის მომზადებაში. იესოს მსხვერპლმა ადამიანს ჩამოაშორა ცოდვილი ბუნება, რომელიც მას ადამის შეცოდებიდან მოყოლებული ყოფდა ღმერთის თანდასწრებისაგან.

ჩვენ ვნახეთ სამსხვერპლო კრავის შეწირვა, რაც მოასწავებდა კარვის აშენებას და ტაძრის კურთხევას. როდესაც ააგეს

ახალი ცაძერი

კარავი, მღვდელმთავარმა აარონმა უფალს მსხვერპლი შესწირა. ერთ-ერთი მსხვერპლი გახლდათ საღი კრავი, ყოველგვარი ნაკლის გარეშე. როდესაც ეს მსხვერპლშენირვა დასრულდა, „...შევიდნენ მოსე და აარონი საკრებულო კარავში. და გამოვიდნენ, და აკურთხეს ხალხი. და გამოეცხადა უფლის დიდება მთელ ხალხს“ (ლევ.9:23;). ეს მოხდა ძალიან მალე მას შემდეგ, რაც ნადაბი და აბიჰუ ღმერთისგან დაისაჯნენ და დაიხოცნენ. ღმერთის კრავის მსხვერპლის შესახებ იწინასწარმეტყველეს სოლომონის ტაძრის კურთხევის დროს.

„და შესწირეს მსხვერპლი უფალს მეფემ და მთელმა ერმა. და შესწირა სოლომონმა ოცდაორი ათასი ხარი და ას ოცი ათასი ცხვარი. და აკურთხეს ღვთის სახლი მეფემ და მთელმა ერმა“.

-26ეშტ.7:4-5;

იმ დღესვე ტაძარში ღმერთის დიდება გამოვლინდა. ეპრაელთა მიმართ წერილის ავტორი ქრისტეს მსხვერპლს ადარებს იმას, რასაც ტაძარში და კარავში სწირავდნენ:

„არა ვაცთა და ზვარაკთა სისხლით, არამედ საკუთარი სისხლით შევიდა ერთხელ წმიდაში და მოგვიპოვა საუკუნო გამოსყიდვა“.

-ეპრ.9:12;

იესო, ღმერთის კრავი, ეცვა ჯვარს, რომელმაც ჩვენთვის დაღვარა თავისი წმინდა მეფური სისხლი. როდესაც ეს მოხდა, ტაძრის ფარდა შუაზე გაიხა ზემოდან ქვემოთ(ხ. ლუკ.23:45;). ღმერთმა დატოვა ის ადგილი! ღმერთის დიდება არასოდეს აღარ გამოჩნდება ადამიანების მიერ აშენებულ შენობაში. მალე მისი დიდება გამოჩნდება ტაძარში, რომელიც მას ყოველთვის თავის სამკვიდრებელ ადგილად სურდა.

ერთსულოვნება და საერთო მიზანი

ახლა კი წაიკითხეთ ის თუ, რა მოხდა იესოს აღდგომიდან ძალიან მალე:

„ორმოცდამეათე დღე რომ სრულდებოდა, ყველანი ერთად იყვნენ იმავე ადგილას. და იქმნა მოულოდნელად

უფლის შიში

ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ. და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი, და სათი-თაოდ მოეფინა ყოველ მათგანს“.

-საქმე 2:1-3;

კვლავ გამოჩნდა ღმერთის დიდება. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ „ყველანი ერთად იყვნენ (ერთსულოვნად)“. ეს გახ-ლდათ ღვთიური წესრიგი. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ 120 ადამიანი ასე ერთსულოვნად ერთად იყოს? პასუხი მარტივია. ისინი საკუთარი თავისთვის მოკვდნენ. მათ არ ჰქონდათ საკუთარი გეგმები. მათვის ყველაზე მნიშვნელოვანს ერთად-ერთი რამ წარმოადგენდა – ესაა იესოს სიტყვის მორჩილება.

ჩვენ ვიცით, რომ იესო ათი ათასობით ადამიანს მოემსახუ-რა სამ წელინად ნახევრის განმავლობაში. მრავალი ადამიანი მიჰყებოდა მას. ჯვარცმისა და ალდგომის შემდეგ ხუთასზე მეტმა იესოს მიმდევარმა იხილა იგი (იხ. 1 კორ. 15:6;). თუმცა, როგორც ჩვენ ვიცით, ორმოცდამეათე დღეს სახლში მხოლოდ ას ოცი ადამიანი იმყოფებოდა, როდესაც ღვთის სული გად-მოვიდა მათზე (იხ. საქმე. 1:15;).

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ადამიანების რაოდენობა კი არ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა. სად იმყოფებოდა ეს ათასობით ადამიანი ჯვარცმის შემდეგ? მხოლოდ ხუთას ადა-მიანს რატომ გამოეცხადა ღმერთი? სად იყო ეს ხუთასი კაცი ორმოცდამეათე დღეს? ღმერთის დიდება მხოლოდ ას ოცმა ადამიანმა იხილა.

მკვდრეთით ალდგომის შემდეგ იესომ თავის მოწაფეებს უბრ-ძანა არ გაშორებოდნენ იერუსალიმს, და დალოდებოდნენ მამის აღთქმულს (იხ. საქმე. 1:4;). მიმაჩნია, რომ დასაწყისში ხუთასივე ელოდებოდა აღთქმულს. თუმცა დრო გადიოდა და ადამიანთა რაოდენობა მცირდებოდა. ზოგიერთი შეიძლება მოუთმენლო-ბას მოეცვა და შემდეგი გადაწყვეტილებაც კი მიეღო: „ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ ჩვენი ცხოვრებით ცხოვრება; იესო უკვე აღარ არის“. სხვები შეიძლება სინაგოგებში წავიდნენ და თაყვანს სცემდნენ ღმერთს მათვის მისაღები ჩვეული ფორ-მით. ადამიანთა მეორე ჯგუფი კი შეიძლება იესო ქრისტეს სიტყვების ციტირებას ახდენდა: „ჩვენ უნდა წავიდეთ მთელს მსოფლიოში და ყველას ვუქადაგოთ სახარება. ჩვენთვის უკე-თესია წავიდეთ და შევასრულოთ ეს საქმე!“.

ვფიქრობ, რომ უფალი უცდიდა, ვიდრე დარჩენილები არ

ახალი ცაძერი

მიიღებდნენ გადაწყვეტილებას და არ იტყოდნენ: „რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ აქედან არ წავალთ, რადგან უფალმა ლოდინი გვიბრძანა“. ასეთი მიძღვნის უნარის მქონე იყო მხოლოდ ის, ვინც ბოლომდე უფლის ერთგული დარჩა. არც ერთი ადამიანი, არც არანაირი საქმიანობა – არაფერი არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი, როგორც უფლის სიტყვის მორჩილება. ეს ადამიანები მონინებით ეპყრობოდნენ მის სიტყვას (იხ. ესაია. 66:2;).

ის ადამიანები, რომლებიც მის მოლოდინში იყვნენ, ყურადღებით უსმენდნენ, როდესაც იქსო უამრავ ხალხს მიმართავდა:

„ვინც არ ატარებს თავის ჯვარს და ისე არ გამომყება, ვერ გახდება ჩემი მონაფე. რადგან რომელიმე თქვენგანმა რომ კოშკის აშენება მოისურვოს, განა თავდაპირველად არ დაჯდება და არ იანგარიშებს იმ ფასს, რაც მის დასამთავრებლად იქნება საჭირო? რადგან საძირკველს თუ ჩაყრის და ვერ დაამთავრებს, ყველა, ვინც დაინახავს, დაცინვას დაუწყებს, და იტყვის: ამ კაცმა შენება დაიწყო და ვეღარ დაამთავრაო. ... ასევეა ყოველი თქვენგანი. ვინც უარს არ იტყვის ყველაფერზე, რაც აბადია, ვერ შეძლებს, ჩემს მონაფეობას“.

-ლუკ. 14:27-30, 33;

იქსომ ნათლად დაგვანახა ის, რომ ვიდრე გავყვებით მას, ჩვენ უნდა გავერკვეთ, თუ რა არის ამის ფასი. იქსოს მიმდევრობა მოითხოვს განსაზღვრულ ფასს, და უფალმა მიგვითითა, რომ ამის ფასი სხვა არაფერია, თუ არა თვით ჩვენი სიცოცხლე!

„თქვენ შეიძლება არ დაეთანხმოთ ამას: ვფიქრობდი, რომ გადარჩენა – ესაა უსასყიდლოდ მოცემული საჩუქარი, რომელიც შეუძლებელია დაიმსახურო“. დიახ, გადარჩენა – საჩუქარია, რომლის ყიდვა ან დამსახურება შეუძლებელია. თუმცა ჩვენ ვერ შევძლებთ მის შენარჩუნებას, თუ ამის სანაცვლოდ საკუთარ სიცოცხლეს არ გავიღებთ! საჩუქარსაც სჭირდება დაცვა, რათა იგი არ დაიკარგოს ან არ მოპარონ.

იქსო შეგვაგონებს: „...ბოლომდე მომთმენი კი გადარჩება“ (მათ. 10:22). ჩვენ ვიმოსებით ძალით სიძნელეების გადასალახვად, როდესაც უსასყიდლოდ ვაძლევთ უფალს საკუთარ სიცოცხლეს.

უფლის შიში

ჭეშმარიტი მორწმუნე, იესოს მოწაფე, მთლიანად უფალს ანდობს თავის სიცოცხლეს. მისი მოწაფები ბოლომდე თავი-ანთ პოზიციაზე დგანან. ახალმოქცეულთ და შორიდან მაყ-ურებელთ შეიძლება გამორჩენა და კურთხევა სწყუროდეთ, მაგრამ მათ აკლიათ შეუპოვრობა, რათა თავიანთ პოზიციაზე დარჩენენ ბოლომდე. დროთა განმავლობაში ისინი გაიფანტები-ან. იესომ მოგვცა დავალება: „წადით და მოიმოწაფეთ მთელი ხალხი“ (მათ. 28: 19). მან ადამიანების დამოწაფება დაგვავალა, და არა მათი ახალ რწმენაზე მოქცევა.

ორმოცდამეათე დღეს იმ ოთახში დარჩენილმა ადამიანებმა გვერდზე გადადეს საკუთარი ოცნებები, ამბიციები, მიზნები და გეგმები. ამან შექმნა ატმოსფერო, რომელშიც მათ ერთი მიზნით და ერთი გულით ცხოვრება შეეძლოთ.

ღმერთს სურს ასეთი ერთობა იხილოს დღეს ჩვენს შორის. ჩვენს ქალაქებში ცალკეული ლიდერები და ეკლესიები ის-წრაფვოდნენ ერთობისაკენ. ჩვენ ერთად ვიკრიბებით და ვე-ძებთ ერთობას.

მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ღმერთს შეუ-ძლია ჩვენი ჭეშმარიტი ერთონიანობა. თუკი ჩვენ გვერდზე არ გადავდებთ ყველა დანარჩენს, საბოლოოდ ის, რასაც ჩვენ ვმა-ლავდით, გამოაშკარავდება. როდესაც არსებობს დაფარული მოტივები, ღმერთთან ურთიერთობა ზედაპირულ დონეზე ვი-თარდება. შედეგი იქნება ზერელე და ეს არ მოიტანს ნაყოფს. ჩვენ შეიძლება გვქონდეს ერთი მიზანი, მაგრამ ჩვენი უფლი-სადმი მორჩილებას მოკლებული გულით. მაშინ მთელი ჩვენი საქმიანობა ფუჭი აღმოჩნდება. რადგან „სადაც უფალი არ ააშ-ენებს სახლს, იქ ამაოდ გაირჯებიან მისი მშენებლები; სადაც უფალი არ დაიცავს ქალაქს, იქ ამაოდ ფხიზლობს გუშაგი“ (ფსალმ.126:1;). ღმერთი განაგრძობს მისი სიტყვის წინაშე მთრთოლვარე ადამიანების ძებნას! ეს არის ჭეშმარიტი ერთო-ბის საფუძველი.

უფლის დიდების გამოვლინება

ორმოცდამეათე დღეს ერთად შეკრებილი ადამიანები ჭეშ-მარიტად ერთი იყვნენ. ერთობის მიზანს უფალი წარმოადგენ-და. მათ გულებში წესრიგი სუფევდა. იოანეს მოსამზადებელმა მსახურებამ, რომელსაც იესოს მსახურება შეუერთდა, წარმოშ-ვა ღვთიური წესრიგი. ღვთიური კანონზომიერების თანახმად ღვთიური წესრიგის მოსვლის შემდეგ ვლინდება ღმერთის დიდება. კიდევ ერთხელ წაიკითხეთ, თუ რა იმ დღეს:

ახალი ცაძერი

„და იქმნა მოულოდნელად მოხდა ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაბერაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ. და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი, და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს“.

-საქმე.2:2-3;

ღმერთის დიდების რაღაც განსაზღვრული ნაწილი გად-მოვიდა ოთახში მყოფ მამაკაცებზე და დედაკაცებზე, ამ 120 ქრისტეს მიმდევარზე. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ცეცხ-ლის ენები მოეფინა თითოეულ მათგანს. დაივიწყეთ საკვირაო სკოლის წიგნებში ნანახი სურათები – იესოს მოწაფების თავზე მოგიზგიზე პატარა ცეცხლის ენები. იქ მყოფი ყოველი ადამიანი მოინათლა (ანუ ჩაიფლა) ღმერთის თანდასწრების დიდებული ცეცხლით (იხ.მათ.3:11;).

რა თქმა უნდა, ეს არ იყო დაუფარავი ღმერთის დიდება, რადგანაც არავის ძალუძს მისი ხილვა ან ადამიანთაგან ვე-რავინ გაუძლებს მთელი სისავსით გამოვლენილ ღვთიურ დიდებასთან შეხვედრას (იხ.1ტიმ.6:16;). თუმცა მისი ეს გამოვ-ლენა აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი, რათა ცის ქვეშ მყოფი ყვე-ლა ერიდან იერუსალიმში ჩამოსული მიძღვნილი, ღვთისმოშიში ებრაელის ყურადღება მიეპყრო (იხ.საქმე.2:5-6;).

ამ დროს პეტრე ადგა და მათ უქადაგა სახარება. იმ დღეს სამი ათასმა ადამიანმა მიიღო გადარჩენა, რომელიც შეუერთდნენ ეკლესიას. ეს შეკრება არ იყო წინასწარ გათვალ-ისწინებული, მის შესახებ განცხადება არავის არ გაუკეთებია. მაგრამ აი, შედეგი:

„ყოველი სული შიშით იყო მოცული და მრავალი სას-ნაული და ნიშანი ხდებოდა მოციქულთა მიერ“.

-საქმე.2:43;

ღმერთმა თავისი დიდების ძალზე მცირე ნაწილი გამოავლი-ნა, და ადამიანები უკვე შიშით იყვნენ მოცულნი მისი ძალისა და თანდასწრებისაგან. ადამიანები ყოველ დღე ამონმებდნენ საოცარი სასწაულებისა და განკურნებების შესახებ.

არავინ არ უარყოფდა ღმერთის ძლიერი ხელის მოქმედებას. მამაკაცები და დედაკაცები მოდიოდნენ ღვთის სასუფეველში. ისინი, ვინც ადრე მიუძღვნა საკუთარი გული იესოს, განახლდ-ნენ თავიანთ მიძღვნაში ღმერთის სულის თანდასწრებისას.

უფლის შიში

მაგრამ როგორც უკვე ვნახეთ, თუ ღმერთი აჩვენებს თავის დიდებას, ხოლო ადამიანები ისევ კარგავენ მის მიმართ მოშიშებას, მაშინ მათზე მოდის განსაზღვრული მსჯავრდადება. სინამდვილეში რაც უფრო მეტია დიდება, მით უფრო მეტად და მალე იქნება სამსჯავრო. შემდეგ თავში ჩვენ ყურადღებით განვიხილავთ ტრაგიკულ მოვლენას, რომელიც მოხდა მას შემდეგ, რაც ღმერთის დიდება გამოვლინდა.

თუ თქვენ გინდათ ადამიანებისგან მიიღოთ ქება,
შიშით განიმსჭვალებით მათ მიმართ. თუ გეშინიათ
ადამიანების, მათი მსახური გახდებით, ვინაიდან
მოემსახურებით მათ, ვისი შიშიც გაქვთ

თავი VII

უკატივცემულოდ მიტანილი ძღვენი

„არამედ თვითონაც იყავით წმიდები ყოველ საქციელში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. რადგან სწერია: „იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე“. -1 პეტრ.1: 5-16;

მრმოცდამეათე დღიდან განვლო რაღაც პერიოდმა. ეკლესია ღმერთის თანდასწრებით და ძალით იყო კურთხეული. მრავალი ადამიანი იღებდა გადარჩენას, განკურნებას და განთავისუფლებას. არავინ განიცდიდა გაჭირვებას, ვინაიდან ერთმანეთს უნანილებდნენ იმას, რასაც ფლობდნენ. ის, ვისაც მამულები ჰქონდა, ყიდდა მას და ფული მოციქულებთან მოჰქონდა, რათა თანხა გაენანილებინათ მათ-თვის, ვინც დახმარებას საჭიროებდა.

უცხოელის მიერ მოტანილი ძღვენი

„ასევე იოსებმაც, რომელსაც მოციქულებმა შეარქვეს ბარნაბა (რაც ნუგეშისცემის ძედ ითარგმნება), ლევიან-მა, წარმოშობით კვიპროსელმა, გაყიდა თავისი მინდორი, ფული მოიტანა და მოციქულთა ფერხთით დადო“. -საქმე. 4:36-37;

კვიპროსის ბუნება სიუხვით იყო განთქმული, საუცხოო ყვავილებით და ხილით. იქ უხვად ინარმოებოდა ღვინო და ზეითუნის ზეთი; მოიპოვებოდა სხვადასხვაგვარი ძვირფასი ქვები. მაგრამ კუნძულის კეთილდღეობის ძირითად წყაროს მაღაროები და ტყეები წარმოადგენდა. ამ მაღაროებში ვერცხლი, სპილენძი და რკინა მოიპოვებოდა. ეს იყო ბუნებრივი სიმდიდრეებით სავსე ქვეყანა. თუ თქვენ მიწების მფლობელი იქნებოდით კვიპროსში, ალბათ, მდიდარ პიროვნებად ჩაითვლებოდით.

უფლის შიში

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: მდიდარ ლევიტელს, უცხოელს, რომლის სახელიც გახლავთ ბარნაბა, მოაქვს მთელი ფული, რომელიც მან თავისი მიწების გაყიდვის შედეგად მიიღო, ალბათ, ეს არ იყო მცირე თანხა, და აძლევს მოციქულებს, რათა მათ თავიანთი შეხედულებებისამებრ გაანაწილონ. ახლა ყურადღებით წაიკითხეთ შემდეგი მუხლი.

„ერთმა კაცმა კი, სახელად ანანიამ, თავის ცოლთან, საფირასთან, ერთად გაყიდა მინდორი“.

-საქმე.5:1;

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ეს წინადადება – ახალი აზრი როდია. გახსოვდეთ, რომ ბიბლიის მთარგმნელებმა წმინდა წერილის თითოეული წიგნი დაყვეს თავებად და მუხლებად. თავდაპირველად საქმების წიგნი ერთ მთლიან ტექსტს წარმოადგენდა, რომლის ავტორადაც გვევლინება ექიმი, სახელად ლუკა.

წინადადების დასაწყისი გარკვევით მიგვითითებს იმას, რომ ახლახან მომხდარი მოვლენები დაკავშირებულია მეცუთე თავში მოთხოვბილ ამბავთან, რომელიც ანანიას და საფირას შესახებ გვიამბობს. დიახ, სრული დარწმუნებულობით შემიძლია ვთქვა, რომ თქვენ ვერ შეძლებთ იმაში გარკვევას, რაც მოხდა შემდეგ, თუ ყურადღებას არ მიაქციეთ იმას, რაც მანამდე ხდებოდა. ამიტომაც არის ეს წინადადებები ერთმანეთთან „კი“ ნაწილაკით დაკავშირებული, რაც წინა აზრთან კავშირზე მიუთითებს.

მოდით, ვიმსჯელოთ ამის შესახებ. ახალმოქცეული და ძალიან მდიდარი ადამიანი მოდის ეკლესიაში და მოაქვს ძალიან დიდი შესაწირავი, თავისი მიწის გაყიდვის შედეგად აღებული საფასური. ამ ადამიანის ძლვენმა ანანიას და საფირას გული თავიანთი მამულის რაღაც ნაწილის გაყიდვის სურვილით აღძრა.

ყურადღებით აწონ-დაწონეთ შემდეგი რამდენიმე მუხლი:

„და (ანანიამ) გადამალა საფასურიდან, – ეს მისმა ცოლ-მაც იცოდა, – ხოლო რაღაც ნაწილი მოიტანა და დადო მოციქულთა ფერხთით. უთხრა პეტრემ: „ანანია, რატომ აღავსო შენი გული სატანამ, რომ მოგეტყუებინა სული-წმიდა და გადაგემალა მიწის საფასურიდან? განა რაც გქონდა, შენი არ იყო, და გაყიდულიც შენს ხელში არ იყო? რაღატომ ჩაიდე ეს საქმე გულში? ადამიანებს კი არ ეცრუე, არამედ ღმერთს“.

-საქმე. 5:2-4;

უპატივცემულოდ მიყანილი ძლვენი

ამ დრომდე ანანიამ და საფირამ, შესაძლოა, სახელი გაითქვეს იმით, რომ ყველაზე დიდი შესაწირი მოჰქონდათ ეკლესიაში. მათ, როგორც ჩანს, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ამგვარი გულუხვობის გამო. თუ მათი რეაქციის მიხედვით ვიმ-სჯელებთ, მათ ძალიან მოსწონდათ ის პატივისცემა და მად-ლიერება, რომელსაც ისინი გაცემის მსახურებით იღებდნენ.

ახლა მათ ვიღაცამ აჯობა. ყველას ყურადღება მყისვე მი-იპყრო ამ ახალმა კვიპროსელმა ლევიტელმა კაცმა. ყველა ადიდებდა ამ გულუხვი ადამიანის სათნოებას. ხალხი დაუს-რულებლად მსჯელობდა იმაზე, თუ რაოდენ დიდ დახმარებას გაუწევდა გაჭირვებულ ადამიანებს ეს გულუხვი შემოწირულობა. ამის შესახებ საუბრობდა ეკლესია. როდესაც ანანიასა და საფირასგან ყურადღება გადავიდა ამ ადამიანზე, წარმოიქმნა რაღაც სიცარიელე, რომელ სიცარიელესთან შეგუება მათ არ სურდათ.

მათ მაშინვე გაყიდეს თავიანთი მიწის ნაკვეთი და ამით მოახდინეს რეაგირება ამ ამბავზე. ეს მიწის ნაკვეთი ძვირი ღირდა, და მისი გაყიდვით ანანიამ და საფირამ დიდი რაოდე-ნობის თანხა მიიღეს. შესაძლოა, ეს ადგილ-მამული ძალიან ძვირფასი იყო მათთვის. ცოლ-ქმარმა შემდეგი გადაწყვეტილე-ბა მიიღო: „ეს ძალიან დიდი ფულია, როგორ დავთმოთ. ჩვენ არ შეგვიძლია მთელი ფულის გაცემა. ამიტომ ისე მოვიქცე-ვით, ვითომ მთელ თანხას ვიძლევით. ამიტომ ჩვენ მხოლოდ მთელი თანხის რაღაც ნაწილს მივიტანთ და ვიტყვით, რომ ეს ის თანხაა, რომელიც მიწის ნაკვეთის გაყიდვის შედეგად მივიღეთ“.

მათ მოილაპარაკეს, რომ შემოსავლის განსაზღვრულ ნაწილს თავიანთვის დაიტოვებდნენ. მაგრამ უზინდებურად სურდათ, რომ ყველას ჰერიტებოდა, თითქოს მთელი თანხა შესწირეს. მათი ცოდვა მდგომარეობდა ტყუილში და არა იმაში, რომ მათ თავიანთვის დაიტოვეს შემოსავლის ნაწილი. ეს ფული მათ ეკუთვნოდა, და სრული უფლება ჰქონდათ ის საკუთარი შეხედულებებისამებრ განეგოთ. მაგრამ არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ისინი მთელ ფულს სწირავდნენ, თუკი ეს ტყუილი იყო. მათ ადამიანებისგან შექების მიღება უფრო მეტად სურ-დათ, ვიდრე ჭეშმარიტება და ერთგულება. ამ ცოლ-ქმრისთ-ვის ყველაზე მთავარს მათი რეპუტაცია წარმოადგენდა. ისინი თავს, ალბათ, შემდეგი სიტყვებით ინუგეშებდნენ: „აბა ეს ვის მოუტანს ზიანს? ჩვენ ვწირავთ ძლვენს და ამით გაჭირვებულ ადამიანებს ვეხმარებით“.

უფლის შიში

თუ თქვენ ადამიანებთან ეძებთ შექებას, შიშით განიმსჭვალებით მათ მიმართ. თუ გეშინიათ ადამიანების, მათი მსახური გახდებით, ვინაიდან მოემსახურებით მათ, ვისი შიშიც გაქვთ. მათ ადამიანების უფრო მეტად ეშინიათ, ვიდრე ღმერთის. ეს აიძულებდა მათ საკუთარი ქმედებების გამართლებას და ღმერთის თანდასწრებაში წმიდა შიშის გარეშე ყოფნას. მათ ღმერთის შიში რომ ჰქონოდათ, არასოდეს არ იცრუებდნენ მის თანდასწრებაში.

„ამის გამგონე ანანია დაეცა და სული განუტევა. ვინც ეს მოისმინა, დიდმა შიშმა მოიცვა ყველა. წამოდგნენ ჭაბუკები, შესუდრეს იგი, გაიტანეს და დამარხეს“.

-საქმე.5:5-6;

ამ ადამიანმა გაჭირვებული ადამიანებისთვის მოიტანა შესანირავი, და უგრძნობლად დაეცა! თითქოს აღსრულდა სამსჯავრო! დიდმა შიშმა მოიცვა ყველა, თვითმხილველნიც და ამ ამბის მომსმენნიც. შემდეგ წერია:

„სამიოდე საათმა განვლო და შევიდა მისი ცოლიც, რომელმაც არ იცოდა რა მოხდა. ჰყითხა მას ჰეტრემ: „მითხარი, განა ამდენად გაყიდეთ მინა?“ თქვა: „დიახ, ამდენად“. ჰეტრემ უთხრა მას: „რატომ შეითქვით, რომ გამოგეცადათ უფლის სული? აპა, კარში დგანან შენი ქმრის დამარხავთა ფერხნი, და შენც გაგიტანენ“. დაეცა იგი უცბად მის ფეხებთან და სული განუტევა. შემოსულმა ჭაბუკებმა მკვდარი იპოვეს იგი, გაიტანეს და ქმრის გვერდით დამარხეს. დიდმა შიშმა მოიცვა მთელი ეკლესია და ყველა, ვინც ეს მოისმინა“.

-საქმე. 5:7-11;

სრულიად შესაძლებელია, რომ ანანია და მისი ცოლი ერთად იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ, რომლებმაც პირველებმა მიიღეს მაღლით გადარჩენა. შესაძლოა, ისინი სხვებზე მეტსაც კი სწირავდნენ ეკლესიაში. ღმერთისადმი მსახურებისათვის მათ შეიძლება საკუთარი სოციალური მდგომარეობა და მატერიალური კეთილდღლეობაც კი გაიღეს მსხვერპლად. მაგრამ ყოველი მსხვერპლი ამაოა, თუკი ადამიანის გული, რომელიც ამ მსხვერპლს სწირავს, ღვთის სიყვარულითა და მოშიშებით არ არის გამსჭვალული.

ყურადღება მიაქციეთ წმიდა წერილის ამ ნაწყვეტის ბოლო

უპატივცემულოდ მივაწილო ოლვენი

მუხლს: „დიდმა შიშმა მოიცვა მთელი ეკლესია და ყველა, ვინც ეს მოისმინა“. გაიხსენეთ, რის შესახებ აფრთხილებდა ღმერთი აარონს, როდესაც მისი ორი ვაჟი ღმერთის თანდასწრებაში დაიხოცა, მიუტანეს რა მსხვერპლი ჯეროვანი მოშიშობის გარეშე.

„...ეს თქვა უფალმა: „ჩემს ახლობლებში განვიწმიდები და მთელი ხალხის წინაშე განვდიდდები“. -ლევ.10:3;

საუკუნეების შემდეგაც ღმერთი არ შეცვლილა. მისი სიტყვა და მისი სიწმიდის სიდიადე შეუცვლელია. მისი სიტყვა არ შერყეულა იმ დროიდან, რაც მისი ბაგიდან გამოვიდა ორი ათასი წლის წინ. ღმერთი იყო, არის და მუდამ იქნება დიდებული მეფე, და ჩვენ პატივი უნდა მივაგოთ მას, როგორც მეფეს. ჩვენ არ შეგვიძლია დაუდევრად მოვეპყროთ იმას, რასაც იგი წმიდას უწოდებს.

ბიბლიია არ წერს იმას, რომ დიდმა შიშმა მთელი ქალაქი მოიცვა, არამედ ნათქვამია, რომ დიდმა შიშმა ეკლესია მოიცვა. ეკლესია ტკბებოდა უფლის თანდასწრებით და მისი კურთხევებით. როდესაც ადამიანები სულინმიდით ივსებოდნენ, ისინი ისე იქცეოდნენ როგორც მთვრალები. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ზოგიერთი სიხარულისგან იცინოდნენ და უკვირდათ ის ფაქტი, რომ ყველა სხვადასხვა ენაზე საუბრობდა. აბა, სხვა რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმის მიზეზი, რომ ისინი დილის ათ საათზე მთვრალებად მიიჩნიეს (იხ.საქმე.2:15)?

აშკარაა, რომ დროთა განმავლობაში ეკლესია ძალიან შეეწია ღმერთის თანდასწრებას. ზოგისთვის ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. შესაძლოა, მათ ახსოვდათ, როგორი უბრალო იყო იესო ადამიანებთან ურთიერთობაში, და გადაწყვიტეს, რომ სულინმიდასთან ურთიერთობაც ამის მსგავსი იქნებოდა. თუმცა იესო – ღმერთის ძეა, რომელიც მამის ხატების გამოხატულებაა ხორცის, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი იყო კაცის ძე და შუამდგომელი, რადგან ადამიანს არ შეუძლია ღმერთის სიწმიდეს დამოუკიდებლად მიუახლოვდეს.

თუმცა ისინი ერთ მთლიანობას წარმოადგენდნენ, მაინც არ-სებობს განსხვავება მამა ღმერთსა, ძე ღმერთსა და სულინმიდა ღმერთს შორის. იესო ამბობდა, რომ ადამიანებს შეუძლიათ ილაპარაკონ მის წინააღმდეგ, და ეს მიეტევებათ მათ, მაგრამ არა სულინმიდის წინააღმდეგ. იესომ უფლება მისცა მათ წი-

უფლის შიში

ნასწარ გაეგოთ ის, რომ დადგებოდა ისეთი დრო, როდესაც წმიდა ღვთიური წესრიგი აღდგებოდა. კაცის ძის მოსვლამდე ადამიანებს ეშინოდათ ან ერიდებოდათ ღმერთის, მაგრამ ამ შიშში არ იყო პატივისცემა. ახლა ადამიანი დაბრუნებულ იქნა ღმერთთან, და ღვთიური წესრიგი კვლავ უნდა აღდგენილიყო.

ეკლესია ღვთიური სიწმიდის გაგებას იწყებს მაშინ, როდესაც ანანია და საფირა მკვდრები ეცემიან პეტრეს ფერხთით. „იქნებ ღირს, ზოგიერთ რამეს გადავხედოთ ჩვენს ცხოვრებაში“ – ფიქრობდნენ ერთნი. სხვებმა შეიძლება გაიფიქრეს: „მათ ადგილას შეიძლება ჩვენ ალმოვჩენილიყავით“. ზოგი გაოცებული იყო, მათი შეხედულება ღმერთის შესახებ შეიცვალა: „ვფიქრობ, ღმერთს კარგად არ ვიცნობ. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ მისი სამსჯავრო ასე მალე და ასეთი მკაცრი იქნებოდა“. და ყველამ გაოცებისაგან წამოიძახა: „იგი წმიდაა და ყოვლისმცოდნები!“. დიდმა შიშმა მოიცვა ეკლესია, როდესაც მათ საკუთარი გულების გამოკვლევა დაიწყეს, და გაოცებულნი იყვნენ ღმერთის მოწინებული შიშით და სასწაულებით. იქ არავინ იყო ისეთი, ვისაც ეს საშინელი ამბავი არ შეხებია.

მოშიშებით გაატარეთ თქვენი მწირობის ხანი

პეტრემ, რომელიც იესოსთან ერთად დადიოდა და ამ სამსჯავროს მონმე იყო, სულინმიდით შთაგონებულმა მოგვიანებით დაწერა ეს გულიდან გამოსული შეგონება:

„არამედ თვითონაც იყავით წმიდები ყოველ საქციელში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ. რადგან სწროია: „იყავით წმიდები, რადგან წმიდა ვარ მე“. თუ მამას უნდებთ იმას, ვინც მიუკერძოებლად განიკითხავს თითოეულს საქმეთა მიხედვით, მაშინ მოშიშებით გაატარეთ თქვენი მწირობის ხანი“.

-1 პეტრ. 1:15-17;

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ იგი არ ამბობს: „დრო სიყვარულში გაატარეთ“. დიახ, ჩვენ უნდა ვიაროთ სიყვარულში, რადგან მის გარეშე ყოველი ადამიანი – არარაობაა! მისი სიყვარულის გარეშე ჩვენ მამის გულის შეცნობაც კი არ შეგვიძლია. პეტრე ამ წერილშივე საუბრობს უფლისადმი სიყვარულის შესახებ, რომელიც ჩვენს გულებში უნდა ენთოს, „ვინც არ გინახავთ და გიყვართ...“ (1პეტრ.1:8;). ჩვენ მოწინებულნი

უპატივცემულოდ მივაწილო ოლვენი

ვართ იმისათვის, რომ ყოველი ჩვენგანის ურთიერთობა მამა ღმერთთან იყოს სიყვარულზე დაფუძნებული, მაგრამ პეტრე ჩქარობს სიყვარული უფლის შიშს გაუთანაბროს. ჩვენი გულები ორივე ცეცხლის სითბოს და სინათლეს უნდა ატარებდნენ.

თქვენ შეიძლება გაგიკვირდეთ: როგორ შეიძლება ეს სიყვარული რაღაცით იყოს შემოსაზღვრული? თქვენ ადამიანი იმდენად გეყვარებათ, რამდენადაც იცნობთ მას. თუ თქვენ ღმერთი ისეთად არ წარმოგიდგენიათ, როგორიც არის, მაშინ თქვენ მხოლოდ ზედაპირულად იცნობთ მას, ვინც გიყვართ. ჭეშმარიტი სიყვარული ღმერთის შესახებ ჭეშმარიტ შეხედულებებს ეფუძნება. ხომ არ ფიქრობთ, რომ ღმერთი თავის გულს იმ ადამიანებს გაუხსნის, რომელთაც არასერიოზული დამოკიდებულება აქვთ მასთან? სინამდვილეში ღმერთმა დაფარულში ყოფნა გადაწყვიტა (იხ.ეს.45:15;). მეფისალმუნე მის თავშესაფარს „ყოვლისშემძლის ჩრდილს“ უწოდებს (ფსალმ. 90: 1).

სწორედ აქ, გასაიდუმლოებულ ადგილას, ჩვენ აღმოვაჩენთ ჩვენთვის მის სიწმიდეს და დიდებულებას. მაგრამ, მხოლოდ მის მოშიშებს შეუძლიათ ამ საიდუმლო თავშესაფრის პოვნა. რამეთუ ნათქვამია:

„საიდუმლო უფლისა - მოშიშთა მისთა, და თავის აღთქ-
მას აუწყებს მათ“.

-ფსალმ. 24:14;

ახლა თქვენ შეგიძლიათ უფრო ღრმად გაიგოთ პეტრეს სიყვები. პავლე, რომელსაც არ უსაუბრია იესოსთან დედამინაზე ყოფნის დროს, მაგრამ შეხვდა მას დამასკოს გზაზე, ამ შეგონების სიტყვას ამტკიცებს იმით, რომ ამატებს ცნებას „ძრნოლა“. იგი მიმართავს მორნმუნეებს: „....შიშით და ძრნოლით იღვანეთ თქვენს სახსნელად“ (ფილიპ.2:12;). და ახალ აღთქმაში ეს ფრაზა სამჯერ გამოიყენება ქრისტესა და მორნმუნე ადამიანს შორის სწორი ურთიერთობის ასაღწერად.

პავლე ქრისტეს შემეცნებამდე ღმერთის სულის გამოცხადების გზით მივიდა. სწორედ ასე უნდა მივიდეთ ჩვენც მასთან. „ამიტომ ამიერიდან აღარავის ვიცნობთ ხორციელად. თუ ხორციელად ვიცნობდით კიდეც ქრისტეს, ახლა აღარ ვიცნობთ“ (2კორ.5:16). თუ ჩვენ გვინდა საშუალება გვექონდეს შევიცნოთ ღმერთი და ვიაროთ მასთან ერთად ისე, როგორც ჩვეულებრივ ხორციელ ადამიანებთან ერთად დავდივართ,

უფლის შიში

მაშინ დროთა განმავლობაში მის თანდასწრებას თავისთავად გამოვლენილად ჩავთვლით, როგორც ადრეული ეკლესიის ზოგიერთი ქრისტიანი.

დარწმუნებული ვარ, რომ ანანია და საფირა იგივე გაკვირვებას და აღტაცებას განიცდიდნენ, როგორსაც მთელი ეკლესია, საქმეების წიგნში აღწერილს. ყველა გაოცებული იყო მრავალი ნიშნისა და სასწაულის გამოვლენით. მაგრამ ადამიანებს შეიძლება ნიშნები და სასწაულებიც კი მობეზრდეთ, თუკი მათ გულებში უფლის შიში ნაკლებად იქნება. უფლის შიში შეიძლება თავიდან აეცილებინა ამ საპრალო წყვილის დაუფიქრებელი საქციელი (იხ. ფსალმ. 33:11-13;). ეს შიში საშუალებას მისცემდა მათ ომერთის სიწმიდე დაენახათ.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს ღმერთის ეს ორი შეუცვლელი თვისება: „ღმერთი სიყვარულია“ და „ღმერთი შემჭმელი ცეცხლია“ (1იოან. 4:8; ებრ. 12:29;). პავლე მოციქული საუბრობს ცეცხლის შესახებ, რომელშიც მორწმუნებმა უნდა გაიარონ, წარსდგებიან რა წმიდა ღმერთის წინაშე, სამსჯავროს ტახტთან. იქ ჩვენ საკუთარი საქმეებისათვის, რომლებიც ქრისტეს სხეულში ჩავიდინეთ, ანგარიშს ჩავაბარებთ ღმერთს, როგორც კეთილი საქმეებისათვის, ასევე ცუდისთვისაც (იხ. 2კორ. 5: 10;). პავლე მოციქული აგრეთვე გვაფრთხილებს: „...რაკი უფლის შიში ვიცით, ადამიანებს შთავაგონებთ...“ (2 კორ. 5:11;).

ღმერთის სიყვარულის მადლით ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ მასთან მიახლოების გაბედულება. ბიბლია აგრეთვე ამბობს, რომ ჩვენ ღმერთს უნდა ვემსახუროთ ისე, როგორც ეს მას სურს. როგორ? მოწინებით და მოშიშებით (იხ. ებრ. 12: 28).

ზეციდან შობის დროს ადამიანები ღმერთს იცნობენ, როგორც აპა მამაოს (მოსიყვარულე მამიკოს). მაგრამ ეს არ ამცირებს მას, ყველას განმკითხველ ღმერთს (იხ. გალ. 4: 6-7; ებრ. 12:23;). ღმერთი ნათლად ამბობს: „უფალი განკითხავს თავის ერს“ (ებრ. 10: 30;).

წარმოიდგინეთ მიწიერი მეფე, რომელსაც ჰყავს ვაჟები და ასულები. ოჯახში იგი გახლავთ ქმარი და მამა. მაგრამ სამეფო დარბაზში იგი – მეფეა, და მას პატივი უნდა მიაგონ, როგორც მეფეს, მისმა ოჯახმაც კი. დიახ, არის დრო, როდესაც მე მესმის, როგორ მეძახის მამა თავისი განმარტოებული სამეფო ოთახიდან, და თან ამ დროს მიწვდის ხელს, და ეს ჟესტი ნიშნავს: „მოდი, მომეხვიე, მუხლებზე დამიჯექი და ვისაუბროთ“. მიყვარს ასეთი დრო. ეს დრო ჩემთვის განსაკუთრებულია! მაგრამ არის ისეთი დროც, როცა ლოცვისას ან ღვთისმსახ-

უპატივცემულოდ მიყანოლი ძლვენი

ურებისას მონინებითა და მოშიშებით ვდგავარ მისი სინმიდის წინაშე.

ერთი ასეთი მსახურების მხილველი გავხდი 1995 წლის აგვისტოს ბოლო კვირას, როდესაც ჩვენ შეკრებებს მაღაზიის ქალაქ კუალა-ლუმპურში ვატარებდით. ატმოსფერო ძალიან მძიმე იყო, და იმ დღეს ვიგრძენი, რომ დღეს, ბოლოსდა ბოლოს, გარღვევა მოხდებოდა. ლეთიურმა თანდასწრებამ აავსო შენობა, და, როდესაც მისმა წმიდა სიხარულმა იწყო გადმოღვრა, რამდენიმე ადამიანმა სიცილი დაიწყო. ეს ათი-თხუთმეტი წუთი გაგრძელდა. შემდეგ იყო მცირე პაუზა, რომელსაც ღმერთის თანდასწრების ახალი ტალღა მოჰყვა. იგი უფრო მეტი რაოდენობის ხალხს შეეხო. კვლავ მყუდროებამ დაისადგურა, და შემდეგ ღმერთის თანდასწრებისა და სიხარულის ახალი ტალღა მოვარდა, რომელმაც მთელი შენობა იმდენად აავსო, რომ თითქმის ყველა ადამიანმა შინაგანი განახლება და სიხარული იგრძნო. შემდეგ კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

და მაშინ გავიგე, როგორ თქვა უფალმა: „მე მოვდივარ ბოლო ტალღით, მაგრამ იგი განსხვავებული იქნება დანარჩენებისაგან“. მე ჩუმად ველოდებოდი. რამდენიმე წუთში ღმერთის თანდასწრების სრულიად განსხვავებულმა გამოვლინებამ აავსო შენობა. იგი შესანიშნავი და ცოტა შიშის მომგვრელიც კი იყო. ყურადღებით ვადევნებდი თვალს ყოველივეს. გეგონებიდა, ესაა ელ-ჭექი დაიწყებაო. იმ ადამიანებმა, რომლებიც რამდენიმე წუთის წინ იცინოდნენ, ახლა ტირილი, გოდება და ღრიალი დაიწყეს. ზოგიერთნი ისტერიულადაც კი ყვიროდნენ, თითქოს ცეცხლში იწვოდნენ. მაგრამ არა ისე, როგორც ის ადამიანები ყვირიან, რომლებსაც ბოროტი სულები აწვალებენ.

როდესაც სცენაზე დავაბიჯებდი, თავში ერთმა აზრმა გამიელვა: „ჯონ, არ გააკეთო ზედმეტი მოქმედებები და არა თქვა ზედმეტი სიტყვები... თუ ამას გააკეთებ, მოკვდები“. დარწმუნებული არა ვარ, რომ ყველაფერი ასე მოხდებოდა, მაგრამ ეს აზრი გადმომცემდა დაძაბულობას, რომელსაც ვგრძნობდი. მე ვიცოდი, რომ ამ დიდებული თანდასწრების დროს ადგილი არ უნდა ჰქონოდა უპატივცემულო დამოკიდებულებას. იმ დღეს მე დავინახე ადამიანების ორი სხვადასხვა რეაქცია – მათ ეშინოდათ და გამოდიოდნენ ღმერთის თანდასწრებიდან, ან ისინი იყვნენ უფლის მოშიშებაში და შედიოდნენ ღმერთის დიდებულ თანდასწრებაში. აშკარად ჩანდა, რომ ეს არ იყო ის დრო, როდესაც ღმერთი გვეუბნება: „მოდი, მომესვიე, მუხლებზე დამიჯექი და ვისაუბროთ!“.

უფლის შიში

ჩვენ მოწინებით ვტოვებდით შესაკრებელ ადგილს. მრავალი ადამიანი ღმერთის თანდასწრებისაგან სრულად გარდაქმნილი წავიდა ამ ადგილიდან. ერთმა კაცმა, რომელსაც ძლიერად შე-ეხო ღმერთის თანდასწრება, წამოსვლისას მითხრა: „ვგრძნობ, რომ განვიწმიდე“. დავეთანხმე მას, რადგან მეც ვგრძნობდი შინაგან განწმენდას. შემდეგ ასეთი ადგილი ვიპოვე წმიდა წერ-ილში: „შიში უფლისა წმიდა არის, მარადიული...“ (ფსალმ.18:10;).

უფლის შიში მარადიულია

უფლის შიში წამდვილად მარადიულია! ლუციფერს უფლის შიში რომ ჰქონოდა, იგი არასოდეს არ დაეცემოდა, და ციდან ელვასავით არ გადმოვარდებოდა (იხ.ეს.14:12-15; ლუკ.10:18;). ლუციფერი ცხებული ქრუბიმი იყო ღმერთის წმიდა მთაზე და უფლის თანდასწრებაში დადიოდა (იხ.ეზეკ.28:14-17;). მაგრამ ლუციფერი იყო პირველი, რომელმაც ღვთიური შიშის ნაკლე-ბობა გამოავლინა.

მომისმინეთ, ღმერთის ხალხო: თქვენ შეიძლება ცხებულების წმიდა ზეთით იყოთ ცხებული, როგორც აბიჟუდი და ნადაბი. თქვენს მსახურებას შეიძლება თან ახლდეს ნიშნები და სასწაულები, თქვენ შეიძლება ბორიტ სულებს დევნიდეთ და ავადმყოფებს კურნავდეთ უფლის სახელით, მაგრამ არ გაგა-ჩნდეთ უფლის შიში! ასეთ შემთხვევაში თქვენ აბიჟუდისა და ნადაბის, ანანიასა და საფირას ბედს გაიზიარებთ. რადგან მხ-ოლოდ უფლის შიში გვაძლევს მის თანდასწრებაში საშუალე-ბას!

ადამი და ევა უფლის თანდასწრებაში დადიოდნენ. მათ უყვარდათ იგი და კურთხეულები იყვნენ მისი მადლით. ისინი არავითარი ძალით არ იყვნენ განაწყენებულნი. ისინი სრუ-ლყოფილ სამყაროში ცხოვრობდნენ. მაგრამ პირველმა ადამი-ანებმა იურჩეს და ცოდვაში ჩაცვიდნენ, და დიდი სამსჯავრო გამოიარეს. ისინი არასოდეს არ დაეცემოდნენ, უფლის შიში რომ ჰქონოდათ.

უფლის შიში წამდვილად მარადიულია! ანანია და საფირა ღვთის მოშიშნი რომ ყოფილიყვნენ, ასე დაუფიქრებლად არ მოიქცეოდნენ, რადგან „.... უფლის შიშით განუდგები ბოროტს“ (იგავ.16: 6;).

ზოგი იტყვის: „განა ჩემი სიყვარული, რომელსაც ღმერთის მიმართ ვგრძნობ, არ მიცავს ცოდვისგან?“. დიახ, მაგრამ რამ-დენად ძლიერი იქნება თქვენი ასეთი სიყვარული, თუ არა გაქვთ

უპატივცემულოდ მიყანელი ძლვენი

შიში მის მიმართ? როდესაც ჯიმი ბეკერი ციხეში მოვინახულე, მან გამიზიარა ის, თუ როგორ დაეხმარა ციხის ატმოსფერო, რომ მთლიანად შეეცვალა თავისი გულის მდგომარეობა. მან ცხოვრებაში პირველად იგრძნო, რომ იესო მისი უფალია. მან გამიზიარა, თუ როგორ დაკარგა ოჯახი, მსახურება, მთელი თავისი ქონება და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძინა ქრისტე.

მე გარკვევით მახსოვს მის მიერ ნათევამი სიტყვები: „ჯონ, ეს ციხე – ღმერთის სამსჯავრო კი არ არის ჩემთვის, არამედ მისი მადლია. დარწმუნებული ვარ, ისე რომ გამეგრძელებინა ცხოვრება, როგორც ვცხოვრობდი, ჯოჯონეთში დავასრულებდი!“.

შემდეგ ჯიმი ბეკერმა გამიზიარა ის, რაც ყოველი ჩვენ-განისთვის გაფრთხილებას წარმოადგენს: „ჯონ, ყოველთვის მიყვარდა იესო, მაგრამ იგი არ იყო ჩემი უფალი, და მილიონი ადამიანი ზუსტად ისე ცხოვრობს, როგორიც მე ვცხოვრობდი!“ ჯიმის უყვარდა იესოს ის სახე, რომელიც აღმოაჩინა. მისი სიყვარული იყო მოუმწიფებელი, რადგან მასში არ იყო უფლის შოშიშება. დღეს ჯიმი ბეკერი გახლავთ ადამიანი, მოშიში ღვთისა. როცა ჯიმის ვკითხე, თუ რას გააკეთებდა იგი ციხიდან გამოსვლის შემდეგ, მან სწრაფად მიპასუხა: „თუ მე კვლავ იმ ცხოვრებას დავუბრუნდები, რომელი ცხოვრებითაც აქამდე ვცხოვრობდი, მსჯავრდადებული ვიქნები!“.

ვერავინ ბედავდა მათ შეერთებოდა

ანანიას და საფირას შემთხვევამ მთელი ეკლესია შეძრა. ამან ადამიანები აიძულა საკუთარი გულის დაფარული ზრახვები შეემოწებინათ. ისინი, ვინც საკუთარ თავში იგივე უპატივცემულობა დაინახა, რაც ანანიას და საფირას ჰქონდა, მონანიებას მიეცნენ. სხვები უფრო სერიოზულად მიუდგნენ იმის ფასს, რათა შეერთებოდნენ იერუსალიმში მყოფ ქრისტიანების შეკრებას. ზიგიერთი შეიძლება წავიდა, რადგან ღმერთის სამსჯავროსი შეეშინდათ.

ეკლესია შიშმა მოიცვა, მაგრამ მოწინებით განაწყო ყველა, ვინც ამ წყვილის ამბავი შეიტყო. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მოვლენამ დიდი ხმაური გამოიწვია ქალაქში. ადამიანები ერთმანეთს ეკითხებოდნენ: „გაიგეთ რა დაემართა იესოს მიმდევარ იმ წყვილს? ერთმა წყვილმა შესანირავი მიიტანა გაჭირვებულ-თათვის და დაიხოცნენ!“. ბიბლიაში ნათქვამია:

უფლის შიში

„დანარჩენთაგან ვერავინ ბედავდა, შეერთებოდა მათ, მა-
გრამ აქებდა მათ ხალხი. სულ უფრო და უფრო ემატე-
ბოდნენ უფალს მორნმუნები, მრავალი მამაკაცი და დე-
დაკაცი“.

-საქმე. 5:13-14;

ეს ორი მტკიცება შეიძლება წინააღმდეგობის შემცველ ცნე-
ბებად მივიჩნიოთ: ვერავინ ბედავდა, შეერთებოდა მათ, თუმცა
შემდეგ მუხლში ნათევამია, რომ მორნმუნებთა რიცხვი იზრდე-
ბოდა. როგორ მრავლდებოდნენ მორნმუნები, თუკი არავინ არ
უერთდებოდა მათ? როგორია ამ ფრაზის ჭეშმარიტი აზრი? მე
მნამს, რომ ვერავინ ბედავდა შეერთებოდა იესოს, თუ არ გაიაზ-
რებდა ამ ნაბიჯის გადადგმის ფასს. ისეთი ადამიანი, რომელიც
თავისას ეძებდა, აღარ უერთდებოდა ეკლესიას. ადამიანები იმი-
ტომ მოდიოდნენ უფალთან, რომ იგი – უფალია, და არა იმი-
ტომ, რომ მას რაიმეს გაკეთება შეეძლო მათვის.

თუ ჩვენ უფალთან რაიმეს გამო მივდივართ, იმისთვის რისი
გაკეთებაც და მოცემაც მას ჩვენთვის შეუძლია, ჩვენში ხშირად
უპატივცემულო დამოკიდებულება ვითარდება მისდამი. მსგავ-
სი ურთიერთობა აგებულია კურთხევებზე და ახალ-ახალ სას-
ნაულებზე. მაგრამ, როდესაც საქმე ისე არ მიდის, როგორც ეს
ჩვენ გვსურს, – და ასეთი რამ აუცილებლად მოხდება, – ჩვენ
გულგატეხილობა გვეუფლება და როგორც გათამამებულ ბავშ-
ვებს სჩევევიათ, ჩვენი პატივისცემა ქრება. როდესაც ღმერთან
უპატივცემულო დამოკიდებულებას მსჯავრი ედება, ყოველი
ადამიანი საკუთარი ცხოვრების გადასინჯვას იწყებს, და სამ-
სჯავროს შუქი წმენდს მას არასწორი მოტივებისგან. ეს არის
უფლის მოშიშებით აღვსილი გულების ჭეშმარიტი მონანიების
დრო.

რატომ მაინცდამაინც ისინი?

რატომ მოკვდნენ ანანია და საფირა? ვიცნობ ადამიანებს,
რომლებიც ატყუებდნენ მქადაგებელს, მაგრამ ისინი ასე მკა-
ცრად არ დასჯილან. მართლაც, ეკლესიის ისტორიაში, თანამე-
დროვე ეკლესიის ისტორიაშიც კი, ხდებოდა ისეთი რამ, რაც
ღმერთისადმი გაცილებით დიდი უპატივცემულობის გამოხ-
ატვის შესახებ მოწმობს. თუმცა აღარავინ აღარ დაცემულა
უგრძნობლად მსახურებაზე. თითქოს მსგავსი რამ არ შეიძლება
მოხდეს დღეს. რატომ?

უპატივცემულოდ მისახლი ძლვენა

ამ კითხვაზე ირბი პასუხი შეიძლება შემდეგ მუხლებში ვი-პოვოთ, რომლებიც უშუალოდ აღწერენ შემთხვევას:

„...ავადმყოფები ქუჩაში გამოჰყავდათ და საკაცეებზე და საწოლებზე აწვენდნენ, რომ ჩავლილი პეტრეს ჩრდილი მაინც დაფენოდა რომელიმე მათგანს“.

-საქმე. 5:15;

უურადლება მიაქციეთ იმას, რომ ადამიანები ავადმყოფებს ქუჩაში აწვენდნენ! ისინი უბრალოდ ელოდებოდნენ, რომ პეტრე ჩაივლიდა და მისი ჩრდილი განკურნავდა მათ. მესმის, რომ თქვენ შეიძლება შემეკამათოთ, მაგრამ მწამს, რომ ბიბლიის ეს მუხლი მხოლოდ პეტრეს ბუნებრივი ჩრდილის შესახებ არ საუბრობს. ჩრდილს არავითარი ძალა არ გააჩნია ავადმყოფების განსაკურნებლად. მჯერა, რომ ეს იყო ღმერთის დიდების ღრუბელი. უფლის თანდასწრება იმდენად ძლიერი იყო, რომ მისი ღრუბელი ჩრდილავდა და ფარავდა პეტრეს ჩრდილს. ზუსტად ისე, როცა მოსე ჩამოვიდა მთიდან, მისი სახე იმდენად იყო გაბრწყინებული ღმერთის დიდებით, რომ იგი ფარავდა მოსეს სახეს. იქნებ ღმერთმა თვითონ შემოსა პეტრე ჩრდილის ღრუბლით, რათა დაეფარა თავისი დიდება? საქმეების წიგნის 5:15-ში ნათქვამი, რომ პეტრემ მხოლოდ ერთ რამეს აკეთებდა – იგი ჩაივლიდა ხოლმე ავადმყოფებს შორის, რათა ეს ჩრდილი შეხებოდა მათ, და ქუჩებში მწოლი მრავალი სწერული იკურნებოდა.

ჩვენ ვიცით, რომ სრულიად რეალური ღმერთის თანდასწრება იყო პეტრეზე, როდესაც ჯერ ანანიამ, და შემდეგ საფირამიცრუა პეტრეს წინაშე, და ორივენი დაიხოცნენ. არსებითად, ანანიამ და საფირამ იმიტომ განუტევეს სული, რომ მათ ღმერთის თანდასწრების დროს გამოავლინეს უპატივცემულობა, მაშინ როდესაც ღმერთის დიდება უკვე გაცხადებული იყო მათ-თვის. ჩვენ ვხედავთ იგივე თანმიმდევრობას, როგორც ადამის, ნადაბის, აბიჟუდის და ისრაელიანების შემთხვევაში იყო: წერიგი, დიდება და სამსჯავრო.

შემდეგ თავებში ამ კანონზომიერებას ჩვენ გამოვიყენებთ თანამედროვე ეკლესიებთან მიმართებაში. როდესაც ამ საკითხს უფრო ღრმად ჩაუღრმავდებით, დავინახავთ, თუ რატომ უნდა შეეწყოს ღმერთის სიყვარული უფლის შიშს.

რაც უფრო მეტია ჩვენს მიმართ გამოვლენილი
ლმერთის დიდება, მით უფრო მეტი იქნება მსჯავრდადება
უპატივცემულობის გამო და მით უფრო მაღლე აღსრულდება
ლმერთის სამსჯავრო!

თავი VIII

გადადებული სამსჯავრო

„ვინაიდან ჩვენ ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა — კეთილს თუ ბოროტს“:
-2 კორ. 5:10;

3 იდრე ამ წიგნს ვწერ, ჩვენ უფრო და უფრო ვუახლოვდებ-ით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს აღდგომის დღიდან ორი ათასი წლის გასვლის იუბილეს. ჩვენ, შესაძლოა, იესოს მეორედ მოსვლის წინა პერიოდის უკანასკნელ თვეებში, დღეებში და წამებში ვცხოვრობთ. იესომ თქვა, რომ ჩვენ მისი დედამიწაზე კვლავ დაბრუნების დროის ნიშნები გვეცოდინება, მაგრამ არ გვეცოდინება დღე და საათი (იხ.მათ 24:32-36;). და ჩვენ ამ დროში ვცხოვრობთ.

ადრეული და გვიანი წვიმა

წინასწარმეტყველურ წერილებში ნათქვამია, თუ როგორ გამოავლენს ღმერთი თავის ძლევამოსილ დიდებას ეკლესიის არსებობის დასაწყისში, და ასევე ეკლესიის არსებობის ბოლო საუკუნეში, უშუალოდ იესოს მეორედ მოსვლის წინ. იაკობი ამას ასე აღწერს:

„ამიტომ, ძმებო, სულგრძელნი იყავით უფლის მოსვალამდე. აპა, მიწისმუშაკი ელოდება მიწის ძვირფას ნაყოფს, სულგრძელად ელის ადრეული და გვიანი წვიმის მოსვლას“.

-იაკ. 5: 7;

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ იაკობი საუბრობს როგორც ადრეული, ასევე გვიანი წვიმის შესახებ. ისრაელში ად-

უფლის შიში

რეული წვიმა ნიადაგს რწყავდა დარგვის სეზონის დასაწყისში. წვიმისაგან დარბილებულ ნიადაგში თესლს შეეძლო კარგად გაედგა მინაში ფესვები. გვიანი წვიმა მოდიოდა პირდაპირ მკის წინ, და მას უფრო მეტად ელოდებოდნენ, რადგან იგი ნაყოფის გამრავლებასა და მომწიფებას უწყობდა ხელს. ბუნებრივ წვიმასთან შედარების გზით იაკობმა განმარტა ის, თუ როგორ იღვრება ღმერთის დიდება. ადრეული წვიმა გადმოიღვარა ორ-მოცდამეათე დღეს, როგორც ეს პეტრემ დაადასტურა:

„მაგრამ ესაა ნათქვამი იოელ წინასწარმეტყველის მიერ: „იქნება უკანასკნელ დღეებში, - ამბობს ღმერთი, - რომ ჩემი სულისაგან მოვაფენ ყველა ხორციელზე და იწინას-წარმეტყველებენ თქვენი ძენი და თქვენი ასულნი. და თქვენი ჭაბუკი ჩვენებას იხილავენ და თქვენს მოხუცე-ბულებს სიზმრები დაესიზმრებათ. ჩემს მონებზე და ჩემს მხევლებზე მოვაფენ იმ დღეებში ჩემი სულისაგან და ანინასწარმეტყველდებიან. ვაჩვენებ სასწაულებს მაღლა ცაში და ნიშნებს დაბლა მინაზე, სისხლსა და ცეცხლს, და კვამლის ბოლქვებს. მზე წყვდიადად იქცევა და მთ-ვარე სისხლად, ვიდრე დადგებოდეს უფლის დღე, დიადი და გაცხადებული“.

-საქმე. 2:16-20;

პერტემ გამოიყენა სიტყვა „გადმოღვრა“. ძლიერ წვიმას კოკისპირულ წვიმას ეძახიან. პერტეს შეეძლო ეთქვა „დავაპ-კურებ“, მაგრამ მან გამოიყენა ისეთი სიტყვა, რომელიც ღვარ-თქაფს, თავსხმა წვიმას აღწერდა. ვის შეეძლო პეტრეზე უკეთ ღმერთის დიდების გადმოღვრის აღწერა, რომელიც მან ორ-მოცდამეათე დღეს განიცადა? მაგრამ ეს აღწერა მხოლოდ პეტრეს მიერ ახლახან განცდილს როდი ეხება, არამედ ღმერ-თის დიდების გადმოღვრას, რომელსაც ადგილი ექნება უფლის მოსვლის წინა პერიოდში. უფლის დღე, დიადი და გაცხადე-ბული, ეკუთვნის მეორედ მოსვლის პერიოდს და არა იმ დროს, რომელ დროშიც პეტრე ცხოვრობდა.

ღმერთის სულმა პეტრეს საშუალებით გააკეთა იგივე, რა-საც ის აქამდე ბევრჯერ აკეთებდა: მან ერთ წინასწარმეტყვე-ლურ სიტყვაში ან წერილში ერთმანეთს დაუკავშირა ორი სხ-ვადასხვა, ერთმანეთისგან განსხვავებული დროის პერიოდი. ღმერთის სულის დიდებული გადმოღვრა ორმოცდამეათე დღეს დაიწყო. იაკობი ამას ადრეულ წვიმას უწყობდა. ღმერ-

გადადებული სამსჯავრო

თის დიდება ვლინდებოდა და ვრცელდებოდა ყველგან, სადაც უფალი გზავნიდა თავის მოწაფეებს სახარების საქადაგებლად. არ დარჩა არც ერთი ქვეყანა, რომელსაც არ შეხებია ეს მოვლენები. მაგრამ ეს დიდებული გადმოღვრა არ გამრავლებულა ერთბაშად. იგი თანდათან შემცირდა. იგი შემცირდა, როდესაც ადამიანებში ღმერთის დიდების და თანდასწრების წყურვილი განელდა. ერთხელ ძლიერად ანთებული სიყვარულისა და მოშიშების ადგილას, ახლა ეგოისტური სურვილების, ცივი, უსიცოცხლო სამსხვერპლო იდგა. მრავალმა, გადაუხვია რა სწორ გზას, რელიგიური საქმიანობა და სწავლება დაიწყო, და კვლავ დაიჩრდილა ის მიზანი, რისთვისაც ღმერთმა შეგვემნა ჩვენ – ესაა მასთან ყოფნა, მასთან ურთიერთობა.

დრო, როდესაც ლიდერებიც კი ეგოისტურები არიან

ჩვენი დრო, როდესაც გამოხუნდა და ჩაქრა ღმერთის თანდასწრებისა და დიდების ბრწყინვალება, შეიძლება მოსეს და მეფე დავითს შორის არსებულ პერიოდს შევადაროთ. მოსეს დღეებში ღმერთის შვილები მრავალი წლის განმავლობაში დაეხეტებოდნენ უდაბნობი ღმერთის დიდების აშკარა გამოვლინებაში. ღმერთის მიმართ უპატივცემულობის გამომხატველი ადამიანები გასამართლდნენ და უდაბნობი დაიხოცნენ.

მაგრამ ახალგაზრდა თაობას ეშინოდა უფლის და მას მთელი გულით მიჰყვებოდდა. იესო ნავეს ძის ხელმძღვანელობით ისინი წავიდნენ აღთქმული მიწის დასაპყრობად. მაგრამ „... მთელი ის თაობა შეეძინა თავის მამებს, და მათ შემდგომ მოვიდა სხვა თაობა, რომელიც არ იცნობდა უფალს და იმ საქმეს, რაც მოიმოქმედა ისრაელისათვის ...“ (მსაჯ. 2:10).

ამ ახალი თაობის დაუმორჩილებლობამ ისინი კვლავ მონობაში და გაჭირვებაში დააბრუნა. დროდადრო ღმერთი წამოწევდა ხოლმე მამაკაცს ან ქალს, და მას ისრაელის მსაჯულად ადგენდა, რომელიც ხალხს მიუძლოდა. ამ მსაჯულების სამუალებით ღმერთის ერში იყო გამოღვიძებისა და აღორძინების ნაკადები. მიუხედავად იმისა, ეს ძლიერი ლიდერები ღმერთის მიერ ერის წანამდლოლებად იყვნენ დადგენილნი, ისრაელის მდგომარეობა მთლიანობაში უარესდებოდა. ისრაელიანები მიჰყვებოდნენ მსაჯულებს, და არა ღმერთს, რადგან ნათქვამია, რომ „...როგორც კი მოკვდებოდა მსაჯული, თავიანთ მამებზე უარესად იქცეოდნენ ...“ (მსაჯ. 2:19;).

ყოველ შემდგომ თაობაში ღმერთის რჩეული ხალხის გული

უფლის შიში

სულ უფრო და უფრო ცივდებოდა, ვიდრე მთლიანად ყინულისა არ გახდა. ასეთი იყო მათი მდგომარეობა, როცა ყელი იყო ისრაელში მღვდელი და მსაჯული. იგი ორმოცი წლის განმავლობაში მართავდა ისრაელს, და მისი გული გულგრილმა დამოკიდებულებამ მოიცვა, მხედველობა კი მთლიანად ჰქონდა დაკარგული.

ყელის ძეებიც, ხოფნი და ფინხასი., მღვდლები იყვნენ. მათი გახრწნილობა მამის გახრწნილობაზე დიდი იყო. წინამძღოლთა ეს ოჯახი იმდენად საზიზლარი იყო ღმერთისათვის, რომ მან განაცხადა: „ამიტომაც დავუფიცე ყელის სახლს, არც მსხვერპლით და არც პურეულის ძღვენით არ გამოისყიდება-მეთქი უკუნისამდე ყელის სახლის უკეთურება“ (1მეფ.3:14:).

ამ საძაგელ წინამძღოლთა მიზეზით, ხალხი განუდგა ღმერთს ისე როგორც არასდროს. უწინდელ დროს, როდესაც ხალხი გზას ასცდებოდა, მსაჯულები ღმერთთან აბრუნებდნენ მათ. ეს მსაჯულები კი, პირიქით, თავიანთი საქციელით ხალხს ღმერთს აშორებდნენ, ბოროტად იყენებდნენ რა საკუთარ მდგომარეობას და ძალაუფლებას.

ყელის ძეები წვებოდნენ ქალებთან, რომლებიც საკრებულო კარვის შესასვლელთან იკრიბებოდნენ. ისინი ბოროტად იყენებდნენ საკუთარ მაღალ წოდებას და უფლის მსახურებისთვის მოსულ ქალებს უზნეო საქციელის ჩადენას აიძულებდნენ (იხ.1მეფ.2: 22:). ისინი უფლის მიერ ხალხის მსახურებისათვის ბოძებულ ძალაუფლებას და მდგომარეობას საკუთარი სურვილისამებრ იყენებდნენ. მათ საქციელმა ძალიან გაანაწევენა უფალი. ყელიმ იცოდა თავისი შვილების სიხარბის და უზნეობის შესახებ, მაგრამ არ ცდილობდა მათი ცოდვის ალაგმვას ან მათვის მსაჯულობის წოდების ჩამორთმევას.

მათი მეორე დანაშაული ეხებოდა შესაწირავს. ისინი კვლავ ღმერთის მიერ მონიჭებულ ძალაუფლებას კვლავ საკუთარი სიხარბის დასაკმაყოფილებლად იყენებდნენ, და მდიდრდებოდნენ ტყუილისა და მუქარის გამოყენებით ღმერთთან მიტანილი ძღვენის მითვისების ხარჯზე.

გადადებული სამსჯავრო

შეადარეთ ყელის ვაჟების ცოდვა აარონის ვაჟების, ნადაბის და აბიჟუდის, ცოდვას (ადამიანები, რომლებმაც უფლის წინაშე მიიტანეს უცხო ცეცხლი და ამის გამო დაიხოცნენ). ძნელი არ

გადადებული სამსჯავრო

დასვა კითხვა, თუ რატომ არ დაისჯა ღმერთმა ყელის შვილები ისევე სწრაფად, როგორც ეს აარონის ვაჟების შემთხვევაში მოხდა. მათი აღმაშფოთებელი ცოდვა მოწმობდა ღმერთის, ის-რაელისა და მიტანილი მსხვერპლისადმი სრულ უპატივცემულობას. მაში რატომ არ დაისჯვნენ ისინი ამგვარადვე – მაშინვე რატომ არ დაიხოცნენ კარავში? პასუხი მოცემულია შემდეგ მუხლში:

„ყრმა სამუელი უფალს ემსახურებოდა ყელისთან. უფლის სიტყვა ძვირი იყო იმ დღეებში. ხილვები არ იყო ხშირი. ერთხელ ყელი თავის ადგილზე იწვა; თვალები დასწეულებული ჰქონდა და ვეღარ ხედავდა. ღვთის კან-დელი ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი და სამუელს უფლის სახლში ეძინა, სადაც ღვთის კიდობანი იდგა“.

-1 მეტ. 3:1-3;

ჩაინიშნეთ შემდეგი:

– უფლის სიტყვა ძვირი იყო – ღმერთი არ საუბრობდა ისე, როგორც ეს მოსეს დროს იყო. და სადაც იშვიათია მისი სიტყვა, იქ იშვიათი იქნება მისი თანდასწრებაც.

– ხილვები (ანუ გამოცხადებები) არ იყო ხშირი – გამოცხადება მოდის უფლის თანდასწრების დროს (იხ. მათ. 16: 17). ხალხმა არ იცოდა ღმერთის გზები, რადგან ნაკლებად იყო მისი თანდასწრება.

– წინამძლოლთა მზერა იმდენად ბუნდოვანი გახდა, რომ ისინი, ბოლოს და ბოლოს, დაბრმავდნენ. მეორ.რჯ.34:7-ში ნათქვამია: „და იყო მოსე ასოცი წლისა, როცა მოკვდა. თვალთ არ დაკლებია და ძალა არ გამოლევია“. მოსეს არასოდეს არ დაუკარგავს მხედველობა, რადგან იგი ღმერთის დიდებაში დადიოდა. მისი სხეული საიმედოდ იყო დაცული.

ღვთის კანდელი ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი – მან დაიწყო ჩაქრობა, რადგან მასში აღარ იყო ზეთი. ღმერთის დიდება იმდენად შორეული იყო, რომ მისი თანდასწრებიდან მხოლოდ სუსტი ციმციმი თუ შეიმჩნეოდა.

აარონი შვილების შემთხვევაში ძლევამოსილი დიდება მაშინვე გამოვლინდა ადამიანების წინაშე. უფლის ცეცხლი ჩამოვიდა და შთანთქა ისინი, და ნაბადი და აბიჟუდი დაიხოცნენ მისი სახის წინაშე. ღმერთის თანდასწრება და მისი დიდება იმ დროს ძალიან ძლიერი იყო. ყელის შვილები კი ჩაფლულნი იყვნენ

უფლის შიში

თითქმის ბრმა წინამძღვალის სიბნელეში, რომელშიც თითქმის ჩამერალი ღვთის მშჯუტავი კანდელიდან სუსტი ათინათი ციმ-ციმებდა. ღვთის კანდელი თითქმის მთლიანად ჩაქრა.

მხოლოდ ღმერთის თანდასწრების ოდნავ დასახახი კვალიღა დარჩა. მისი დიდება თითქმის გაიფანტა. მყისიერი სამსჯავრო მხოლოდ ღმერთის დიდების თანდასწრებაში მოდის. აი, ამი-ტომ დაისაჯნენ ისინი მაშინვე, სამსჯავრო გადაიდო.

რაც უფრო მეტია დიდება – მით უფრო მაღე აღსრულდება სამსჯავრო

ეს ჭეშმარიტება უნდა განმტკიცდეს ჩეენს გულებში. თუმცა ამის შესახებ ადრე უკვე იყო საუბარი, ახლა იგი გაცილებით თვალსაჩინო გახდა. რაც უფრო მეტია ჩვენს მიმართ გამოვლენილი ღმერთის დიდება, მით უფრო მეტი იქნება მსჯავრდადება უპატივცემულობის გამო და მით უფრო მაღე აღსრულდება ღმერთის სამსჯავრო! როგორც კი ცოდვა ღმერთის დიდების თანდასწრებაში შემოდის, მაშინვე ხდება დაუყოვნებლივი რეაქცია. ცოდვა და ყოველი ადამიანი, რომელიც შეგნებულად სჩადის ამ ცოდვას, განადგურდება. რაც უფრო დიდია სინათლის ძალა, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობა აქვს სიბნელეს.

წარმოიდგინეთ დიდი დარბაზი ფანჯრების და ბუნებრივი განათების გარეშე. იქ გამეფებული იქნება სიბნელე. თქვენ ვერ შეძლებთ საკუთარი ხელის დანახვას. შემდეგ აანთეთ ასანთი. გაჩნდება სინათლე, მაგრამ იგი იქნება ძალიან სუსტი! სინათლე თითქმის არ შეეხება სიბნელეს. აანთეთ 60 ვატიანი ნათურა. სინათლე გაცილებით მეტი იქნება, მაგრამ ოთახის უმეტესი ნაწილი უწინდებურად ჩაბნელებული იქნება. ახლა წარმოიდგინეთ, რომ იქ როგორღაც მოათავსეს სინათლის წყარო, რომელიც სიძლიერით მზეს მიესადაგება. წარმოიდგინეთ, რომ სიბნელის მცირე ნაწილაკიც კი შთაინთქმება, და სინათლე ადრე ჩაბნელებულ ყოველ ჭუჭრუტანაში შეაღწევს!

მსგავსი რამ ხდება, როდესაც ღმერთის დიდებული თანდასწრება შემოსაზღვრულია ან იშვიათია. სიბნელე ხდება მუდმივი, არაფერი არ შემოსაზღვრავს მას. სამსჯავრო გადადებულია. მაგრამ რამდენადაც ინთება ღმერთის სინათლე, იმდენად იზრდება ღვთის სამსჯავროს აღსრულებაში მოყვანის შესაძლებლობა. პავლემ ეს ასეთი სიტყვებით განმარტა:

„ზოგიერთი ადამიანის ცოდვები წინასწარ ცხადია და

გადაღებული სამსჯავრო

სამსჯავროსკენ მიუძღვება წინ, ზოგიერთს კი უკან მიჰყება“.

-1 ტიმ. 5: 24;

ანანიას და საფირას უპატივცემულობის ცოდვა ღმერთის დიდების ძლიერ სინათლეში იქნა მხილებული, და ამიტომ დაისაჯნენ ისინი მაშინვე მყისვე. ამით აიხსნება ის ფაქტი, თუ რატომ არ ისჯება მაშინვე ადამიანთა ის ცოდვები, რომლებიც ნანიას და საფირას მიერ ჩადენილ ცოდვას აღემატებიან. ისინი არ განსხვავდებიან ყელის შვილებისაგან. ისინი აგრძელებენ შეცოდებას, ბრმად არწმუნებენ რა საკუთარ თავს, რადგან შორს არიან მომავალი სამსჯავროს გაცნობიერებისაგან. „არაფერი არ ხდება“, – ფიქრობენ ისინი და მშვიდად არიან. – „ალბათ უფლის სამსჯავრო მე არ შემეხო. მან ვერ შეამჩნია ჩემი საქციელი“. ეს ადამიანები თავს მცდარი მაღლის შეგრძნებით იწყნარებენ, და ღმერთის სამსჯავროს გადავადებას მის გაუქმებად მიიჩნევენ, რაშიც რა თქმა უნდა, ისინი ცდებიან.

ჩვენს შორის ის, ვინც XX საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა, მოწმე იყო იმისა, თუ როგორ არნახულ მაშტაბებს მიაღწია ცოდვამ ეკლესიებში, თანაც არა მხოლოდ რიგით წევრებს შორის, არამედ ხელმძღვანელებს შორისაც კი. ბოლო ათი წლის განმავლობაში ბევრს ვმოგზაურობდი, და როგორც წესი, სამ კვირაში ერთხელ მაინც ვიგებდი პასტორის, მსახურის, უხუცესის ან ეკლესიის სხვა ლიდერის შესახებ, რომელიც სექსუალურ ცოდვაში იყო შემჩნეული, ჩვეულებრივ თავისივე ეკლესიაში მყოფ ქალებთან.

ჩემი გული წუხს, როდესაც შემოწირულობებთან და შესაწირავის შეგროვებასთან დაკავშირებულ მაქინაციებისა და ტყუილების შესახებ ვიგებ. ეს მხოლოდ შესაწირავის რაოდენობასთან დაკავშირებით თქმული ტყუილი როდია, როგორც ეს ანანიას და საფირას შემთხვევაში იყო. რამდენიმეჯერ მოვისმინე, რომ ეკლესიის ხელმძღვანელები და ადმინისტრატორები ფლანგავდნენ საეკლესიო ფინანსებს ან მათ დანიშნულებისამებრ არა იყენებდნენ. ორმა, სხვადასხვა შტატში მცხოვრებმა, ბულალტერმა მე და ჩემს მეუღლეს გულისტკივილით გაგვიმხილა, რომ ისინი დაკავშირებულნი იყვნენ ქრისტიანულ მსახურებებთან და გვიამბობდნენ იმ სიხარბისა და სიცრუის შესახებ, რომლებსაც ისინი ეკლესიის მსახურებს შორის ხედავდნენ. ერთმა მათგანმა თქვა: „კიდევ ერთი მსახურიც

უფლის შიში

რომ მოვიდეს ჩემს ოფისში, რათა გაიგოს, როგორ მიიღოს უფრო მეტი ფული ან როგორ აარიდოს თავი გადასახადების შესახებ კანონს, უბრალოდ დავხურავ ჩემს საქმეს“.

ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გროვდება შესაწირავი არა ადა-მიანების გამო, არამედ სიხარბისა და გამორჩენის წყურვილის გამო. პავლე ამბობს: „არა იმიტომ, რომ მოსაკითხს ვეძებდე, არამედ ვეძებ ნაყოფს, რომელიც თქვენს სასარგებლოდ მრავ-ლდება“ (ფილიპ.4:17:). მე მომისმენია, ეკლესიის ლიდერები, პირიქით, როგორ აქეზებენ იმისათვის, რომ ნებისმიერ ფასად გაზარდონ ღმერთის ხალხის შემოწირულობა. მე მინახავს, თუ როგორ წერენ წერილებს საკონსულტაციო ფირმები, რომლე-ბიც ხალხს ატყუებენ, რათა ფული მიიღონ. ზოგიერთი კონ-სულტანტი ტრაპახობს კიდეც იმით, რომ ეს საქმე მეცნიერრულ დონეზე შეისწავლა, და ზუსტად შეუძლია იმის განსაზღვრა, თუ რას უპასუხებენ მის თხოვნას. პეტრე გვაფრთხილებდა, რომ უკანასკნელ დღეებში გამოჩენდებიან ცრუნინასნარმ-ეტყველნი, რომლებიც „ანგარების გამო ტყუილი სიტყვებით თქვენგან გამორჩენას მოძებნიან. დიდი ხანია, გამზადებულია მათი სამსჯავრო და მათი დალუპვა არ თვლემს“ (2პეტრ.2:3:).

ასეთი ქმედებები ისეთ ატმოსფეროში რომ მომხდარი-ყო, როგორსაც ჩვენ საქმეების წიგნში ვხედავთ, სამსჯავრო განსაზღვრული და მყისიერი იქნებოდა. მაგრამ დღეს სამს-ჯავრო გადადებულია, რადგან ღმერთის კანდელი ბჟუტავს. ღმერთის დიდების უკანასკნელი გადმოღვრა ჯერ კიდევ წინაა.

სოლომონი ჩიოდა: „ვიხილე მე დიდებული დაკრძალვები ბოროტი ადამიანებისა, ვიხილე, როგორ მოდიოდნენ და მიდ-იოდნენ წმიდა ადგილიდან, ადამიანები ამბობდნენ კეთილს ბოროტი ადამიანების შესახებ, რომლებიც დამარხეს. ასეთი რამ ხდებოდა იმ ქალაქებშიც კი, სადაც ამ ბოროტმა ადა-მიანებმა ბევრი ბოროტი საქმეები ჩაიდინეს“ (ეკლ. 8:10; – თანამედროვე თარგმანი). იგი ამბობდა, რომ ეს გარყვნილი ხალხი ხშირად დადიოდა ტაძარში (ეკლესიაში), და სხვა ადა-მიანებს კარგი შეხედულება ჰქონდათ მათზე. ისინი თავიანთი საქმეებით აგინებდნენ ღმერთს, და მიუხედავად ამისა, მაინც სამსჯავროს გარეშე რჩებოდნენ. ამის მიზეზი – სამსჯავროს გადავადებაა.

სოლომონი აგრძელებს: „სადაც სწრაფად არ ისჯება ბორო-ტი, ადამიანის გული ბოროტებით ივსება. თუმცა ცოდვილი ასჯერ ჩაიდენს ბოროტებას, ღმერთი დიდხანს უთმენს მას. სიკეთე ექნებათ ღვთის მოშიშთ, ვინაიდან მოიშიშებენ მის წი-

გადაღებული სამსჯავრო

ნაშე. სიკეთე არ ექნება უკეთურს და ჩრდილივით ხანმოკლე იქნება მისი დღეები, ვინაიდან არ მოიშიშებს ღვთის წინაშე” (ეკლ.8:11-13;). რატომ ექნებათ სიკეთე ღვთის მოშიშებს? რატომ არ ექნებათ სიკეთე მათ, ვინც არ მოიშიშეს ღვთის წინაშე? იმიტომ, რომ გადადებული სამსჯავრო ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამსჯავროს გაუქმებას.

თქვენ გაფრთხილებული ხართ წმიდა წერილის საშუალებით: „...აპა, განმკითხავი კარზეა მომდგარი“ (იაკ.5:9;).

„ვინაიდან ჩვენ ყველანი უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის დროს აკეთებდა – კეთილს თუ ბოროტს“ (2კორ.5:10).

„...უფალი განიკითხავს თავის ერს“. საშიშია ცოცხალი ღმერთის ხელში ჩავარდნა!“ (ებრ.10:30-31;).

ეს შეგონების სიტყვები დაიწერა მორწმუნეთათვის და არა ცოდვილთათვის!

ყელის შვილები უსაფრთხოდ გრძნობდნენ თავს თავიანთ ცოდვებში. შესაძლოა, ისინი ტყუუდებოდნენ საქმით ან წოდებით, რომელსაც ისინი ეკლესიისათვის აკეთებდნენ. შესაძლოა, ისინი საკუთარ თავს გარშემო მყოფი ადამიანების საზომით აფასებდნენ. როგორიც არ უნდა ყოფილიყო მათი ფიქრები, ყელის შვილები ცდებოდნენ, რადგან სხამდათ, რომ ღმერთის სამსჯავროს აღსრულების გადადება მის გაუქმებას ნიშნავდა. ლიდერების ასეთმა უზნეობამ უფრო მეტად გაართულა ისრაელიანების ისედაც ცუდი სულიერი მდგომარეობა.

მადლის დამახინჯებული ხედვა

იმ დროის აღწერისას, რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, პავლემ რამდენიმე გამოსაფხიზლებელი წინასწარმეტყველება მოგვცა ადამიანის სულიერი მდგომარეობის შესახებ. იგი წერდა: „ეს კი იცოდე, რომ უკანასკნელ დღეებში საზარელი უამი დადგება, ვინაიდან ადამიანები იქნებიან თავის მოყვარენი, ვერცხლის მოყვარენი, ამაყნი, ამპარტავანნი, მგმობელნი, მშობლების ურჩნი, უმადურნი, უნმიდურნი, მოძულენი, შეურიგებელნი, ცილისმწამებელნი, შეუკავებელნი, მოღალატენი, სასტიკნი, კეთილის მოძულენი, გამცემნი, თავხედნი, მზვაობარნი, უფრო სიავეთა მოყვარულნი, ვიდრე ღვთისა“ (2ტიმ.3:1-4;).

ყველაზე გამოსაფხიზლებელი ჭეშმარიტებას წარმოადგენს ის, რომ პავლე აღწერს არა მთლიანად საზოგადოებას, არამედ

უფლის შიში

ეკლესიას, რადგან იგი ამბობს: „რომელთაც ლვთისმოსაობის სახე აქვთ, მის ძალას კი უარყოფენ ...“ (2ტიმ.3:5;). ისინი ხშირად დაესწრებიან ეკლესიაში მსახურებებს, მოისმენენ და თვითონაც ისაუბრებენ ლმერთის სიტყვის შესახებ, დაიკვენიან უფლის მადლით, მაგრამ უარყოფენ ძალას, რომელსაც შეუძლია ისინი ჭეშმარიტ ლვთისმოსავ პიროვნებებად გარდაქმნას.

რა ძალას შეუძლია მათი ლვთისმოსავ პიროვნებებად გარდაქმნა? პასუხი უბრალია: ეს ის უფლის მადლია, რომლითაც ისინი იკვენიდნენ. მადლი, რომლის შესახებაც ასწავლიდნენ და რომლისაც სწამდათ მრავალ ეკლესიებში ბოლო ოცი-ოცდაათი წლის განმავლობაში, არა ჭეშმარიტი მადლი, არამედ მხოლოდ ყალბი. ეს მოხდა იმის შედეგად, რომ ყურადღება გამახვილდა ლმერთის მადლის შესახებ სწავლებაზე ლვთის მოშიშების საზიანოდ.

თუ ლმერთის სიყვარულის შესახებ სწავლება გაწონასწორებული არ არის ლვთიური შიშის გაგებასთან, მაშინ ეს შეცდომამდე მიგვიყვანს. იგივე მოხდება, თუ ლვთიური შიშის შესახებ სწავლება გაწონასწორებული არ იქნება ლმერთის სიყვარულის შესახებ სწავლებასთან. აი, რატომ არის ნათქვამი: „ამრიგად, ხედავ ლვთის სახიერებას და სიმკაცრეს...“ (რომ. 11: 22;). აუცილებელია როგორც ერთი, ისე მეორე, ამის გარეშე ჩვენ ვერ ვიქნებით ჰარმონიაში.

საუბრებში და მრავალი ეკლესიის კათედრიდან მომისმენია, თუ როგორ ამართლებენ მორწმუნები და ეკლესიის წინამდლოლები დაუმორჩილებლობას, თვლიან რა, რომ ყველაფერს ლმერთის მადლი ან ლმერთის სიყვარული ფარავს. ლმერთის მადლი დაუმსახურებელია; და მას ნამდვილად შეუძლია დაფაროს, მაგრამ არა ისე, როგორც გვასწავლიდნენ. იგი არ ამართლებს ცოდვას, არამედ გვაძლევს საშუალებას წინ აღვუდგეთ მას.

ეს უთანხმოება ჩვენს მსჯელობაში შემოდის იმ დრომდე, ვიდრე არ ვიგრძნობთ, რომ ტალღები არ ემორჩილებიან ლმერთს, როდესაც ეს უხერხულია ჩვენთვის ან არ არის ჩვენთვის სასარგებლო. შეცოდებისას, ჩვენ ვაწყნარებთ საკუთარ თავს და ვაიძულებთ სინდისს, რომ გაჩუმდეს, და თავს ვინუგეშებთ ასეთი ფიქრებით: „ლმერთის მადლი დაფარავს ამ ცოდვას, რადგან მას ვუყვარვარ და იცის როგორი ძნელი მომენტები არსებობს ცხოვრებაში. მას სურს, რომ მე ბედნიერი ვიყო, და მნიშვნელობა არა აქვს, რის ფასად იქნება ეს ბედნიერება მიღწეული! მართალი ვარ?“.

გადადებული სამსჯავრო

რა თქმა უნდა, ჩვენ ჩვეულებრივ არ გამოვთქვამთ ასეთ ფიქრებს, მაგრამ ისინი მაინც არსებობენ. და ამ მსჯელობის ნაყოფს „ღვთისმოსაობის სახე“ წარმოადგენს, რის შესახებაც ზუსტად იწინასწარმეტყველა პავლე მოციქულმა.

თუმცა მადლი ფარავს, მაგრამ იგი უბრალოდ საფარი როდია. მას გაცილებით მეტი რამ შეუძლია. მადლი გვაძლევს ძალას, რათა ვიცხოვროთ სინმიდეში და ღმერთის ძალაუფლების მორჩილებაში. ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი შთაგვაგონებს: „... ვიქონიოთ მადლი, რომლითაც სათნოდ ვემსახურებით ღმერთს, მოწინებითა და მოშიშებით“ (ებრ.12:28;). მადლის აღნერა არ ჰგავს გადასაფარებელს ან რბილ ხალიჩას, რომლის ქვეშაც ყველაფრის დამალვა შეგვიძლია, არამედ მადლი – ესაა ძალა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვემსახუროთ ღმერთს „სათნოდ“, საკადრისი პატივისცემით და წმიდა შიშით. ეს გახლავთ ძალის არსი, რომელიც ღმერთის მორჩილებაში განვლილი ცხოვრების მხარეს დგას. ესაა მტკიცება ჩვენი გადარჩენისა.

ამის პასუხად ზოგიერთი იტყვის: „მაგრამ ბიბლიაში ნათქვამია: „ვინაიდან მადლით ხართ გადარჩენილები რწმენის მეშვეობით, და ეს თქვენგნით კი არ არის, არამედ ღვთის ნიჭია“ (ეფეს.2:8-9;). დიახ, ეს მართალია, შეუძლებელია საკუთარი ძალებით იცხოვრო ისეთი ცხოვრებით, რომელიც დაიმსახურებს იმ მექვიდრეობას, რომელსაც ჩვენ ღმერთის სამეფოში მივიღებთ, რადგან ღმერთის თვალსაზრისით ყველამ შესცოდა და არავინ არის მართალი. ჩვენგან ვერავინ ვერ შეძლებს ღმერთის წინაშე იმის გაცხადებას, რომ საქმეებით, მოწყალებებით და კარგი ცხოვრებით იმსახურებს ღმერთის სასუფეველში დამკვიდრებას. თითოეულმა ჩვენგანმა შესცოდა და საუკუნო სასჯელს იმსახურებს.

გადარჩენა ღმერთის მადლით მიღებული საჩუქარია – საჩუქარი, რომლის დამსახურებაც შეუძლებელია – აი, ესაა ღმერთის პასუხი ჩვენს ნაკლოვანებებზე (რომ. 4:4;). ეკლესიაში ბევრს აქვს ეს გაცნობიერებული. მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით მადლის ძალის ჩვენება, რომელიც არა მარტო გვიხსნის სიკვდილისაგან, არამედ გვაძლევს უნარს ვიცხოვროთ სრულიად სხვანაირი ცხოვრების წესით. ღმერთის სიტყვა ამბობს:

„ასევეა რწმენაც: თუ საქმენი არ გააჩნია, თავისთავად მკვდარია. მაგრამ იტყვის ვინმე: „შენ გაქვს რწმენა, მე კი მაქვს საქმენი. მიჩვენე შენი რწმენა საქმეთა გარეშე და გიჩვენებ ჩემს რწმენას ჩემს საქმეთაგან!“.

-იაკ. 2:17-18;

უფლის შიში

იაკობის სიტყვები არ ეწინააღმდეგება პავლეს სიტყვებს. იაკობი განმარტავს პავლეს სიტყვებს და ამბობს, რომ უფლის მორჩილებით ცხოვრება – ესაა მოწმობა იმისა, რომ ადამიანმა ღვთის მადლი მიიღო. მადლი ადამიანს მხოლოდ ღმერთისად-მი მოშიშებით მორჩილების სურვილს კი არ აძლევს, არამედ ამის გაკეთების უნარსაც. ადამიანი, რომელიც გამუდმებით არ ემორჩილება ღმერთის სიტყვას – ესაა ადამიანი, რომლის რწმენაც შესუსტდა ან რომელშიც მას საერთოდ არ ჰქონია. იაკობი აგრძელებს:

„თქვენ ხედავთ, რომ საქმით მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით“.

-იაკ. 2:24;

იაკობი წინასწარ აფრთხილებს ამ სიტყვებით მათ, ვისაც მაგალითის სახით მოჰყავს აბრაამი, რწმენის მამა. „განა ჩვენი მამა, აბრაამი, საქმეებით არ გამართლდა, (ყურადღება მიაქცი-ეთ: საქმეებით გამართლდა. – ავტორის შენიშვნა) როცა თავის ძეს, ისაკს, სამსხვერპლოზე სწირავდა“ (იაკ.2:21;)? აბრაამის რწმენა დამონმებულ იქნა მისი საქმეებით. მისმა ქმედებებმა ანუ საქმეებმა, დაადასტურეს მისი რწმენის სრულყოფილება. „აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: „და ერწმუნა აბრაამი ღმერთს“. ეს მას სიმართლეში ჩაეთვალა და ღვთის მეგობარი ეწოდა“ (იაკ.2:23;).

ჩვენს ენაში სიტყვაში „რწმენა“ ისეთი მნიშვნელობა შეიძინა, რომ იგი „რაღაცის არსებობის აღიარებას“ ნიშნავს. მრავალი ადამიანი ლოცულობდა ცოდვილის ლოცვით, რადგან რაღაც იგრძნეს, მაგრამ შემდეგ ისინი კვლავ ღმერთის დაუმორჩილებლობის გზას დაუბრუნდნენ. ისინი განაგრძობენ საკუთარი თავისთვის ცხოვრებას, მთელი ამ ხნის განმავლობაში ისინი იმ გადარჩენით იმედოვნებდნენ, რომელიც მათ „იგრძნეს“, ასეთ გადარჩენას კი მათი შეცვლის ძალა არ შესწევს. დიახ, მათ სწამთ ღმერთი, მაგრამ ბიბლია ამბობს: „შენ გწამს, რომ ღმერთი ერთია, კარგს შვრები. მაგრამ ეშმაკებსაც სწამთ იგი და თრთიან“ (იაკ.2:19;).

რა სარგებელია, თუ ადამიანი აღიარებს იესო ქრისტეს, როდესაც მის გულში ცვლილებები არ არის და ამიტომ მისი მოქმედებებიც არ იცვლება?

წმიდა წერილში სიტყვა „რწმენა“ სხვადასხვა მნიშვნელო-ბით გამოიყენება. ეს უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ იესოს არსებობის აღიარება; ეს კიდევ ნიშნავს მისი სიტყვის და მისი

გადადებული სამსჯავრო

ნების მორჩილებას. ამით აიხსნება ეპრაელთა მიმართ წერილში ნათქვამი: „და იგი სრულქმნილი, საუკუნო ხსნის მიზეზი შეიქმნა ყველა მისი მორჩილისათვის“ (ებრ. 5:9). გნამდეს – ნიშნავს იყო მორჩილი; იყო მორჩილი – ნიშნავს გნამდეს. აბრაამის რწმენის დასტური მისი მორჩილება გახდა. მან თავისი ძვირფასი ძე შესწირა ღმერთს მსხვერპლად. არაფერი და არავინ, საკუთარი შვილიც კი, არ იყო აბრაამისთვის ღმერთის მორჩილებაზე მნიშვნელოვანი. ასეთია ჭეშმარიტი რწმენა.

ტყუილად კი არ წერს პავლე რომაელთა მიმართ წერილში: „მაშ, რწმენით, რათა ყოფილიყო მადლით, რათა აღთქმა მტკიცე ყოფილიყო მთელი თესლისათვის. არა მარტო რჯულით თესლისათვის, არამედ რწმენით აბრაამის თესლისთვისაც, ვინც ყველა ჩვენგანის მამა“ (რომ. 4:16). ვხედავთ კი ჩვენ ისეთივე აშკარა რწმენას და მადლს დღეს ჩვენს ეკლესიებში? როგორ მოვტყუვდით ასე?

„ღმერთი ჩვენი მსგავსია“

ყელი და მისი ვაჟები არა მხოლოდ ატყუებდნენ ისრაელ ხალხს, არამედ თვითონაც ცდებოდნენ. მათ სწამდათ, რომ ღმერთი თვალს ხუჭავდა მათ დაუმორჩილებლობაზე. ისინი ფიქრობდნენ, რომ ღმერთი ზუსტად ისეთია, როგორებიც ისინი არიან. ისინი ღმერთის შესახებ საკუთარი ცოდნის და ნანახის შესაბამისად მსჯელობდნენ.

პავლე აგრძელებს თანამედროვე ეკლესიებში მყოფი ადამიანების შესახებ წინასწარმეტყველებას, რომლებსაც არ შესწევთ ძალა იცხოვრონ ღვთისმოსაობით: „ბოროტი ადამიანები და ცრუმარქევიები კი წინ წაიწევენ უარესისაკენ, სხვებსაც აცდენენ და თავადაც ცდუნებაში იქნებიან“ (2ტიმ. 3:13;).

მისი წინასწარმეტყველება ჩვენს დღეებში სრულდება. მიმართავს რა გარეუნილ ლიდერებს და ცრუმორნმუნებს ეკლესიაში, ღმერთი ამბობს:

„...რას ქადაგებ ჩემს კანონებს და პირთან მიგაქვს ჩემი პირობა, გძულს დარიგება და უკუმოსროლე ჩემი სიტყვები? როცა ქურდს დაინახავ, მასთან გაიქცევი, და გარყვნილებთან გაქვს წილი. პირი შენი მიშვებული გაქვს სიავეზე და შენი ენა თხზავს სიყალბეს. დაჯდები და შენი ძმის წინააღმდეგ ლაპარაკობ, და დედაშენის შვილის შერცხვენას ცდილობ“.

-ფსალმ. 49:16-20;

უფლის შიში

ღმერთი გვეკითხება: „რატომ ქადაგებთ ჩემს სიტყვას, თუ არ გეშინიათ და არ მემორჩილებით? რატომ ატყუილებთ სხვებს და თვითონაც ტყუვდებით?“. იგი ამბობს:

„ეს ჩაიდინე შენ და მე ვდუმდი; გეგონა, რომ მეც შენ-სავით ვარ; გამხილებ და შენს თვალწინ დაგიმტკიცებ“. -ფსალმ. 49:21;

ღმერთი ამბობს: „მე ვდუმდი“. სამსჯავრო გადაღებულია, მაგრამ არა გაუქმებული, რადგან უფალი ამტკიცებს: „მე გამხელ შენ, შენს თვალწინ დაგიდებ შენს ცოდვას“. გახსოვ-დეთ: ღვთიური წესრიგი ნინ უძლვის დიდების გამოვლინებას. როგორც კი გამოვლინდება დიდება, უწესრიგობას მაშინვე მსჯავრდადება ხვდება, რაც ღვთიური წესრიგის დამყარებას ემსახურება. ღმერთი იმ ადამიანებს, რომლებიც სამსჯავროს ელიას, პირობას აძლევს: „ეჭვს წუ შეიტანთ იმაში, რომ წეს-რიგი დამყარდება, რადგან წესრიგს მე დავამყარებ “.

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ურჩი და ღმერთისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების მქონე ადამიანები საკუ-თარი სინდისით იმშვიდებენ თავს. მათ სწამთ, რომ ღმერთი ყველაფერში მათ ჰგავს. ისინი ღმერთის დიდებას წარმავალი ადამიანის დონემდე ამცირებენ!

ღმერთის ხალხო, მოისმინეთ მისი წყალობის სიტყვები! თქვენ შეიძლებათ თქვათ: „მადლის სიტყვები? მე მეგონა, რომ თქვენ სამსჯავროს შესახებ საუბრობდით!“. არა, წინასწარმ-ეტყველებებში და წერილებში ღმერთი ჩვენს გაფრთხილებას ცდილობს, რათა აგვარიდოს თავის სამსჯავროს. ამიტომ მისი სიტყვები – მადლის სიტყვებია!

ღმერთს აქვს ნაშთი

ღმერთის სულის საშუალებით პავლემ დაინახა, რომ ღმერ-თის დიდება დაინყებს ჩაქრობას, ვიდრე თითქმის სრულიად არ ჩაქრება. სულინმიდის მეორედ გადმოღვრის წინა დღეე-ბში სწორედ ასეთი სულიერი ვითარება იქნება. მღვდლები და ადამიანები გაირყვნებიან. პავლე მწუხარებით წინასწარმ-ეტყველებდა:

„ვინაიდან დადგება დრო, როდესაც საღ მოძღვრებას არ მიიღებენ, არამედ თავიანთი გულისთქმებით ამოირჩევენ ყურის მაამებელ მასწავლებლებს“.

-2 ტიმ. 4:3;

გადადებული სამსჯავრო

სამწუხაროდ, ჩვენ სწორედ ამ დროში ვცხოვრობთ. ძალიან ბევრი პასტორისა და მსახურის ძალისხმევა მიმართულია იქ-ითკენ, რომ ხალხის მასები მიზიდონ, და არა იქითკენ, რომ თავი სიწმიდეში დაიცვან. მათ ეშინიათ ჭეშმარიტების თამამად ქადაგების, რადგან ეშინიათ საფრთხე არ შეუქმნან ყოველივე იმას, რასაც ესოდენ შეუპოვრად აშენებდნენ. ამიტომ ისინი ხალხს ეუბნებიან იმას, რისი მოსმენაც მათ სურთ, და კონ-ფლიქტს გაურბიან.

აი, როგორია დამანგრეველი შედეგები. ჩვენს ეკლესიებში სხედან ცოდვილები, რომლებიც ვერ გრძნობენ ცოდვაში მხილებას და რომლებმაც არ იციან, რა არის სიწმიდე. ცდომილებაში მყოფი მრავალი ასეთი პიროვნება თავს დახსნილად თვლის, თუმცა სინამდვილეში ისინი არ არიან დახსნილნი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მსახურს ჯილდოს და მონონების მიღება სურს ადამიანებისაგან, და მხედველობაში არ იღებენ ღმერთის მწყალობლობას. ამ დროს კი ღვთისმოსავი მორწმუნები ამბობენ: „სადღაა ღმერთი?“. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ვიდრე ჩვენი საზოგადოება სიბნელის ტყვეობაში რჩება, ადამიანები ეკლესიას ზიზღით უყურებენ. ეკლესიას სინამდვილეში არ შეუძლია საზოგადოების სერიოზული დახმარება, რადგან იგი თვითონ არის სენმშეყრილი და ავადმყოფი, იმის გამო, რომ მასში არ არის უფლის შიში.

რა გამოსავალს პოულობს ღმერთი? გამოსავალი გახდავთ სიტყვაში „ნაშთი“. ისევე, როგორც ღმერთმა იპოვა ნაშთი – ადამიანები, რომლებიც მოწინებით ეპყრობიან მის სიტყვას, – რათა თავისი დიდებით აღავსოს ისინი პირველი წვიმის დროსაც, – მორწმუნებს, რომელთა მეშვეობითაც იგი კვლავ გამოავლენს თავის დიდებას. ამ ნაშთის ზომას და რაოდენობას მნიშვნელობა არა აქვს. ამ მორწმუნებს ეყვარებათ ღმერთი და ისინი დაემორჩილებიან მას მიუხედავად იმისა, თუ რის ფასად მოუწევთ მათ ამის გაკეთება. დღეს მსოფლიოში არიან ლიდერები, მსახურები და უბრალოდ მორწმუნები, რომლებიც ღმერთს მისი სულის ასეთ გადმოღვრას ევედრებიან.

ჩვენ სრულებითაც არ ვიქწებით იქ, სადაც
ვიყავით და სადაც ამჟამად ვიმყოფებით! ჩვენ
ზეცას უნდა მივაპყროთ მზერა და ლმერთის
მომავალი დიდება დავზეროთ!

თავი IX

მოგავალი დიდება

„პირვანდელზე უფრო დიდი იქნება ამ უკანასკნელი სახლის
დიდება, -ამბობს ცაპაოთ უფალი“.
-ანგ.2:9;

გე ხშირად მიწევს იმის მოსმენა, თუ როგორ იკვეხნიან
მსახურები და მორწმუნები იმით, რომ უკანასკნელი
წვიმის დროს ვცხოვრობთ. ისინი ამბობენ, რომ ეკლე-
სია წინასწარმეტყველების მიერ ნაწინასწარმეტყველებ ღმერ-
თის სულის დიდებულ გადმოღვრას განიცდის, და რომ იქსო
შეიძლება ნებისმიერ დღეს მოვიდეს. ისევ და ისევ მესმის ამის
შესახებ. მათ, ვინც ასე ლაპარაკობს, მე ვპასუხობ: „თქვენი
შეხედულებები ძალიან ვიწროა! თქვენ კმაყოფილდებით გაც-
ილებით მცირედით, ვიდრე ღმერთს სურს რომ მოგცეთ“.

ამას ხშირად უცოდინარობის გამო ამბობენ, და ეს უფრო
მეტად ღმერთის სულის ჭეშმარიტი მოძრაობის დროს ხდება. როგორი
საოცარიც არ უნდა იყო ამ შეკრებებზე ღმერთის
სულის მოძრაობა, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ
უკანასკნელი წვიმის დიდებას განვიცდით. ჩვენ ერთმანეთში
აგვერია ღმერთის სულის მოძრაობა, რომელსაც ხშირად თან
სდევს ძალა, ცხებულება და ნიჭები, ღმერთის იმ დიდებასთან,
რომელიც ჯერ კიდევ წინაა. ჩვენ არ შეგვიძლია დავინახოთ
მომავალი ღმერთის დიდება ჩვენი გულის თვალებით.

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოდ, ასეთი განცხადე-
ბები სულიერი სიზარმაცის შედეგს წარმოადგენს. ერთნი დაი-
ლალნენ ზრდა-განვითარებით, დაიქანცნენ ღმერთის უმაღლე-
სი მოწოდებისაკენ სწრაფვით და დაბანაკდნენ იმ ადგილას,
რომელიც არ შეესაბამება ღმერთის მოწოდებას. სხვები
უმიზნოთ დაეხეტებიან და ეძებენ იოლ გზას. ამ გზებს კომ-
პრომისი, ქვეყნიური აზროვნება, რელიგია და მცდარი ერთობა
ეწოდება. ნებისმიერ შემთხვევაში, ადამიანი, რომელიც ამ გზე-
ბით დადის, ისწრაფვის ადამიანური დიდებისაკენ და – თუკი
მას თვალს არ აუხელენ – იგი შეენინააღმდეგება ღმერთის
დიდებას, როდესაც იგი, ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდება.

უფლის შიში

სხვები ღმერთის დიდების გადმოღვრის შესახებ მხოლოდ იმიტომ აცხადებენ, რომ გულგატეზილი ადამიანები გაამხნევონ. ეს გაცილებით საშიშია, რამეთუ ამაში არ არის პატივისცემა. ღმერთი დაელაპარაკა ჩემს გულს: „ისინი, ვინც ეძებს ყალბს, ვერასოდეს ვერ იპოვიან ნამდვილს“. თუკი ისინი კვლავ გააგრძელებენ ჩემს უპატივცემულობას, მაშინ მსჯავრდადებული იქნებიან, როდესაც ღმერთის დიდება გამოვლინდება, რომლის მიზანსაც დიდებული განახლებისა და სიხარულის მოტანა წარმოადგენს.

ზოგიერთი შემეკამათება: „მაგრამ დღეს ხომ იმატა ღმერთის ძალამ, განკურნებებმა და სასწაულებმა“. შეიძლება, მაგრამ მხოლოდ ამ ნიშნით არ შეიძლება იმაზე მსჯელობა, დაინყო თუ არა უკანასკნელი წვიმა. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ სულიერი ნიჭები შეიძლება გამოვლინდეს იმ ადამიანების მეშვეობითაც, ვინც ჯერ არა სასურველია ღმერთისთვის. როდესაც მოდის ცხებულება ღმერთისგან, ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ღმერთი ეთანხმება ყველაფერს, რაც იქ ხდება და ყველაფერი მოსწონს. იესო გვაფრთხილებდა, რომ სამსჯავროს დღეს მასთან მისულები იტყვიან, რომ ისინი ეშმაკებს დევნიდნენ, ნინასწარმეტყველებდნენ და სასწაულებს ახდენდნენ მისი სახელით, მაგრამ იესო მათ უპასუხებს: „გამშორდით, უსჯულოების მოქმედნო!“.

ჩვენ არ უნდ დავივინყოთ ღმერთის მიზანი მისი ქმნილებისადმი. მან ადამი ედემის ბალში იმიტომ კი არ დაასახლა, რომ ადამს იქ სახარების ქადაგების, განკურნების და განთავისუფლების მსოფლიო მსახურება ჩაეტარებინა. არა, ადამი ედემის ბალში დასახლებული იქნა იმისათვის, რომ ღმერთიან ერთად ესეირნა ბალში. ღმერთს ადამთან ურთიერთობა სურდა, მაგრამ ეს ურთიერთგაგება ადამიანის დაუმორჩილებლობის გამო შეწყდა.

ჩვენ ღმერთმა შეგვქმნა, რათა თანაარსებობა გვქონდა მის დიდებასთან. მაგრამ დაუმორჩილებლობას არ შეუძლია ჩვენში დარჩენა, თუ ჩვენ ვაამებთ ღმერთს. ჩვენი ჭეშმარიტი სულიერი მდგომარეობა პირდაპირაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ვემორჩილებით ღმერთის ნებას. ჩვენს ცხოვრებაში შეიძლება იყოს ცხებულება, მაგრამ ამასთან ჩვენ შეიძლება ვერ ჩავწვდეთ ღმერთის გულს. გაიხსენეთ იუდას, ბალაამის და მეფე საულის მაგალითები: ყოველი მათგანი ცხებულების ქვეშ დადიოდა, მაგრამ ეგოისტური მოტივების გამო ისინი ჩამომორდნენ ღმერთის დიდებაში ცხოვრების გზას.

მომავალი დადება

ღმერთი იმისათვის არ წამონევს თავის შვილებს, რომ მათ სასწაულები მოახდინონ. ძველ აღთქმაში ღმერთმა წინასწარმ-ეტყველ ბალამის ვირის პირით დაილაპარაკა, მაგრამ ეს ფაქ-ტი ჯერ კიდევ არ წინაავს იმას, რომ უტყვი ცხოველი ღმერთის დიდების სავანე გახდა! ბოლო ექვსი ათასწლეული ღმერთი მოთმინებით შრომობდა თავისი ტაძრის აშენებაზე, რომელიც მისი მორჩილი, მოყვარული და მოშიში შვილებისაგან შედგე-ბოდა. პეტრე წერდა: „და თქვენც აშენდით, როგორც ცოცხ-ალი ქვები, სულიერ სახლად...“ (13ეტრ.2:5;). და პავლე ადას-ტურებს ამას სიტყვებით: „... საძირკველზე, სადაც თვითონ ქრისტე იესოა ქვაკუთხედი, რაზედაც მთელი შენაწევრებული შემობა იზრდება უფალში წმიდა ტაძრად, რომელზეც შენდ-ებით თქვენც ღვთის დასამკვიდრებლად სულში“ (ეფეს.2:20-22;).

თუ ჩვენ ვიქწებით გულწრფელნი, მაშინ ვალიარებთ, რომ ჩვენ – მისი ტაძრები – მზად არა ვართ მისი დიდებისათვის. ეს ტაძარი ჯერ კიდევ შენდება. ღვთიური წესრიგი ჯერ კიდევ მყარდება ადამიანის გულში.

ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა

ისრაელის ისტორიაში არის კიდევ ერთი პერიოდი, რომელიც შეიძლება ეკლესიის ახლანდელ მდგომარეობას შევადაროთ. გახსოვდეთ, რომ ისრაელის ისტორიაში არსებული მოვლენები და ჭკეუს სასწავლებელი გაკვეთილები მომავალი ეკლესიის ის-ტორიის პირველსახეს და აჩრდილს წარმოადგენს. ბაბილონის სამოცდაათწლიანი ტყვეობის შემდეგ ებრაელი ხალხი კვლავ საყვარელ ადგილს, ალთქმულ მიწას დაუბრუნდა. სამსჯავრომ განვლო, და დაიწყო აღმშენებლობის ხანა. ეს გახლავთ ქა-ლაქის კედლების და ტაძრის აღდგენის დრო.

თავიდან აღდგენითი სამუშაოები ენთუზიაზმითა და თავის მიძღვნით მიიღეს და ამას ყველა შეუპოვარი შრომის დაწყებით შეხვდა. მაგრამ, როდესაც გაქრა აღმაფრენა, ადამიანებს აღარ ჰქონდათ მუშაობის სურვილი, და კიდევ 16 წელი დასჭირდათ იმისათვის, რომ ტაძრის შენება დაემთავრებინათ. ადამიან-ების პირადი საქმეები უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვი-დრე ღმერთის სახლის აღდგენა. ღმერთისადმი პატივისცემა პირადი საქმეების ოკეანეში ჩაიძირა. ის, რასაც ღმერთი მნიშ-ვნელოვნად და წმიდად თვლიდა, მეორეხარისხოვანი გახდა.

უფლის შიში

ადამიანების ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, ღმერთმა ხალხიდან წინასწარმეტყველი ანგია წამონია. იგი არსებული მდგომარეობის წინააღმდეგ გამოვიდა, და ასეთი შეკითხვა დასვა: „იმის უამი კი არის, რომ გადახურულ სახლებში ისხ-დეთ, ეს სახლი კი მიგდებული იყოს?“ (ანგ.1:4;). ისრაელიანები ვერ ხდეავდნენ პერსექტივებს, რადგან მათი ყურადღება თან-დათანობით საკუთარ თავზე ზრუნვამ მოიცვა. როცა ასეთი რამ ხდებოდა, ღმერთისკენ სწრაფვის ძლიერი წყურვილი დაშ-რეტას იწყებდა.

ამ წინასწარმეტყველის საშუალებით ღმერთმა აგვისსნა, თუ რატომ იყო იგი უკმაყოფილი: „ბევრის მოლოდინი გაქვთ, მა-გრამ მცირედი გისრულდებათ. რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ. რატომ?“ – ამბობს ცაბაოთ უფალი. – „იმიტომ, რომ მიგდებულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყველანი თქვენს სახლე-ბზე ზრუნავთ“ (ანგ.1:9;). წვიმა არ მოდიოდა და მოსავალი არ ირწყვებოდა. ყოველთვის, როდესაც „კურთხევებს“ უფრო ვეძებთ, ვიდრე ღმერთს, იგი წაგვართმევს ან შეაყოვნებს მათ, რათა ჩვენ კვლავ მისი მოხმობა დავიწყოთ.

დღევანდელი პრობლემაც ხომ ესაა? ჩვენც აღდგენის ეპო-ქაში ვცხოვრობთ, რადგან ბიბლიაში ნათქვამია, რომ იესო არ დაბრუნდება იმ მომენტამდე, სანამ ყველაფერი არ აღდგება (იხ.საქმე.3:21;). წმიდა წერილში მოცემულია დაპირება, რომ ყველაფერი, რაც დაიკარგა, მის მოსვლამდე აღდგება. ღმერ-თმა აღადგინა ისრაელის მატერიალური ტაძარი, მაგრამ ჩვენი ტაძარი მატერიალური როდია. ესაა სამსხვერპლო, რომელიც ჩვენი გულებისგან შედგება. ეს წმიდა ტაძარი მომზადებული და კვლავ ღვთიურ წესრიგში მოყვანილი იქნება ღმერთის დიდებისათვის.

მაგრამ ამ აღდგენის პერიოდში ჩვენ ისე ვიქცევით, რო-გორც ისრაელი იქცეოდა. ჩვენ ვჩეკარობთ კურთხევების მიღე-ბას, ვეძებთ მოხერხებულ და ოოლ გზებს. მრავალმა ჩვენგანმა ყველაზე საუკეთესო გაილო საკუთარი „მორთული სახლის“ ასაშენებლად. ჩვენ საკუთარი დროის დიდ ნაწილს პირად წარმატებებს, უსაფრთხოებას და კეთილდღეობას ვუძღვით.

სად არის ჩემი პატივისცემა?

მოგვიანებით ღმერთი ისევ ეკითხებოდა ისრაელს ძველი აღთქმის ბოლო წინასწარმეტყველის მაღაქიას პირით. იგი დროის იმ პერიოდში ცხოვრობდა, რომელშიც ანგია წინას-

მომავალი დადება

ნარმეტყველი – აღდგენის პერიოდში. იგი მიმართავდა ხალხს:

„შვილი პატივს სცემს მამას და ყმა — თავის ბატონს. თუ მამა ვარ, სად არის ჩემი პატივისცემა? თუ მათი ბატონი ვარ, სად არის ჩემდამი შიში?“ თქვენ გეუბნებათ ცაბაოთ უფალი, მღვდლებო, ჩემი სახელის შეურაცხმყოფელნო, თქვენ კი ამბობთ: „რითი შეურაცხვყავით შენი სახელი?“ მოგაქვთ წაბილული პური ჩემს სამსხვერპლოზე და ამ-ბობთ: რითი წაგბილნეთო? იმით, რომ ამბობთ: უფლის ტაბლა რა პატივის ლირსია. ბრმას რომ მწირავთ მსხ-ვერპლად, ცუდი არ არის? კოჭლი და სნეული რომ მო-გყავთ, ცუდი არ არის? აბა, მიართვი იგი შენს ხელისუ-ფალს, თუ მოგიწონოს ან თუ კეთილად შემოგხედოს? — ამბობს ცაბაოთ უფალი“.

— მალ. 1:6-8;

ღმერთი მიმართავს თავის ხალხს: „თქვენ მე მიწოდებთ უფალს, მაგრამ სად არის ალიარება, სად არის ჩემი პატივ-ისცემა?“. რაში გამოიხატებოდა უპატივცემულობა? ადამიან-ები საუკეთესოს თავიანთოვის იტოვებდნენ, ხოლო ცუდს კი ღმერთს აძლევდნენ.

ღმერთი ამ ადამიანების საქციელს უპატივცემულობას ეძა-ხდა. იმისათვის, რომ ისრაელიანებმა საკუთარი შეცდომები ნათლად დაინახონ, ღმერთი მათ სთავაზობს: „ის, რასაც მე მა-ძლევთ თქვენს ხელისუფალს მიუტანეთ (ან მაგ. უფროსს, ხე-ლისუფლების წარმომადგენელს, უფრო მცირეს, ვიღრე მთელი მსოფლიოს მეფეა. — ავტორის შენიშვნა)!“. მრავალი ჩვენგანი ისე რომ მუშაობდეს თავის სამსახურში, როგორც ღმერთისთ-ვის შრომობს, მას, ალბათ, ერთ კვირაში დაითხოვდნენ სამ-სახურიდან.

მოდით ვნახოთ, როგორ პატივს მივაგებთ ხშირად ღმერ-თს. ჩვენ მოვდივართ ეკლესიაში ათი წუთის დაგვიანებით. ვსხედვართ და თვალს ვადევნებთ იმას, თუ როგორ მსახურო-ბენ სხვები, თვითონ კი თითსაც არ ვანძრევთ რამის გასაკეთე-ბლად. მუდმივად ვასამართლებთ ეკლესის ხელმძღვანელებს და მსახურებს. ყოველთვის ეჭვის თვალით ვუყურებთ იმას, თუ როგორ იხარჯება ფული, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იშვიათად ვიძლევით მეათედს და შესანირავს. ვერ ვითმენ და სადილის გამო ადრე მივდივართ ეკლესიდან, ჯერ კიდევ მსახურების დასრულებამდე. ჩვენ ვესწრებით მხოლოდ ძირი-

უფლის შიში

თად მსახურებებს და ვპრაზდებით, როდესაც დამატებით სხვა მსახურებებსაც ნიშნავენ. ცუდი ამინდის დროს სახლში ვრჩებით, და ვტკბებით იმით, რაც ძალიან გვიზიდავს. თუ ტელევიზით ჩვენს საყვარელ გადაცემას უჩვენებენ, მსახურებას ვაცდენთ იმისათვის, რომ მას ვუყუროთ.

რამდენი ხანი შევძლებდით სამუშაო ადგილის შენარჩუნებას, თუკი ასეთივე დამოკიდებულება გვექნებოდა ჩვენი მის მიმართ?

მათი უმეტესობა, ვინც ეკლესიებში ან ქრისტიანულ მსახურებებში შრომობს, გადატვირთული არიან, რადგან ძალიან ცოტას სურს საკუთარი დროის მსახურებისთვის მიძღვნა, მიუხედავად უდიდესი დატვირთვისა. უმეტესობა მხოლოდ იმისათვის მოდის, რომ მიიღოს ან იმსახუროს. ეკლესიაში ლარიბები და საჭიროების ქვემით ადამიანები უარყოფილი არიან, რადგან ისინი, ვისაც მათი დახმარება შეეძლო, ძალიან დაკავებული არიან საკუთარი ცხოვრების მოწყობით. როდესაც ვახდენთ შეჯამებას, ირკვევა, რომ ყველა საკუთარი წარმატების მიღწევით არის დაკავებული, და იმაში, რომ ლარიბებზე არავინ ზრუნვას, ყველაზე მეტად პასტორს ვადანაშაულებთ.

ასეთი სახის საქციელი – სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის უპატივცემულობა. მრავალი ჩვენგანი მზად არის შეუპოვრად იმუშაოს მრავალი საათის განმავლობაში, რათა ფული გამოიმუშავოს, მაგრამ ჩვენ არ გვისამოვნებს, როდესაც კვირის მსახურება ნახევარი საათით გრძელდება, როცა ის, ჩვენი აზრით, უფრო ადრე უნდა დამთავრებულიყო. ლოცვით შეკრებებზე სიარული დიდ ძალისხმევას მოითხოვს, და ჩვენ ვწუნუნებთ, რომ არ გვაქვს დრო, რათა ლარიბი დავაპუროთ და შევმოსოთ.

ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ამაოებაში. მრავალი მამა ვერ პოულობს დროს საკუთარი ოჯახისთვისაც კი, ვისთვისაც ისინი ასე შეუპოვრად შრომობენ. ისინი გაურბიან საკუთარ ოჯახებს, და თავს ასეთი სიტყვებით იმართლებენ: „რა თქმა უნდა, მე თქვენ მიყვარხართ; განა ვერ ხედავთ როგორი დაკავებული ვარ, რამდენს ვშრომობ, რათა თქვენ უზრუნველყოთ. ახლა კი მარტო დამტოვეთ: დაღლილი ვარ, და დრო არა მაქვს თქვენთვის!“.

ღმერთი გვახსნის მათი შფოთვის მიზეზს: „ბევრის მოლოდინი გაქვთ, მაგრამ მცირედი გისრულდებათ. რაც სახლში მიგაქვთ, იმასაც ვანიავებ. რატომ? – ამბობს ცაბაოთ უფალი. – იმიტომ, რომ მიგდებულია ჩემი სახლი, თქვენ კი ყველანი

მომავალი დადება

თქვენს სახლებზე ზრუნავთ. ამიტომ არის, რომ დაგიკავათ ცამ ცვარი და მიწამ დაგიკავათ მოსავალი“. (ანგ. 1:9-10;).

სად არიან ჭეშმარიტების მქადაგებლები?

მალაქია და ანგია ჭეშმარიტებას ქადაგებდნენ. მათი ძლიერი წინასწარმეტყველური სიტყვა ცვლიდა ისრაელიანთა გულებს. „ისმინეს ... უფლის, მათი ღვთის, ხმა და ანგია წინასწარმეტყველის სიტყვები, რამდენადაც იგი უფლის, მათი ღვთის, მოვლინებული იყო, და შეეშინდა ხალხს უფლისა“ (ანგ. 1:12;).

პატივისცემა აღდგა. ტაძარი ყურადღების ცენტრში მოექცა, ხოლო ადამიანთა პირადი ინტერესები მეორეხარისხოვანი გახდა. როდესაც უფლის გვეშინია, მის ინტერესებს და სურვილებს ყოველთვის დავაყენებთ საკუთარ ინტერესებზე და სურვილებზე მაღლა.

დღეს ჩვენ ანგიას და მალაქიას მსგავსი მქადაგებლები გვჭირდება, რომლებმაც უარი თქვეს სახალხო აღიარებაზე, რათა ღმერთისთვის ეამებინათ. ჩვენ გვჭირდება ისეთი მქადაგებლები, რომლებიც სიმართლეს ილაპარაკებენ – სიმართლეს, რომელსაც ხალხი საჭიროებს, – და არა იმას, რისი მოსმენაც თვითონ ხალხს სურს. დღეს კარგად იყიდება წიგნები იმის შესახებ, თუ როგორ შევცვალოთ უკეთესობისკენ ჩვენი ცხოვრება ან როგორ მივაღწიოთ წარმატებას. ამიტომ ახლა სწორედ ასეთ წიგნებს წერენ. ჩვენ ვწერთ და ვქადაგებთ ისეთი თემების შესახებ, რომლებიც ხალხს სიამოვნებს. მაგრამ სად არიან ისინი, ვინც ანგარიშს უწევს არა იმას, თუ როგორ მიიღებენ მის სიტყვას დედამიწაზე, არამედ იმას, თუ როგორ მიიღებენ მის სიტყვას ზეცაში?

სტუმრად ყოფნისას ჩემი ქადაგების დრო ხშირად განსაზღვრულია, ჩვეულებრივ ჩემს განკარგულებაში ნახევარი საათია. როგორც წესი, ამ დროს ვხელმძღვანელობ თრი მოსაზრებით. უპირველეს ყოვლისა, ასე ხდება შიშის გამო, რომ თუ მსახურება ძალიან გაგრძელდება, მაშინ ეკლესიაში, რომელმაც მიმიწვია, სალამოს მსახურებაზე ნაკლები ხალხი იქნება, და საერთოდ დასწრების დონეზე შეიძლება ძალიან იკლოს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ იგივე ტემპერამენტის მქონე ეკლესიის წევრები, რომლებსაც შეუძლიათ თრი საათი გადამულად უყურონ ფილმს ან სპორტულ შეჯიბრებას დაესწრონ, განაწყენებულები რჩებიან, როდესაც ქადაგება სამოც წუთზე მეტ ხანს გრძელდება.

უფლის შიში

მეორეც, არსებობს შეზღუდვა, რომელსაც ასეთი შეკრებები ბავშვთა მსახურებაზე აკრცელებენ. ბავშვთა მსახურები ბავშვების გართობით კი არ უნდა იყვნენ დაკავებულნი, არამედ მათდამი მსახურებით, და მაშინ, ისინი ღმერთის ჭეშმარიტი მოძრაობის მოწმენი გახდებან! მე ჩავატარე რამდენიმე შეკრება, რომლებიც სამი და უფრო მეტი საათი გაგრძელდა, და ბავშვებს ჩვენთვის პრობლემები არ შეუქმნიათ. ამის მიზეზი მდგომარეობდა იმაში, რომ ბავშვებს კი არ ართობდნენ, არამედ ემსახურებოდნენ. არ ვამბობ იმას, რომ მსახურება ეფექტური რომ იყოს, იგი აუცილებლად ხანგრძლივი უნდა იყოს. მსგავსი დამოკიდებულება უბრალოდ გამოხატავს, თუ რა ფასეულობები იმსახურებენ ჩვენს ყურადღებას.

მე ხშირად შევხვედრივარ დიდ ეკლესიებში მსგავს დამოკიდებულებას. ზოგჯერ ეკლესია სწორედ იმიტომ არის დიდი, რომ იგი აამებს არც თუ ისე გულმოდგინე ახალმოქცეულთ, რომლებსაც შეუძლიათ ნაჩეარევად მოვიდნენ და წავიდნენ, და ამასთანავე არავითარი უხერხულობა არ იგრძნონ.

რა თქმა უნდა, თუ მსახურება სულინმიდის თანდასწრების გარეშე მიმდინარეობს, მაშინ არა ლირს იქ ნახევარ საათზე მეტ ხანს დარჩენა. არსებითად, ეს დროც კი ბევრი იქნება, თუ სულინმდა არ იქნება მსახურებაზე. ამას ვეთანხმები. მაგრამ სულინმიდის თანდასწრება იქნება იმ მსახურებებზე, რომელთა ხელმძღვანელებიც მას უფლებას მისცემენ ყველაფერი გააკეთოს და თქვას ისე, რასაც მოისურვებს!

ახლახან ვესაუბრე ერთი დიდი ეკლესიის პასტორს, რომელმაც მთხოვა ჩემი ქადაგების დრო ნახევარ საათამდე შემემცირებინა. მე შევხედე მას და მისი მდგომარეობისადმი პატივისცემის ნიშნად ვუპასუხე: „ნამდვილად ეს გინდათ? თქვენ გინდათ დროის ჩარჩოები დაადგინოთ სულინმიდისთვის? თუ დიახ, მაშინ თქვენს ეკლესიას შეუძლია გააგრძელოს ზრდა, მაგრამ დაივიწყეთ ღმერთის ჭეშმარიტი მოძრაობა“.

იგი დამნებდა: „კარგით, მაგრამ ძალიან გთხოვთ ორ საათში მაინც ჩაეტიოთ“.

ჩვენი ბოლო შეკრება ორშაბათ სალამოს მიმდინარეობდა, და ძალიან სერიოზულ თემაზე ვქადაგებდი. წინ დაახლოებით ადამიანების 80% გამოვიდა, როდესაც მათ მონანიებისაკენ მოვუწოდე. შევამჩნიე, რომ ჩემი დრო დასასრულს მიუახლოვდა და მსახურება დავამთავრე. მე ვიცი, რომ ღმერთის ნებაა, რომ პატივს ვცემდე ხელმძღვანელობას, რომელიც მან მორწმუნეთა სხეულში დააყენა.

მომავალი დაღება

მეორე დილით სახლში გავემგზავრე. ხოლო შუადლისით იმ ეკლესის პასტორმა დამირეკა და მითხრა: „ჯონ, ვგრძნობდი, რომ შენ ჩემი თანამსახური წევრებისთვის უნდა გელოცა“.

მე დავეთანხმე და ვუპასუხე: „მეც იგივე ვიგრძენი, მაგრამ დრო აღარ დამრჩა ამის გასაკეთებლად“.

იგი განაგრძობდა: „ჯონ, როდესაც სახლში დავბრუნდი, ჩემი მეუღლე სასტუმრო ოთახში იატაზე იჯდა და ტიროდა. მან შემომხედა და მითხრა: „ჩვენ გამოვტოვეთ ღმერთი. შეკრება უნდა გაგრძელებულიყო“. ჩვენ მთელი დღის განმავლობაში ვპასუხობთ ზარებს, რომლებიც ამონმებენ იმის შესახებ, რომ მათი ცხოვრება შეიცვალა. მთელი ოლქის მორწმუნები მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ: „ჩვენ გავიგეთ, რომ ღმერთი რაღაცას აკეთებს თქვენს ეკლესიაში. დღეს საღამოს იქნება მსახურება?“. მე შეცდომა დავუშვი, როცა თქვენი დრო შემოვსაზღვრე! ღმერთმა მითხრა, რომ სწორად არ მოვიქეცი“.

მე ვუპასუხე: „პასტორო, მოხარული ვარ, რომ თქვენი გული გაიხსნა“.

შემდეგ მან მთხოვა ისევ ჩავსულიყავი, როგორც კი ამის შესაძლებლობა მომეცემოდა, რათა მთელი კვირის განმავლობაში მექადაგა. სამწუხაროდ, ვერ იტყვი, რომ ყველა პასტორს, რომელიც სულინმიდას საზღვარს უდებს თავის ეკლესიაში, ასეთივე გახსნილი გული აქვს.

ღმერთი წუხდა ამ უპატივცემულობის გამო იერემიას ბაგებით:

„გასაოცარი და საშინელი ხდება ქვეყანაზე. წინასწარმეტყველნი ტყუილს წინასწარმეტყველებენ და მღვდლები ბატონობენ მათი ხელით, ჩემს ერს კი უყვარს ეს, მაგრამ რას იზამთ საბოლოოდ?“.

-იერ.5:30-31;

როგორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, ამ ტექსტის ნაწყვეტი მრავალ მოვლენას აღწერს, დღეს მიმდინარე მოვლენებს. ხშირად ე.წ. „წინასწარმეტყველთა“ სიტყვები ეკლესიაში სრულებით არ ამაგრებენ ღმერთის ხალხის გულს. ისინი იძლევიან დროებით ნუგეშს, პირდებიან რა მათ კურთხევებს. მაგრამ შემდეგ ადამიანები სულით ეცემიან, იმედი უცრუვდებათ ღმერთში, რადგან მათ მიერ ნათქვამი სიტყვები არ სრულდება. ანგია და მალაქია წინასწარმეტყველთა უწყება ადამიანებს ღმერთის გულთან აპრუნებდა. მათი წინასწარმეტყველური სიტყვები დაუმორჩილებლობის გზით მიმავალ ხალხს უფლის შიშს უბრუნებდა, რაც მათ სიცოცხლეს უნარჩუნებდა.

უფლის შიში

სამწუხაროდ, ქადაგებების და პირადი წინასწარმეტყველებების უმეტესობა არასწორი ურთიერთობების და წარმოდგენების განვითარებას უწყობს ხელს, რაც ღმერთის შვილების გულებში უონავს: ღმერთს თქვენ ბედნიერება და კურთხევა სურს; ღმერთს უნდა, რომ თქვენ იყოთ კურთხეულნი; ღმერთთან ცხოვრებით წარმატებებს მიაღწევთ! დამოუკიდებლად შეისწავლეთ წინასწარმეტყველებები, რომლებიც ცალკეულ ადამიანებს მიეცა ახალ აღთქმაში. ასეთი წინასწარმეტყველებები ძალიან ცოტაა, და უმეტესი მათვანი ბორკილების, მწუხარების და სიკვდილის შესახებ საუბრობს, რაც მოელით მათ, ვინც დიდებას უძღვნის ღმერთს (იხ.იოან.21:18-19; საქმე.20:22-23; საქმე.21:10-11). ეს ძალიან განსხვავდება დღევანდელი წინასწარმეტყველებებისაგან, რომლებიც ცალკეულ ადამიანებს შეეხება!

იერემია წინასწარმეტყველებს: „მღვდლები ბატონობენ“. ასეთი რამ ხდება მაშინ, როდესაც პასტორები ავტორიტარულად მართავენ ხალხს, და არ ემორჩილებიან სულის წინამდლოლობას. სულინმიდა შეურაცხყოფილია, თუ მას ეუბნებიან, რომ მას შეუძლია მხოლოდ ნახევარი საათი იმოქმედოს. მას არ მოსწონს, როდესაც ლიდერები მკაცრ გრაფიკს მიყვებიან და ღმერთის რჩევის გარეშე იღებენ გადაწყვეტილებებს. მაგრამ ღმერთს ყველაზე მეტად აღელვებს ის, რომ მის ხალხს „უყვარს ეს!“. ასეთი შეზღუდვები მრავალ ადამიანს იმის საშუალებას, რომ შეინარჩუნონ უპატივცემულობაზე და ეგოიზმზე დაფუძვნებული ცხოვრების წესი.

ადრეული წვიმით დიდი კურთხევა მოვიდა, მაგრამ მან დიდებული სამსჯავროც მოიტანა. ღმერთი გვეკითხება: „რას გააკეთებთ, როდესაც აღსასრული მოვა?“. ვთვლი, რომ იგი გვაფრთხილებს: „თუ არ შეიცვლებით, მაშინ ჩემი დიდების დღეს თქვენ გასამართლდებით, ვიდრე იკურთხებით“.

იფიქრეთ უწინდელი ტაძრის შესახებ

დაუუბრუნდეთ წინასწარმეტყველ ანგიას. უფლის შიში ალ-დგა ისრაელიანთა გულებში, და მათ კვლავ ღმერთს მიაპყრეს ყურადღება. შემდეგ ანგია ტაძრის ახლანდელ მდგომარეობაზე მიუთითებს:

„ვინ არის დარჩენილი თქვენს შორის, ვინც მოსწრებია ამ სახლის პირვანდელ დიდებას? რას ხედავთ ახლა? ხომ არარაობად ჩანს თქვენს თვალში!“.

-ანგ.2:3;

მომავალი დადება

ვთვლი, რომ დღეს ღმერთი გვეკითხება იგივეს: „თქვენ შორის ვის ახსოვს ეკლესია მის უწინდელ დიდებაში? ჰგავს იგი დღევანდელს? დღეს როგორია ღმერთის ტაძარი (ჩვენ)“?

ამ კითხვებს რომ ვუპასუხოთ, მოდით, შედარებისთვის საქმე მოციქულთა წიგნში ნაჩვენები ეკლესიის დიდება განვიხილოთ. ორმოცდამეათე დღე, მომავალი წვიმის პირველი დღე, ისეთი ძალით მოვიდა, რომ იერუსალიმში მყოფი მრავალი ადამიანის ყურადღება მიიპყრო. მაშინ არც რადიო იყო, არც ტელევიზია და არც განცხადებები გაზეთებში. არც სარეკლამო ფურცლებს არ ურიგებდნენ ადამიანებს და შეკრებებსაც არავინ არ ნიშნავდა. მაგრამ ღმერთმა ისეთი ძალით გამოავლინა საკუთარი თავი, რომ მრავალმა ადამიანმა მოისმინა პეტრეს ცხებული სიტყვა და დახსნილ იქნა. ეს შეკრება არც ეკლესიაში, არც დარბაზში და არც სტადიონზე არ მიმდინარეობდა. პეტრე ქუჩაში ქადაგებდა.

რაღაც დროის შემდეგ პეტრე და იოანე ტაძარში მიდიოდნენ და დაინახეს დავრდომილი, რომელიც დაბადებიდან ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყოველ დღე გამოჰყავდათ იგი ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად. პეტრემ წამოაყენა ეს დავრდომილი და იესო ქრისტეს სახელით განიკურმა. რამდენიმე წუთში კვლავ უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. პეტრემ იქადაგა და ხუთი ათასმა ადამიანმა გადარჩენა მიიღო. ამ შეკრებაზე „მონანიებისაკენ მოწოდების“ დროც კი არ იყო, რადგან პეტრე და იოანე ჯერ კიდევ მანამდე დააპატიმრეს, სანამ ქადაგებას დაასრულებდნენ. ძალიან მოკლე დროში ეკლესია ასოცი კაციდან რვა ათას წევრამდე გაიზარდა.

მას შემდეგ, რაც პეტრე და იოანე ციხიდან განთავისუფლდნენ, ისინი სხვა მორწმუნეებთან დაბრუნდნენ. ისინი ისეთ ერთობაში ლოცულობდნენ, რომ ის ადგილი შეიძრა. აი, ეს არის ძალა! ვიცნობ მქადაგებლებს, რომლებსაც უყვართ გადაჭარბება, მაგრამ ბიბლიაში ასეთი მქადაგებლები არ არიან! თუ იქ ნათქვამია, რომ ის ადგილი შეიძრა, ეს იმას ნიშნავს, რომ ნამდვილად შეიძრა!

ამის შემდეგ ძალიან მალე ცოლ-ქმარმა მოიტანა შესანირავი ეკლესიაში და ღმერთისადმი უპატივცემულობის გამო ისინი დაიხოცნენ. ამის შემდეგ დაწერილია ასეთი სიტყვები:

„...ავადმყოფები ქუჩაში გამოჰყავდათ და საკაცებზე და საწოლებზე აწვენდნენ, რომ ჩავლილი პეტრეს ჩრდილი მაინც დაფენოდა რომელიმე მათგანს“.

-საქმე.5:15;

უფლის შიში

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ აქ ნათქვამია „ქუჩებში“, და არა „ქუჩაში“! იერუსალიმი პატარა ქალაქი არ იყო. ღმერ-თის დიდება ისეთი ძლიერი იყო, რომ პეტრეს მხოლოდ უნდა ჩაევლო ამ ხალხს შორის, და ისინი განიკურნებოდნენ!

იერუსალიმში დაწყებული ძლიერი დევნების შედეგად მორ-წმუნები იუდეიდან სამარიამდე გაიფანტნენ. ერთ-ერთი მათ-განი, ფილიპე, ადამიანი, რომელიც ქვრივებზე ზრუნავდა, სამარიის ერთ-ერთ ქალაქში წავიდა და იქ ქადაგებდა. მის სიტყვას მთელი ქალაქი გამოეხმაურა და მრავალი ადამიანი მის მიერ ნათქვამი სიტყვების შესახებ მსჯელობდა, რადგან დიდებული სასწაულები დაინახეს, რომლებიც მან მოიმოქმე-და. ღმერთის სული ძლიერად მოქმედებდა ამ ქალაქში, ბიბლია ამბობს: „დიდი სიხარული იყო იმ ქალაქში“ (საქმე.8:8;).

უფლის ანგელოზმა ფილიპეს უდაბნოში წასვლა უბრძანა, სადაც მას ეთიოპელი საჭურისი შეხვდა. მან იგი მოაქცია იესოს რწმენისკენ და მონათლა. შემდეგ უფლის სულმა ფილი-პე წარიტაცა, და იგი პირდაპირ იმ კაცის თვალწინ გაქრა. იგი უდაბნოდან გადაყვანილ იქნა ქალაქ აშონდში.

შემდეგ აღწერილია ქალაქ ლიდაში მიმავალი პეტრე. იქ მან იპოვა ადამიანი სახელად ენეასი, რომელიც რვა წელი პარალი-ზებული იყო. პეტრემ იესო ქრისტეს სახელით მიმართა მას, და ეს დავრდომილი მაშინვე განიკურნა.

ბიბლიაში ნათქვამია: „ხედავდა მას ყველა, ვინც ლიდასა და შარონში ცხოვრობდა, და მოიქცნენ ისინი უფლისაკენ“ (საქმე.9:35). მთელმა ორმა ქალაქმა მიიღო გადარჩენა!

შემდეგ ჩვენ ვხედავთ, როგორი ძალით შრომობს ღმერთი წარმართებს შორის. მორნწმუნები მიდიოდნენ და ზეგავლე-ნას ახდენდნენ მთელს ქალაქებზე. მათ „მსოფლიოს ამრევებს“ ეძახდნენ (საქმე.17:6).

უფლის დიდება იმდენად ძლიერი იყო, რომ ბიბლიაში ნათქ-ვამია: „ასე გასტანა ორ წელიწადს, ისე რომ აზიის ყველა მცხოვრები ისმენდა უფლის სიტყვას – როგორც იუდეველები, ისე ბერძნები“ (საქმე.19:10). რა საოცარია! აქ არ წერია: „მთე-ლი აზია ისმენდა ქადაგებას“. ამის დაჯერებე უფრო ადვილი იქნებოდა, რადგან ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველმა ქალაქმა განიცადა მათი ზეგავლენა, მაგრამ აუცილებელი არ არის ვი-ფიქროთ, რომ ქადაგება თითოეულ ადამიანს შეეხო.

ამის ნაცვლად ნათქვამია: „აზიის ყველა მცხოვრები ისმენ-და უფლის შესახებ ქადაგებას“! ეს იმას ნიშნავს, რომ აზიაში მცხოვრებმა ყოველმა ადამიანმა მოისმინა ღმერთის სიტყვა,

მომავალი დადება

რომელიც მხოლოდ ორი წელი იქადაგებოდა. აზია – ეს არ არის სოფელი ან ქალაქი. ეს ქვეყანაც კი არ არის! ეს რომის იმპერიის მთელი პროვინცია!

ყოველივე ეს მოხდა თანამგზავრული კავშირების, ინტერნეტის, ტელევიზიის, რადიოს, ავტომანქანების, ველოსიპედების, აუდიო კასეტების, წიგნების ან ვიდეო ჩანაწერების გარეშე. თუმცა ბიბლიაში ნათქვამია, რომ ყოველმა ადამიანმა მოისმინა სახარება, რომელიც პირველმა ქრისტიანებმა იქადაგეს.

შვიდჯერ მეტი

თქვენ წარმოდგენა გაქვთ იმის შესახებ, თუ რა დიდებული იყო მოციქულთა საქმეების წიგნში აღწერილი ეკლესია ღმერთის სულის პირველი წვიმის დროს. მოდით, ისევ დავუბრუნდეთ ღმერთის შეკითხვას: „როგორ გამოიყურება დღევანდელი ეკლესია მოციქულთა საქმეების წიგნში ნაჩვენებ ეკლესიასთან შედარებით?“ შეიძლება, იგი სულ უმნიშვნელოა? ჩვენ გულწრფელი თუ ვიქნებით, ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემას შევძლებთ. დღევანდელი ეკლესია არაფრით არ ჰგავს საქმეების წიგნში აღწერილ ეკლესიას. აშკარაა, რომ ჩვენ უფრო მეტი შესაძლებლობები გვაქვს, მაგრამ ისე ჩანს, რომ ჩვენ ნაკლებ შთაგონებას ვხაპავთ სიცოცხლის წყაროდან, ვიდრე ამას პირველი ეკლესია აკეთებდა. წინააღმდეგი არა ვარ წიგნების, აუდიო კასეტების, ტელევიზიის, კომპიუტერების და თანამგზავრული კავშირების. ყოველივე ეს – ჩვენი შესაძლებლობებია, მაგრამ ჩვენ თუ არ ვართ შთაგონებული წყაროდან, ნებისმიერი შესაძლებლობა უსარგებლო ხდება. ღმერთი – ყველა ჩვენი შესაძლებლობის წყაროა.

იქნებ, ღმერთმა ეს კითხვა ჩვენს განსასჯელად დასვა? რასაკვირველია, არა! მან უბრალოდ წინდახედულობისკენ მოგვიწოდა. თუ ვფიქრობთ, რომ დანიშნულების ადგილს უკვე მივაღწიეთ, არავითარი სურვილი აღარ გვექნება იმისა, რომ წინ სვლა განვაგრძოთ. ასეთ მდგომარეობაში დავკარგავთ თავგადასავლების წყურვილს და აზრს. იგავ. 29:18-ში ნათქვამია: „ხილვათა გარეშე (წინასწარმეტყველური განჭვრეტის. –ავტორის შენიშვნა) თავს აიშვებს ხალხი, ხოლო რჯულის დამცველი წეტარია“.

გვაჩვენებს რა იმას, რის ნაკლებობასაც განვიცდით, ღმერთი ხსნის გზას თავისი წინასწარმეტყველური განჭვრეტისთვის.

უფლის შიში

წაიკითხეთ ღმერთის სიტყვა და გაიგებთ, რა წინასწარმეტყველური განჭვრეტა აქვს მას:

„პირვანდელზე უფრო დიდი იქნება ამ უკანასკნელი სახლის დიდება, – ამბობს ცაბაოთ უფალი...“.

–ანგ.2:9;

აი ეს მესმის! შეგეძლოთ ასეთი რამის წარმოდგენა? ღმერთი ამბობს, რომ მის მიერ გამოვლენილი დიდება აღმატებული იქნება საქმეების წიგნში ნაჩვენებ დიდებაზე! ხედავთ, ჯერ კიდევ როგორი შეზღუდულია ჩვენი მხრიდან ღმერთის გავება?

მე ძალიან გამიკვირდა, როდესაც უფალი დამელაპარაკა ლოცვაში რამდენიმე წლის წინ: „ჯონი, ჩემი მომავალი დიდების გამოვლინების სიდიადე შვიდჯერ მეტი იქნება იმაზე, რაც ადამიანებმა საქმეების წიგნში განიცადეს!“.

მე მაშინვე მოვუხმე მას: „უფალი, არ ვიცი, შევძლებ კი ამის დაჯერებას ან ამის გაგებას! მე მსურს ის, რაც შენ ახლა მითხარი, შენს სიტყვაში ვიხილო, რათა დავრწმუნდე, რომ ეს შენ დამელაპარაკე“.

მე ხშირად გამიკეთებია ასე და ამის გამო უფალს არც ერთხელ არ დავუსჯივარ. წმიდა წერილი ამბობს: „... ორი მოწმის ან სამი მოწმის პირით დამტკიცდება ყოველი სიტყვა“ (2კორ.13:1;). ღმერთის სული არ ეწინააღმდეგება დაწერილ და დამტკიცებულ სიტყვას.

ღმერთმა მალე მიპასუხა იმით, რომ გულში ჩამიდო რამდენიმე ადგილი წმიდა წერილიდან. არა ორი ან სამი, არამედ რამდენიმე.

დასაწყისში მან მეტოხა: „ჯონ, მე ხომ ვთქვი ჩემს სიტყვაში, რომ თუ ქურდს დაიჭერენ, მან შვიდმაგად უნდა გადაიხადოს (იხ.იგავ.6:31)? ქურდმა იქურდა ეკლესიაში, მაგრამ ჩემი სიტყვა ამბობს, რომ ზეცამ იესო იქამდე უნდა მიიღოს, ვიდრე ყველაფერი არ აღდგება! და შვიდმაგად აღდგენილი!“

იგი განაგრძობდა: „ჯონ, განა მე არ ვთქვი ჩემს სიტყვაში, რომ დავამარცხებ მტერს, რომელიც ჩემი ერის წინააღმდეგ აღდგება: „...ერთი გზით წამოვლენ შენსკენ და შვიდი გზით გაიქცევიან შენგან“ (რჯლ.28:7)?

შემდეგ მან გამახსენა მუხლი ეკლესიასტეს წიგნიდან: „ჯონ, განა მე არ ვთქვი ჩემს სიტყვაში, რომ: „სჯობს საქმის ბოლო მის დასაწყისს“ (ეკლ.7:8;)? ეკლესიის საუკუნის დასასრული დასაწყისზე უკეთესი იქნება“.

მომავალი დადება

მან კიდევ ერთხელ მკითხა: „ჯონ, განა მე არ შემოვინახე ქორწილის ბოლოსთვის საუკეთესო ღვინო გაღილეის კანაში“ (იხ.ითან. 2:1-11)? წმიდა წერილში ღვინო – ესაა ღმერთის საგრძნობი თანდასწრება.

მოგვიანებით მან მითხრა მუხლი წმიდა წერილიდან, რომელ-მაც ჩემი გული ახალი ცოდნით განამტკიცა. ესაიას წიგნის ოცდამეათე თავში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ დაინებას ღმერთის ერი საკუთარი თავისთვის ეგვიპტის ძალაში გაძლიერების ძიებას(მსოფლიო სისტემა). ისინი ძალას მიიღებენ კერპებისგან, რომლებსაც ქვეყნიერება მიჰყვება. ღმერთი მტრობაში და შევიწროებაში გაატარებს თავის ერს, რათა განწმიდოს იგი. ამ პროცესში ღმერთის ერი ზურგს შეაქცევს კერპებს და მოდრეკილი გულით კვლავ ღმერთისკენ მოიქცევა. ღმერთი ამბობს, რომ როგორც კი ეს მოხდება,

„მისცემს ის წვიმას შენს თესლს...“.

-ეს.30:23;

ესაია გულისხმობს არა მატერიალურ წვიმას, არამედ უფრო სულინწმიდის წვიმას, რომლის შესახებაც იოელი, პეტრე, და იაკობი საუბრობდნენ. აი, რას ამბობს შემდეგ ესაია:

„...მზის ნათელი შვიდმაგი იქნება, როგორც შვიდი დღისა იმ დღეს, როდესაც უფალი შეუხვევს მოტეხილს თავის ხალხს და ჭრილობას განუკურნავს“.

-ეს.30:26;

მატერიალურ მზეს არ შეუძლია შვიდჯერ მეტი სინათლის გამოყოფა მაშინ, როდესაც წვიმს. არა, აქ ღმერთი საუბრობს თავისი ძის დიდების შესახებ, რომელსაც წმიდა წერილი „სიმართლის მზეს“ უწოდებს (მალ.3:20;). მისი დიდება შვიდჯერ უფრო ბრწყინვალე იქნება მეორედ მოსვლის წინა დღეებში.

ღმერთის დიდების გვიანი წვიმა განახლებას მოუტანს არა მხოლოდ ღმერთის ხალხს, არამედ მის ირგვლივ მყოფ ადამიანებსაც. ვყოფილვარ დიდ შეკრებებზე, სადაც მოქმედებდა ღმერთი, და იქ ყოველ საღამოს ათასობით ადამიანი მოდიოდა. თუმცა ამ შეკრებებს მრავალი მორნმუნე, განდგომილი და ცოდვილი ესწრებოდა, მთელ ქალაქს ეს მსახურებები არაფრით არ ეხებოდა. როდესაც იქ მივემგზავრებოდი, ვფიქრობდი იმ დროის შესახებ, როცა მსგავსი შეკრებები მთელ ქალაქზე

უფლის შიში

ზეგავლენის მოხდენას შეძლებდნენ. როგორი საოცარიც არ უნდა იყოს ყოველი ასეთი მსახურება, მე მაინც გვიან წვიმას მოვეძლი.

უკანასკნელი წვიმა განსხვავდება ბოლო დროის გამოლვიძებისგან. ეს გამოლვიძება გავლენას ახდენდა ქალაქზე ან ცალკეულ ოლქზე, როგორც, მაგალითად, გამოლვიძება აზუზას ქუჩაზე ან გამოლვიძება უელსში. მათ მთელ ქვეყანაზეც კი მოახდინეს ზეგავლენა, მაგრამ, იმისათვის, რომ ამ გამოლვიძებებში მიგელოთ მონაწილეობა, თქვენ იქ უნდა გამგზავრებულიყავით, სადაც ეს გამოლვიძებები ხდებოდა. ხოლო საქმეების წიგნში აღნერილია, რომ ღმერთის დიდება ვლინდებოდა ყველგან, სადაც მისი მოწაფეები მიდიოდნენ. ღმერთის დიდება მთელ მსოფლიოზე იღვრებოდა. უკანასკნელი წვიმა მოიცავს მთელს დედამიწას და იგი ბევრად უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე პირველ წვიმა!

მე აღფრთოვანებით ვამბობ: „ჩვენ სრულებითაც არ ვიქნებით იქ, სადაც ვიყავით და სადაც ამჟამად ვიმყოფებით! ჩვენ ზეცას უნდა მივაპყროთ მზერა და ღმერთის მომავალი დიდება დავზეროთ!“.

გახადეთ ხალხი ღვთიური დიდების
ლირსი, და ამით მოუმზადეთ გზა უფალს!

თავი X

ღმერთის დილების აღდგენა

„მაგრამ, ცოცხალი ვარ, და აღივსება უფლის
დიდებით მთელი ქვეყანა“.
-რიცხ.14:21;

ჩვენ სწრაფად ვუახლოვდებით ღმერთის დიდების უკანასკნელი წვიმისა დასაწყისს. დიდი განსხვავება იქნება თანამედროვე ეკლესიასა და იმ ეკლესიას შორის, რომელიც ორმოცდამეათე დღემდე იყო. საქმეების წიგნში აღნერილია, როგორ უეცრად და ძალიან აშკარად გადმოლვარა ღმერთმა თავისი სული, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ძალამ შემცირება დაიწყო. ჩემი აზრით, წმიდა წერილი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ გვიანი წვიმა ახალი ძალის მოულოდნელი გადმოლვარა კი არ იქნება, არამედ დაკარგულის სწრაფი აღდგენა. პირველი წვიმა მოვიდა მოულოდნელად; გვიანი წვიმა კი წინანდელი ძალის სწრაფი აღდგენა იქნება.

ამის ასახსნელად მოდით, განვიხილოთ მოსეს და მეფე დავითის ეპოქებს შორის არსებული დროის შუალედი. მოსემ ააგო კარავი, ღვთიური წესრიგის მომასწავებელი, და შემდეგ გამოჩენდა ღმერთი თავისი დიდებით და სიდიადით. მისი გამოჩენა მოულოდნელი და საშიში იყო. როგორც კი მოსემ დაასრულა თავისი სამუშაო, კარავი ღმერთის დიდების სქელმა ღრუბელმა მოიცვა.

ეს დიდება დროთა განმავლობაში მცირდებოდა, რაც ადამიანების ცოდვების და უფლისადმი გულგრილი დამოკიდებულების შედეგს წარმოადგენდა. ეს გულის აცრუების და ჩაქრობის თანდათანობითი პროცესი იქამდე გაგრძელდა, ვიდრე ისრაელის სული მთლად არ მოკვდა. ასეთი მდგომარეობა იყო მღვდელი ყელის მმართველობის დროს. უფლის კანდელი ქრებოდა, და ღმერთის დიდება გაშორდა ადამიანებს.

იმ დღეს, როდესაც ყელი და მისი ვაჟები დაიხოცნენ, უფლის კიდობანი ფილისტიმელებმა ჩაიგდეს ხელში. მათ

უფლის შიში

კიდობანი ქალაქ აშდოთში წაიღეს, და დაგონის, თავიანთი ღმერთის, ტაძარში დადგეს. მაგრამ ღმერთის ხელი დაგონის წინააღმდეგ იყო. მათი ღმერთის ქანდაკება პირქვე დაეცა უფლის კიდობანის წინ, თავი და ორივე ხელის მტევანი ტაძრის ზღურბლთან ეყარა. ფილისტიმელებმა ხუთ ქალაქში შეიტანეს უფლის კიდობანი. ყველგან, სადაც კიდობანი მიჰეონდათ, ხალხი სასიკვდილო გამონაყარით, ბუგრებით ნადგურდებოდა. ეს იმდენად შემზარავი იყო, რომ მეხუთე ქალაქის ღაღადი ცას მისწვდა (იხ. 1მეფ. 5.).

შვიდი თვის შემდეგ ფილისტიმელებმა შეკრიბეს ქურუმები და მისნები, რათა გადაეწყვიტათ, როგორ დაებრუნებინათ კიდობანი ისრაელში. მათ სურდათ პატივი მიეგოთ ისრაელის ღმერთისთვის და საკუთარი ცოდვების გამოსასყიდი მსხვერპლი შეეწირათ მისთვის. მათ ხუთ-ხუთი ოქროს ბუგრი და ხუთ-ხუთი ოქროს თავგვი შესწირეს ფილისტიმელთა ხუთი ქალაქისა და მეფებისათვის. ისინი ღმერთს სთხოვდნენ, რომ თავისი დამსჯელი ხელი განეშორებინა მათგან. მას შემდეგ, რაც ეს ოქროს ნივთები ყუთში მოათავსეს, იგი კიდობნის გვერდით დადეს, რომელიც ახალ ურემზე იდო და რომელშიც ორი მეწველი ფური იყო შებმული. მათი ხბოები კი შინ დაამწყვდიეს. ფილისტიმელები ფიქრობდნენ: „თუ ურემი თავისი ქვეყნის გზას დაადგება, მაშინ გვეცოდინება, რომ ეს დიდი უბედურება ღმერთმა მოგვივლინა“. ფურებმა კიდობანი პირდაპირ ისრაელის მიმართულებით წაიღეს, სადაც ის კირიათ-იეყარიმში, ამინადაბის სახლში მთელი ოცი წელი ინახებოდა. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ისრაელიანთა პირველ მეფეს, საულს, არასოდეს არ მოუნდომებია უფლის კიდობნის ისრაელში დაბრუნება.

ღმერთის დიდების აღდგენა ისრაელისათვის

საულის მმართველობის შემდეგ სამეფო ტახტზე დავითი ავიდა. მისი გული ღმერთს ეძებდა და მას ისრაელისათვის ღმერთის დიდების დაბრუნება სწყუროდა. მაგრამ ეს დიდება ისე არ გამოვლინდა, როგორც ეს მოსეს დღეებში მოხდა. ეს დიდება არ იყო ძლიერი და მოულოდნელი, ეს აღდგენის პროცესს წარმოადგენდა.

აღდგენითი პროცესი, დავითის გამეფებამდე მრავალი წლით ადრე წინასწარმეტყველი სამუელით დაიწყო. ღმერთმა მას დაავალა მოემზადებინა გზა, ამიტომ სამუელი მოუნოდებ-

ლმერთის ღადების აულგენა

და ხალხს დაბრუნებულიყვნენ ლმერთთან. მისი სიტყვა ყველა ჭეშმარიტი წინასწარმეტყველის გულის სურვილს წარმოადგენდა.

„ასე უთხრა სამუელმა მთელს ისრაელის სახლს: „თუ მთელი გულით მოიქცევით უფლისაკენ, მოიშორეთ უცხო ლმერთები და ყაშთაროთები. მიმართეთ გულები უფლისაკენ და მხოლოდ მას ერთს ემსახურეთ და მაშინ გიხსნით იგი ფილისტიმელთაგან“.

-1მეტ.7:3;

ლმერთის შეურაცხმყოფელი პატივისცემა

როგორც კი დავითი მეფე გახდა, დაამარცხა ფილისტიმელნი და იერუსალიმი დაიპყრო. შემდეგ მან მოისურვა კიდობანი თავის კანონიერ ადგილას დაეპრუნებინა. „და ეთათბირა დავითი ათასისთავებს, ასისთავებს და წინამძღოლებს“ (1ნეშტ.13:1;). მათ მოითათბირეს, რომ კიდობნის დაპრუნებასთან დაკავშირებით მთელი ისრაელი შეეკრიბათ. „და თქვა მთელმა კრებულმა: „ასე იყოს“, ვინაიდან ეს საქმე მოსაწონი იყო ხალხის თვალში“ (1ნეშტ.13:4).

ყურადღებით წაიკითხეთ, თუ რა მოიმოქმედეს მათ:

„და დაასვენეს ღვთის კიდობანი ახალ ურემზე და გამოაპრძანეს აპინადაბის სახლიდან...“.

-2 მეტ.6:3;

რატომ გადაწყვიტეს ისრაელიანებმა, რომ კიდობანი „ახალი ურმით“ ჩაეტანათ იერუსალიმში? ზუსტად ასე არ გამოგზავნეს ფილისტიმელებმა იგი ისრაელში? აპინადაბის სახლიდან კიდობანი ორი ადამიანის თანხლებით გამოიტანეს. ესენი იყვნენ ყუზა და ახიო. ამ ურემს სწორედ ეს ადამიანები მართავდნენ. „და დავითი და მთელი ისრაელის ძენი უკრავდნენ უფლის წინაშე კვიპაროსის ხის საკრავებს...“ (2მეტ.6:5;). 1ნეშტ. წიგნში ნათქვამია: „დავითი და მასთან ერთად მთელი ისრაელი როკავდა ღვთის წინაშე მთელი ძალით. და მღეროდნენ და უკრავდნენ ქნარებს...“ (1ნეშტ.13: 8;). მაგრამ ნახეთ, რა მოხდა:

უფლის შიში

„და როცა ნაქონის კალოსთან მივიდნენ, ხელი შეაშველა ყუზამ ღვთის კიდობანს, რადგან გადახარეს ხარებმა. და აღიგზნო უფლის რისხვა ყუზას მიმართ და იქვე დასცა იგი ღმერთმა ამ სითამამისთვის, და იქვე მოკვდა იგი ღვთის კიდობანთან“.

-2 მეფ. 6:6-7;

სხვა თარგმანებში სიტყვა „სითამამის“ ნაცვლად მოცემულია სიტყვა „უპატივცემულობა“. ღმერთმა ყუზა მისი უპატივცემულობის გამო დასცა!

საკვირველია! წინა თაობის ორი წარმომადგენელი კარვის შესასვლელთან მექაობდა, სადაც კიდობანი ინახებოდა. მათი ღმერთისადმი უპატივცემულობა დიდი იყო, ვიდრე იმ ადამიანის უპატივცემულობა, რომელმაც უბრალოდ ხელი გაინოდა, რათა კიდობანი არ გადმოვარდნილიყო. ის ზნედაცემული მღვდლები ასე სწრაფად არ დასჯილან, როგორც ეს ადამიანი, სახელად ყუზა. რატომ? იმ დროს, როდესაც ყელის შვილები მექაობდნენ, ღმერთის დიდება გაშორდა ხალხს. ყუზას დროს კი უფლის დიდება დაბრუნდა. რაც უფრო ძლიერი იქნება ღმერთის გამოვლენილი დიდება, მით უფრო მკაცრი და ჩქარი იქნება სამსჯავრო უპატივცემულობის გამო.

ღვთის მოშიშნი

„და შეწუხდა დავითი, რომ განგმირა უფალმა ყუზა... და შეეშინდა უფლისა დავითს იმ დღეს, და თქვა: „როგორ მოვა ჩემამდე უფლის კიდობანი?“.

-2 მეფ. 6:8-9;

დავითს, მის წინამძღოლებს და ისრაელის ხალხს მთელი ძალით სწყუროდათ ღმერთი. დიდი მზადება მიმდინარეობდა კიდობნის ისრაელში დაბრუნებასთან დაკავშირებით. როგორც კი ისრაელმა კიდობანი დაიბრუნა, ხალხმა მთელი ძალით დაიწყო სიმღერა და ყიუინა. ისინი თვლიდნენ, რომ ღმერთს პატივს მიაგებდნენ იმით, რომ კიდობანი ახალი ურმით მიჰქონდათ. დავითმა შეარჩია ორი ადამიანი, რომლებსაც ურემი უნდა ემართათ. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორი შეძრული იქნებოდა დავითი, როდესაც ღმერთმა ერთ-ერთი მათგანი სასიკვდილოდ დასცა. მისი შეძრნუნება მალე გულისწყრომაში გადაიზარდა. დავითს შეეძლო დაესვა კითხვა: „რატომ გააკეთა

ლმერთის ლილების ალბენა

ლმერთმა ეს? რატომ არ დააფასა ლმერთმა ჩვენი მის წინაშე მსახურების მისწრაფება, და არა მარტო არ დააფასა, არამედ ეს ყოველივე ასეთი საშინელი სასჯელით უარყო?“. დავითი, ალბათ, ფიქრობდა: „მე ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, რათა პატივი მეცა ლმერთისთვის, და ლმერთმა არ მიიღო ჩემი ეს მონდომება!“. მაგრამ, როცა დავითი დაუფიქრდა მომხდარს, მისი გულისწყრომა შიშში გადაიზარდა. მას ეშინოდა ლმერთის (ეს იგივე არ არის, რაც ლმერთის შიში. მას, ვისაც ეშინია, გაურბის ლმერთს, ხოლო მას, ვისაც მოშიშება აქვს მის წინაშე, უახლოვდება მას). მოგვიანებით ჩვენ წავიკითხავთ ამის შესახებ. შესაძლოა, დავითი საგონებელში ჩავარდა: „თუ ლმერთმა არ მიიღო ჩემი მონდომება, მაშ, როგორ მოვა უფლის კიდობანი ჩემამდე?“.

ყოველთვის, როდესაც იმედის გაცრუებას და გულისწყრომას განვიცდიდი უფლის მიმართ, მალე ვრწმუნდებოდი იმაში, რომ ეს მოხდა იმის გამო, რომ რაღაც არ ვიცოდი ან რაღაც ვერ გავიგე, რადგან ლმერთის გზები სრულყოფილია. პირადად დავრწმუნდი იმაში, რომ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს უდიდესი სიბეჯითე, მაგრამ არა საკმარისი ცოდნა. გულმოდგინება და წყურვილი სიბრძნის და ცოდნის გარეშე, ყოველთვის უბედურებასთან მიგვიყვანს. გარდა ამისა, გავაცნობიერე, რომ ლმერთის შესახებ შემეცნების ძიება – ეს ჩემი პასუხისმგებლობაა(იხ. იგავ.2:1-5;).

პასუხისმგებლობის უგულებელყოფა

დავითი გაბრაზებული იყო უფალზე, რადგან ვერც თვითონ და ვერც მისი წინამძღოლნი ვერ ხვდებოდნენ, რა მოხდა. მოსეუ თქვა:

„და აჲა, მცნებები, წესები და სამართალნი, რომელნიც გიბრძანათ უფალმა, თქვენმა ლმერთმა, რომ გასწავლოთ თქვენ, რათა შეასრულო იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხსართ. რათა გეშინოდეს უფლისა, შენი ღვთისა, რომ დაიცვა ყველა მისი წესი და მისი მცნება, რომელთაც მე გიბრძანებთ, შენ და შენს ძეს, და შენი ძის ძეს, მთელი შენი სიცოცხლის დღეებში, რათა დღეგრძელი იყოთ“.

-რჯლ. 6:1-2;

უფლის შიში

მოსემ მოგვცა აშკარა მითითება: „იმისათვის, რომ გვქონდეს უფლის შიში, ჩვენ უნდა ვიცოდეთ მისი გზები და მორჩილნი უნდა ვიყოთ ამ გზების. და ეს ყველაზე მთავარია“. არსებობდა არა მარტო ეს მცნება, რომელიც ისრაელის ძეთ ებოძათ, არა ამედ ღმერთმა მეფესაც განსაკუთრებული მცნება მისცა.

„და როცა თავის სამეფო ტახტზე დაჯდება, გადაიწეროს ეს რჯულის წიგნი ლევიანი მღვდლებისაგან. და თავისთან იქონიოს და იკითხოს იგი მთელი სიცოცხლე, რათა ისწავლოს შიში უფლისა, თავისი ღმერთისა, რომ დაიცვას ამ რჯულის ყოველი სიტყვა და შეასრულოს წესები“.

-რჯულ. 17:18-19;

მეფეს ღმერთის სიტყვა ყოველ დღე უნდა წაეკითხა. რატომ? ღმერთის სიბრძნე და ღმერთისადმი პატივისცემა მის გულში უნდა განმტკიცებულიყო, რათა მას ადამიანურ იდეებზე მეტად ღმერთის გზები დაეფასებინა. დავითის და მისი ხელმძღვანელების შეცდომების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო.

დავითი და მთელი ისრაელი ერი ერთად შეიკრიბა, რათა ღმერთის კიდობნის ისრაელში დაბრუნების საკითხი განეხილათ. არსად არ არის ნახსენები, რომ ისინი რჩევას მოსეს-გან მიღებულ ღმერთის დაწერილ სიტყვაში ეძებდნენ. დავითს თავის მღვდლებთან ერთად ღმერთის სიტყვისთვის რომ მიემართა, მაშინ მისთვის ცნობილი გახდებოდა, რომ კიდობნის ტარების უფლება მხოლოდ ლევიტელთ ჰქონდათ, და მისი ურმით გადატანა არ შეიძლებოდა, თანაც ლევიტელებს ღმერთის კიდობანი მხრებით უნდა ეტარებინათ (იხ. გამ. 25:14; რიცხ.4:15; 7:9). უცოდინარობის გამო ისრაელიანებს ღმერთის თანდასწრება ისე მოჰქონდათ, როგორც ამას ქვეყნიერება, წარმართები, აკეთებდნენ. ფილისტიმელებმა უცოდინარობის გამო დააბრუნეს კიდობანი ურმით, მაგრამ ისრაელს მიეცა ღვთიური გამოცხადება, და ამიტომ მას პასუხისმგებლობა ეკისრებოდა.

იმის გამო, რომ ისრაელიანებმა უგულებელყვეს ღმერთის დარიგება, არ დაიწყეს ღმერთის სიტყვაში მისი ძიება, ღმერთის დიდება მიწიერი ადამიანის წარმოდგენის დონემდე დამცირდა. აი, რატომ მიაგეს ისრაელიანებმა ღმერთს პატივი ისე, როგორც იმ ადამიანებმა, რომლებიც არ იცნობდნენ მას. ის-

ლმერთის დადებას აუდგენა

რაელიანებმა მათ მიბაძეს ნაცვლად იმისა, რომ ლმერთისთვის მიემართად. ისინი ბეჯითად ცდილობდნენ ესიამოვნებინათ ლმერთისთვის, მაგრამ მან ჩათვალა, რომ ადამიანებმა უპატივცემულობა გამოავლინეს.

რაშია ჩვენი შთაგონების წყარო?

დღეს ჩვენ იგივე შეცდომას ვუშვებთ. ხშირად ჩვენი მსახურების იდეები ადამიანების მსჯელობების და გადაწყვეტილებების შედეგად არის შემუშავებული. ამგვარად, გადაწყვეტილებებს საკუთარი შემოსაზღვრული სიბრძნით ვიღებთ, ყურს ვუგდებთ რა ადამიანთა რჩევებს, და არ ვაცნობიერებთ იმას, რომ ეს ჩვენი საზოგადოების კულტურული ტენდენციებიდან მომდინარეობს. ეს ტენდენციები გარს გვახვევია, მათი აღქმა უფრო ადვილია, ვიდრე ლოდინი, თუ როდის გაგვიცხადებს ღმერთი თავის ნებას. თუმცა ჩნდება მრავალი ახალი იდეა, მაგრამ ვიცით კი, სად არის ჩვენი შთაგონების წყარო? ჩვენ ლმერთის ცოდნა ადამიანების მართვის ტექნიკით შევცვალეთ, რომელიც განუახლებელი კაცობრიობისაგან ნამცეც-ნამცეც შევითვისეთ.

როგორც წმიდა წერილშია აღნიშნული, მუსიკა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ღმერთის თანდასწრებისთვის ატმოსფეროს შექმნაში. მას ადამიანთა გულების გახსნის და მომზადების უნარი შესწევს. განვიხილოთ თანამედროვე ქრისტიანული მუსიკა, რომელიც ასეთი პოპულარულია დღეს: იგი ხშირად ამქვეყნიერების დემონური მუსიკით არის შთაგონებული. თუკი ქვეყნიერება უკრავს მძიმე როკს, ჩვენც შეგვიძლია! თუ რეპს მღერის, ჩვენ ამასაც მივბაძავთ. თუკი ქვეყნიერებაზე განსაზღვრულ ცეკვებს ცეკვავენ, ჩვენც ვიცეკვებთ. თუ ქვეყნიერებაზე მუსიკალური ტელეარხი არსებობს, ჩვენც გვექნება! რა თქმა უნდა, ჩვენ ვცვლით სიტყვებს, მაგრამ რითმი და სტილი იგივე რჩება. ეს სია შეიძლება გაგრძელდეს. თითოეულ შემთხვევაში, ჩვენ ვცდილობთ მივბაძოთ იმას, რაც ქვეყნიერებაზეა ან ჩვენი გავაკეთოთ უფრო კარგად. როგორ ღრმად შევიჭრით ამ ყველაფერში? მუსიკალურ მსახურებაში ახალი ტენდენციის შესახებ თუ გსურთ ნინასწარმეტყველება, თქვენ არ გჭირდებათ ლოცვა – უბრალოდ ჩართეთ MTV და უყურეთ ან მოუსმინეთ, რას აკეთებს ქვეყნიერება. მაშ, ვინ ვის მიუძღვის? გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენ დამწუხრებულნი ვართ იმის გამო, რომ ადამიანები, რომლებიც დემონურ ზეგავლენას

უფლის შიში

განიცდიან, ჩვენი წინასწარმეტყველნი გახდნენ. მაში, რამდენად ვართ ცდუნებულნი?

ზოგიერთი შემედავება: „მაგრამ ჩვენ ვუკრავთ მუსიკას, რომელსაც ისინი ისმენენ. დალუპვის გზაზე მდგარი ადამიანების მოსაპოვებლად, ისეთი სახის მუსიკას ვუკრავთ, რომელსაც ცოდვილები თავისუფლად იღებენ“. ზოგიერთ შემთხვევაში (ძალიან ცოტა შემთხვევებში), ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ ახალგაზრდა ადამიანების უმეტესობა, რომლებიც ამ მუსიკას ისმენენ, უკვე იმყოფებიან ეკლესიაში. სამწუხარო ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ ეს ის ახალგაზრდა ადამიანები არიან, რომლებიც ამთქანარებენ ან საუბრობენ მაშინ, როდესაც ჭეშმარიტი თაყვანისცემა მიმდინარეობს! რადგან მათი სხეული ქვეყნიერებაზე პოულობს დასაყრდენს, ეს მოდას აყოლილი ახალგაზრდები არაფრად მიიჩნევენ სწორედ იმას, რასაც ყველაზე მეტად საჭიროებენ.

ძალზედ სამწუხაროა, მაგრამ მრავალი თანამედროვე ქრისტიანული რადიოსადგური თავის მსმენელს მიმართავს ზუსტად ისე, როგორც ამას ქვეყნიური რადიოსადგურები აკეთებენ, ისინი ქვეყნიური რადიოსადგურებისგან სესხულობენ იდეებს, რომლებიც დასცინიან ღმერთს. თუმცა, შეიძლება ვინმე, შემედავოს: „ჩვენ ქრისტიანებს ვთავაზობთ ალტერნატივას“. როგორები იქნებიან ეს მორწმუნებები?

ხალხს მოსწონს, როდესაც მათ ართობენ. საშუალო ამერიკელი ტელევიზორს კვირაში ორმოცდახუთი საათი უყურებს. ეკლესიები იგივეს აკეთებენ, რასაც ქვეყნიერება, რათა ადამიანების ყურადღება მიიპყრონ. ეკლესიაში ჩვენ შევეჩვიეთ ადამიანების იმ საშუალებით მოზიდვას, რაც მათ სურთ და მოსწონთ – ესაა გართობა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ მრავალი ამბობს: ეკლესიები მათთვის, ვინც ეძებს მეგობრებს, ეკლესიები მათთვის, ვისაც სიფხიზლე სწყურია. როდესაც ასეთ ეკლესიებში ვქადაგებდი, აღმოვაჩინე, რომ ხშირად სიფხიზლის წყურვილი ღმერთის მიმართ გულგრილობას ნიშნავს. ამ ეკლესიებს შეუძლიათ მოიზიდოს ადამიანები, მაგრამ ლირს კი ეს შეურაცხყოფა, რომელსაც ჩვენ ღმერთს ვაყენებთ?

მე მიქადაგია ისეთ ეკლესიებში, რომლებიც ყოველ წელს ათასობით დოლარს ხარჯავენ თავიანთი ეკლესის წევრების გასართობად. ამ ეკლესის ახალგაზრდობა სხვადასხვა სახის თამაშებით ირთობს თავს. შემდეგ ეკლესის ხელმძღვანელებს უკვირთ, რატომ არ არის მათ ახალგაზრდობაში ღმერთის მოძრაობა. მათთვის გამოცანაა მოზარდებში არსებული ნაადრევი

ლმერთის დადების აულგენა

ორსულობა. ეკლესიაში ადამიანთა რაოდენობა იზრდება, მა-გრამ სად არის სულიერი ნაყოფები ამ ახალგაზრდა ადამიან-ების ცხოვრებაში?

ეს შთაგონება, რომელიც კულტურას მოაქვს, გავლენას ახ-დენს არა მარტო ეკლესიის ხელმძღვანელობაზე, არამედ და-ნარჩენ მორწმუნებზეც. განვიხილოთ ერთი მაგალითი. ჩვენი საზოგადოება პატივს სცემს მხოლოდ იმ მმართველობას, რო-მელიც ეთანხმება მათ. მანქანებზე მიმაგრებული ეტიკეტები იუწყებან: „დავა მთავრობასთან!“. ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ქვეყნიერებისათვის არ არის დამახასიათებელია, ეს პოზიცია ბევრმა ეკლესიამაც გადაიღო. ისინი პატივს სცემენ მთავრობას და მისი მორჩილნი მხოლოდ იმ შემთხვევაში არი-ან, თუ ეთანხმებიან მას. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ლმერთის სამეფოში დემოკრატიული წყობაა! მღელვარებას იწვევს ის, რომ ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ მთავრობის წარმო-მადგენლებზე როდი ვრცელდება, რადგან ადამიანები ასეთივე გულგრილობით სცემენ ლმერთს პატივს. თუ მათ მოსწონთ ის, რასაც ლმერთი მათ ცხოვრებაში აკეთებს, მაშინ ისინი განა-დიდებენ მას; და თუ პირიქითა – ისინი დრტვინვას იწყებენ.

ეს თემა თითქმის დაუსრულებელია. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მრავალი ის გზა, რომლითაც ჩვენ ვემსახ-ურებით ლმერთს, ქვეყნიერებით იყო შთაგონებული. რას მი-ვიღებთ საკუთარი ძალისხმევის შედეგად? რა გამოვა აქედან?

ეძებეთ ლმერთის შემეცნება

არსებობენ ადამიანები, რომლებიც შესთხოვენ ლმერთს, რომ მან თავისი დიდება დააბრუნოს მიწაზე. ისინი ლოცუ-ლობენ გვიანი წვიმის მოსვლისათვის (იხ. ზაქ. 10:1;). ისინი დაე-მორჩილნენ ლმერთის გამწმენდ პროცესს და არ დრტვინავენ, როდესაც განსაცდელებს გადიან. ისინი არ ჩივიან, როდესაც მათ სულიერ უდაბნოში გავლა უწევთ. მალე ისინი გაიხარე-ბენ, რადგან ლმერთი არ დაუჭერს თავის დიდებას მათ, ვისაც უფალი სწყურია.

ეს ადამიანები უპირისპირდებიან მათ, ვინც მოხერხებულ პირობებს და წარმატებას ეძებს. არიან ისეთებიც, რომლე-ბიც სადღაც შუაში იმყოფებიან – ისინი ეძებენ ლმერთის თან-დასწრებას, თუმცა, დავითის მსგავსად, მათი გულმოდგინება ლმერთის შემეცნებას არ ეფუძნება. ისინი ლმერთს ეძებენ თა-ვისებურად... საკუთარი სიბრძნით. თუმცა მათ უნდა გააც-ნობიერონ მისი დიდება და სიწმიდე, ვინც ასე სწყურიათ.

უფლის შიში

ჩვენ არ უნდა უგულებელვყოთ წმიდა წერილი, თუ იგი გვას-ნავლის, გამოსწორებისკენ მოგვიწოდებს და სიწმიდის გზისკენ მიგვითითებს. მოისმინეთ წინასწარმეტყველ ოსიას სიტყვები:

„ნავიდეთ და მივიქცეთ უფლისაკენ, რადგან მან დაგვგლიჯა და თავადვე განგვეურნავს; მან დაგვჭრა და თავადვე შეგვიხვევს ჭრილობას. ის გვაცოცხლებს ორი დღის შემდეგ, მესამე დღეს აღგვადგენს და ვიცოცხლებთ მის წინაშე“.

-ოს. 6:1-2;

ეს მუხლები წმიდა წერილის წინასწარმეტყველური ადგილია, სადაც აღწერილია ეკლესიის ღვთიური განწმედა ღმერთის დიდებისთვის მზადების პერიოდში. იგი დაგვჭრის, მაგრამ თვითონვე განგვეურნავს. უფლის ერთი დღე არის, როგორც ათასი წელი (2პეტრ.3:8). გავიდა ორი დღე (ორი ათასი წელი) უფლის აღდგომის დღიდან. ჩვენ ვდგავართ იმ დღის ზღურბლზე, როდესაც ღმერთი აღადგენს თავის დიდებას თავის ტაძარში. მესამე დღე მოასწავებს ქრისტეს ათასწლოვან მეფობას, როდესაც ჩვენ ვიხილავთ მის მმართველობას. ოსია გვაძლევს დარიგებას იმის შესახებ, თუ როგორ ვიცხოვროთ და რა ვეძებოთ იმ დროს, როდესაც ჩვენ უფლის დიდებისთვის ვემზადებით.

„შევიცნოთ, ვესწრაფოთ უფლის ცოდნას; განთიადივით საიმედოა მისი ამოსვლა, წვიმასავით მოგვივა, ისხარივით, მიწას რომ რწყავს“.

-ოს.6:3;

ოსია გვარწმუნებს, რომ მის დიდებულ დაბრუნებაში დარწმუნებულნი ვიყოთ ისევე, როგორც იმაში, რომ დილით მზე ამოვა. ამისთვის არსებობს განსაზღვრული დანიშნული დრო, რომელიც დამოკიდებული არ არის იმაზე, ჩვენ მზად ვართ ამისთვის თუ არა. ჩვენი ძიების მიზანს უფლის შემეცნება უნდა წარმოადგენდეს. დავითს თავის ხალხთან ერთად უფლის თანდასწრება სწყუროდა, თუმცა მათ აკლდათ ცოდნა ღმერთის შესახებ. ასეთ ცოდნას ყუზას მოულოდნელი სიკვდილის აცილება შეეძლო. დღეს არაფერი არ შეცვლილა. აი, დარიგება ჩვენთვის:

ლმერიას დადებს ალგენა

„შვილო ჩემო, თუ მიიღებ ჩემს ნათქვამს და ჩემს მცნებებს შეინახავ, ყურადღებით მოუსმენ სიბრძნეს, შენს გულს მოუხრი გონიერებას, რადგან თუ გონებას მოუხმობ, საზრიანობას მისცემ შენს ხმას; თუ მოძებნი მას, როგორც ვერცხლს და მონახავ მას, როგორც საუნჯეს, მაშინ გაიგებ უფლის შიშა და უფლის შეცნობას ჰპოვებ“.

-იგავ. 2:1-5;

ჩვენ ნათლად დაგვანახეს, თუ როგორ უნდა ვიცხოვოთ. თუ ვინმე გეტყვით, რომ თქვენს სახლში დამალულია ათი მილიონი დოლარი, აუცილებლად მის მოძებნას დაიწყებთ და არ მოისვენებთ მანამ, სანამ არ იპოვით. თუ საჭირო გახდება ხალიჩებსაც აკეცავთ, კედლებიდან შპალერსაც კი ჩამოხევთ და სახლს დაანგრევთ საძირკვლამდე. და ეს ყოველივე იმისათვის, რომ ეს თანხა იპოვოთ. მაშ, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება სიცოცხლის სიტყვა!

როდესაც ჩვენ ქვეყნიერებიდან ვიღებთ შთაგონებას, ადამიანების და მჩხიბავების სიბრძნეს ვეყრდნობით. ასეთ შემთხვევაში ღმერთის მიმართ პატივისცემა მხოლოდ ადამიანური მცნებების და მითითებების გზით მოდის. ღმერთის შემეცნებისაკენ სწრაფვის გარეშე ჩვენ კვლავ ყუზას მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, რადგან ჩვენი კეთილი მიზნები ღმერთის დიდებას შეურაცხყოფენ.

ღმერთის დიდება რაც უფრო ძლიერი იქნება უკანასკნელ დღებში, მით უფრო მეტ ამბავს შევიტყობთ იმ შემთხვევების შესახებ, რომლებიც ანანიას და საფირას ისტორიის მსგავსი იქნება. მაგრამ თავისთავად ისინი არ წარმოადგენენ არც ღმერთის სურვილს, და არც ღმერთის მიზანს, რომელსაც უნდა მიაღწიო, რათა მისი დიდება აღდგეს. ასეთ სამსჯავროს ღმერთის დიდების სიდიადისადმი უპატივცემულობა (ჭეშმარიტი პატივისცემის არქონა) იწვევს. რამდენადაც გამოვლინდება მისი დიდება, იმდენად ჩქარი და მკაცრი იქნება სამსჯავრო, თუ ღმერთის დიდება უპატივცემულობას შეხვდება.

განმტკიცებული გულები

როდესაც ვკითხულობთ იაკობის წერილს, ჩვენ იგივე გაფრთხილებას ვხვდებით:

უფლის შიში

„ამიტომ, ძმებო, სულგრძელნი იყავით უფლის მოსვლამდე. აპა, მიწისმუშაკი ელოდება მიწის ძვირფას ნაყოფს, სულგრძელად ელის ადრეული და გვიანი წვიმის მოსვლას. თქვენც ისულგრძელეთ და გულები გაიმაგრეთ, რადგან მოახლოებულია უფლის მოსვლა“.

-იაკ. 5:7-8;

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ იაკობი სულგრძელობისაკენ მოგვიწოდებს. ბერძნული სიტყვა, რომელიც თარგმნილია, როგორც „იყავით სულგრძელნი“, ფაქტობრივად, ნიშნავს „განმტკიცდით და არ დაეცეთ სულით“. შემდეგ იაკობი ამბობს: „გულები გაიმაგრეთ“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: „მოიყვანეთ თქვენი გულები ღვთიურ წესრიგში და დაიცავით ისინი ასეთ მდგომარეობაში“. თუ ჩვენ არ გავაკეთებთ ამას, შეიძლება მისი დიდების სამსჯავროს წინაშე აღმოვჩნდეთ. პავლე და პეტრე მოციქულები გვასწავლიან, თუ როგორ უნდა განვიმტკიცოთ გულები:

„ამიტომ, როგორც მიიღეთ ქრისტე იესო უფალი, ასევე იარეთ მასში, ფესვგადგმულებმა და მისით აღშენებულებმა, განმტკიცებულებმა რწმენით, როგორც გისწავლიათ, და წარმატებულებმა მადლიერებაში“. -კოლ. 2: 6-7;

როდესაც უფალ იესოსადმი მორჩილება განგვამტკიცებს ჩვენ, მაშინ შევძლებთ მყარად დგომას იმაზე, რაც სულიწმიდის საშუალებით წმიდა წერილიდან ვისწავლეთ. პეტრე კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ აზრს ასეთი სიტყვებით:

„ამიტომ მუდამ შეგახსენებთ ამას, თუმცა იცით და მტკიცენი ხართ ახლანდელ ჭეშმარიტებაში“. -2 პეტრ. 1:12;

პეტრე ამბობს: „მუდამ შეგახსენებთ“. მან იცის, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ადამიანი ჭეშმარიტებაში განმტკიცდეს. პეტრემ საკუთარი გამოცდილებით გაიგო, რა ადვილად შეიძლება ჭეშმარიტებიდან გადახვევა. როგორც მონაფემ, რომელმაც გამოცხადება მიიღო იმის შესახებ, თუ ვინ იყო იესო და ამ საოცარი გამოცხადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ მესიის უარყოფით, პეტრემ იცოდა, თუ როგორ შეიძლება ჭეშმარიტებიდან გადახვევა.

ლმერთის ლიტერატურული აუდიტორი

მაგრამ მხოლოდ ლმერთის შემეცნების ძიება როდი კმარა. იმისათვის, რომ მასში დავრჩეთ, უნდა ვიცხოვროთ მასში. ძალიან ხშირად ჩვენ განვიცდით იმას, რასაც ლმერთი წარსულში აკეთებდა, და გავურბივართ მასთან ურთიერთობას აწმყოში. ჩვენ ვაგრძელებთ წმიდა წერილის კითხვას და ჭეშმარიტების შესახებ ლაპარაკს, მაგრამ განსაკუთრებით არ ვცდილობთ უფლის გზებით სიარულს.

ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ პირველი სიყვარულის მდგომარეობას, რომელიც შეცნობის შესაძლებლობას გვაძლევს. როდესაც პირველად ვხვდებით ღმერთს, ჩვენ ვკითხულობთ ბიბლიას და ვუსმენთ ქადაგებებს, გულის ფანცქალით ველოდებით და წინასწარ ვტკბებით იმით, რომ უფალი, რომელიც გვიყვარს, უფრო მეტად გაგვეცხადება. მაგრამ ძალიან მალე ასეთ ურთიერთობამდე მივდივართ: „მოდით, ვნახოთ, რა აქვს ამ მსახურს“. ასეთი ურთიერთობის ფარული მოტივი – მოცემული ქადაგების ჭეშმარიტების უგულებელყოფის სურვილია. საკუთარ გულგრილობას ასეთი სიტყვებით ვამართლებთ: „მე უკვე ვიცი ამის შესახებ“ ან „მე ეს უკვე მოვისმინე!“. ასეთი დამოკიდებულების სხვა ნიშანი გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ ჩვენ ვუსმენთ და ვკითხულობთ მხოლოდ იმას, რისი მოსმენაც და წაკითხვაც გვინდა, ნაცვლად იმისა, რომ ღმერთის გზებით ვიაროთ, და მისი გულის უფრო ღრმა გამოცხადება ვეძებოთ. ჩვენ გაფრთხილებულნი ვართ:

„ამიტომ გვმართებს მეტი გულისყურით ვიყოთ მოსმენილისადმი, რათა არ გადავუხვიოთ“.

-ეპრ. 2:1;

ჩვენს ეკლესიებში მრავალი ადამიანი ეცემა, რადგან ისინი დაფუძნებული და განმტკიცებული არ არიან ღმერთის შემეცნებაში. მათ დაკარგეს ღმერთის შემეცნების ძიების სურვილი. მოციქულებმა და წინასწარმეტყველებმა განჭვრიტეს ჩამოშორების ეს პროცესი და გულმოდგინედ გვაფრთხილებენ ვიყოთ მტკიცენი, რათა ბოლოს გავიხაროთ. საშიშია იმის წარმოდგენა, რა შეიძლება მოხდეს, როდესაც გულები წესრიგში არ არის მოყვანილი. ბევრი ღმერთის დიდების კურთხევების გარეშე დარჩება, და ბევრიც განიკითხება!

უფლის შიში

დავითის კარვის ალდგენა

როდესაც დავითმა დაინახა, თუ რა შეემთხვა ყუზას, იგი დაბრუნდა იერუსალიმში და გულმოდგინედ ეძებდა ღმერთის შემეცნებას. სამი თვის შემდეგ მან თქვა:

„...ლევიანთა გარდა არავინ ატაროს კიდობანი, რადგან ისინი ამოირჩია უფალმა ღვთის კიდობნის მტარებლებად და სამარადისო მსახურებად“.

-1 ნეშტ.15:2;

ამჯერად არავინ არ აპირებდა ამის განსჯას. როგორც კი დავითმა პასუხი მიიღო ღმერთისგან ამ საკითხთან დაკავშირებით, მან გაბედულად დაიწყო ამის მოქმედებაში მოყვანა. მან შეკრიბა ისრაელი და გამოყო აარონის შთამომავლები და ლევიტელები. მან უთხრა მღვდლებს:

„...თქვენა ხართ ლევიანთა მამისსახლების თავკაცები. განიწმიდენით თქვენ და თქვენი ძმანი, და დაასვენეთ უფლის, ისრაელის ღვთის, კიდობანი მისთვის მომზადებულ ადგილას. რაკი უწინ ამას არ ასრულებდით, უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, შეგვმუსრა, რადგან წესისამებრ არ ვეკითხებოდით მას“.

-1 ნეშტ.15:12-13;

ეს მღვდლები უნდა განწმედილიყვნენ და კიდობანი – ღმერთის თანდასწრება – განსაკუთრებული მითითების შესრულებით უნდა ეტარებინათ, რაც ითვალისწინებდა ამ პროცესის როგორც გარეგნულ მხარეს, ისე მის არსა. ამჯერად კიდობანი მოიტანეს იერუსალიმში, კარავში, რომელიც დავითმა მოამზადა, და ღმერთის დიდება კვლავ დაუბრუნდა ისრაელს. ის, თუ როგორ უნდა ვატაროთ მისი თანდასწრება, ჩვენი გულების კუნჭულებშია დაფარული. ჩვენ უნდა მოვამზადოთ საკუთარი გულები, რადგან ღმერთი აპირებს თავისი დიდების გამოვლენას ისე, როგორც არასდროს. იგი ამბობს:

„მაგრამ, ცოცხალი ვარ, და აღივსება უფლის დიდებით მთელი ქვეყანა“.

-რიცხ.14:21;

ლმერთის ლიტერატურული აუდიტი

როდესაც ლმერთი ამას ამბობდა, იგი დამწუხრებული იყო, რომ მისი ერთ არ დაუჯერებს და არ დაემორჩილება მას მომავალში. ეს ფრაზა ასევე გულისხმობს იმას, რომ დადგება დრო, როდესაც ლმერთის ერს შეექინდება მისი, და ამიტომ იგი სიტყვაშეუბრუნებლად დაემორჩილება მას. ეს მორწმუნები გამოავლენენ მის დიდებას, რადგან ისინი მისი დიდების ტაძრები იქნებიან. მოგვიანებით ლმერთი საუბრობდა წინასწარმეტყველებას საშუალებით:

„ადექი, განათდი, იერუსალიმო, რადგან მოვიდა შენი ნათელი და უფლის დიდება შენზე გაპრენყინდა. რადგან აპა, ბეჭელი დაფარავს დედამინას და ბურუსი – ხალხებს; შენზე კი გაპრენყინდება უფალი და მისი დიდება შენზე გამოჩნდება. და ივლიან ხალხები შენს სინათლეზე და მეფენი – შენი ამობრწყინების ნათელზე“.

-ეს.60:1-3;

ყურადღება მიაქციეთ იმას, თუ რას ამბობს ესაია: „უფლის დიდება შენზე გამოჩნდება“. თუმცა ჩვენ ასევე გავიგეთ, რომ დიდება მოიხსენიება, როგორც გვიანი წვიმა. ლმერთი დამელაპარაკა ლოცვის დროს და ეს გვიანი წვიმა ნოეს დროინდელ წარლვნას შეადარა. ბიბლიაში ნათქვამია: „...იჩქეფეს უფლებულის დიდმა წყაროებმა და გაიხსნენ ცის სარკმელნი“ (დაბ.7:11;). მისი გამოვლენილი დიდება გამოჩნდება მათზე, ვინც გულს მოუმზადებს უფალს, და იგი მსოფლიოს ხალხებზე გაპრენყინდება. არ იქნება არც ერთი ქალაქი, რომელზეც მისი სულის გვიანი წვიმა არ გადმოიღვრება. ლმერთი მაბობს, რომ თუ მის ერში აღდგება მისი დიდება, ურწმუნოებიც კი მიუახლოვდებიან მის სინათლეს. წინასწარმეტყველი ამოსი ამბობს:

„მას უამს აღვმართავ დავითის დამხობილ კარავს; გარღვეულს შევკრავ, დანგრეულს გავამთელებ და ისე აღვადგენ, როგორც ძველ დროში იყო“.

-ამოს. 9:11;

ლმერთის დიდება დაბრუნდება ეკლესიაში და გადააჭარბებს იმ დიდებას, რომელიც დავითის დროს იყო. იაკობმა დაიმოწმა წმიდა წერილის ეს ადგილი, მიმართული ეკლესიის ხელმძღვანელებისადმი, და იგი უკანასკნელი დროის მოვლენების ასაღწერად გამოიყენა:

უფლის შიში

„სიმონმა მოგვითხრო, როგორ მოხედა ღმერთმა პირველად წარმართებს, რომ წარმართთაგან გამოეკრიბა ხალხი თავისი სახელისათვის. ამასვე ეთანხმება წინასწარმეტყველთა სიტყვები, როგორც დაწერილია: „ამის შემდეგ დავბრუნდები და ალვადგენ დავითის დამხობილ კარავს, დანგრეულს ალვადგენ და კვლავ ავაშენებ, რათა ეძიოს ადამიანთა ნატამალმა უფალი და ჩემი სახელით წოდებულმა ყველა ერმა, ამბობს უფალი, ყოველივე ამის მოქმედი. საუკუნითგან ღვთისთვის ცნობილია ყოველი მისი საქმე“.

-საქმე. 15:14-18;

იაკონმა სულში დაინახა მორწმუნების ეს დიდებული მკა, რომლებიც ღმერთის სამეფოში წავლენ მას შემდეგ, რაც ღმერთის დიდება აღდგება. იგი ლაპარაკობს წინასწარმეტყველური სიტყვებით, მაგრამ მისი სიტყვები არ ამოწურავენ ამოსის უწყების აზრს, რადგან იგი მხოლოდ იმის შესახებ საუბრობს, რაც ჩვენი დროისთვის არის დამახასიათებელი. მოდით, ახლა ვნახოთ, რაშია ამოსის წინასწარმეტყველების სისავსე:

„აჟა, დადგება დრო, - ამბობს უფალი, - როცა მხვნელი თავს წაადგება მომკელს და ყურძნის მწურავი — მთესველს; ბადაგად დაიღვრებიან მთები და გორაკები დადნებიან“.

-ამოს. 9:13;

ღმერთის სიტყვის თანახმად, მკა უხვი იქნება, რომ მომკელი იმდენად იქნება გადატვირთული, რომ ვერ მოასწრებს მოსავლის აღებას იმ დრომდე, რომ მხვნელი ახალი სეზონისათვის მინდვრის მოსამზადებლად მოვა. ინგლისურ თარგმანში “New Living Translation” - ში ნათქვამია ასე:

„დადგება დრო, - ამბობს უფალი, - როდესაც ხორბალი და ყურძნები უფრო მალე მომწიფდება, ვიდრე მათი მოსავლის აღებას მოასწრებენ“.

-ამოს. 9:13;

მარტივად რომ ვთქვათ, ღმერთის მიერ აღწერილი მოსავალი იმდენად დიდი იქნება, რომ ადამიანები ვერ შეძლებენ მასთან

ლმერის დადებს აუდგენა

გამკლავებას. დიდება ლმერთს! იყავით ამ დღის მოლოდინში, რადგან იგი მალე დადგება. დრო მცირეა. ნუ შეეწინააღმდეგებით ლმერთის განმწმედ სამუშაოს და ნუ უგულებელყოფთ უფლის შესახებ ცოდნას.

ვწერ რა ამ წიგნს, მწვავედ ვაცნობიერებ მის მნიშვნელოვნობას და დროულობას. ეს არის სულის ძახილი, მიმართული ეკლესიისადმი. „გახადეთ ხალხი ლვთიური დიდების ლირსი, და ამით მოუმზადეთ გზა უფალს“! – აი, რაში მდგომარეობს ამ უწყების არსი. რადგანაც ლმერთი აღადგენს თავის დიდებას, მოდით, ჩვენც გამოვიჩინოთ სიბრძნე და ვისწავლოთ დავითისა და მისი თანმხლები პირებისაგან. ეს მოვლენები როდი დაიწერა, როგორც უბრალოდ ისტორიული ფაქტები. ნათქვამია: „რადგან ყოველივე, რაც წინათ დაიწერა, ჩვენს სასწავლებლად დაიწერა...“ (რომ.15:4;).

ახლა, როდესაც ჩავყარეთ საძირკველი, რომელიც დროის გაგებაში გვეხმარება, დადგა დრო გავაცნობიეროთ იმის მნიშვნელობა, თუ რატომ უნდა ვისწავლოთ უფლის მოშიშობით სიარული.

ადამიანი, მოშიში ლევთისა, თრთის
ლმერთის და მისი სიტყვის წინაშე.

ხედვის უნარი

„ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდათ ჩემი და დაეცვათ ყველა ჩემი მცნება ყოველ დღე, რათა კარგად ყოფილი-ყვნენ ისინი და მათი ძენი უკუნისამდე“. -რჯლ. 5:29;

ჩვენ ხშირად ვისმენთ პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ პირველ წერილზე დაფუძნებულ ქადაგებებს. ბიბლიის ამ ნიგნს ხშირად იმოწმებენ, განსაკუთრებით სულით აღვსილი ქრისტიანები. კორინთოს ეკლესია ქრ.შ-დან 51 წელს დაარსდა (ორმოცდამეათე დღიდან მრავალი წლის შემდეგ), იგი ძალიან გახსნილი იყო სულიერი ნიჭების მისაღებად, და ამით ძალიან კურთხეულიც. სულინმიდის ძლიერი ცხებულება ამ ქრისტიანებზე იყო ისე, როგორც ზოგიერთ თანამე-დროვე ეკლესიაზეა.

პავლეს მეორე წერილს კორინთელთა ეკლესიის მიმართ არც თუ ისე ხშირად მიმართავენ, როგორც პირველს. ამ წერილის ძირითადი თემებია ღვთიური წესრიგი, უფლის შიში და მათ შემდეგ მომავალი ღმერთის დიდების დაბრუნება. თუ კონტექსტში წავიკითხავთ, ეს წერილი მნიშვნელოვანი და საინტერესოა ჩვენი დროის მორწმუნებისათვის. როდესაც კორინთელთა მიმართ მეორე წერილის ნაწყვეტის შესწავლას დაიწყებთ, გახსოვდეთ, რომ იგი იმ ადამიანებისთვის დაინერა, რომელთათვისაც ძალიან კარგად იყო ცნობილი ის, თუ რა არის ცხებულება, და რომლებიც ხშირად იყენებდნენ სულიერ ნიჭებს.

ძველი ალთქმის დიდება ახალი ალთქმის დიდებასთან შედარებით

კორინთელთა მიმართ დაწერილ ორივე წერილში პავლე ხშირად მიმართავს ისრაელი ერის ეგვიპტიდან გამოსვლის და უდაბნოში ღმერთის დიდების გამოცხადების ისტორიას. ის, რასაც ისინი განიცდიდნენ, ჩვენც გვეხება, რადგან ყოველივე,

უფლის შიში

რაც ისრაელიანებს მატერიალურ სამყაროში შეემთხვათ, გახლავთ ჩრდილი და წინასახე იმისა, რასაც ჩვენ სულიერ სფეროში განვიცდით. პავლე ამის შესახებ ამბობდა:

„ყოველივე ეს მათ დაემართათ სამაგალითოდ და აღწერილია ჩვენს დასარიგებლად, რომლებმაც მივაღწიეთ სოფლის აღსასრულს“.

-1 კორ.10:11;

პავლეს პირველი წერილი ლმერთის ხალხის გულში ღვთიური წესრიგის საფუძველს დებს. მეორე წერილი უფრო ღრმაა. პავლე გადადის იმის განხილვაზე, უნდა თუ არა ლმერთს თავისი დიდების გამოვლენა და მორწმუნების გულებში დამკვიდრება. პავლე საუბარს იწყებს უდაბნოში გამოვლენილი ლმერთის დიდების იმ დიდებასთან შედარებით, რომელიც ახალ აღთქმაში გამოვლინდა. ხაზს უსვამს რა ამ განსხვავებას, იგი წერს:

„ხოლო თუ სიკვდილის მსახურება, ქვაზე ასოებით გამოსახული, ისე დიდებული იყო, რომ ისრაელიანებმა ვერ შეძლეს მოსეს სახის ხილვა მის სახეზე გადმოსული დიდების გამო, რამდენად დიდი იქნება სულის მსახურების დიდება?“

-2 კორ.3:7-8;

სინაის მთაზე მოსე ხედავდა უფლის სახეს და ესაუბრებოდა, როგორც კაცი ესაუბრება თავის მეგობარს. როდესაც მოსე მთიდან ჩამოვიდა, მან სახე დაიფარა, რადგან იგი ისე ბრწყინვდა, რომ ხალხს მასთან მიახლოების ეშინოდა. მოსეს სახე ირეკლავდა ლმერთის დიდებას, იგი ხომ ამ დიდების თანდასწრებაში იმყოფებოდა.

ლმერთის ჩანაფიქრი ახალი აღთქმის ხალხისთვის მდგომარეობს არა იმაში, რომ ჩვენ მის დიდებას ვირეკლავდეთ, არამედ იმაში, რომ მისი დიდება ჩვენში იმყოფებოდეს!

ერთი საქმეა, როდესაც ჩვენ რამეს ვირეკლავთ, და სრულიად სხვაა – იმყოფებოდა რამეში და რაღაცას ასხივებდე! ეს ლმერთის ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს! აი, რატომ შეეძლო პავლეს ამის თქმა:

ხელვას უნარი

„რადგან ამრიგად განდიდებული არ ჩაითვლება დიდებულად ამ აღზევებულ დიდებასთან შედარებით“.

-2 კორ.3:10;

მიუხედავად იმისა, რომ ძველი ალტემის დიდების შედარებაც კი არ შეიძლება ახალი ალტემის დიდებასთან, ძველი ალტემის დიდება იმდენად დიდებული იყო, რომ პავლე ამბობს, რომ მოსე სახეს იფარავდა „... რათა ისრაელ ერს არ დაენახა მოსული დიდების დასასრული“ (2 კორ.3:14; – თანამ.თარგ.). მაგრამ, ამასთანავე, პავლე დამწუხრებული ამბობს:

„მაგრამ დაეხშათ მათ გონება...“

-2 კორ.3:14;

სამწუხაროდ, მათ ვერ შეძლეს იმის დანახვა, რასაც ასე შეუპოვრად საჭიროებდნენ. პავლე გვაფრთხილებს, რომ ჩვენც არ აღმოვჩნდეთ ასეთ მდგომარეობაში.

ჩვენ შეგვიძლია დავსვათ კითხვა: „როგორ შეიძლება გონების დახშობა?“. ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, საჭიროა ცოდნა და სიბრძნე, რაც ასე გვაკლია. ის, რის ნაკლებობასაც განვიცდით, აუცილებელია ჩვენთვის, რათა ღმერთის დიდებაში ვიაროთ! ამ კითხვაზე პასუხის მისაღებად, ჩვენ უნდა დავბრუნდეთ იმ დროის კონტექსტში, რომლის შესახებაც პავლე მოციქული საუბრობს.

ღმერთის მოშიშების შედარება ღმერთის მიმართ შიშთან

ისრაელი ახლახან გამოვიდა ეგვიპტიდან და მოსემ ისინი სინაის მთასთან მიიყვანა, სადაც ღმერთმა თავისი დიდება გამოავლინა.

„და უთხრა უფალმა მოსეს: წადი ხალხთან და განწმიდე ისინი დღეს და ხვალ, და გაირეცხონ თავიანთი სამოსელი. და მზად იყვნენ მესამე დღისთვის, რადგან მესამე დღეს ჩამოვა უფალი მთელი ხალხის თვალწინ სინაის მთაზე“.

-გამ.19:10-11;

უფლის შიში

ეს წინასწარმეტყველური სიტყვაა, რადგან იგი ჩვენი დროის შესახებაც საუბრობს. ვიდრე ღმერთი თავის დიდებას გამოავლენდა, ხალხი უნდა განწმედილიყო. განწმედა ტანისამოსის გარეცხვას გულისხმობდა. გახსოვდეთ, რომ უფლისთვის ერთი დღე არის, როგორც ათასი წელი. თითქმის ორი ათასი წელი (ორი დღე) გავიდა იესო ქრისტეს ალდგომის მომენტიდან. ღმერთმა თქვა, რომ ამ ორი ათასი წლის განმავლობაში (ორი დღის) მისი ეკლესია უნდა განიწმიდოს, ე.ი. გამოეყოს ქვეყნიერებას, და ამგვარად მოემზადოს მისი დიდებისთვის. ჩვენი სამოსელი ქვეყნიერების ჭუჭყისგან უნდა განიწმიდოს (იხ.2კორ.6:16; 7:1). ჩვენ უფლის უბინო საპატარძლო უნდა გავხდეთ. ორი ათასი წლის შემდეგ იგი კვლავ გამოავლენს თავის დიდებას.

ახლა კი წაიკითხეთ, რა მოხდა მესამე დღის დილას:

„და მესამე დღეს, გამთენისას, იყო გრგვინვა და ელვა და ქუფრი ღრუბელი მთაზე, და საყვირის ხმა მეტად ძლიერი. და შექრწუნდა ბანაკში მყოფი ხალხი. და გამოიყვანა მოსემ ხალხი ღვთის შესახვედრად ბანაკიდან და დადგნენ მთის ძირას. ხოლო სინაის მთა ბოლავდა მთლიანად, რადგან უფალი ჩამოვიდა მასზე ცეცხლში, და მისგან ღუმლის კვამლივით ადიოდა კვამლი და ძლიერ ირყეოდა მთელი მთა“.

-გამ.19:16-18;

ღმერთმა საკუთარი თავი მხოლოდ მხედველობითი სახით კი არ გამოავლინა, არამედ ხმაშიც და ხმაურშიც. როდესაც მოსემ დაილაპარაკა, ღმერთმა მას ყველას გასაგონად უპასუხა. ხშირად ჩვენ ღმერთს აღვიქვამთ, როგორც მეგობარს, რომელთანაც შეგვიძლია უბრალოდ ვისაუბროთ. მაგრამ ჩვენ ცალი თვალით მაინც რომ დაგვენახა ის, რასაც მოსე და ისრაელიანები ხედავდნენ, ჩვენი წარმოდგენა ღმერთის შესახებ მთლიანად შეიცვლებოდა. ის უფალია, და ის არ იცვლება! ყურადღებით წაიკითხეთ, თუ როგორი რეაგირება მოახდინა ხალხმა, როდესაც ღმერთი მოვიდა:

„და ხედავდა მთელი ხალხი ჭექა ქუხილს და ცეცხლის ალს, და საყვირის ხმას და აკვამლებულ მთას. იხილა ხალხმა და შეკრთა და დადგა მოშორებით. და უთხრეს მოსეს: „გველაპარაკე შენ და მოგისმენთ, ოღონდ ღმერ-

ხელვას უნისი

თი ნუ გველაპარაკება, თორემ დავიხოცებით“. და უთხრა მოსემ ხალხს: „ნუ გეშინიათ, რადგან ღმერთი მოვიდა, რომ გამოგცადოთ თქვენ, რომ მისი შიში იყოს თქვენს წინაშე, რათა არ შესცოდოთ“.

-გამ. 20: 18-20;

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ხალხმა შიშისგან კანკალი დაიწყო და მოშორებით დადგა. მათ მეტად აღარ სურდათ უფლის ხმის მოსმენა, აღარც ღმერთის დიდების დანახვის და მის თანდასწრებაში ყოფნის სურვილი ჰქონდათ – მათ არ შეეძლოთ ამის გაძლება.

მოსემ მაშინვე უთხრა მათ: „ნუ გეშინიათ...“ – და მოუწოდა ღმერთის თანდასწრებაში დაბრუნებულიყვნენ, განუმარტა რა, რომ ღმერთი მოვიდა, რათა გამოეცადა ისინი. რაში დასჭირდა ღმერთს მათი გამოცდა? იმისათვის, რომ დაენახა, რა იყო მათ გულებში? რასაკვირველია, არა. მან ამის გარეშეც კარგად იცის ჩვენი გულის იდუმალი გრძნობები. ღმერთი გვცდის, რათა თავად ვიცოდეთ, რა არის ჩვენს გულში. რა იყო გამოცდის მიზანი, რომელიც ისრაელიანებს ხვდათ წილად? ეს საჭირო იყო რათა, თვითონ შეემონებინათ, ნამდვილად ეშინიათ თუ არა ღმერთის. მათ ღმერთის მიმართ შიში ჰქონდათ, მაშინ ისინი არ შესცოდავდნენ. ცოდვა – ეს არის შედეგი იმისა, რომ ჩვენ ჩამოვშორდით უფალს.

მოსემ თქვა: „ნუ გეშინიათ...“. შემდეგ მან თქვა, რომ ღმერთი მოვიდა, „...რომ მისი შიში იყოს თქვენს წინაშე...“. ამ უქალში ხაზგასმით არის აღნიშნული განსხვავება ღმერთის მიმართ შიშსა და ღმერთის მოკრძალებულ მოშიშებას შორის. მოსეს ჰქონდა ღმერთის შიში(მოშიშება), ხალხს კი არა. უტყუარი ჭეშმარიტება მდგომარეობს იმაში, რომ თუ ჩვენ არ გვაქვს ჭეშმარიტი ღმერთის შიში, იმ მომენტში, როდესაც იგი თავის დიდებას გაგვიცხადებს, შეგვეშინდება მისი, რადგან ყოველი მუხლი მოიდრიკება მის წინაშე, თუ მოკრძალებული შიშის გამო არა, მაშინ შიშის ზარის გამო (იხ.2კორ.5:10-11;).

„და იდგა ხალხი მოშორებით, და მივიდა მოსე ნისლთან, სადაც ღმერთი იყო“.

-გამ. 20: 21;

შეხედეთ, როგორ განსხვავებულად იქნა ღმერთის დიდების გამოვლინება აღქმული: ისრაელი მოშორებით დადგა, ხოლო

უფლის შიში

მოსე კი მიუახლოვდა. ეს განასახიერებს განსხვავებულ რეაქციებს, რომლის დანახვაც დღეს მორწმუნებს შორის შეგვიძლია.

ბევრ რამეში მსგავსნი

ძალიან მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ ის, რომ ისრაელიანები არც თუ ისე ძალიან განსხვავდებოდნენ ჩვენი თანამედროვე ეკლესიებისაგან:

– ისინი ყველანი მოვიდნენ ეგვიპტიდან, რაც თავისთავად ნიშნავს გადარჩენას.

– ისინი განიცდიდნენ ღმერთის სასწაულებს და წყალობას, როგორც მრავალი ადამიანი თანამედროვე ეკლესიაში.

– ისინი განთავისუფლდნენ მჩაგვრელებისგან, რაც ასევე მრავალმა ადამიანმა განიცადა დღევანდელ ეკლესიაში.

– მათ არ სურდათ ცხოვრების წესის შეცვლა, მათ არ აკმაყოფილებდა მონური მდგომარეობა, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ. როგორ ხშირად გვიწევს ასეთი რამის დანახვა დღევანდელ ეკლესიებში! ადამიანები გადარჩენილები და განთავისუფლებულები არიან, თუმცა მათ გულებს არასოდეს არ უთქვამთ უარი ცხოვრების ამ წესზე, თუმცა ცხოვრების ამ წესს ისინი მონობისაკენ მიჰყავს.

– მათ მიიღეს ცოდვილის სიმდიდრე, რომელიც ღმერთმა მართლისათვის მოამზადა. ბიბლიაში ნათქვამია: „და გამოიყვანა ისინი ვერცხლით და ოქროთი...“ (ფსალმ.104:37;). თუმცა მათ ეს ღვთიური კურთხევა გამოიყენეს იმისათვის, რომ კერპი გაეკეთებინათ! დღეს იგივეს არ ვაკეთებთ ჩვენც? ჩვენ გვესმის ფინანსური კურთხევების შესახებ, თუმცა ხშირად ისინი, რომლებიც ყველაზე მეტად იყვნენ კურთხეულნი, მთელ თავიანთ სიყვარულს და ძალას ფინანსურ და მატერიალურ კურთხევებს უძლვნიან, იმის ნაცვლად, რომ ეს ყველაფერი ღმერთს მიუძღვნან, რომელმაც ისინი აკურთხა.

– მათ განიცადეს ღმერთის განმჯურნებელი ძალა, იმიტომ, რომ როდესაც ისინი ეგვიპტიდან გამოდიოდნენ, როგორც ბიბლია ამბობს, „...მათ ტომებში არავინ იყო უძლური“ (ფსალმ.104:37;). ეს უფრო მეტია, ვიდრე ის, რაც დღეს ხალხმრავალ განკურნების მსახურებზე ხდება. მოსე ეგვიპტიდან გამოვიდა სამი მილიონი ძლიერი და ჯანმრთელი ადამიანით. შეგიძლიერ ნარმოიდგინოთ ქალაქი სამი მილიონი მცხოვრე-

ხელვას უნირი

ბლით, სადაც სავადმყოფოებში არც ერთი ავადმყოფი არ არის? ისრაელიანები იყვნენ მონები და 400 წელი ითმენდნენ გაჭირვებას. წარმოიდგინეთ ის განკურნებები და სასწაულები, რომლებიც მაშინ მოხდა, როდესაც ისინი საპასექო კრავს ჭამდნენ!

ისრაელიანებისთვის ნაცნობი იყო ღმერთის დამხსნელი, განმკურნებელი, სასწაულთმოქმედი და განმათავისუფლებელი ძალა. მათ ძალიან უხაროდათ, როდესაც ღმერთი მათ მხარეს მოქმედებდა, ახდენდა რა სასწაულებს. ისინი ცეკვავდნენ, და ეს ძალიან ჰგავდა იმ ცეკვებს, რომლებსაც ჩვენ ქარიზმატულ ან სულით აღვსილ შეკრებებზე ვცეკვავთ (იხ.გამ.15:1,20;). საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ისრაელიანებს იზიდავდა ღმერთის საოცარი გამოვლინებები, რადგან ისინი სარგებელს იღებდნენ მათგან, მაგრამ ისინი შეშინდნენ და განზე გადგნენ, როდესაც მათ ღმერთის დიდება გამოეცხადა!

რამდენად განვსხვავდებით ჩვენ მათგან? ჩვენ ძველებურად გვიზიდავს სასწაულები. ადამიანები მრავალ კილომეტრს გადიან და დიდ შესანირავებს სწირავენ იმ იმედით, რომ ორმაგ კურთხევას მიიღებენ ღმერთისაგან სასწაულების მსახურებებზე. მაგრამ რა მოხდება, როდესაც ღმერთის დიდება გამოვლინდება? მაშინ ადამიანები მხილებულნი იქნებიან მის დიდებულ თანდასწრებაში. ჩვენ შეიძლება გამოუმჟღავნებელი ცოდვით ვიცხოვროთ, როდესაც ირგვლივ სასწაულები ხდება, მაგრამ ცოდვა ვერ დაიმალება გამოვლენილი ღმერთის დიდების სინათლეში.

რამ დააპრმავა ადამიანები?

ორმოცი წლის გასვლის შემდეგ, როდესაც გარდაიცვალა უფროსი თაობა, მოსემ ახალგაზრდა თაობას შეახსენა, თუ რა მოხდა მთაზე, როდესაც ღმერთმა თავისი დიდება გამოავლინა.

„და როცა მოისმინეთ თქვენ ხმა წყვდიადიდან, ხოლო მთა ცეცხლში იწვოდა, მაშინ მოხვედით ახლოს თქვენი ტომის ყველა მთავარი და თქვენი ერის უხუცესები. და მითხარით: „აპა, გვიჩვენა ჩვენ უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, თავისი დიდება და თავისი სიდიადე, და მისი ხმა გვესმა ჩვენ ცეცხლის შუაგულიდან. ამ დღეს ვიხილეთ ჩვენ, რომ ღმერთი ელაპარაკა ადამიანს და ადამიანი ცოცხალი დარჩა. და ახლა რისთვის დავიხოცოთ? ხომ

უფლის შიში

გვშთანთქავს ეს დიდი ცეცხლი, თუ ჩვენ კვლავ მოვისმენთ უფლის, ჩვენი ღმერთის, ხმას, მაშინვე დავიხოცებით. რადგან ვინაა ის ხორციელი, რომ მოესმინოს ცეცხლის შუაგულიდან მოლაპარაკე ღვთის ხმა და ჩვენსავით ცოცხალი დარჩენილიყოს? შენ მიუახლოვდი და მოისმინე ყველაფერი, რასაც იტყვის უფალი, ჩვენი ღმერთი, და მოვიყევი ჩვენ ყველაფერი, რასაც შენ გეტყვის უფალი, ჩვენი ღმერთი, და ჩვენ მოგისმენთ და შევასრულებთ“.

-რჯლ. 5: 23-27;

მათ დაიყვირეს: „ჩვენ არ შეგვიძლია მის დიდებულ თანდასწრებასთან მიახლოება“. მათ სურდათ, რომ მოსეს მოესმინა ღმერთისთვის, თვითონ კი დაპირდნენ დამორჩილებოდნენ მას და შეესრულებინათ ყველაფერი, რასაც ღმერთი იტყოდა! ისინი ათასი წელი აპირებდნენ ასე ცხოვრებას, მაგრამ არ დაემორჩილნენ მის სიტყვას. გავხდით კი დღეს ჩვენ სხვანაირები? ვიღებთ კი ღმერთის სიტყვას ჩვენი პასტორისგან და მქადაგებლებისგან, განა არ ვშორდებით შიშით ღმერთის მთას? გვეშინია მოვისმინოთ ღმერთის ხმა, რომელიც ჩვენი გულის მდგომარეობას აშიშვლებს? ასეთი გულის მდგომარეობა არაფრით არ განსხვავდება ისრაელიანთა გულების მდგომარეობისგან.

მოსე ძალიან დამწუხებული იყო ისრაელის ასეთი რეაქციით. მას არ შეეძლო იმის გაგება, თუ როგორ არ სწყუროდათ მათ ღმერთის თანდასწრება. როგორ შეეძლოთ ასეთი უგუნურება? მოსემ ღმერთის წინაშე მიიტანა თავისი მწუხარება, და იმედოვნებდა, რომ იგი დაეხმარებოდა ამ ვითარებაში. მაგრამ ნახეთ, რა მოხდა:

„ისმინა უფალმა თქვენი ლაპარაკის ხმა, მე რომ მელაპარაკებოდით, და მითხრა უფალმა: „ვისმინე ამ ხალხის ლაპარაკის ხმა, შენ რომ გელაპარაკებოდა. ყველაფერი კარგია, რაც ილაპარაკეს“.

-რჯლ.5:28;

მე დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთის პასუხმა შეაძრნუნა მოსე. ალბათ, იგი ფიქრობდა: „რაა ... ხალხი მართალია? როგორც იქნა ისინი მართლები არიან! მათ ნამდვილად არ შეუძლიათ ღმერთის თანდასწრებაში შესვლა. რატომ?“. აქ ღმერთმა მოსეს ფიქრი შეაწყვეტინა:

ხელვას უნარი

„ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდათ ჩემი და დაეცვათ ყველა ჩემი მცნება ყოველდღე, რათა კარგად ყოფილიყვნენ ისინი და მათი ძენი უკუნისამდე“.

-რკლ. 5: 29;

ღმერთი ჩიოდა: „ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდათ ჩემი...“. მათ შეეძლოთ ყოფილიყვნენ, როგორც მოსე, აერეკლათ ღმერთის დიდება და სცოდნოდათ მისი გზები, თუ მათ ღმერთის მოშიში გულები ექნებოდათ, ისეთი როგორიც ჰქონდა მოსეს! მაგრამ მათი გული სიბნელეს მოეცვა, მათი გონება ვერ ხედავდა იმას, რასაც ასე საჭიროებდნენ.

რამ დააბრმავა ისინი? პასუხი მარტივია: მათ არ ჰქონდათ უფლის მოშიში გულები. ამის შესახებ ღმერთის მცნებებისადმი დაუმორჩილებლობა მოწმობს. თუ ჩვენ მოსეს შევადარებთ ისრაელიანებს, აღმოვაჩინთ, რომ ისინი განსხვავდებიან, როგორც ადამიანი, რომელსაც ეშინია უფლის, და ხალხი, რომელსაც არ ეშინია მისი.

მოკრძალებული დამოკიდებულება ღმერთის სიტყვის მიმართ

ადამიანი, რომელიც ღვთის მოშიშია, თრთის მისი და მისი სიტყვის ნინაშე (იხ.ე.ს.66:2;იერ.5:22;). რას ნიშნავს მისი სიტყვისადმი მთრთოლვარე დამოკიდებულება? ყოველივე ეს შეიძლება ასეთი მტკაცებით განვაზოგადოთ:

მზად ვიყოთ დავემორჩილოთ ღმერთს, მაშინაც კი, როდესაც გვგონია, რომ კომპრომისზე წასვლა უფრო ხელსაყრელია, ან არ დავემორჩილოთ ღმერთის სიტყვას.

ჩვენი გული განმტკიცებული უნდა იყოს იმ აზრით, რომ ღმერთი კეთილია. იგი გულს არ ტკენს ბავშვებს. ადამიანმა, რომელსაც აქვს ღმერთის შიში, იცის ამის შესახებ, რადგან მან იცის ღმერთის ხასიათი. აი, რატომ მიუახლოვდება მამაკაცი ან დედაკაცი ღმერთს მაშინ, როდესაც სხვები შიშით შორდებიან.

ასეთმა ადამიანმა იცის, რომ ნებისმიერი დაუყოვნებლივი ან მომავალი სიძნელეები, რომლებსაც ღმერთან მოსული ადამიანები ეჯახებიან, საბოლოო ჯამში, მას სასიკეთოდ ენევა. უმრავლესობა ამას დაეთანხმება, თუმცა ჩვენი ჭეშმარიტი რწმენა მაშინ გამოჩნდება, როდესაც სიძნელეები მოვა. მხოლოდ

უფლის შიში

მაშინ, განსაცდელების ცეცხლის სინათლეზე, ვხედავთ, რას წარმოადგენს ჩვენი რწმენა.

ისრაელიანთა ცხოვრებაში არსებული განსაცდელები, ააშკარავებენ მათი გულის სიღრმეებს. მოდით ვნახოთ, როგორ სხვადასხვაგვარად რეაგირებდნენ ისინი ღმერთის სიტყვაზე. ისრაელიანები ღმერთის სიტყვას ემორჩილებოდნენ მანამ, სანამ ხედავდნენ, თუ რა დაუყოვნებელი სარგებლობა შეიძლებოდა მოეტანა ამას. მაგრამ იმ მომენტში, როდესაც ისინი იტანჯებოდნენ ან სარგებელს ველარ ხედავდნენ მორჩილებაში, აღარ უყურებდნენ ღმერთს და მწარედ დრტვინავდნენ.

საუკუნეების განმავლობაში ისრაელი ევედრებოდა ღმერთს ეგვიპტელი მჩაგვრელებისაგან გათავისუფლებას. ისინი იწვოდნენ აღთქმულ მიწაზე დაბრუნების სურვილით. ღმერთმა ამ ერს მოსე მოუვლინა მხსნელად. უფალმა უთხრა მოსეს ხალხის შესახებ: „და ჩამოვედი, რათა ვიხსნა ეგვიპტელთა ხელიდან და გამოვიყანო იმ ქვეყნიდან, და შევიყვანო კარგსა და ვრცელ ქვეყანაში, სადაც მოედინება რძე და თაფლი...“ (გამ.3:8;). მოსე მივიდა ფარაონთან და უფლის სიტყვები წარმოთქვა: „გაუშვი ჩემი ხალხი“. მაგრამ ფარაონმა მხოლოდ შრომის დამძიმებით უპასუხა. ხალხს აღარ აძლევდნენ ბზეს დიდი რაოდენობით აგურის გასაკეთებლად, რომლებსაც ებრაელი მოხები აკეთებდნენ. ახლა მათ ღამით ბზის შეგროვება, დღისით კი აგურების კეთება უწევდათ. აგურების რაოდენობა არ შეამცირეს, თუმცა ბზის მიწოდება შეუწყვიტეს. ღმერთის სიტყვამ თავისუფლების შესახებ მხოლოდ ებრაელების ტანჯვა გააძლიერა. ისინი ჩიოდნენ შევიწროვების გამო და მოსეს ეუბნებოდნენ: „თავი დაგვანებე და მოეშვი ფარაონის წინაშე ქადაგებას. შენ მხოლოდ გვირთულებ ცხოვრებას“.

როდესაც ღმერთმა, ბოლოს და ბოლოს, ისინი გამოიყვანა ეგვიპტიდან, ფარაონის გული კვლავ გასასტიკდა და იგი თავისი საუკეთესო მებრძოლებით და ეტლებით დაედევნა ისრაელიანებს უდაბნოში. როდესაც ისრაელიანებმა დაინახეს, რომ ეგვიპტელები დაედევნენ, და მტერმა ისინი მეწამულ ზღვასთან მიმწყვდია, მათ კვლავ დრტვინვა დაიწყეს. „განა ამას არ გეუბნებოდით ეგვიპტეში: „დაგვეხსნი ჩვენ, რომ ვემსახუროთ ეგვიპტელებს?“, რადგან გვირჩევნია ეგვიპტელებს ვემსახუროთ, ვიდრე უდაბნოში დავიხოცოთ“ (გამ.14:12;).

ყურადღება მიაციიეთ შემდეგ სიტყვებს: „რადგან გვირჩევნია...“. არსებითად ისინი ამბობდნენ: „რაში გვჭირდება ღმერთის მორჩილება, თუკი ამას ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ უბე-

ხელვას უნარი

დურება მოაქვს? ჩვენ უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, ვიდრე აქამდე ვიყავით“. ისინი საკუთარი განვლილი ცხოვრების ახლანდელ მდგომარეობასთან შედარებას ჩქარობდნენ. როდე-საც პირველი უფრო უკეთესი ჩანდა, ისრაელიანებს უკან და-ბრუნება სურდათ. მათ პირადი ხელსაყრელი პირობები უფრო მეტად სურდათ, ვიდრე ღმერთის ნების მორჩილება. ოჭ, რო-გორ აკლდათ მათ ღმერთის შიში! ისინი ღმერთის სიტყვას მოკრძალების გარეშე ეპყრობოდნენ.

ღმერთმა შუაზე გააპო მენამული ზღვა და ისრაელის ძეე-ბმა გაიარეს ხმელზე შუაგულ ზღვაში „წყალი კედლად ედგა მათ მარჯვნივ და მარცხნივ“, და იხილა ისრაელმა, თუ როგორ შთანთქა ზღვამ ეგვიპტელები, ისინი ხარობდნენ მათ მიმართ გამოვლენილი ღმერთის მადლით, ცეკვავდნენ და ადიდებდნენ ღმერთს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ არასოდეს აღარ დაეჭვდებოდნენ უფლის სიკეთეში! მაგრამ არ იცოდნენ სა-კუთარი გულები. მოდიოდა ახალი განსაცდელი, და კვლავ ვლინდებოდა მათი ორგულობა. სულ რაღაც სამი დღის გას-ვლის შემდეგ ისინი კვლავ დრტვინავდნენ, რადგან ტკბილი წყალი სურდათ (იხ. გამ. 15:22-25;).

ჩვენც ხშირად ვაკეთებთ იგივეს? რბილი და სასიამოვნო სიტყვების მოსმენა გვსურს მაშინ, როდესაც მწარე სიტყვები გვჭირდება, რათა უწმინდურებისაგან განვიწმიდოთ. ამიტომ სოლომონი ამბობდა: „... მშეერი სულისათვის ყოველი მწარე ტკბილია“ (იგავ.27:7;).

გავიდა რამდენიმე დღე, და ისრაელის ძეებმა ისევ დაიწ-ყეს დრტვინვა, რადგან მათ საკვები არ ჰქონდათ. ისინი ამ-ბობდნენ: „...ნეტა უფლის ხელით გავმწყდარიყავით ეგვიპტის ქვეყანაში...“ (იხ. გამ. 16:1-4;). წარმოგიდგინიათ, რა რელიგი-ურად იქცეოდნენ ისინი?

შემდეგ ისრაელიანები ისევ დრტვინავდნენ, რადგან წყალი არ ჰქონდათ (იხ.გამ. 17:1-4). ისინი ყოველთვის დრტვინავდ-ნენ, როცა კი სიძნელებს ეჯახებოდნენ. ისრაელის ძენი ღმერ-თის სიტყვას იცავდნენ მანამ, სანამ ეს მათთვის ხელსაყრელი იყო. მაგრამ, როდესაც მორჩილება სიძნელეების გადალახვას გულისხმობდა, ისრაელიანები მაშინვე იწყებდნენ დრტვინვას.

სხვანაირი გული

მოსე მათ არ ჰგავდა. მისი გული დიდი ხნით ადრე გამოიცა-და. დაწერილია:

უფლის შიში

„რწმენით უარი თქვა მოსემ, როცა წამოიზარდა, ფარაონის ასულის ძედ წოდებულიყო. და ღვთის ხალხთან ტანჯვა ამჯობინა წარმავალ, ცოდვიან განცხრომას. ცხებულის გულისთვის დამცირება მეტ სიმდიდრედ მიიჩნია, ვიდრე ეგვიპტის საგანძურები, ვინაიდან ხედავდა საზღაურს“.

-ებრ.11:24-26;

ისრაელის ძენი მონობას არ ირჩევდნენ. მოსეს კი ყოველივე საუკეთესო ჰქონდა, რაც ქვეყნიერებას შეეძლო მისთვის შეეთავაზებინა, მაგრამ მან უარი თქვა ამ ყველაფერზე, მან თავის ხალხთან ერთად ტანჯა ამჯობინა. მისი პოზიცია სრულიად განსხვავდებოდა ისრაელის ძეების პოზიციისაგან. მათ ეგვიპტეში (ქვეყნიერებაზე) დაბრუნება სურდათ, რადგან მალე დაივიწყეს მისი ულელი. მათ მხოლოდ ის ახსოვდათ, რომ უხვად ჰქონდათ საკვები, რომლის ნაკლებობასაც უდაბნოში განიცდიდნენ ღვთიური განსაცდელების უამს. მოსემ სიძნელეები აირჩია, „...ვინაიდან ხედავდა საზღაურს“. როგორ საზღაურს ეძებდა იგი? პასუხს გამოსვლის წიგნის ოცდამეცამეტე თავში ვპოულობთ:

„და უთხრა უფალმა მოსეს: „წადით ახლა აქედან შენ და შენი ხალხი, რომელიც გამოიყანე ეგვიპტის ქვეყნიდან, იმ ქვეყანაში, რომელიც შევფიცე აბრაამს, ისაკს და იაკობს ასე: „შენს შთამომავლობას მივცემ მას“. წინ წაგიმძლვარებ ანგელოზს და გავრეკავ ქანაანელებს, ამორეველებს, ხეთელებს, ფერიზელებს, ხიველებს და იებუსეველებს. [და ის შეგიყვანთ] ქვეყანაში, სადაც მოქდინება რძე და თაფლი. ხოლო მე თვითონ არ ამოვალ შენს შორის, რადგან ქედფიცხელი ხალხი ხარ შენ, რათა შენც არ მოგსპო გზაზე“.

-გამ. 33:1-3;

ლმერთმა მოსეს უთხრა გამოსულიყო და ხალხი მიეყვანა მიწაზე, რომელიც მათ აღუთქვა, სწორედ იმ მიწაზე, რომლის დამკვიდრებასაც ისინი ასობით წელი ელოდნენ. ლმერთი მოსეს ასევე დაპირდა იმასაც, რომ ანგელოზები გაჰყვებოდნენ მათ, თუმცა თვითონ ლმერთი არ აპირებდა მათ გაჰყოლოდა.

მოსემ მალე უპასუხა: „...თუ შენ თავად არ წამოხვალ, ნუ გაგვიყვან აქედან“ (გამ. 33:15;). მიხარია, რომ ისრაელის ძეებს

ხელვას უნარი

არ ჰქონდათ საშუალება აერჩიათ ღმერთთან ერთად წასულიყვნენ აღთქმულ მიწაზე თუ ღმერთის გარეშე. თუ ისინი ეგვიპტეში წყნარ ცხოვრებას ღმერთს ამჯობინებდნენ, მაშინ, უეჭველად, აღთქმულ მიწაზე მის გარეშე წასვლას აირჩევდნენ. შესაძლოა, მათ დღესასწაულიც კი მოეწყოთ და ფარული აზრის გარეშე წასულიყვნენ! მაგრამ მოსეს არანაირი ხედვა არ გააჩნდა აღთქმული მიწის შესახებ, ამიტომ მისი რეაქცია სხვანაირი იყო.

მოსემ თქვა: „ეს აღთქმა – არაფერია შენი თანდასწრების გარეშე!“. მან უარი თქვა ღმერთის წინადადებაზე, რადგან თანხმობის შემთხვევაში იგი ღმერთის თანდასწრებას დაკარგავდა. იფიქრეთ იმ მდგომარეობაზე, რომელშიც მოსე იმყოფებოდა, როდესაც უპასუხა: „ნუ გაგვიყვან აქედან? უდაბნოდან!“

მოსეს იგივე პირობებში უხდებოდა ცხოვრება, როგორშიც ისრაელიანები ცხოვრობდნენ. იგი სიძნელეებისგან განმათავისუფლებელი ზეადამიანური უნარით როდი იყო დაჯილდოებული. იგი შიმშილობდა და წყურვილით იტანჯებოდა ისევე, როგორც დანარჩენები. მას ამ მდგომარეობიდან თავის დასალწევად „გამოსავალი“ და თავისი ოცნების მიწაზე წასვლის შესაძლებლობა შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვა ყოველივე ამაზე.

ერთ-ერთი ხერხი, რომლითაც გვცდის ღმერთი, არის ის, რომ იგი გვთავაზობს რაღაც წინადადებას და ელოდება, რომ ჩვენ მასზე უარს ვიტყვით. ეს შემოთავაზებული წინადადება შეიძლება თავიდან დიდ წარმატებას გვპირდებოდეს, მაგრამ რის ფასად? შეიძლება შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ თუ ამ წინადადებას მივიღებთ, ჩვენი მსახურება გაფართოვდება. მაგრამ გულის სიღრმეში ვიცით, რომ ეს არჩევანი წინააღმდეგობას გაუწევს ღმერთის უმაღლეს სურვილს, რომელიც ჩვენს მიმართ გააჩნია. მხოლოდ ისინი, ვინც მონიწებით ეპყრობა მის სიტყვას, ირჩევენ იმას, რაც წაკლებ სარგებელს პირდება. მე-4 მეფეთა მე-2 თავში, ელიამ სამჯერ უბრძანა ელისეს ადგილზე დარჩენილიყო. თითოეული ბრძანება იყო ახალი გამოცდა. ელისესთვის დარჩენა უფრო ადვილი იყო, მაგრამ იგი დაუინებით მოითხოვდა: „უფალს და შენს თავს გეფიცები, არ მიგატოვებ“ (4მეფ.2:2;). მან იცოდა, რომ ღმერთის საჩუქარი მისთვის – ესაა გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე დროებითი ხელსაყრელი პირობები!

უფლის შიში

გარეგნულად მსგავსი, შინაგანად სხვა

გარეგნულად არავითარი განსვავება არ იყო მოსესა და ისრაელის ძეებს შორის. ყველანი აპრამის შთამომავლები იყვნენ. ყოველმა მათგანმა ღმერთის საოცარი ძალის წყალობით დატოვა ეგვიპტე. ყველას უნდა დაემკვიდრებინა ღმერთის აღთქმა. ყოველი მათგანი ამბობდა, რომ იცნობდა იეჰოვას და ემსახურებოდა მას. განსხვავება მათი გულის დაფარულ საიდუმლოებაში მდგომარეობდა. მოსეს ღმერთის შიში ჰქონდა, და ამიტომ მან იცოდა ღმერთის გული და მისი გზები. მაგრამ რადგან ისრაელის ძეებმა არ იცოდნენ ღმერთის შიში, ისინი ბრმები იყვნენ და მათი გაგება დაპინდული იყო.

დღეს არაფერი არ შეცვლილა. ქრისტიანობა კლუბს დაემსგავსა. თქვენ, ალბათ, ბავშვობიდან გახსოვთ, რა არის კლუბი. თქვენ შედიხართ კლუბში, რადგან ამ საზოგადოების წევრობა გსურთ. კლუბი უსაფრთხოების შეგრძენებას იძლეოდა, და სხვა წევრებთან საერთო მიზნები და ინტერესები გაერთიანებდათ. თქვენ უკეთესად გრძნობდით თავს, როდესაც რაღაც უფრო დიდის ნაწილს წარმოადგენდით, ვიდრე თქვენ თვითონ ხართ. თქვენს უკან იდგა კლუბი, და ეს უსაფრთხოების გრძნობას განიჭებდათ.

არსებობენ ნომინალური ქრისტიანები, რომლებსაც ღმერთის ეშინიათ ისე, როგორც ადამიანს, რომელსაც არასოდეს არ შეუდგამს ფეხი ეკლესიაში. უნდა ეშინოდეთ კი რაიმესი მაშინ, როდესაც ისინი ქრისტიანული კლუბის წევრები არიან? სწორედ რომ თქვათ, დემონებს უფრო მეტად ეშინიათ ღმერთის, ვიდრე ზოგიერთ ადამიანს ეკლესიაში. იაკობი აფრთხილებდა ადამიანებს, რომლებიც ალიარებდნენ გადარჩენას, მაგრამ არ იყვნენ მოწინებული უფლის წინაშე: „შენ გწამს, რომ ღმერთი ერთია, კარგს შვრები. მაგრამ ეშმაკებსაც სწამთ იგი და თრთიან“ (იაკ.2:19:).

ეს ადამიანები სხედან ეკლესიაში, მსახურობენ და კათედრიდან ქადაგებენ. ისინი მოსახლეობის სხვადასხვა ფენას წარმოადგენენ, გეტოს მცხოვრებლებიდან იმ ადამიანებამდე, რომელიც ჰოლივუდის მთავარ ქუჩაზე ცხოვრობენ. ისინი ალიარებენ საკუთარ გადარჩენას, მათ მოსწონთ ღმერთის აღთქმები, თუმცა ყოველი მათგანი ბეცია, და ისრაელის ძეების მსგავსად არა აქვთ ღმერთის შიში.

მოციქულმა იუდამ განჭვრიტა ეს დღე და გვაფრთხილებს, რომ ადამიანები ივლიან ეკლესიაში და ალიარებენ ღმერთის

ხელვას უნარი

მადლით მიღებულ გადარჩენას ქრისტიანული კლუბის წევრობის საფუძველზე. ისინი დაესწრებიან მორწმუნეთა შეკრებებს და ყოველგვარი შიშის გარეშე მიიღებენ მასში მონაწილეობას, და ამ ხნის განმავლობაში მარტოოდენ საკუთარ თავს მოემსახურებიან (იხ. ოუდ.1:12;).

მათეს სახარებაში იქსო ამბობდა, რომ ადამიანები განდევნიან ბოროტ სულებს და მრავალ სასწაულს მოახდენენ მისი სახელით, უწოდებენ მას საკუთარ უფალს და მხსნელს, მაგრამ ამასთანვე უარს იტყვიან იცხოვრონ ღმერთის მორჩილებაში. იქსომ ასეთ ადამიანებს ღვარძლი უწოდა, რომელიც ჯეჯილთან ერთად იზრდება. თქვენ ღვარძლსა და ჯეჯილს შორის განსხვავებას ადვილად დაინახავთ. ისევე, როგორც ისრაელიანების შემთხვევაში, ღმერთის დიდებული თანდასწრების ცეცხლი გამოაშკარავებს ყოველი გულის ზრახვებს. ასეთი იქნება ეკლესიის მდგომარეობა იმ მომენტში, როდესაც იგი მკის სეზონში შევა (იხ. მათ.13:26;).

მალაქია წინასწარმეტყველებდა, რომ ამ უკანასკნელ დღეებში ღმერთი გამოგზავნიდა წინასწარმეტყველურ ხმას, როგორც იგი ამას სამუელის, მოსეს და ოანე ნათლისმცემლის მეშვეობით აკეთებდა, რათა თავისი ხალხი თავისი დიდებისათვის მოამზადოს. თუმცა ეს არ იქნება ერთი ადამიანი, არამედ მრავალი ღმერთის წინასწარმეტყველი დესპანი. ეს დესპანები აღდგებიან ისეთ ერთობაში, რომ ილაპარაკებენ, როგორც ერთი ადამიანი, და მათ, ვინც მხილებული იქნება, მოუწოდებენ განინმიდონ გულები და უფლისკენ მოიქცნენ. ღვთიური წესრიგი ამგვარად აღდგება ღმერთის ერის გულში. ეს წინასწარმეტყველები სამსჯავროს დესპანები კი არ არიან, არამედ წყალობის. უფალი მათი მეშვეობით მოუხმობს თავის ერს, რათა მან სამსჯავროს თავიდან აიცილება შეძლოს. მალაქია წერს:

„აპა, მოვავლენ ჩემს ანგელოზს და გაამზადებს გზას ჩემს წინაშე. უეცრად მოვა თავის ტაძარში უფალი, რომელსაც თქვენ ეძიებთ, და ალთქმის ანგელოზი, რომელიც გსურთ. აპა, მოდის, “- ამბობს ცაბაოთ უფალი. – „ვინ აიტანს მისი მოსვლის დღეს და ვინ გაუძლებს მის გამოცხადებას? რადგან ის გამომდნობელის ცეცხლივით არის და მრეცხავთა ტუტესავით“.

-მალ.3:1-2;

უფლის შიში

მალაქია აქ ეკლესიის ატაცებას როდი აღწერს. იგი ამბობს, რომ უფალი თავის ტაძარში მოვა, და არა მის წასაყვანად. ოსია ამბობს, რომ ორი ათასი წლის შემდეგ უფალი მოვა ჩვენთან, თავის ტაძართან, როგორც გვიანი წვიმა. ეს მისი დიდების გამოვლინების შესახებ არის ნათქვამი. შემდეგ მალაქია სვამს კითხვას: „ვინ აიტანს მისი მოსვლის დღეს და ვინ გაუძლებს მის გამოცხადებას?“. ორივე წინასწარმეტყველი ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ ეს მოვლენა და ეკლესიის ატაცება – ერთი და იგივე არ არის.

მალაქია საკუთარ შეკითხვას ღმერთის დიდებული თანდასწრების ორ შედეგზე მითითებით პასუხობს. ჯერ ერთი, იგი განწმედს და გაასუფთავებს ღვთის მოშიშებს (მუხ.3:16-17;). მეორეც, იგი გაასამართლებს მათ გულებს, ვინც ამბობდა, რომ ემსახურებოდა მას, მაგრამ სინამდვილეში არ გააჩნდა ღმერთის შიში (მუხ.3:5,19;). ეს განწმედა მოხდება მაშინ, როდესაც მალაქიას სიტყვების თანახმად

„კვლავ დაინახავთ განსხვავებას მართალსა და უკეთურს შორის, ღვთის მორჩილსა და მის ურჩის შორის“.

-მალ. 3:18;

იმ დრომდე, ვიდრე არ გამოვლინდება ღმერთის დიდება, ჩვენ ვერ შევძლებთ ღმერთის მსახური ადამიანის განსხვავებას იმ ადამიანისაგან, რომელიც უფალს მხოლოდ სიტყვებით ემსახურება. თვალთმაქცობა ღმერთის დიდების სინათლეზე ვერ დაიმალება. კლუბის მენტალიტეტი წარსულში დარჩება. ახლა ჩვენ უკეთ გვესმის იესოს მკაცრი გაფრთხილება, რომელიც მან ახალი აღთქმის მორჩმუნებს მოგვცა:

„გეუბნებით თქვენ, ჩემო მეგობრებო, ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულსა კლავს ამის მეტის არაფრის გაკეთება შეუძლია. მაგრამ გაჩვენებთ, ვისი უნდა გეშინოდეთ: გეშინოდეთ მისი, ვისაც მოკვლის შემდეგ აქვს ხელმწიფება გეენაში ჩაგდებისა. აპა, გეუბნებით, ვისი გეშინოდეთ“.

-ლუკ. 12:4;

უფლის შიში დალუპვისაგან გვიცავს, რათა ჭეშმარიტების გზიდან იმ გზაზე არ გადავუხვიოთ, რომელზეც მოტყუებული ადამიანები დადიან. მოსემ თქვა, რომ ღმერთის შიში მისი

ლოდებილი ლოდებაში

ხალხის გულში – ესაა ძალა, რომელიც ცოდვისგან განთავისუფლების საშუალებას იძლევა (იხ.გამ.20:20;). სოლომონი წერდა: „...უფლის შიშით განუდგები ბოროტს“ (იგავ.16:6;). ვიდრე იესო მორნმუნებს ღმერთის შიშის შესახებ შეაგონებდა, მან განსაკუთრებით გააფრთხილა ისინი თვალთმაქცობის მახის შესახებ:

„არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს, და დამალული, რომ არ გამჟღავნდეს“.

-ლუკ.12:2;

როდესაც ჩვენ საკუთარი რეპუტაციის შესანარჩუნებლად ვფარავთ ან ვმალავთ ცოდვას, საკუთარ გულს რიდეს ვაფარებთ. ჩვენ ვცდებით, როდესაც ვფიქრობთ, რომ ეს რიდე საშუალებას გვაძლევს გამოვიყურებოდეთ სპეტავ ქრისტიანებად, მამინ, როდესაც სინამდვილეში სულაც არა ვართ ასეთები. ამას, საბოლოოდ, თვალთმაქცობამდე მივყავართ. ამიტომ ახლა ჩვენ ვაცდუნებთ არა მარტო სხვებს, არამედ საკუთარ თავსაც (იხ.1ტიმ.3:13;). ისრაელის ძეების მსგავსად, ჩვენც დაბრმავებულნი, თვალახვეულნი ვართ და დანახვა არ შეგვიძლია.

უფლის მოშიშება – ესაა ერთადერთი საშუალება თვალთმაქცობისაგან დასაცავად. მაშინ, ჩვენ არ დავმალავთ ცოდვას საკუთარ გულში, რადგან ღმერთის უფრო შეგვეშინდება, ვიდრე მოკვდავი ადამიანების აზრის. ჩვენ უფრო მეტად შეგვანუხებს ის, თუ რას ფიქრობს ჩვენს შესახებ ღმერთი, ვიდრე ის, თუ რას ფიქრობენ ჩვენს შესახებ ადამიანები. ჩვენ უფრო მეტად ღმერთის სურვილებით ვიქნებით დაინტერესებულნი, ვიდრე საკუთარი დროებითი ხელსაყრელი პირობებით. ჩვენთვის მისი სიტყვა უფრო ძვირფასი იქნება, ვიდრე ადამიანთა სიტყვები. ჩვენ ღმერთისკენ მოვაქცევთ საკუთარ გულებს! პავლე ამბობს:

„ხოლო როცა უფლისაკენ მიიქცევიან, რიდე ეხდებათ“. -2 კორ. 3:16;

უფლის შიში დაგვიცავს, რომ საკუთარი
სარგებლობის გამო კომპრომისზე არ
ნავიდეთ უფლის ჭეშმარიტებასთან.

თავი XII

დიდებიდან დიდებაში

„ხოლო როცა უფლისაკენ მიიქცევიან, რიდე ეხდებათ“.
-2 კორ. 3:16;

ო ა ძლიერი ალთქმა! როდესაც უფალს მივმართავთ,
ნებისმიერი რიდე, რომელიც ჩამოფარებულია ჩვენსა
და მის დიდებას შორის, იხსნება!

ვიდრე გავნაგრძობთ, მინდა განგიმარტოთ, თუ რას გუ-
ლისხმობს და რას ნიშნავს წმიდა წერილის ეს ადგილი. ჩვენ
უნდა გავერკვეთ, რას ნიშნავს პავლეს ეს განცხადება, რადგან
ხშირად შთაბეჭდილება იმისა, რასაც იგი ამბობს, „ქრისტიან-
ული კლუბის“ მენტალიტეტით იჩრდილება.

იესომ დასვა საოცარი კითხვა, სწორედ ის, რომელ კითხ-
ვაზეც პასუხს გავურბით. მან იკითხა: „რატომ მიწოდებთ;
„უფალო, უფალო!“ და იმას კი არ აკეთებთ, რასაც გეუბ-
ნებით?“ (ლუკ.6:46;). ბერძნული სიტყვა, რომელიც თარგმნილ-
ია, როგორც უფალი – ესაა კურიოსი. იგი ნიშნავს „უზენაეს
ხელისუფლებას“. იგი საკუთრების უფლებასაც გულისხმობს.

უფალი – სამყაროს შემოქმედი, მმართველი და მესაკუთრეა. მან, როგორც უზენაესმა მბრძანებელმა, ადამიანი ედემის
ბალში მოათავსა, და განსაზღვრული ძალაუფლებაც მიანიჭა. ადამიანმა მთელი თავისი ძალაუფლება სატანას გადასცა (იხ.
ლუკ.4:6;). იესომ ჯვარზე ასვლით დააბრუნა დაკარგული. ახლა ჩვენ გვაქვს არჩევანის საშუალება. ჩვენ შეგვიძლია საკუთარი
სიცოცხლის მართვის უფლება მთლიანად იესოს გადავცეთ, ან
ეს უფლება ჩვენთვის დავიტოვოთ და დაკარგული და მომაკვ-
დავი ქვეყნიერების ძალაუფლებაში დავრჩეთ. მესამე არჩევანი
არ გვაქვს მოცემული, და ჩვენ არ შეგვიძლია რაიმე საშუალოს
არჩევა.

თუ ჩვენში არ არის უფლის შიში და თუ ჩვენ არ ვაფასებთ
მას, როგორც უფალს, მაშინ საკუთარი ცხოვრების მართვის
განსაზღვრულ ნაწილს ვაჩერებთ. ჩვენ შეგვიძლია ვალიაროთ
იესო უფლად, მაგრამ ჩვენი უპატივცემულობა მის მიმართ

უფლის შიში

ჩვენი ცხოვრების ნაყოფებით ხდება შესამჩნევი. თუ გვეშინია უფლის, მაშინ საკუთარ თავს მთლიანად მის ძალაუფლებას დავუმორჩილებთ – უფლის და მეფის ძალაუფლებას. ეს მას აძლევს იმის უფლებას, რომ მთლიანად და შეუზღუდავად დაგვეუფლოს. ჩვენ მისი მონები ვხდებით.

პავლე, ტომოთე, იაკობი, პეტრე და ოუდა საკუთარ ეპისტოლებში მსახურებად და მონებად იწოდებოდნენ (იხ.რომ.1:1; კოლ.4:12; იაკ.1:1; 2პეტრ.1:1; ოუდ.1:). მსახური ნებაყოფლობით მიღიოდა თავისი მოვალეობის შესასრულებლად ვალის გადახდის გამო. ეს არ იყო მონობა, რადგან მონას ამ საკითხში არანაირი არჩევანის უფლება არ გააჩნდა. მსახურად ყოფნა ნებაყოფლობითი საქმეა. ჩვენ ღმერთს სიყვარულით, რწმენით და მოკრძალებული შიშით ვემსახურებით. ჩვენ მზად ვართ მიუცეთ მას ჩვენი ცხოვრების საკუთრებაში ქონის სრული და უპირობო უფლება.

აი, რატომ შეეძლო პავლეს გაბედულად წასვლა ბორკილების, ტანჯვის და გაჭირვების შესახვედრად. მას დარწმუნებით შეეძლო ეთქვა: „და აპა, ახლა სულის მიერ შეკრული მივდივარ იერუსალიმში და რა შემემთხვევა, არ ვიცი“ (საქმე.20:22;). პავლეს უფალი აიძულებდა ამ ნაბიჯის გადადგმას? რა თქმა უნდა, არა! პავლეს ესმოდა, რომ იგი დაიტანჯებოდა ღმერთის ნების შესრულების დროს. მაგრამ პავლემ ღმერთის სურვილი საკუთარ ხელსაყრელ პირობებზე მაღლა დააყენა. მან უსასყიდლოდ მისცა იესოს უფლება მის სიცოცხლეს სრულად და უპირობოდ დაუფლებოდა.

აი, რას ამბობს პავლე დიდი ხელმოკლეობის შესახებ, რომელიც მან გადაიტანა: „მაგრამ სიცოცხლე არად მიღიოს, ოლონდ კი იმ ჩემს სარპილსა და მსახურებას დავასრულებდე, რომელიც უფალ იესოსგან მივიღე, რათა დავამონწო ღვთის მადლის სახარება“ (საქმე.20:24;). იგი ერთგული იყო საკუთარი მიძღვნის, მიუხედავად ფასისა. მხოლოდ ღმერთისადმი სიყვარულისა და წმიდა შიშის ერთობლიობა გვაძლევს ჩვენს ცხოვრებაში მისი უფლობის აღიარების საშუალებას. ასეთი მიძღვნა მოეთხოვება ყველას, ვინც მას მიჰყვება (იხ.ლუკ.14:25-33;).

როდესაც იესომ დასვა კითხვა: „რატომ მიწოდებთ; „უფალო, უფალო!“ და იმას კი არ აკეთებთ, რასაც გეუბნებით?“ (ლუკ.6:46;) – იგი სინამდვილეში ამბობდა: „ნუ მოტყუცდებით, როდესაც მიწოდებთ უფალს და ცხოვრებას ისე აგრძელებთ, თითქოს თქვენი სიცოცხლე თქვენვე გეკუთვნოდეთ“.

ლოდებილი ლოდებაშო

სიცრუის რიდე

მსგავს მაგალითს მეფე საულის ცხოვრება წარმოადგენს. ღმერთმა წინასწარმეტყველ სამუელის პირით უბრძანა საულს ლაშქრის შეკრება, ყამალეკის დამარცხება და ყველა სულიერის განადგურება: ყოველი მამაკაცის, ქალის, ბავშვის თუ ცხოველის.

საულმა არ უარყო სამუელის მითითება სიტყვებით: „ეს არასოდეს არ მოხდება“ – და არ წავიდა, გაბრაზებული, სხვა მხარეს. ეს იქნებოდა აშკარა დაუმორჩილებლობა. ამის ნაცვლად საულმა მოისმინა წინასწარმეტყველის სიტყვები, შეკრიბა თავისი ლაშქარი და დაამარცხა ყამალეკი. ამ ბრძოლაში ათი ათასობით კაცი, ქალი და ბავშვი იქნა მოკლული. საულმა მხოლოდ ყამალეკის მეფე დაინდო. ალბათ, იმიტომ, რომ მას სურდა სხვა მეფეს ემსახურა მის სასახლეში.

როგორც ჩანს, ათასობით ცხოველი განადგურდა. საულმა მხოლოდ რამდენიმე საუკეთესო ცხვარი, თიკანი და ხარი შემოინახა. მან განსაჯა, რომ ამ ცხოველებს ადამიანები ღმერთს მიუტანდნენ მსხვერპლად, და ეს არც კი ეწინააღმდეგებოდა წერილს. ჩვეულებრივ მაყურებელს, რომელსაც მოსმენილი არ ჰქონდა წინასწარმეტყველ სამუელის სიტყვები, საული შეიძლება კეთილსინდისიერ მეფედ მიეჩნია: „შეხედეთ, მას უფლისთვის მხოლოდ საუკეთესო მიაქვს!“.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც საულმა გააკეთა, ღმერთი დაელაპარაკა სამუელს: „ვნანობ, რომ გავამეფე საული, რადგან განმიდგა მე და აღარ ასრულებს ჩემს სიტყვებს...“ (1მეფ.15:11;).

მეორე დღეს სამუელი შეხვდა საულს. როდესაც საულმა დაინახა, რომ სამუელი მოდის, იგი სიხარულით მიესალმა მას ასეთი სიტყვებით: „...კურთხეული ხარ უფლისაგან! მე აღვასრულე უფლის სიტყვა“ (1მეფ.15:13;).

ერთი წუთით მოიცადეთ! ამას ღმერთზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია! ჩვენ ახლახან წავიკითხეთ მისი აზრი. რა მოხდა? როგორ შეიძლებოდა რომ ერთი და იგივე შემთხვევის შესახებ ასეთი განსხვავებული შეხედულებები ყოფილიყო? საული სერიოზულად იყო დარწმუნებული, რომ ღმერთს დაემორჩილა. როგორ შეეძლო მას ასე დაემახინჯებინა ღმერთის სიტყვა და ჩაეთვალა, რომ ღმერთს დაემორჩილა? იაკობი ამას ასე განმარტავს:

უფლის შიში

„იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენნი თავის მოსატყუებლად“.

-იაკ.1:22;

როდესაც ვისმენთ ღმერთის სიტყვას და არ ვასრულებთ, მაშინ ჩვენ ვატყუებთ საკუთარ გულს! ადამიანებს შეიძლება ასე სჯეროდეთ, რომ ისინი ემორჩილებიან ღმერთს, თუმცა მათი საქმეები ურჩობის შესახებ მოწმობენ. ეს ერთდროულად საშინელი და გამოსაფხიზლებელი გამოკხადებაა! ტყუილი რიდეს აფარებს გულის თვალებს და ჭეშმარიტებას ბუნდოვანს ხდის. რაც უფრო სქელი და გაუმტარი ხდება ეს რიდე, მისი ჩამოშორება სულ უფრო ძნელი ხდება.

ნება მომეცით გავიმეორო რამდენიმე მნიშვნელოვანი აზრი. ჯერ ერთი, საული გაბრაზებული არ წავიდა და იგი არ ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც მის მიმართ ითქვა. იგი საბრძოლველად წავიდა. მეორეც, მან უამრავი ადამიანი დახოცა, და მხოლოდ ერთი დაინდო. ათასობით ცხოველიდან ყველა მოკლა რამდენიმეს გამოკლებით. მან, ალბათ, დავალებული საქმის 99 პროცენტი შეასრულა. თუმცა ღმერთმა ამ თითქმის სრულ მორჩილებას დაუმორჩილებლობა უწოდა (1მეტ.15:23;)!

დღეს ჩვენ ვიტყოდით: „ყველაფერი ნორმალურად იყო, ეს არც თუ ისე ცუდად გაკეთდა“. ჩვენ შეიძლება საულიც კი დავიცვათ: „ბოლოს და ბოლოს, მან ხომ თითქმის ყველაფერი გააკეთა. მიაგეთ მას საკადრისი იმისათვის, რაც სწორად გააკეთა! რა საჭიროა იმ ერთადერთი რამის მითითება, რაც მან არ გააკეთა? შეხედეთ იმ ყველაფერს, რაც მან გააკეთა! ნუ იქნებით ასეთი მკაცრები საულის მიმართ!“

ნანილობრივი ან არჩევითი მორჩილება ღმერთის თვალში იგივეა, რაც მისი მმართველობის მიმართ წინააღმდეგობის განევა. ესაა ღმერთის შიშის არ ქონის მოწმობა!

ერთხელ კანადაში ვიყავი და მსახურებისათვის ვემზადებოდი. ქება-დიდების მსახურება პიქს აღწევდა, როდესაც უფლის სულმა მკითხა: „იცი, რა არის რელიგიურობის სული?“. თუმცა მე ვქადაგებდი და ვწერდი რელიგიური სულების შესახებ და იმის შესახებ, თუ როგორ ვლინდებიან ისინი, მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ცოდნა უკეთეს შემთხვევაში შემოსაზღვრული იყო. მე უკვე ვიცოდი, რომ ყოველთვის, როდესაც ღმერთი რაიმეს გვეკითხება, იგი ამას იმიტომ კი არ აკეთებს, რომ ჩვენ უუმბოთ მას, თუ რა ვიცით ამის შესახებ. მე ვუპასუხე: „არა უფალო, მითხარი, გთხოვ“.

ლოდებრილან ლოდებაში

მან სწრაფად მიპასუხა: „ადამიანი რელიგიური სულით – არის ის, ვინც ჩემს სიტყვას საკუთარი ნების შესასრულებლად იყენებს!“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასე ხდება მაშინ, როდესაც ჩვენ ვიყენებთ იმას, რაც უფალმა თქვა, და ამას საკუთარ სურვილსაც ვუმატებთ.

მე გაკვირვებული ვიდეექი იმ სიპრძნის წინაშე, რომელიც ღმერთის სულის მიერ მომეცა. მე ეს განმარტება საულის სიტუაციის მიმართ გამოვიყენე და შევძელი იმის დანახვა, თუ როგორ გააკეთა საულმა ის, რაც მას უბრძანეს, მაგრამ ამას დაუმატა ის, რაც თვითონ სურდა. მან ღმერთის გულს როდი მიაპყრო მთელი თავისი ყურადღება. საული საკუთარი სარგებლობის მიღებას და ხალხში საკუთარი მდგომარეობის გამყარების შესაძლებლობას ეძებდა და ამისთვის მან ეს შემთხვევა გამოიყენა. ღმერთი მბდანებლობდა ამ დროს? ღმერთის სიტყვისადმი დამოკიდებულება იყო კი მთრთოლარე? უფლის შიში დაგვიცავს, რომ საკუთარი სარგებლობის გამო კომპრომისზე არ წავიდეთ უფლის ჭეშმარიტებასთან. მაშინ ჩვენ მორჩილნი ვიქნებით უფლის სიტყვის, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ამის გაკეთება.

რომელ სარკეში იყურებით?

კიდევ ერთხელ წაიკითხეთ იაკობის სიტყვები:

„იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენი თავის მოსატყუებლად. რადგან თუ ვინმე ისმენს სიტყვას და არ ასრულებს, ჰგავს ადამიანს, რომელიც თავის ბუნებრივ სახეს სარკეში ათვალიერებს. შეხედა თავის თავს, წავიდა და მყისვე დაავიწყდა, როგორია იგი“.

-იაკ. 1:22-24;

იაკობმა ეს ცხოვრებისეული მაგალითი გამოიყენა იმის საილუსტრაციოდ, თუ სინამდვილეში რა ხდება სულში, მაშინ როდესაც არ ვემორჩილებით იესოს მბრძანებლობას. როდესაც ჩვენ არ გვეშინია მისი სიტყვის და მას უსიტყვოდ არ ვემორჩილებით, ეს იმის მსგავსია, როგორც საკუთარ თავს სარკეში რომ ვუყურებდეთ, შემდეგ მოვცილდებით სარკეს ისე, თითქოს არც კი ჩაგვიხედავს მასში, შემდეგ კვლავ ვუბრუნდებით მას, რადგან დაგვავიწყდა, როგორ გამოვიყურებით. ჩვენი თავის

უფლის შიში

დანახვა შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, სანამ სარკეში ვიყურებით, მაგრამ როდესაც მას მოვცილდებით გვავიწყდება როგორები ვართ, თითქოს ბრძები ვყოფილიყავით.

ეს განმარტავს იმას, თუ რატომ შეუძლიათ ადამიანებს წაიკითხონ, მოისმინონ და იქადაგონ კიდეც ღმერთის სიტყვა, თუმცა ცხოვრება გააგრძელონ იმ ადამიანების მსგავსად, რომელიც არ იცნობებს ღმერთის სიტყვას. მათი ცხოვრება არ იცვლება. მეფისალმუნე აღნერს იმ ადამიანების მდგომარეობას, ვინც მოდის ღმერთის სახლში, ისმენს მის სიტყვას, მაგრამ რჩება შეუცვლელი: „...რადგან არ არის ცვლილება მათში და არ ეშინათ ღმერთისა“ (ფსალმ.54:20;).

ეს ადამიანები თავიანთი გადარჩენის შესახებ აცხადებდნენ, მაგრამ არ იცვლებოდნენ ღმერთის ძალით. ისინი იყვნენ ცოდვილნი, უმადურნი, უსიყვარულონი, ურჩნი, პატივის უნარის არ მქონენი, და ასევე ხასიათის სხვა თვისებებსაც ამჟღავნებდნენ, რომელთა გამოვლენითაც არაფრით არ განსხვავდებოდნენ იმ ადამიანებისაგან, რომელთა გამოვლენითაც არაფრით არ განსხვავდებოდნენ იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც არასოდეს სმენიათ ღმერთის სიტყვა. შესაძლოა, ისინი არ ეწევიან, არ სვამენ და არც ქუჩაში არ იგინებიან, როგორც წარმართი, მაგრამ მათი გულის წადილი არაფრით არ განსხვავდება წარმართი ადამიანის გულის წადილისგან – ისინი თავისას ეძებენ. პავლე მათ მდგომარეობას აღნერს, როგორც იმ ადამიანების მდგომარეობას, რომლებიც მუდამ სწავლობენ, მაგრამ არასოდეს არ ძალუბთ საკუთარი ცოდნის გამოყენება. ისინი ცხოვრობენ ცდუნებაში (იხ. 2 ტიმ. 3:7,13;).

უდაბნოში ისრაელის ძეები სულიერი სიბეცით იტანჯებოდნენ, რადგან მათი გული რიდით იყო დაფარული. ამ რიდეს ცდუნება ეწოდებოდა. მათ ესმოდათ ღმერთის სიტყვა და ხედავდნენ მის ძლიერ ძალას, მაგრამ უცვლელები რჩებოდნენ. წმიდა შიშის უქონლობის გამო მათი სულიერი ხედვა ბუნდოვანი გახდა.

ისინი არ ინანიებდნენ, ამიტომ ეს რიდე უფრო და უფრო სქელი ხდებოდა, ვიდრე სრული სულიერი სიბრმავე არ დაეუფლა. მათი გულის სიბრმავემ გამოააშკარავა, თუ რას დაემსგავსა ეს ხალხი. განაგრძობდნენ რა ეგვიპტიდან (ქვეყნიერებიდან) განთავისუფლების ზეიმობას, მათ დაკარგეს ღმერთის მიზნების გაგების უნარი და უკან იხევდნენ, შიშისგან იმალებოდნენ მაშინ, როდესაც ღმერთის დიდება ვლინდებოდა. იგივე შეიძლება დაგვემართოს ჩვენც, თუკი არ შევისმენთ ღმერთის გაფრთხილებებს.

ლოდებილან ლოდებაში

პავლე ამბობს, რა მოხდება, თუ ჩვენ დავემორჩილებით იესოს გამგებლობას, მოკრძალებული ვიქწებით მისი თანდას-ნრებისას და მთრთოლარენი მისი სიტყვის წინაშე.

„ხოლო როცა უფლისაკენ მიიქცევიან, რიდე ეხდებათ. ხოლო უფალი სულია და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა. ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას, როგორც სარკეში, და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან“.

-2 კორ. 3:16-18;

იაკობის მსგავსად, პავლეც სარკის მაგალითს იყენებს. მაგრამ ეს მატერიალური სახე არ გახლავთ, არამედ თვით უფლის დიდება, რომელსაც ჩვენ იესო ქრისტეს ხატებაში ვხედავთ (იხ. 2 კორ. 4: 6:). ეს ხატება ჩვენს გულში იხსნება მაშინ, როდესაც ჩვენ არა მარტო ვისმენთ მის სიტყვას, არამედ მორჩილად ვასრულებთ მას. იაკობი ადასტურებს ამ აზრს:

„მაგრამ, ვინც ჩაუკვირდება თავისუფლების სრულყოფილ რჯულს და ასე განაგრძობს, მომსმენი და დამვიწყებელი კი აღარაა, არამედ საქმის მოქმედი. კურთხეული იქნება იგი თავის მოქმედებაში“.

-იაკ. 1:25;

თავისუფლების სრულყოფილი რჯული – ეს იესოა. იგი ცოცხალი და გამოვლენილი ღმერთის სიტყვაა. იოანე ამბობს: „რადგან სამნი არიან, რომლებიც მოწმობენ ცათა შინა: მამა, სიტყვა და სულიწმიდა. და ეს სამი ერთია“ (1იოან.5:7:).

თუკი ჩვენ გულმოდგინედ ვეძებთ იესოს, ყურადღებით ვუსმენთ მის სიტყვას და ვემორჩილებით სულიწმიდის მმართველობას და იმას, რაც ჩვენში ცხადდება, მაშინ ჩვენი მზერა ნათელი და რიდისგან თავისუფალი რჩება. მაშინ, ჩვენ შეგვიძლია ჩავწედეთ ღმერთის დიდებას!

გახსოვდეთ, რომ ღმერთს სურს, რომ ჩვენ ვხედავდეთ მის დიდებას! ღმერთი წუხდა, როდესაც ისრაელს არ შეეძლო მის დიდებულ თანდასწრებაში გაჩერება იმის გამო, რომ მას არ გააჩნდა ღვთიური შიში. მხოლოდ მათ შეუძლიათ ღმერთის დანახვა, ვისი გულიც რიდით არ არის დაფარული!

როდესაც ვუმზერთ უფლის დიდებას მისი სიტყვის სარკეში,

უფლის შიში

რომელიც გაცხადებულია ჩვენთვის, მაშინ ვიცვლებით მისი ხატების მსგავსად ღმერთის სულის მეშვეობით! დიდება ღმერთს!

ახლა თქვენ შეძლებთ გაიგოთ მნიშვნელობა იმისა, რის შესახებაც ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი წერს:

„ამიტომ გვმართებს მეტი გულისყრით ვიყოთ მოსმენილისადმი, რათა არ გადავუხვიოთ“.

-ებრ. 2:1;

ყოველი მორწმუნისათვის არსებობს უმაღლესი მოწოდება – იესო ქრისტეს ხატების მსგავსად ყოფნა (იხ. ფილიპ. 3:14; რომ. 8:29;). მაგრამ თუკი ჩვენ არ ვპეჯითობთ ღმერთის სიტყვის მორჩილებაში, უნებლიერ გადავუხვევთ გზიდან, რომელიც თვითონ ღმერთმა გაკვალა ჩვენთვის. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მძღოლი, რომელიც თვალახვეული ზის ავტომობილის საჭესთან? თქვენ შეძლებთ მანქანა დაძრათ ადგილიდან, მაგრამ იგი მაშინვე გადაუხვევს საჭირო მიმართულებიდან! თვალახვეული ვერ ხედავთ გზას. თუ ემორჩილებით ღმერთს, თქვენ ახელილი თვალებით დადიხართ!

მთელი ჩვენი არსის გზის მანათობელი სინათლე

ჩვენ ვიცვლებით იმის მსგავსად, რასაც ჩვენს წინ ვხედავთ. თუ ჩვენს სულიერ თვალებს რიდე ფარავს, მაშინ უფლის ხატება ჩვენს წინაშე ბუნდოვანი სახით იქნება წარდგენილი. ჩვენს აზრებში მისი ხატება უფრო მოკვდავი ადამიანის ფორმას იღებს, ვიდრე უკვდავი ღმერთის, როგორიც იგი სინამდვილეშია. მაშინ ჩვენ მის გზებს კულტურის დაბინდულ სინათლეზე ვხედავთ, რომელშიც ვცხოვრობთ. აი, რატომ შეეძლო ისრაელს დიდებული სასწაულებისა და ღმერთის ძალის გამოვლინებების ხილვა, და ცხოვრების გაგრძელება იმ ხალხების მსგავსად, რომლებიც არ იცნობენ უფალს. იესო ამბობდა:

„სხეულის სანთელი თვალია. ჰოდა, თუ შენი თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც ნათელი იქნება. ხოლო თუ შენი თვალი ბოროტია, მთელი შენი სხეულიც ბნელი იქნება. თუკი ნათელი, რომელიც შენშია, სიბნელეა, სიბნელე რამდენად დიდი იქნება?“.

-მათ. 6: 22-23;

ლოდებრილი ლოდებაში

სანთელი, რომელიც ჩვენს სხეულს (ჩვენს არსს) მართავს – ჩვენი თვალია. სანთლის ეს სახე საუბრობს არა მხოლოდ მატერიალური მხედველობის შესახებ, არამედ გულის თვალების შესახებაც (იხ. ეფეს. 1:18;). მთელი ჩვენი არსი დამოკიდებულია იმაზე და ხელმძღვანელობს იმით, თუ რას აღიქვამენ თვალები. თუ ჩვენი თვალები ხედავენ ცოცხალი ღმერთის სიტყვას (იხ. ეპრ. 6:5;), მაშინ მთელი ჩვენი არსება ღმერთის სინათლით ივსება (იხ. 1 იოან. 1:5;). ჩვენ ჭეშმარიტების სინათლეზე მუდმივად გარდავიქმნებით; ჩვენ უსაფრთხოდ ვართ, ჩვენ არ გადაუხვევთ ჭეშმარიტების გზიდან.

იესო არ წყვეტდა საუბარს იმის შესახებ, რომ თუ ადამიანის თვალები მიჰყრობილია უკეთურებისკენ, მაშინ მთელი მისი არსება სიბნელით ივსება. ასეთია ურწმუნო ადამიანის ბნელი გულის აღწერილობა.

მოდით, ყურადღებით წავიკითხოთ მისი მტკიცება: „....თუკი ნათელი (ჩვენი წარმოდგენა იესოს შესახებ. – ავტორის შენიშვნა), რომელიც შენშია, სიბნელეა, სიბნელე რამდენად დიდი იქნება?“ (იხ. მათ. 6:23;). ეს სიტყვები ეხება არა ურწმუნო ადამიანს, არამედ ადამიანს, რომელმაც იცის ღმერთის სიტყვა. სინათლე უკვე მასში იმყოფება. იესო ამბობს, რომ თუ ჩვენი აღქმა დაბინდულია ან დაფარულია რიდით, უფლის შიშის არქონის გამო, სიბნელე ჩვენში უფრო დიდი იქნება, ვიდრე ის სიბნელე, რომელიც ფარავს იმ ადამიანებს, რომლებსაც არც ერთხელ არ უნახავთ და არ მოუსმენიათ ღმერთის ჭეშმარიტება (იხ. იუდ. 1:12-13; და ლუკ. 12:47-48;).

შეახსენეთ უფლის სიტყვები თითოეულ იმ ადამიანს, ვინც ამტკიცებდა, რომ იცნობს ღმერთს, მაგრამ არ გააჩნდა ღმერთის შიში: „... რას ქადაგებ ჩემს კანონებს და პირთან მიგაქვს ჩემი პირობა, გძულს დარიგება და უკუმოისროლე ჩემი სიტყვები?“ (ფსალმ. 49:16-17;). ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც აღიარებენ რწმენას ღმერთის სიტყვისადმი და ქადაგებენ კიდეც მას, მაგრამ ნათელი, რომელიც მათშია, უკუნითი სიბნელეა. მათი თვალები დაფარულია საბურველით, ამიტომ ისინი ღმერთს თავის მსგავსად ხედავენ, ნაცვლად იმისა, რომ ისეთად დაინახონ, როგორიც სინამდვილეშია. ღმერთი ამბობს: „ეს ჩაიდინე შენ და მე ვდუმდი; გეგონა, რომ მეც შენსავით ვარ...“ (ფსალმ. 49:21;).

უფლის შიში

იღვაწე სახსნელად

პეტრე შთაგვაგონებს, რომ ღმერთის მიერ „...მოგვენიჭა უალრესად დიდი და ძვირფასი აღთქმანი, რათა მათ მიერ გახდეთ ღვთიური ბუნების ზიარნი და ამ სოფელში განერიდოთ გულისთქმით გამოწვეულ გახრინილებას“ (2პეტრ.1:4;). ღვთიური ბუნების ზიარნი! რა საოცარი აღთქმაა!

იგი განმარტავს, რომ ამ აღთქმის ასრულება დამოკიდებული იქნება პირობის შესრულებაზე და იმაზე, თუ რამდენად მტკიცენი ვიქნებით. რადგან იგი ამბობს: „ახლა ჩვენ გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვა და კარგად იქცევით, რომ მიმართავთ მას, როგორც ლამპარს, რომელიც პნელში ანათებს, ვიდრე დღე გათენდებოდეს და ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდოდეს თქვენს გულებში“ (2 პეტრ. 1:19;). პირობა: თუ ჩვენ სერიოზულად ვფიქრობთ დიდებული და ძვირფასი აღთქმების შესახებ. მაშინ, რაში უნდა ვიყოთ მტკიცენი: თუ ჩვენ მოკრძალებულ თრთოლვაში და ღმერთის მორჩილებაში ვრჩებით, მაშინ ღმერთის დიდების ბრწყინვალება გაიზრდება. იგი იწყება, როგორც დილის გარიურაჟი, და გადადის დიდებიდან დიდებაში, ვიდრე არ გაბრწყინდება ისე, როგორც მზე ზენიტში. იგავ.4:18-ში ნათქვამია: „მართალთა კვალი განთიადივითაა, რომელიც უფრო და უფრო ძლიერდება შუადღემდე“ (იგავ.4:18;). ჩვენ მზესავით გავტრწყინდებით ჩვენი მამის სასუფეველში (იხ. მათ.13:43;). ჩვენ კი არ ავირეკლავთ უფლის დიდებას, არამედ გამოვასხივებთ მას! ალილუია!

როდესაც ჩვენ უფლის დიდებას მისი სიტყვის გამოცხადების სარკეში ვხედავთ, „...გარდავისახებით (ვიცვლებით) იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისაგან“ (2კორ.3:18;). ეს აღწერს პროცესს, რომელიც ბიბლიაში ჩანერილია ასეთი სიტყვებით: „იღვაწეთ თქვენს სახსნელად“. პავლე ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ დარიგებას იძლევა ფილიპელთა მიმართ წერილში. ამ დარიგების კითხვისას, გახსოვდეთ, რომ ეს ის დარიგებაა, რომლის შესრულება-საც შეეძლო უდაბნოში დახოცილი ისრაელის ძეები საკუთარი მწარე ხვედრისგან ეხსნა.

„ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როგორც ყოველთვის იყავით მორჩილნი, არა მარტო ჩემი ყოფნისას, არამედ უფრო მეტად ახლა, ჩემი არყოფნის დროს, შიშით და ძრნოლით იღვაწეთ თქვენს სახსნელად. ღმერთი დაბადებს

ლოდებილი ლოდებაში

თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით“.

-ფილიპ. 2:12;

მე ვიცი, რომ პავლეს ეს წერილი ფილიპელთა მიმართ არის დაწერილი, მაგრამ იგი ასევე წარმოადგენს უფლის წერილს ჩვენს მიმართ. მთელი წერილი ღვთივსულიერია, და მასში არ არის ადამიანური მსჯელობა. ჩვენ ეს მუხლი ისე უნდა წავიკითხოთ, თითქოს ღმერთი მოგვმართავდეს პირადად. მოდით, კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ფილ. 2:12-13 ამ ჭეშმარიტების სინათლის შექმნები.

ეს მუხლები ილუსტრირებას უკეთებენ იმას, რომ უფლის შეში ღმერთისადმი მორჩილების ძალას გვაძლევს არა მარტო მისი თანდასწრებისას, არამედ მაშინაც კი, როდესაც ჩვენ ამ თანდასწრებას არ ვგრძნობთ. ბიბლია აღნერს ღმერთის თანდასწრების ორ განსხვავებულ ასპექტს. ჯერ ერთი, ღმერთი ყველგანმყოფია. უბრალოდ რომ ვთქვათ, ღმერთი ყველგანაა. დავითი ამის შესახებ ასე ამბობს: „საით წაუვალ შენს სულს და შენს სახეს სად გავექცევი? ზეცაში რომ ავიდე, შენ იქა სარ, ქვესკნელში ჩავიდე – იქაც სარ შენ!“ (ფსალმ.138:7-8;). ეს თანდასწრება, როგორც ღმერთმა აღგვითქვა, არასოდეს არ დაგვტოვებს (ებრ.13:5).

მეორეც, ღმერთის თანდასწრება შეიძლება იყოს საგრძნობი (აშკარა). მაშინ მისი თანდასწრება რეალური ხდება ჩვენთვის მატერიალურ სამყაროში. ხშირად ეკლესიაში მსახურების დროს ჩვენ ვგრძნობთ მის სიყვარულს, თაყვანისცემის დროს მის სითბოს, მის ძალას ვგრძნობთ ლოცვისას. ადვილია ღმერთის მორჩილება ისეთ შემთხვევებში, როდესაც პასუხებს ვიღებთ ჩვენს ლოცვებზე, როდესაც სრულდება მისი აღთქმები და როდესაც სავსე ვართ სიხარულით. მაგრამ ღვთის მოშიში ადამიანი, მაშინაც კი მისი მორჩილი იქნება, როცა ღმერთის თანდასწრება საგრძნობი არ არის, რომელიც სიმხნევეს შემატებდა მას.

ურყევი ღმერთის შიში

გაიხსენეთ იოსები, აბრაამის შვილთაშვილი. ღმერთმა იოსებს სიზმარში უჩვენა, რომ იგი იქნებოდა დიდებული წინამძღვრი, რომელიც საკუთარ ძმებზეც კი იმეცებდა! მაგრამ რა მოხდა მას შემდეგ, რაც მან ეს აღთქმა მიიღო? ძმებს შემ-

უფლის შიში

ურდათ მისი და იგი ჭაში ჩააგდეს. დღეს მრავალი შეძრნუნ-ებული იქნება იმით: „როგორ დაუშვა ღმერთმა ასეთი რამ? ეს სიზმარი უპრალოდ დაცინვა ხომ არ იყო“? თავდაპირვე-ლად ისინი შეძრნუნდნენ, მაგრამ შემდეგ განაწყენდნენ ღმერ-თზე. მათი წყენა – ესაა წმიდა შიშის უქონლობის კიდევ ერთი გამოვლინება! მაგრამ ჩვენ ვერსად ვერ ვხედავთ იმას, რომ იოსებს ღმერთის მიმართ დრტვინვა დაეწყო.

ძმებმა იოსები უცხო ქვეყანაში მონად გაყიდეს. იგი წარმარ-თი ფოტიფარის სახლში ათ წელზე მეტი ხანს მსახურობდა. ათი წელი! დაფიქრდით, რა დიდი დროა! იოსებს თავისი სიზ-მარი დღითი დღე შორეული და უსარგებლო უნდა ჰგონებოდა. დღეს მრავალი ჩვენგანი ათი წლის გასვლის შემდეგ არც კი დაუსვავდა ღმერთს შეკითხვას. ჩვენ უკვე დიდი ხანია დავნებ-დებოდით! მაგრამ ჩვენ მაინც ვერ ვპოულობთ იმის მტკიცე-ბულებას, რომ იოსები დრტვინავდა. მან არ დაკარგა იმედი, არ დაივიწყა თავისი ოცნება და არ დანებდა განხიბლვას. მას ეშინოდა ღმერთის. იგი იყო კაცი, მოშიში ღვთისა.

ისრაელის ძეები კი პირიქით, ჩიოდნენ და დრტვინავდნენ. იოსების მოთმინებამ მონობის ათ წელიწადს გაუძლო, მაშინ როდესაც ისრაელიანების მოთმინება უკვე რამდენიმე კვირის გასვლის შემდეგ დაილია. რა ძალიან განვსხვავდებით იოსები-სგან, ხომ მართალია?

იოსები მარტო იყო ამ წარმართულ მიწაზე, მოშორებული ყველას და ყველაფერს, რაც მან იცოდა და რაც მას უყვარდა. მას არ ჰქონდა ურთიერთობა მორწმუნებთან. გვერდით არ ჰყ-ავდა სხვა ძმა, რომელსაც მიერდობოდა. როდესაც იოსები მარ-ტობის ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მისი ბატონის ცოლი მის შეცდენას შეეცადა. აპრეშუმის ტანისამოსში გამოწყობილი და საუკეთესო სურნელის ნელსაცხებლებით ცხებული ფო-ტიფარის ცოლი ყოველ დღე ეხვენებოდა იოსებს, რომ მასთან დაწოლილიყო.

მე მომწონს, როგორ გამოხატა იოსებმა უფლის შიში. თუმ-ცა იგი განიცდიდა გაჭირვებას და განხიბლვას, იგი მაინც ვერ დაიყოლია ფოტიფარის ცოლმა. მას უფლის შიში რომ დაეკარ-გა და ღმერთზე განაწყენებულიყო, მას ძალა არ ეყოფოდა ამ განსაცდელის გადასალახავად. მან ასე უპასუხა ფოტიფარის ცოლს: „... როგორ ვქნა ეს ბოროტება და ღმერთს შევცოდო?“ (დაბ.39:9;).

ღმერთის მიმართ მორჩილების გამო იოსები ფარაონის სა-პყრობილეში აღმოჩნდა. ასეთ მომენტში ბევრი ჩვენგანი მი-

ლოდებილან ლოდებაში

იღებდა გადაწყვეტილებას, რომ ღმერთს მინდობოდა და მას დამორჩილებოდა? ბევრი სიმწრის ნადავლი გახდებოდა (იხ. ეპრ. 12:15;). იოსები ორი წელი დარჩა ციხეში. ჩვენ უნინდებურად არა გვაქვს მტკიცება იმისა, რომ იგი დრტვინავდა. იოსები კი ციხის ბნელ საკანში განაგრძობდა ღმერთის შიშით ცხოვრებას! არაფერს შეეძლო მისი გულის ღმერთისგან განრიდება.

გასაოცარია ის, რომ ამ ტანჯვებში მყოფი იოსები განაგრძობდა სხვა პატიმრების მომსახურებას. იგი ანუგეშებდა მათ, განმარტავდა მათ სიზმრებს და მათ იეჰოვა ღმერთის შესახებ უყვებოდა.

დრტვინვა ხელს უშლის გარდაქმნას

იოსების შთამომავლები ძალიან განსხვავდებოდნენ მისგან. ისინი მორჩილნი იყვნენ მაშინ, როდესაც მათი სურვილები სრულდებოდა და როდესაც ღმერთი თავის ძლიერ ძალას მათ სასარგებლოდ ავლენდა. ხოლო როდესაც განხიბლულნი იყვნენ ან თავს მიტოვებულად გრძნობდნენ, მალე გადადიოდნენ დაუმორჩილებლობის გზაზე. ურჩობის პირველ ნიშანს დრტვინვა წარმოადგენდა.

ღმერთზე განაწყენებული ადამიანები არც ისე სულელები არიან, რომ ღიად შეენინააღმდეგონ მას. ამის ნაცვლად, ისინი ენინააღმდეგებიან ღმერთის სიტყვას ან წინამდლოლობას. ისრაელის ძეები თავიანთ ხელმძღვანელებზე დრტვინავდნენ, მაგრამ მოსემ მათ ასე უპასუხა: „...ჩევეზზე კი არ დრტვინავთ, არამედ უფალზე“ (გამ. 1:8;).

დრტვინვა კლავს. იგი უფრო მალე ჩაკლავს თქვენში ლვთიურ სიცოცხლეს, ვიდრე სხვა ნებისმიერი რამ! დრტვინვა არაპირდაპირ ატყობინებს უფალს: „მე არ მომწონს ის, რასაც შენ აკეთებ ჩემს ცხოვრებაში. მე რომ შენს ადგილზე ვიყო, ამას სხვანაირად გავაკეთებდი“. დრტვინვა – სხვა არაფერია, თუ არა დაუმორჩილებლობის გამოხატვა ღმერთის ძალაუფლების მიმართ. ეს უპატივცემულობის გამოხატვის უკიდურესი ფორმაა! ღმერთს სძულს ეს! იოსები ღვთის მოშიში იყო და არასოდეს არ დრტვინავდა. აი, რატომ გვაფრთხილებს უფალი:

„ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როგორც ყოველთვის იყავით მორჩილნი, არა მარტო ჩემი ყოფნისას, არამედ უფრო მეტად ახლა, ჩემი არყოფნის დროს, შიშით და ძრ-

უფლის შიში

წოლით იღვანეთ თქვენს სახსნელად. ღმერთი დაბადებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით. ყველაფერი გააკეთეთ უდრტვინველად და უყოყმანოდ“.

-ფილიპ. 2:12-14;

ღმერთი მკაცრად გვაფრთხილებს, რომ დრტვინვას არ მივცეთ ჩვენს გულებში ფესვების გადგმის საშუალება. ჩვენ მიტოვებულნი არა ვართ მაშინ, როდესაც წინააღმდეგობას ვუწევთ დრტვინვას. უფლის შიში – ესაა ძალა, რომელიც ამ მკვლელს ადგილს არ აძლევს ჩვენში. იგავების წიგნი ადასტურებს ამას:

„უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, რათა განერიდოს სიკვდილის მახეს“.

-იგავ.14:27;

იოსებმა სულიერ უდაბნოში დაახლოებით 12 წელი იცხოვრა. ისე ჩანდა, თითქოს არაფერს არ შეეძლო მისი ცხოვრების შეცვლა. მაგრამ არსებობდა წყარო – ღრმა წყარო მის შიგნით, საიდანაც იოსები ძალას იღებდა. ეს წყარო მას იმ ძალას აძლევდა, რომელიც ასე ძალიან სჭირდებოდა, რათა ღმერთის მორჩილი ყოფილიყო სულიერი გვალვის რთულ პერიოდში. ეს იყო ღმერთის შიში!

ამ წყაროს დახმარებით მან შესძლო თავიდან აეცილებინა შურის, ბრაზის, სიძულვილის, წყენის, რისხვის და სიძვის მახები. როდესაც სხვა ადამიანები სიკვდილის მახეში აღმოჩნდებოდნენ, იოსებს შეეძლო სიკვდილის გაძევება და სხვების მსახურება, საკუთარი ცხოვრების შავბნელ პერიოდებშიც კი. იოსები ბრძნულად იქცეოდა, რამეთუ ეშინოდა ღმერთის. „უფლის შიში ბრძნული დარიგებაა და პატივზე წინ არის მორჩილება“ (იგავ.15:33;). ღვთის მოშიში ადამიანები ბრძენ პიროვნებებს წარმოადგენენ. დანიელი ამის შესახებ ამბობს:

„განბრძნობილი განათდებიან, როგორც ცის მყარის ნათება და მრავალთა სამართლისკენ მომაქცეველნი – როგორც ვარსკვლავები უკუნითი უკუნისამდე“.

-დან.12:3;

ლოდებილან ლოდებაში

იოსების გული საბოლოოდ მაშინ გამოიცადა, როდესაც ყველაზე რთულ სიტუაციებში ღმერთის ერთგულების შესახებ განაცხადა. მალე იგი თვალნათლივ ბრწყინვადა ეგვიპტეში თავისი სიბრძნის წყალობით. შეუძლებელი იყო მისი სათნოების დამალვა, რაც მთელი წარმართი ხალხისთვის გახდა ცნობილი. საინტერესოა, რომ იოსებს ნაწინასწარმეტყველების მიღწევაში სხვა პატიმრებთან დამოკიდებულება დაეხმარა. დაბ.40-ში ნათქვამია, რომ ფარაონის მწდეთუხუცესი და მეპურეთუხუცესი საპყრობილები აღმოჩნდნენ. ორივეს სიზმარი დაესიზმა, რომელიც იოსებმა განმარტა. იოსებმა მწდეთუხუცესს სიზმრის მნიშვნელობა უთხრა:

„და უთხრა მას იოსებმა: „აჰა, მისი ახსნა: სამი რტო სამი დღეა. სამი დღის შემდეგ ფარაონი აგამაღლებს და დაგაბრუნებს შენს თანამდებობაზე. და მიაწვდი ფარაონს თასს ხელში, უწინდელი წესისამებრ, როცა მისი მწდე იყავი“. -დაბ. 40:12-13;

მეპურეთუხუცესის სიზმარს ასეთი ახსნა არ ჰქონია:

„და მიუგო იოსებმა და უთხრა: „ესაა მისი ახსნა: სამი კალათა სამი დღეა. სამი დღის შემდეგ ფარაონი მოგკვეთს თავს და ჩამოგეიდებს ხეზე. და ფრინველი შეჭამს შენს ხორცს“. -დაბ. 40:18-19;

იოსების გულში დრტვინვის პატარა ნაწილაკიც რომ ყოფილიყო, იგი არ მოემსახურებოდა არც მწდეთუხუცესს და არც მეპურეთუხუცესს. იგი მათ რომ არ მომსახურებოდა, ციხეში სიცოცხლის ბოლომდე დარჩებოდა.

თავისი ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში იოსები შეიძლება მისცემოდა დრტვინვას იმასთან დაკავშირებით, რაც ღმერთის მხრიდან ორგულობად ჩანდა, მაშინ როდესაც სინამდვილეში ღმერთის ალთქმა შეიძლება აღარ აღსრულებულიყო იოსების არასაკმარისი მოკრძალებული შიშის გამო. მაგრამ ღმერთი ერთგული იყო და იოსები საპყრობილის ბორკილებისაგან იხსნა. დანიშნულ დროს იოსები გამოიძახეს ფარაონთან, რათა მისთვის სიზმარი აეხსნა, რაზეც რეკომენდაცია გაუწია მწდეთუხუცესმა. და მთელი ერი შიმშილისაგან იხსნა ერთმა კაცმა, იოსებმა, რომელიც იყო კაცი, მოშიში ღვთისა.

უფლის შიში

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ეკლესია ღვთიური შიშის უქონლობას ავლენს. ამიტომ საჭიროების მქონე ხალხი გვიყურებს, როგორც შერცხვენილებს, ვიდრე როგორც მბრწყინავ ვარსკვლავებს. ჩვენი ცოდვების შესახებ ხშირად მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით საუბრობენ, და ჩვენ დაკარგეთ სახე, რომელიც მორწმუნებს უნდა გააჩნდეთ. ჩვენმი არ არის ისეთი თვისებები, როგორიცაა ერთგულება და ღვთისმოშიშობა, რაც იოსებისთვის იყო დამახასიათებელი. დაე, დაგვეხმაროს ღმერთი თავისი მადლით!

იბრწყინეთ მისი დიდებით

იობი იყო კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც ძალიან დაზარალდა. ისიც მკაცრად გამოიცადა. იგი ცდილობდა გაეაზრებინა მთელი თავისი ტანჯვა, მაგრამ იმედი დაკარგა. მეგობრები რჩევის მისაცემად მივიდნენ მასთან, მაგრამ მათ მიერ წარმოთქმულმა სიტყვებმა იობი შეაშფოთა. იგი ეძებდა სიბრძნეს, მაგრამ სიბრძნემ დატოვა იგი. ღმერთი დუმდა, ვიდრე იობი თავის მეგობრებთან ერთად ამაოდ ცდილობდა ღმერთის გზების გაგებას. ღმერთი ელოდებოდა, ვიდრე საკუთარ აზრს ბოლომდე გამოთქვამდნენ. მან ბრძენი მქადაგებელი გაუგზავნა მათ, სახელად ელიჰუ. მაგრამ ამის შემდეგ:

„მაშინ მიუგო უფალმა იობს გრიგალიდან და უთხრა:
„ვინ არის ეს, უგუნური სიტყვებით განგებას რომ აბნელებს, იმ საგნებზე რომ ლაპარაკობს რაც არ ესმის?
წელი შემოისარტყლე კაცურად, მე შეგეკითხები და შენ პასუხი გამეცი. შენ სად იყავი, დედამინას რომ ვაფუძვნებდი? მითხარი, თუ გაქვს გაგება“.

-იობ. 38:1-4;

ღმერთი განაგრძობდა ახსნას, ვიდრე იობი არ ჩასწედა ღმერთის დიდებულ სიბრძნეს, გაგებას და ძალას. იობმა, წმიდა შიშით დაძლეულმა, თქვა:

„ვიცი, რომ ყველაფერი შეგიძლია, და შენი განზრახვა არ დაბრკოლდება. ვინაა ეს, განგებას რომ აბნელებს და ვერას გულისხმაჲყოფს? ასე ვლაპარაკობდი და არ გამეგებოდა, ჩემთვის საკვირველზე, და ვერაფერს ვხვდებოდი. ისმინე და მე ვილაპარაკებ, შეგეკითხები, და

ლალებილან ლალებაში

მაცოდინე. ყურმოკვრით მქონდა გაგონილი შენზე, ახლა კი ჩემმა თვალმა გიხილა შენ. ამიტომ მძულს ჩემი თავი და ვინანიებ მტვერსა და ნაცარში“.

-იობ. 42:2-6;

იობს გააჩნდა ღვთიური შიში. იგი ხედავდა ღმერთს. იგი გარდაიქმნა. მისი ფიზიკური ტკივილი და დანაკარგი არ შემ-ცირკულა, მაგრამ არსით ძლიერ წმიდა შიშს გრძნობდა. ეს შიში შეიცავდა სიბრძნეს, რომელსაც იობი საჭიროებდა. ზუს-ტად ისე, როგორც იოსები ემსახურებოდა სხვებს, თვითონ კი ტკივილებს და ტანჯვას განიცდიდა, იობი მობრუნდა და სხ-ვების მომსახურება დაიწყო.

„და ალუდგინა უფალმა იობს უწინდელი წარმატება, როცა ილოცა იობმა თავისი მეგობრისათვის. ორმაგად მიუმატა უფალმა ყოველივე, რაც ებადა იობს. და მოკვ-და იობი დღეებით სავსე“.

-იობ. 42:10.17;

იობი უფრო მეტად გაბრწყინდა სიბრძნით და ძალით, ვიდრე ოდესმე ყოფილა. და დღეს მრავალი ადამიანი აგრძელებს მისი ტკივილის და სიბრძნის ნატამალის შეგროვებას. დღეს ჩვენ შეგვიძლია იმის გაგება, თუ რატომ გვაფრთხილებს ღმერთი ასე მკაცრად:

„ყველაფერი გააკეთეთ უდრტვინველად და უყოყმანოდ“. -ფილიპ. 2:14;

რა გვაძლევს ჩვენ ამ მკვლელებისგან გათავისუფლების უნარს? ღმერთის შიში. როდესაც გვემინია ღმერთის, ჩვენს გულს სცილდება რიდე. როდესაც ვხედავთ მის დიდებას, ჩვენ გარდავიქმნებით იმის ხატებად, ვისაც ვუყურებთ.

„რათა იყოთ უმწივლონი და უბრალონი, ღვთის უმანვო შვილები მრუდ და უკულმართ თაობაში, რომელშიც ანათებთ, როგორც მნათობნი სამყაროში, სიცოცხლის სიტყვის მფლობელნი, ...“.

-ფილიპ.2:15-16;

უფლის შიში

ბიბლიის თანამედროვე თარგმანში ამის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

„თქვენ კი იპრწყინეთ მათ შორის ისე, როგორც ბნელ სამყაროში ბრწყინავი ვარსკვლავი, და მიუტანეთ მათ შემქმნელი სიცოცხლის გზავნილი...“.

-ფილიპ.2:15; (თანამ. თარგმ.)

დიდება ღმერთს უკუნითი უკუნისამდე! ჩვენ, მოშიშნი ღმერთისა, გამუდმებით გარდავიქმნებით მისი ხატების მს- გავსად, ვიდრე არ გავპრწყინდებით ისე, როგორც ბნელ სა- მყაროში ბრწყინავი ვარსკვლავები. ესაა იმ დიდების აღნერა, რომელსაც ღმერთის ერთგული ეკლესია უკანასკნელ დღეებში გამოასხივებს.

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ ის, თუ როგორ გარდავიქმ- ნებით უფრო მეტად და მეტად, სანამ ღმერთის დიდება არ გამოვლინდება ისეთი ძალით, რომ ჩვენი სინათლე ქრისტესკენ მოიზიდავს ცოდვილებს. ესაიას წიგნში ვკითხულობთ:

„ადექი, განათდი, იერუსალიმო, რადგან მოვიდა შენი ნათელი და უფლის დიდება შენზე გაპრწყინდა. რადგან აჰა, ბნელი დაფარავს დედამინას და ბურუსი – ხალხებს; შენზე კი გაპრწყინდება უფალი და მისი დიდება შენზე გამოჩნდება. და ივლიან ხალხები შენს სინათლეზე და მეფენი – შენი ამობრწყინების ნათელზე“.

-ეს.60:1-3;

ღმერთი გამოავლენს თავის დიდებას ამ მიწაზე. მან უკვე თქვა, თუ როგორ გააკეთებს ამას: „...ჩემი დიდების სახლს განვადიდებ“ (ეს.60:7:). მისი დიდების სახლი – ეს მისი ხალხია, მისი ტაძარი, ისინი, ვისაც ეშინია და უყვარს იგი. ზაქარია წინასწარმეტყველებდა, თუ როგორ გადმოვიდოდა უფლის დიდება მის ხალხზე:

„ასე ამბობს ცაპაოთ უფალი: „იმ ხანებში იქნება, რომ მოეჭიდება ათი კაცი ყოველი ენის ხალხიდან, მოეჭიდება იუდაელის კალთებს და ეტყვიან: თქვენთან წამოვალთ, რადგან გაგებული გვაქვს, რომ თქვენთან არის ღმერთი“. ზაქ. 8: 23;

ლოდებილან ლოდებაშა

ზაქარია არ ხმარობს იმ გამოთქმებს, რომლებიც დღეს გამოიყენება. ამიტომ იგი არ გულისხმობდა იმას, რომ ადამი-ანები ტანისამოსის კიდეებზე დაეჯაჯგურებიან ქრისტიანებს. მან იხილა ჩვენი დრო და იგი ისეთი სახით აღნერა, როგორ-იც დამახასიათებელი იყო იმ დროისთვის. მე ყველაზე მეტად მხიბლავს ის, რომ ჩვენ ძალიან სწრაფად ვუახლოვდებით ამ დღეებს! ალილუია!

გქონდეს უფლის შიში – ეს ნიშნავს გწამდეს ღმერთი,
ხოლო გწამდეს ღმერთი – ემორჩილებოდე მას.

თავი XIII

ღმერთთან მეგობრობა

„საიდუმლო უფლისა – მოშიშთა მისთა, და
თავის აღთქმას აუნყებს მათ“.
-ფსალმ. 24: 14;

ქხლა ჩვენ განვიხილავთ იმას, რაც, ჩემი აზრით, უფლის მოშიშობით ცხოვრების ყველაზე წარმტაც ზღვარს წარმოადგენს. ეს ყოველი ჭეშმარიტი მორჩმუნის გულის სურვილია. ეს არის ის ერთადერთი რამ, რაც ყოველთვის დაუსრულებელი კმაყოფილების შეგრძნებას მოიტანს. ამან წააქეზა ღმერთი, რომ შეექმნა და ეს გახდა გამოსყიდვის მიზანი. ეს არის ღმერთის გულის მთავარი სურვილი და განძი, რომელიც დაცულია მათთვის, ვინც უფლის მოშიშია. თავდაპირველად, მოდით, მივმართოთ სოლომონის სიბრძნეს:

„უფლის შიში ცოდნის სათავეა, სიბრძნე და დარიგება კი ბრიყვებს ეზიზლებათ“.

-იგავ. 1:7;

რა სახის ცოდნის? სოლომონი აქ მეცნიერული ცოდნის შესახებ საუბრობს? არა, მრავალი მეცნიერი ადამიანს განადიდებს. მათ არ გააჩნიათ უფლის შიში. ამ მუხლში სოციალურ ან პოლიტიკურ მიღწევებზეა საუბარი? არა, რადგან ქვეყნიერების გზები – უგუნურებაა ღმერთის თვალში. ეს მუხლი წმიდა წერილის ცოდნას გულისხმობს? არა, რადგან ფარისევლებმა, მიუხედავად იმისა, რომ რჯულის კანონების მცოდნენი იყვნენ, მაინც ვერ შეძლეს ეამებინათ ღმერთისთვის. ამ კითხვებზე პასუხებს იგავ.2:3,5-ში ვკითხულობთ: „რადგან თუ გონებას მოუხმობ, საზრიანობას მისცემ შენს ხმას; ...მაშინ გაიგებ უფლის შიშა და უფლის შეცნობას პპოვებ“. ნება მომეცით გავამარტივო ეს აზრი: თუ თქვენში იქნება უფლის შიში, თქვენ მაშინვე მიხვალთ უფლის შეცნობამდე. მეფსალმუნე ამ სიტყვებს ადასტურებს სიტყვებით:

უფლის შიში

„საიდუმლო უფლისა – მოშიშთა მისთა, და თავის აღტქ-
მას აუწყებს მათ“.

-ფსალმ. 24:14;

უფლის შიში – დასაწყისია, ე.ი. სასტარტო პოზიცია, ღმერ-
თთან ახლო ურთიერთობისათვის. სიახლოვე – ეს არის ორ-
მხრივი ურთიერთობა. მაგალითად, მე ბევრი რამ ვიცი ამერი-
კის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შესახებ. შემიძლია
ჩამოვთვალო მისი მიღწევები და ვიცი მისი პოლიტიკური
პოზიციები, თუმცა მე მას პირადად არ ვიცნობ. მე პირადი
ურთიერთობა არ მაქვს მასთან. პრეზიდენტის ოჯახის წევრე-
ბი და მისი ახლობლები ნამდვილად იცნობენ მას. ჩვენ ერთ
შენობაში რომ აღმოვჩენილიყავით, მაშინვე ვიცნობდი მას,
მაგრამ ის ვერ მიცნობდა. მიუხედავად იმისა, რომ შეერთე-
ბული შტატების მოქალაქე ვარ და ბევრი რამ ვიცი პრეზი-
დენტის შესახებ, მაინც ვერ შევძლებდი მასთან საუბარს, რო-
გორც ჩემს მეგობართან. ეს არ იქნებოდა კარგად გაგებული
და უფრო მეტიც, შეიძლება ამ საქციელით უპატივცემულობა
გამომევლინა პრეზიდენტის მიმართ. მე გავაგრძელებდი მისი
იურისდიქციის და მისი, როგორც პრეზიდენტის ძალაუფლების
ქვეშ ყოფნას, და მისი, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის
დაცვის ქვეშ ყოფნას, მაგრამ მისი ძალაუფლება ჩემს მიმართ
არ შექმნიდა ავტომატურ ახლო ურთიერთობას ჩემსა და მას
შორის.

სხვა მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ ისინი, რომ-
ლებიც გატაცებულნი არიან ცნობილი ადამიანებით, როგორე-
ბიც არიან ცნობილი სპორტსმენები და ჰოლივუდის მსახიობე-
ბი. ამ ცნობილი ადამიანების სახელები კარგად არის ცნობილი
ამერიკულ ოჯახებში. მასობრივი საინფორმაციო საშუალებები
აშიშვლებენ ჩვენს წინაშე მათ პირად ცხოვრებას მრავალ-
რიცხოვანი სატელევიზიო ინტერვიუების, ასევე გაზეთების და
ჟურნალების სტატიების საშუალებით. მომისმენია, როგორ ამ-
ბობენ ამა თუ იმ სახელგანთქმული ადამიანის თაყვანისმცემ-
ლები, რომ თითქოს ისინი მათი მეგობრები არიან. მინახავს ის-
ეთი ადამიანებიც, რომლებიც განიცდიდნენ თავიანთი კერპის
ცოლ-ქმრულ პრობლემებს, და მინახავს, როგორ გლოვობდნენ,
თითქოს საკუთარი ოჯახის წევრი დაკარგეს, მაშინ, როდესაც
მათი სპორტის ან ეკრანის გმირი კვდებოდა.

ამ თაყვანისმცემლებს ეს ცნობილი პიროვნება ქუჩაში რომ
შეხვედროდა, არც კი მიესალმებოდა. თუკი მათ იმის გამბედ-

ლმერითიან მეგობრობა

აობა ეყოფიდათ, რომ იგი გაეჩერებინათ, ისინი ნამდვილ ადამიანს დაინახავდნენ, რომელიც ძალიან განსხვავებული იქნებოდა მათ წარმოდგენაში არსებული პიროვნებისგან. ცნობილ ადამიანებსა და მათ თაყვანისმცემლებს შორის ურთიერთობა – ცალმხრივი ურთიერთობაა.

მე გულს მტკენს ის, როცა ეკლესიებში ასეთი მოქმედებების მომსწრე ვხდებით. მომისმენია, როგორ საუბრობენ მორწმუნები ღმერთის შესახებ, თითქოს იგი, უბრალოდ, მათი ახლო ნაცნობია, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა აქვთ. ისინი დაუდევრად ყვებიან იმის შესახებ, თუ როგორ უჩვენა ღმერთმა მათ ესა თუ ის. ისინი საუბრობენ იმის შესახებ, თუ რამდენად ძლიერად სწყურიათ მისი თანდასწრება და ცხებულება. ხშირად ახალგაზრდა მორწმუნები ან ადამიანები, რომლებიც ჯერ არ განმტკიცებულან უფალთან ურთიერთობაში, უხერხულობას და სულიერ არასრულფასოვნებას განიცდიან ღმერთის ამ „ახლო მეგობრების“ გარემოცვაში.

მაგრამ ძალიან მალე თქვენ მოისმენთ, ეს ადამიანები, როგორ ააშკარავებენ საკუთარ თავს. ისინი იტყვიან რამეს, რაც ნათლად დაგვანახებს იმას, რომ მათი ურთიერთობა ღმერთთან ძალიან ჰგავს ცნობილ ადამიანსა და მის თაყვანისმცემლებს შორის არსებულ ურთიერთობას. ისინი მოყვებიან იმ ურთიერთობების შესახებ, რომლებიც უბრალოდ არ არსებობს.

უფალი ამბობს, რომ ჩვენ მისი ღრმად შეცნობის დაწყებაც კი არ შეგვიძლია, თუ არ გაგვაჩნია მისდამი შიში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ღმერთთან ახლო ურთიერთობა და მეგობრობა არც კი დაიწყება, თუ მანამდე ჩვენს გულში ღვთიური შიში ძლიერად არ ჩაინერგება.

ჩვენ შეგვიძლია დავესწროთ ყოველ მსახურებას, პირველები გავიდეთ ყოველი მოწოდების დროს საკურთხეველთან, ყოველდღიურად ვიკითხოთ ბიბლია და ვიაროთ ყოველ ლოცვით მსახურებაზე. შეგვიძლია წარმოვთქვათ დიდებული და შთამაგონებელი ქადაგებები, მრავალი წელი დაძაბულად ვიშრომოთ მსახურებისათვის და პატივისცემა და გაოცებაც კი გამოვიწვიოთ ჩვენს კოლეგებში. მაგრამ თუ არ გვეშინია ღმერთის, მაშინ მთელი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ მივბობდავთ რელიგიური კიბის საფეხურებზე. რა განსხვავებაა ამ რელიგიურ რიტუალებსა და ცნობილ ადამიანებთან ურთიერთობებს შორის?

მე ვიცი ადამიანები, რომლებსაც უფრო მეტი რამის მოყოლა შეუძლიათ რომელიმე ცნობილი ადამიანის პირადი ცხოვრების

უფლის შიში

შესახებ, ვიდრე საკუთარ ცხოვრებაზე. ისინი ამასთან დაკავშირებით უამრავ ვარაუდს, ფაქტებს და დაწვრილებით ცნობებს ფლობენ. მაგრამ ადამიანის შესახებ ასეთი ცოდნა სულაც არ ადასტურებს მასთან ახლო ურთიერთობას. ეს ცნობილი პირის მიმდევრები ჰგვანან ადამიანებს, რომლებიც სხვების ცხოვრებას ფანჯრის მინიდან უთვალთვალებენ. ისინი ხედავენ „რა“, „სად“, „როდის“, მაგრამ არ იციან „რატომ“.

ღმერთის მეგობარი

ღმერთმა წმიდა წერილში ორ ადამიანს უწოდა თავისი მეგობარი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ღმერთის მეგობარს მხოლოდ ეს ორი ადამიანი წარმოადგენდა, მაგრამ ღმერთმა განსაკუთრებით ეს ორი პიროვნება გამოყო, განზრახ დაწერა მათი მეგობრობის შესახებ. ვთვლი, რომ ღმერთმა ეს იმისათვის გააკეთა, რომ ჩვენ შეგვძლებოდა იმის გაგება, თუ როგორი თვისებების დანახვა სურს ღმერთს თავის მეგობარში.

პირველი იყო აბრაამი. აბრაამს ეწოდა „ღმერთის მეგობარი“ (იხ. 2.ნებტ. 20:7.). სამოცდათხუთმეტი წლის აბრაამს, ღმერთმა აღთქმა დაუდო. ღმერთის მიერ მიცემული აღთქმებიდან ერთ-ერთი აღთქმა აბრაამის გულის წადილის ასრულებას შეეხებოდა. აბრაამი ვაჟიშვილზე ოცნებობდა. ვაჟის შეძენამდე აბრაამმა რამდენიმე სერიოზული შეცდომა დაუშვა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, აბრაამი ღმერთისადმი რწმენას და მის მორჩილებას განაგრძობდა და სავსებით დარწმუნებული იყო, რომ ღმერთი დაპირებულს აასრულებდა.

როდესაც აბრაამი ოთხმოცდაცხრამეტი წლის იყო, მისი ცოლი დაფეხმიდა, და დაბადა მათი აღთქმული ვაჟი, ისაკი! წარმოგიდგენიათ, როგორ სიხარულს განიცდიდნენ აბრაამი და სარა, ისინი ხომ ამას ამდენი წელი ელოდნენ? წარმოგიდგენიათ, როგორ ეყვარებოდათ მათ თავიანთი აღთქმული შვილი?

გამოცდა

გადიოდა დრო, და მამასა და შვილს შორის ძალიან ახლო ურთიერთობა არსებოდა. ამ ბიჭის სიცოცხლეს უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აბრაამისთვის, ვიდრე საკუთარ სიცოცხლეს. მისი სიმდიდრე არაფერი იყო ამ ბავშვთან დაკავშირებულ სიხარულთან შედარებით. აბრაამისათვის არაფერის არ ჰქონდა უფრო დიდი მნიშვნელობა, ვიდრე ამ ძვირფას შვილს, რომელიც მას ღმერთმა მისცა.

ლეგიტიმობა მეგობრობა

„და ამ ამბების შემდეგ იყო, რომ ღმერთმა გამოსცადა აპრაამი. და დაუძახა მას: „აპრაამ!“ და თქვა: „აქა ვარ!“ და უთხრა მან: „აიყვანე შენი ერთადერთი ვაჟი ისაკი, რომელიც ძალიან გიყვარს, და წადი მორიას ქვეყანაში, და შესწირე იგი სრულადდასანველად ერთ მთაზე, რომელსაც გეტყვი“. -დაბ. 22:1-2;

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ შეაძრნუნებდა აპრაამს ეს სიტყვები? მას არც კი დაესიზმრებოდა ის, რომ ღმერთი მას ასეთი სისასტიკის ჩადენას მოსთხოვდა. იგი განცვიფრებული იყო. მამა-შვილი ისე ახლოს იყვნენ ერთმანეთთან! მიუხედავად იმისა, რომ ამ ძვირფასი შვილის, ახლა უკვე ახალგაზრდა კაცის, დაბადებას აპრაამი წლების განმავლობაში ელოდებოდა, ღმერთმა მას უფრო მეტი სთხოვა, ვიდრე თვით აპრაამის სიცოცხლე, – ღმერთმა მისი გული მოითხოვა. ამაში არავითარი აზრი არ იყო.

მაგრამ აპრაამმა იცოდა, რომ ღმერთი შეცდომებს არ უშვებს. ის, რაც ღმერთმა გასავებად თქვა, უარყოფილი ვერ იქნებოდა. აღთქმის ადამიანი მხოლოდ ორი არჩევანის წინაშე იდგა – დამორჩილებოდა ან დაერღვია აღთქმა. აღთქმის დარღვევის შესახებ ამ რწმენის მამაკაცს არც კი უფიქრია. იგი ღრმად იყო ჩაფლული ღვთისმოსავურ მოშიშებაში.

ჩვენ ვიცით, რომ ეს გამოცდა იყო, მაგრამ აპრაამმა ეს არ იცოდა. ჩვენ არასოდეს არ ვიცით, რომ ღმერთი გვცდის, ვიდრე, არ გავივლით განსაცდელს. შეიძლება საუნივერსიტეტო გამოცდაზე მოატყუო მასნავლებელი, მაგრამ ვერ იქმაკებ იმ გამოცდაზე, რომელსაც ღმერთი ატარებს. თუ ჩვენ არ ვსწავლობდით და არ ვასრულებდით საშინაო დავალებებს, რომლებიც ჩვენი გულების და ხელების განწმედას შეადგენდა, ვერ შევძლებთ ღმერთის გამოცდების ჩაბარებას, როგორი მოხერხებულებიც არ უნდა ვიყოთ!

აპრაამის შთამომავალებს რომ სცოდნოდათ, როგორი იქნებოდა შედეგი იმისა, რასაც ღმერთი უდაბნოში სინაის მთის ძირას აკეთებდა, ისინი სხვაგვარად მოახდენდნენ ამაზე რეაგირებას. აპრაამის გულში იყო რაღაც განსაკუთრებული, რაც არ იყო მის შთამომავალთა გულებში.

ერთხელ ღმერთმა მთხოვა მიმეტოვებინა რაღაც, რაც, როგორც მე ვფიქრობდი, მან მომცა. ჩემთვის ეს რაღაც უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე სხვა დანარჩენი. მე იგი მრავალი წლის

უფლის შიში

განმავლობაში მსურდა. ეს ერთ ცნობილ მახარებელთან ერთად მუშაობა იყო, რომელიც ძალიან მიყვარდა.

მე და ჩემს მეუღლეს შემოგვთავაზეს ამ ადამიანის და მისი მეუღლის დამხმარე მსახურების ადგილი. მე არა მარტო მიყვარდა ეს ადამიანი, არამედ მას ვუყურებდი, როგორც ოცნების ასრულებისათვის ღმერთისგან მოცემულ შესაძლებლობას. ეს ოცნება ღმერთმა ღრმად ჩამიდო გულში: მექადაგა სახარება მსოფლიოს ხალხებისათვის.

ვიმედოვნებდი, რომ ღმერთი მოიწონებდა ჩემს თანხმობას, მაგრამ მან აშკარად გასაგები გახადა ჩემთვის ის, რომ უარი უნდა მეთქვა ამ წინადადების მიღებაზე. როდესაც უარი ვთქვი, რამდენიმე დღე ვტიროდი ამის გამო. ვიცოდი, რომ დავვორჩილე ღმერთს, მაგრამ არ მესმოდა, რატომ მთხოვა მან ასეთი რთული გადაწყვეტილების მიღება. რამდენიმე კვირის გასვლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, მივმართე ღმერთს: „ღმერთო, რატომ მაიძულებ მოვიტანო ეს მსხვერპლად?“.

მან მაშინვე მიპასუხა: „რათა დავინახო, ვის ემსახურები: მეთუ შენს ოცნებას“.

მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ეს გამოცდა იყო. როდესაც ამ გამოცდას გავდიოდი, ვერ ვაცნობიერებდი იმას, თუ რას აკეთებდა ღმერთი. ერთადერთი რამ, რაც მაკავებდა იმ სურვილისაგან, რომ ჩემი გზით წავსულიყავი, იყო ჩემი ღმერთისადმი სიყვარული და ჩემი მოშიშობა მისი სახის წინაშე.

აბრაამმა დაამტკიცა, რომ ღმერთის ეშინია

მე მომწონს აბრაამის რეაქცია ღმერთის ყველაზე რთულ ბრძანებაზე: „და ადგა აბრაამი დილაადრიანად ...“ (დაბ.22:3;). მან არ დაიწყო ამის შესახებ სარასთან საუბარი. იგი არ მერყეობდა. მან გადაწყვიტა დამორჩილებოდა ღმერთს. მხოლოდ ორი რამ ნიშნავდა აბრაამისათვის უფრო მეტს, ვიდრე ალთქმული ისაკი – ღმერთის სიყვარული და მოშიშობა მის წინაშე. მისი ღმერთის მიმართ სიყვარული და მოშიშობა ყველაფერზე მაღლა იდგა.

ღმერთმა აბრაამს სამი დღის სავალი მანძილის გავლა უბრანა. ეს მას საშუალებას აძლევდა გაეაზრებინა ის, თუ რისი გაკეთება უბრანა მას ღმერთმა. იგი მტკიცე გადაწყვეტილებით რომ არ ყოფილიყო, დროის ეს პერიოდი გამოააშკარავებდა ამას. როდესაც აბრაამი ისაკთან ერთად მივიდა თაყვანისცემის ადგილას, აბრაამმა ააგო სამსხვერპლო, შეკრა

ლმერთითან მეგობრობა

თავისი შვილი, დააწვინა იგი სამსხვერპლოზე და დანა აიღო. მან ყელზე მიაბჯინა შვილს დანა.

ამ მომენტში ლმერთი დაელაპარაკა აბრაამს ანგელოზის საშუალებით და შეაჩერა იგი, მან ვერ მოასწრო იმ საქმის გაკეთება, რომელიც მისი მორჩილების შესახებ მოწმობდა: „... არ ალმართო შენი ხელი ამ ყრმაზე და არაფერი უყო მას, რადგან ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ და არ დაზოგე ჩემთვის შენი ძე, შენი ერთადერთი“ (დაბ. 22:12;).

აბრაამმა დაადასტურა, რომ ლმერთის ეშინოდა იმიტომ, რომ ლმერთის სურვილი უფრო მნიშვნელოვნად ჩათვალა, ვიდრე საკუთარი. ლმერთმა იცოდა, რომ თუ აბრაამი ამ გამოცდას გაივლიდა, ის ყველა დანარჩენი გამოცდის ჩაბარებას შესძლებდა.

„და აღაპყრო აბრაამმა თვალი და იხილა ვერძი, რომელიც რქებით იყო გახლართული ბუჩქნარში. და წავიდა აბრაამი და აიყვანა ის ვერძი და შესწირა იგი სრულად-დასანველად თავისი ძის ნაცვლად. და უწოდა აბრაამმა იმ ადგილს სახელად „უფალი გამოაჩენს“, როგორც ითქმის დღეს: „მთაზე უფალი გამოჩნდა“.

-დაბ.22:13-14;

ამ გამოცდის დასასრულს ლმერთმა აბრაამს თავისი არსის ახალი ზღვარი უჩვენა. მან გამოავლინა თავი, როგორც იეჰოვა-ირემ. ეს გამოვლენილი ლმერთის არსი ნიშნავს „უფალი გამოაჩენს“. ადამის დროიდან დაწყებული არავინ არ იცნობდა ლმერთს ასეთი სახით. ლმერთმა თავისი გული გაუხსნა ამ მორჩილ ადამიანს, რომელიც მისი მეგობარი გახდა. ლმერთი უხსნიდა აბრაამს იმას, რაც სხვა ადამიანებისათვის „საიდუმლოდ“ რჩებოდა.

თუმცა მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ ლმერთმა არ გამოავლინა თავი, როგორც „ლმერთი გამოაჩენს“ მანამ, სანამ არ გამოსცადა აბრაამი, ჰქონდა თუ არა მას წმიდა შიში, და ვიდრე აბრაამმა არ გაიარა ღვთიური გამოცდა. მრავალნი ამტკიცებენ, რომ იციან ლმერთის არსის სხვადასხვა თვისებები, მაგრამ არასოდეს ყოფილან მისი მორჩილნი მაშინ, როდესაც მათ ცხოვრებაში სიძნელეები იჩენდა თავს. მათ შეიძლება იმღერონ: „იეჰოვა-ირე, აავსებს ჩემს ყველა საჭიროებას...“ – მაგრამ ეს უბრალო სიმღერად დარჩება მანამ, სანამ იგი არ გამოავლენს თავს, როგორც იეჰოვა-ირე, ჩვენი მორჩილების

უფლის შიში

გზით. ვიდრე ჩვენ არ გავივლით ღმერთის გამოცდას მორჩილებით, ასეთი სიტყვები ჩვენი გონიერიდან გამოვა, და არა გულიდან. მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ ვასრულებთ რთულ საქმეს, შევდივართ რა მორჩილების უდაბნოში, ღმერთი გვეცხადება, როგორც იეჰოვა-ირე და როგორც მეგობარი (იხ. ეს. 35:1-2;).

„განა ჩვენი მამა, აპრაამი, საქმეებით არ გამართლდა, როცა თავის ძეს, ისაკს, სამსხვერპლოზე სწირავდა? ხედავ, რწმენა მოქმედებდა მის საქმეებთან ერთად. საქმეებით კი სრულყოფილი შეიქმნა რწმენა. აღსრულდა წერილი, რომელიც ამბობს: „და ერწმუნა აპრაამი ღმერთს“. ეს მას სიმართლეში ჩაეთვალა და ღვთის მეგობარი ეწოდა“.

-იაკ. 2:21-22;

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ აპრაამმა გამართლება საქმეებით მიიღო. მორჩილება დამამტკიცებელი საბუთი იყო მისი წმიდა შიშისა და რწმენისა. გქონდეს ღმერთის შიში – ნიშნავს გნამდეს ღმერთი, ხოლო გნამდეს ღმერთი – ემორჩილებოდე მას. იაკობი აღნიშნავს, რომ აპრაამის მორჩილების შედეგი, რომლის სათავეც წმიდა ღვთიური შიში იყო, ღმერთთან მეგობრობა გახდა. ღმერთი ნათლად ამბობს:

„უფალი თავის საიდუმლოს უმჟღავნებს მათ, ვინც ღვთისმოშიშია და პატივს სცემს მას, ღმერთი მათ თავის აღთქმებს აუწყებს“.

-ფსალმ. 24:14; (თანამ. თარ.).

ინგლისური ბიბლიის გაფართოებულ თარგმანში ეს სიტყვები სიტყვასიტყვით ასე ჟღერს: „ღმერთი მეგობრობს მათ-თან, ვინც მოწინებულია მის წინაშე. მათ იგი უხსნის თავისი აღთქმების საიდუმლოებებს“.

ღმერთი სრულიად ნათლად ლაპარაკობს! კიდევ ერთხელ წაიკითხეთ 24-ე ფსალმუნის ეს მუხლი და შეინახეთ იგი გულის სიღრმეში. რატომ არის ამდენი ფუჭი და ზედაპირული ქადაგებები? ქრისტიანებს ასე რატომ აკლიათ მათი წინაპრების სიღრმეები? ნუთუ ეს ეკლესიებში ეპიდემიის შესახებ მოწმობს? ამ ვირუსს კი „უფლის შიშის არქონა“ ჰქვია!

ღმერთმა თქვა, რომ იგი თავის საიდუმლოს მის მოშიშებს

ღმერთითან მეგობრობა

უმხელს. თქვენ ვის უმხელთ თქვენი გულის საიდუმლოებებს? ნაცნობებს თუ ახლო მეგობრებს? რა თქმა უნდა, ახლო მეგობრებს. საიდუმლო ვერ დარჩება საიდუმლოდ, თუ უბრალოდ ნაცნობ ადამიანს გაუმხელთ. ღმერთი სწორედ ასე იქცევა: იგი თავის გულს მხოლოდ მოშიში ადამიანების წინაშე ხსნის.

ადამიანი, რომელმაც იცოდა ღმერთის გზები

არის კიდევ ერთი ადამიანი, რომელსაც ღმერთმა თავისი მეგობარი უწოდა – ეს გახლავთ მოსე. გამოსვ.33:11-ში ნათქვამია: „და ელაპარაკებოდა [უფალი] მოსეს პირისპირ, როგორც კაცი ელაპარაკოს თავის მეგობარს, ...“ მოსეს სახე გახსნილი იყო ღმერთისათვის, რადგან იგი ღვთისმოშიში იყო. ამიტომაც შეეძლო მას ღმერთთან საუბარი, როგორც ახლო მეგობართან. აი, როგორი იყო შედეგი:

„აუწყა თავისი გზები მოსეს, ისრაელიანთ – თავისი საქმენი“.

-ფსალმ. 102:7;

რადგან ისრაელიანებს არ გააჩნდათ უფლის შიში, მათ უარი ეთქვათ ღმერთთან სიახლოვეზე. ღმერთის გზები და მისი აღთქმის საიდუმლოებები არ იყო გახსნილი ისრაელიანებისათვის. ისინი ღმერთს ბევრ რამეში ზუსტად ისე იცნობდნენ, როგორც მე ვიცნობ პრეზიდენტს მისი მოქმედებებით და მიღწევებით, იმით, თუ რა სარგებლობა მოაქვს მას ქვეყნისთვის და მოქალაქეებისთვის. ისრაელიანებმა არაფერი იცოდნენ ღმერთის აღთქმის საიდუმლოებების შესახებ. ისინი ვერ იგებდნენ ღმერთის მოტივებს, განზრახვებს და მისი გულის სურვილებს. ისრაელი იმდენად იგებდა ღმერთის ხასიათს, რამდენადაც იგი ვლინდებოდა მატერიალურ სამყაროში. ხალხი ხშირად არასწორად იგებდა, თუ არ იღებდა იმას, რაც მას სურდა, რას ეფუძნებოდა ღმერთი, როდესაც რამეს ართმევდა ან უკავებდა მათ. შეუძლებელია ღმერთის მხოლოდ მატერიალურ სამყაროში მომზდარი მისი საქმეების თვალყურის დევნებით შეცნობა. ეს იგივეა, რაც რომელიმე სახელგანთქმულ ადამიანს მხოლოდ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით ვიცნობდეთ. ღმერთი არის სული, და მისი გზები დაფარულია ამ მატერიალური სამყაროს სიბრძნისაგან (იხ.იოან.4:24; 1კორ.2:6-8;). ღმერთი საკუთარ თავს გაუცხადებს მხოლოდ მათ, ვინც ღვთისმოში-

უფლის შიში

შია. ისრაელის ძეები ვერც სიბრძნეს ხედავდნენ, და ვერც იმას იგებდნენ, რასაც ღმერთი აკეთებდა. ამიტომ ისინი ფეხშეწყობით ვერ მიჰყებოდნენ ღმერთს.

უფლის შიში – ეს არის ღმერთის გზების ცოდნა

მოსემ ძალიან ხშირად იცოდა, რატომ აკეთებდა ღმერთი ამა თუ იმ საქმეს. ბიბლია ამ ინტუიციას გაგებას უწოდებს. სინამდვილეში, მოსემ ხშირად იცოდა, რას მოიმოქმედებდა ღმერთი, რადგან იგი წინასწარ უმხელდა მას. ბიბლია ამას ეძახის სიბრძნეს. მეფისალმუნე ამბობს:

„სიბრძნის დასაბამის შიში უფლისა; აზრკეთილია ყველა, ვინც მათ ასრულებს. მისი დიდება მარადიულია“.

-ფსალმ. 110:10;

გქონდეს უფლის შიში – ნიშნავს ემორჩილებოდე ღმერთს, მაშინაც კი თუ გეჩვენება, რომ ამას შენთვის სარგებლობა არ მოაქვს. როდესაც ჩვენ გვაქვს უფლის შიში, ღმერთი მეგობრებს გვიწოდებს და თავის მოტივებს, განზრახვებსა და გულის სურვილებს გვიმხელს. ჩვენ ღმერთს შევიცნობთ არა მისი საქმებით, არამედ მისი გზებით. ყურადღებით წაიკითხეთ სიტყვები, რომლებიც იესომ მოწაფეებს უკანასკნელ საღამოს უთხრა, მას შემდეგ რაც იუდა გაშორდა მათ:

„თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ აკეთებთ იმას, რასაც მცნებად გიდებთ. მე აღარ გიწოდებთ მონებს, ვინაიდან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი. არამედ მეგობრები გიწოდეთ, რადგან ყველაფერი, რაც ჩემი მამისგან მოვისმინე, თქვენ გამცნეთ“.

-იოან. 15:14;

მომისმენია, როგორ იმოწმებდნენ ამ მუხლს, როგორც უფალთან მეგობრობის ალთქმას. თუმცა ასეთი მეგობრობა განსაზღვრული პირობის შესრულებას მოითხოვს. პირობა ასეთია:

„...თუ აკეთებთ იმას, რასაც მცნებად გიდებთ“.

-იოან. 15:14;

ლმერთითან მეგობრობა

მეფესალმუნე ამბობს, რომ ლმერთი თავისი გულის საიდუმლოებებს უმხელს მის მოშიშებს, მათ, ვინც ულაპარაკოდ ემორჩილება მის სიტყვას.

უფალმა თქვა: „მე აღარ გინოდებთ მონებს ...“. მისმა მოწაფებმა სამწელინადნახევრის განმავლობაში საკუთარი თავები ერთგულ მონებად წარმოაჩინეს. ისინი იესოსთან მაშინ დარჩენენ, როდესაც სხვა მონაფეებმა მიატოვეს (იხ.იოან.6:66). იყო დრო, როდესაც იესო მათ მხოლოდ როგორც მონებს ისე ეპურობოდა. ეს იყო გამოცდის პერიოდი, ზუსტად ისეთი, როგორიც აბრაამს და მოსეს ჰქონდათ. იწყებოდა ახალი გამოცდა. ახლა მისი სიტყვა წინასწარმეტყველური სიტყვა იყო. ეს გამოცდა დამთავრდა მაშინ, როდესაც მონაფეებმა მტკიცე მორჩილება გამოავლინეს ოთახში. დამყარდა ღვთიური წესრიგი. ოთახმა გამოააშკარავა ის, თუ რა იყო თითოეული ადამიანის გულში.

იესომ თქვა: „...ვინაიდან მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი. არამედ მეგობრები გინოდეთ, რადგან ყველაფერი, რაც ჩემი მამისგან მოვისმინე, თქვენ გამცნეთ (ჩემს მეგობრებს, რომლებსაც გაქვთ ლმერთის შიში. – ავტორის შენიშვნა)“. ლმერთის მეგობრები მიიღებენ ცოდნის ამ ნიჭს, რადგან იგი თავის ჩანაფიქრს მეგობრებს უზიარებს.

ლმერთი თავის ჩანაფიქრს თავის მეგობრებს უზიარებს

ლმერთი თავის განზრახვებს და გულის წადილს თავის მეგობრებს უზიარებს. იგი მათთან ერთად განიხილავს თავის გეგმებს და ენდობა კიდეც მათ.

„და თქვა უფალმა: „დავუფარო აბრაამს, რასაც ვაპირებ“. -დაბ. 18:17;

უფალმა ეს სიტყვები თავის მსახურ ანგელოზებს უთხრა, რომლებიც ლმერთთან ერთად აბრაამს სტუმრობდნენ. შემდეგ კი ლმერთმა მიმართა აბრაამს:

„და თქვა უფალმა: „გამრავლდა ლალადი სოდომზე და გომორაზე, და დიდად მძიმეა მათი ცოდვები“. ჩავალ და ვნახავ, ნამდვილად ისე იქცევიან, როგორც ლალადია მა-

უფლის შიში

თხე. თუ არა და, შევიტყობ“.

-დაბ. 18: 20-21;

შემდეგ უფალმა გაუმხილა აბრაამს, რომ ორ ქალაქს, სოდომს და გომორას, სამსჯავრო ელოდა. აბრაამი გამოესარჩილა მათ და ღმერთს მართალთა გადარჩენას ევედრებოდა.

„და მიეახლა აბრაამი და უთხრა: „ნუთუ მართალსაც და-ლუპავ უკეთურთან ერთად? ეგების იყოს ორმოცდაათი მართალი ამ ქალაქში? ნუთუ დალუპავ და არ დაინდობ მაგ ადგილს იქ მყოფი ორმოცდაათი მართლისათვის? შორს შენგან ასეთი საქმე, რომ მოკლა მართალი უკეთურთან ერთად, და იყოს მართალი უკეთურივით! შორს შენგან! მთელი ქვეყნიერების მსაჯულმა არ გააჩინოს სამართალი?“ და უთხრა უფალმა: „თუ ვპოვებ სოდომში, ქალაქში, ორმოცდაათ მართალს, შეკუნდობ მათ გამო მაშინ მაგ ადგილს“.

-დაბ. 18: 23-26;

აბრაამი ითხოვდა, რომ სხვა ადამიანების სიცოცხლე გადაერჩინა ღმერთის სამსჯავროსაგან. მხოლოდ მეგობარს შეუძლია ასე ელაპარაკოს მეფეს ან მსაჯულს, რომელიც სამსჯავროს აღსრულების ძალაუფლებას ფლობს. ასეთი თხოვნა მსახურის ან ხელქვეითისაგან რომ წამოსულიყო, ეს უპატივცემულობის გამოვლინებად ჩაითვლებოდა. აბრაამი ღმერთთან მოლაპარაკებაზეც კი წავიდა. თანდათანობით მართალთა რაოდენობა, რომელთა გამოც შეიძლება ეს ორი ქალაქი აღარ განადგურებულიყო, ათამდე შემცირდა, და ღმერთი გაემგზავრა ათი მართალი ადამიანის მოსაძებნად სოდომსა და გომორაში.

აშკარად ნათელი გახდა ის, რომ ამ ქალაქებში გამეფებული-ბოროტების შესახებ მოტანილი ამბავი სიმართლე იყო, რადგან არც ერთ და არც მეორე ქალაქში არ მოიძებნა ათი მართალი ადამიანი. უფალმა იპოვა მხოლოდ ლოტი, აბრაამის ძმიშვილი, და მისი ოჯახი.

ღმერთმა თავის მეგობარ აბრაამს გაუმხილა, თუ რის გაკეთებას აპირებდა. ღმერთი გაენდო აბრაამს, რადგან მას უფლის მოშიშება ჰქონდა. უფლის შიშის საშუალებით აბრაამმა ღმერთის ნდობას მიაღწია.

ლმერითიან მეგობრობა

ქვეყნიერებით შებილნული

ლოტი შეიძლება მართალ კაცად ჩათვლილიყო, მაგრამ ამასთანავე იგი ქვეყნიური ადამიანი იყო. ისევე, როგორც ამ უწმიდური ქალაქების მცხოვრებნი, ისიც არ მოელოდა მოახლოებულ სამსჯავროს. თუმცა ლოტი მართალი იყო, იგი ვერ აცნობიერებდა იმას, რაც უნდა მომხდარიყო. ლოტი განასახიერებს ქვეყნიურ ქრისტიანებს – მათ, ვისაც აკლია ცეცხლი და წმიდა შიში. მათი ლმერთთან ურთიერთობა სულაც არ განსხვავდება ცნობილ ადამიანებსა და მათ თაყვანისმცემლებს შორის არსებული ურთიერთობისაგან.

ლმერთთან სწორი დამოკიდებულების უქონლობის შესახებ მოწმობს ის, თუ როგორი ადგილი ამოირჩია ლოტმა საცხოვრებლად (სოდომის და გომორას მცხოვრებლებთან ერთად), როგორი ცოლი მოიყვანა მან და როგორი შვილების მამა გახდა სისხლის აღრევის შედეგად – ნარმოიშვნენ მოაბელნი და ყამონელნი. ლოტმა თავისთვის აირჩია ის, რაც თავიდან მას საუკეთესოდ მოეჩვენა, მაგრამ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არასწორი არჩევანი გააკეთა.

ლოტის საპირისპიროდ, აბრაამმა ყველასაგან განცალკევებით ცხოვრება გადაწყვიტა. იგი ეძებდა ქალაქს, რომლის ხუროთმოძღვარიც ლმერთი იყო. ლოტმა კი უწმიდურ ადამიანებთან ურთიერთობა არჩია. დროთა განმავლობაში ამ უწმიდურების მიმართ მიდრეკილებამ ლოტისა და მისი შთამომავლობის ცხოვრებაში ნაყოფი გამოიღო. ლოტის ცხოვრების წესი ლმერთის მიერ არ იყო მითითებული. მისი ცხოვრების წესი გარშემომყოფი საზოგადოების მიერ იყო ნაკარნახევი. ლოტი გადაიღალა „...ურჯულოთა ლაგამახსნილი ქცევით ... რადგან ეს მართალი კაცი, რაკი მათ შორის ცხოვრობდა, დღითი დღე თავისი მართალი სულით იტანჯებოდა, მათ უკანონო საქმეებს რომ ხედავდა და ისმენდა“ (2 პეტრ.2:7-8;).

ლოტისთვის სამსჯავროს დღე მოულოდნელად მოვიდა. მაგრამ აბრაამთან ასე არ იყო ლმერთის მადლით და მისი ლმერთთან მეგობრობის წყალობით. ლმერთი ანგელოზებს აგზავნიდა ზუსტად ისე, როგორც წინასწარმეტყველებს, რათა ქვეყნიური მორწმუნეები გაეფრთხილებინა მომავალი სამსჯავროს შესახებ.

მომავალი სამსჯავროს გამო შეძრნუნებულმა ლოტის ცოლმა უკან მოხედვა გადაწყვიტა. იგი გაფრთხილებული იყო, რომ უკან არ მიეხედა, როდესაც უფალი ბოროტებით სავსე ქა-

უფლის შიში

ლაქებს გაანადგურებდა. მაგრამ ლოტის ცოლი ქვეყნიერების ისეთი ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომ ეს უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე უფლის შიში. აი, რატომ აფრთხილებს იესო ახალი აღთქმის მორწმუნებს: „გაიხსენეთ ლოტის ცოლი“ (ლუკ. 17:32).

აბრაამს ჰქონდა უფლის შიში. იგი გახლდათ ღმერთის მეგობარი. ლოტს კი მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი ჰქონდა უფლის იმ შიშისა, რომელიც აბრაამს გააჩნდა. ლოტს უფლის შიში მხოლოდ იმისათვის ეყო, რომ მომავალ სამსჯავროს გამოქცეოდა, მაგრამ სამსჯავრო დაეწია მათ, ვინც მას მიჰყვებოდა.

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ლოტმა არ იცოდა არც ღმერთის გული და არც მისი გზები. იაკობი პირდაპირ მიმართავს მორწმუნებს სიტყვებით:

„მრუშნო, განა არ იცით, რომ სოფელთან მეგობრობა ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც სოფელთან მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება“.

-იაკ. 4:4;

თქვენ ვერ შეძლებთ ქვეყნიერების სიყვარულსაც და ღმერთის მეგობრობასაც. იაკობი იმ მორწმუნის მდგომარეობას, რომელიც ქვეყნიერებასთან ურთიერთობის გზების ძიებას აგრძელებს, აღწერს, როგორც მრუშობას და ღმერთის მტრობას. სოლომონი ამბობს:

„სპეტაკი გულის მოყვარულს სიამე აქვს ბაგეზე, მისი მოყვასი მეფეე“.

-იგავ. 22:11;

მხოლოდ გულით სუფთა ადამიანები არიან ღმერთის მეგობრები. ჩვენ საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: „რა წმენდს ჩემს გულს? ჩემი ღმერთის მიმართ სიყვარული?“ ღმერთისადმი სიყვარული აღძრავს განწმენდის სურვილს, მაგრამ თავად ის არ წმენდს გულს. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღმერთი ძალიან გვიყვარს, მაგრამ ამასთანავე ქვეყნიერების სიყვარულსაც ვაგრძელებდეთ. დღეს მილიონობით მორწმუნება ამ მახეში გაბმული. როგორი ძალა გვინახავს სიწმიდეში დიდებული მეფის წინაშე? პავლემ ამ კითხვას ნათლად და მოკლე უპასუხა:

ლმერითიან მეგობრობა

„ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი ბიწისაგან, ღვთის მოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე“.

-2კორ.7:1;

სიწმიდე ან გულის სისუფთავე აღსრულდება ან მომწიფებული ხდება უფლის მოშიშებით! „....უფლის შიშით განუდგები ბოროტს“ (იგავ.16:6;).

მაგრამ კვლავ წაიკითხეთ ამ მუხლის დასაწყისს: „ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს...“ როგორი აღთქმანი? პასუხი მოცემულია მომდევნო მუხლებში. მოდით, წავიკითხოთ:

„რა კავშირი აქვს ღვთის ტაძარს კერპებთან? რადგან თქვენ ხართ ცოცხალი ღვთის ტაძარი, როგორც ღმერთმა თქვა: „დავმკვიდრდები და ვივლი მათ შორის, ვიქნები მათი ღმერთი და ისინი იქნებიან ჩემი ხალხი. ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით!“- ამბობს უფალი. „უწმიდურს ნუ მიეკარებით და მე მიგიღებთ თქვენ. ვიქნები თქვენთვის მამა და თქვენ იქნებით ჩემთვის ძენი და ასულნი“, ამბობს უფალი ყოვლისმპურობელი“.

-2 კორ. 6:16-18;

ღმერთმა ასევე გამოხატა თავისი სურვილი ყოფილიყო ის-რაელის ძეებთან თავისი დიდებით უდაბნოში. მან თქვა: „.... მე ვარ უფალი, ღმერთი მათი, რომელმაც გამოვიყვანე ისინი ეგვიპტის ქვეყნიდან, რათა დავივანო მათ შორის...“ (გამ. 29:46;). და კიდევ ერთხელ: „და ვივლი მე თქვენს შორის და ვიქნები თქვენს ღმერთად, და თქვენ იქნებით ჩემს ხალხად“ (ლევ. 26:12;). გავავლოთ პარალელი: იგი იგივე წმიდა ღმერთია. იგი ვერ დაივანებს წაბილნულ და უწმიდურ ტაძარში.

მოდით, შევეცადოთ ჩაგსწვდეთ ამ ჭეშმარიტებების მნიშვნელობას. ღმერთი გვისურათებს ჩვენთან დადებული აღთქმის პირობებს და ამ აღთქმასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომელთა შესარულებითაც, მის დიდებაში ყოფნას შევძლებთ. ჩვენ უნდა გამოვიდეთ ამქვეყნიური სისტემიდან და გამოვეყოთ მას. ეს შესაძლებელი ხდება ღვთიური შიშისა და ღმერთის მადლის ერთობლიობით. ამიტომაც არის, რომ პავლე ამ თავს კორინთელთა მიმართ ეკლესიის შეგონების სიტყვებით იწყებს:

უფლის შიში

„...შეგაგონებთ, რომ ფუჭად არ მიიღოთ ღვთის მადლი“. (2 კორ. 6:1;).

სხვა წერილში პავლე გვიხსნის ამ აზრის მნიშვნელობას და დაუინებით შეგვაგონებს ვეძებოთ სიწმიდე, რადგან თუ ამას არ გავაკეთებთ, ვერ ვიხილავთ ღმერთს.

„ეცადეთ იქონიოთ ...სიწმიდე, ურომლისოდაც ვერავინ იხილავს უფალს. გაფრთხილდით, რომ რომელიმე თქვენ-განს არ მოაკლდეს ღვთის მადლი,“.

-ებრ. 12:14-15;

ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ პავლე ამბობს, რომ ღმერ-თის მადლი შეიძლება ტყუილად მივიღოთ! ჩვენ შეიძლება დავკარგოთ იგი! შემდეგ პავლე განაგრძობს იმის აღწერას, რაც მადლს საშუალებას აძლევს დარჩეს მოქმედი და ჩვენს ცხოვრებაში ნაყოფი მოიტანოს: „...ვიქონიოთ მადლი, რომლი-თაც სათნოდ ვემსახურებით ღმერთს, მოწინებითა და მოშიშე-ბით“ (მუხ.28;). ჩვენ ღმერთის შიში გვიცავს ქვეყნიერებასთან გაერთიანების სურვილისაგან. ღმერთის მადლი, გაერთიანებუ-ლი ღმერთის შიშთან, ბადებს სიწმიდეს ან გულის სისუფთავეს. ღმერთი გვპირდება, რომ თუ ჩვენ ვიწმიდებით ქვეყნიერების ჭუჭყისგან, იგი დაივანებს ჩვენში თავისი დიდებით. ალილუა!

წმიდა შიში ღმერთს აძლევს
დიდების, პატივის, მოწინების, მადლიერების,
ქების და უპირატესობის ადგილს, რომელსაც იგი იმსახურებს

თავი XIV

ცმილა შიშის კურთხევები

„და მოვისმინოთ დასკვნა ყველაფერი ამისა: გვეშინოდეს ღვთი-
სა და ვიცავდეთ მის მცნებებს, რადგან სულ ეს არის ადამიანი“.
-ეკლ. 12: 13;

ჩვენ საფუძვლიანად შევისწავლეთ, რა არის უფლის შიში. მაგრამ შეუძლებელია იმის შეცნობა, თუ როგორია ეს შიში, სრულყოფილად. უფლის შიში – ეს არის თემა, რო-
მელიც არ შეიძლება ამოინუროს, რამდენი წიგნიც არ უნდა
დაიწეროს ამის შესახებ. ეს არის უწყვეტი გამოცხადება. იგავ. 23:17 -ში საუბარია იმის შესახებ, რომ ადამიანის გული
ყოველ დღე უნდა იყოს უფლის შიშმი. უფლის მოშიშების წყ-
ურვილი ვერ იქნება გადამეტებული.

როგორც უფლის შიშის სრულად გაანალიზება შეუძლე-
ბელია, ასევე რთულია მისცე მას მოკლე განსაზღვრება. იგი
მოიცავს ცნებების ფართო სპექტრს, ღმერთის სიყვარულის
ძალის მსგავსად. განსაზღვრება, რომელსაც შემოგთავაზე-
ბთ, იქნება არასრული და მხოლოდ საწყისი, რადგან გულის
შინაგანი გარდაქმნის აღწერა შეუძლებელია სიტყვებით. ჩვე-
ნი ცოდნა ღმერთის შესახებ მთელი მარადიულობის განმავ-
ლობაში გაიზრდება. ჩვენი გამოცხადება ღმერთის სიყვარუ-
ლის მიმართ ჩვენში არსებული წმიდა შიშის პროპორციულად
გაიზრდება.

ადამიანის მიმართ შიში ღმერთისადმი შიშის საპირისპიროა.
ადამიანის მიმართ შიში – მახეა (იხ. იგავ. 29:25;).

ჩვენ ცოტა ვისაუბრეთ ამ „უწმიდური შიშის“ შესახებ,
როდესაც ღმერთის შიშის გაცხადებაზე იყო ლაპარაკი. ხშირად
ჩვენ რაიმეს გაგებამდე მას შემდეგ მივდივართ, რაც ჩვენთვის
ცნობილი ხდება, თუ რას არ წარმოადგენს ის. ამ საკითხთან
დაკავშირებით, მოგცემთ ადამიანის წინაშე შიშის განსაზღვრე-
ბას.

გეშინოდეს ადამიანის – ნიშნავს იმყოფებოდე განგაშის,
ნერვიულობის, შიშის, საშინელების, ეჭვების მდგომარეობაში,

უფლის შიში

შიშისგან იკუნტებოდე ხორციელი ადამიანის წინაშე. ისინი, ვინც ამ შიშის ხაფანგში არიან მოქცეულნი მუდამ იცხოვრებენ ძებნილების მსგავსად, ყოველთვის დაემალებიან წყენას ან დაყვედრებას, ყოველთვის გაექცევიან წინააღმდეგობებს. ისინი იმდენად არიან შთანთქმულნი საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფით, რომ მალე იწყებენ ღმერთის წინაშე ცუდად მსახურებას. ერიდებიან რა იმას, რისი გაკეთებაც ადამიანს შეუძლია, ისინი არ უძღვნიან ღმერთს იმას, რისი ღირსიც ის არის.

უფლის შიში თავისში მოიცავს ღმერთის პატივისცემას (მა-გრამ მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება), რადგან ჩვენ გვევ-ალება მონიშებით მივიდეთ მის თანდასწრებაში. წმიდა შიში ღმერთს უძღვნის იმ დიდებას, პატივს, მადლიერებას, ქებას, განდიდებას, რომელთა ღირსიც ის არის (ყურადღება მიაქცი-ეთ იმას, რომ ეს არის ის, რისი ღირსიც ის არის, და არა ის, რისი ღირსიც ის არის ჩვენი თვალსაზრისით.)

ღმერთი მაღლდება ჩვენს გულში და ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც მის სურვილებს უფრო დაფასებთ, ვიდრე სა-კუთარს, შევიძულებთ რა იმას, რაც მას სძულს, და შევიყვა-რებთ იმას, რაც მას უყვარს, და მონიშებით მოვეპყრობით მის თანდასწრებას და დიდებას. მოისმინეთ და იფიქრეთ ამის შეს-ახებ:

თქვენ იმას ემსახურებით, ვისიც გეშინიათ.

თუ ღმერთის გეშინიათ, მაშინ თქვენ მას ემსახურებით. თუ ადამიანის გეშინიათ, მაშინ ადამიანს ემსახურებით. თქვენ უნდა გააკეთოთ არჩევანი.

ახლა თქვენთვის უკვე გასაგებია, თუ რატომ თქვა სოლომონმა სიცოცხლის ბოლოს, ასეთი სიტყვები:

„და მოვისმინოთ დასკვნა ყველაფერი ამისა: გვეშინოდეს ღვთისა და ვიცავდეთ მის მცნებებს, რადგან სულ ეს არის ადამიანი“.

-ეკლ.12:13;

სოლომონი მთელი სიცოცხლე ეძებდა სიბრძნეს. მან შეიძინა იგი, და სიბრძნემ ის დიდ წარმატებამდე მიიყვანა. თუმცა ცხოვრების უკანასკნელ წლებში იგი ტანჯვისა და წყენის პე-რიოდს გადიოდა. მის გულში უფლის შიშმა ჩაქრობა დაიწყო.

წმილა შაშის ყურთხევები

იგი უკვე აღარ ემორჩილებოდა ღმერთის აღთქმებს. მან უცხო ქვეყნიდან მოიყვანა ცოლები და მათ ღმერთებს ემსახურებოდა.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ დღეებში მან მოიხედა უკან და მრავალი ფიქრის შემდეგ ეკლესიასტეს წიგნი დაწერა. ამ წიგნში სოლომონი აანალიზებს ცხოვრებას, რომელიც უფლის შიშის გარეშე განვლო. რის შესახებაც არ უნდა დაეწყო მას საუბარი, ყველაფერს ამაოებად მიიჩნევდა!

წიგნის ბოლოს მან გააკეთა დასკვნა, რომ ცხოვრების არსი ღმერთის მოშიშებაში და მისი მცნებების დაცვაში მდგომარეობს!

ღმერთის შიშის კურთხევები

მე შთაგაგონებთ წაიკითხოთ მთელი ბიბლია და სიმფონიის დახმარებით მოძებნოთ ის ადგილები, სადაც უფლის შიშის შესახებ არის საუბარი. ამონერეთ ისინი, რათა მომავალშიც გამოიყენოთ. მე ასე მოვიქეცი და ორმოცდაათ გვერდზე მეტი შევაგროვე. მე ვიპოვე ზოგიერთი ძალიან განსაზღვრული აღთქმები უფლის მოშიშთათვის. ნება მომეცით გაგიზიაროთ რამდენიმე მათგანი.

უფლის შიში...

– განაწყობს ჩვენს გულს პასუხის მისაღებად

„მან თავის ხორცში ყოფნის დღეებში ძლიერი ღაღადით და ცრემლებით შესწირა ლოცვა და ვეღრება მას, სიკვდილისაგან მისი დახსნის შემძლეს, და შესმენილი იქნა იგი ღვთისმოშიშობის გამო“.

-ებრ. 5:7;

– გვჩეუქნის ღმერთის დიდებული მადლის სიუხვეს

„რაოდენ მრავალი გაქვს სიკეთე, უფალო, შენთა მოშიშთათვის რომ ინახავ, შენს მსასოებელთ რომ განუმზადე ადამის ძეთა წინაშე“.

-ფსალმ. 30:20;

უფლის შიში

– გვპირდება ანგელოზების დაცვას

„დაიბანაკებს ანგელოზი უფლისა მის მოშიშთა ირგვლივ
და გადაარჩენს მათ“.

-ფსალმ. 33:8;

– უზრუნველყოფს მუდმივი ყურადღებით ღმერთის მხრიდან.

„აი, თვალი უფლისა მის მოშიშთა თავზე, ვინც მის წყა-
ლობას ელის“.

-ფსალმ. 32:18;

– გვაძლევს ყველაფერ აუცილებელს

„მოიშიშეთ უფლისა, წმინდანნო მისნო, რადგან არა აქვთ
შეჭირვება მოშიშთა მისთა“.

-ფსალმ. 33:10;

– თავისში მოიცავს დიდებულ წყალობას

„რადგან რაოდენ ცა მაღალია დედამიწაზე, მისი წყალო-
ბაც ძლიერია მის მოშიშთა მიმართ“.

-ფსალმ.102:11;

– იძლევა საკვებით უზრუნველყოფის რწმენას

„საზრდო მისცა თავის მოშიშებს, ახსოვს მარადის თა-
ვისი ალთქმა“.

-ფსალმ.110:5;

– გვპირდება დაცვას

„მოშიშნო უფლისა, მიენდეთ უფალს! შემწე და ფარია ის
მათი“.

-ფსალმ. 113:19;

– ასრულებს ჩვენს სურვილებს და გვათავისუფლებს ბორო-
ტისაგან

„მის მოშიშთა სურვილს შეასრულებს და მათ ღალადისს
მოისმენს და უშველის მათ“.

-ფსალმ. 144:19;

წმიდა შაშის ყურთხევები

– იძლევა სიბრძნეს, გაგებას და დროის მართვის უნარს

„სიბრძნის დასაბამი უფლის შიშია და წმიდის შეცნობა—გონიერება. რადგან ჩემით გამრავლდება შენი დღეები და სიცოცხლის წლები შეგემატება“.

-იგავ. 9:10-11;

– ეს არის ჩვენი დარწმუნებულობა და დაცვა სიკვდილის წინაშე

„უფლის შიში ძლიერია რწმენა და მის შვილებს ექნებათ თავშესაფარი. უფლის შიში სიცოცხლის წყაროა, რათა განერიდოს სიკვდილის მახეს“.

-იგავ. 14: 26-27;

– გონებას აძლევს მშვიდობას

„სჯობს გქონდეს მცირედი, მაგრამ უფლისადმი შიშით, ვიდრე დიდი საუნჯე და მასთან ერთად შფოთვა“.

-იგავ. 15:16;

– მოაქვს სრული კმაყოფილების გრძნობა

„უფლის შიშს სიცოცხლისაკენ მიყავს კაცი, მაძლარი იქნება და არ ეწევა მას ბოროტი“.

-იგავ. 19:23;

– მივყავართ სიმდიდრისაკენ, პატივისა და სიცოცხლისაკენ

„საზღაური მორჩილებისა, უფლის შიშია, არის სიმდიდრე, პატივი და სიცოცხლე“.

-იგავ. 22:4;

– დაგვიცავს გზაზე

„და დაუდებ მათ საუკუნო აღთქმას, რომ არ შევბრუნდები მათგან, რათა ვუყო მათ სიკეთე და მივცე მათ გულებს ჩემი შიში და არ განდგნენ ჩემგან“.

-იერ. 32: 40;

უფლის შიში

– აშენებს საიმედო სახლს

„რაკი ეშინოდათ ბებიაქალებს ღვთისა, უშენებდა იგი
მათ სახლებს“.

-გამ. 1:21;

– იძლევა ნათელ ხედვას და მიუთითებს გზისაკენ

„ვინ არის კაცი მოშიში უფლისა? მას გზას უჩვენებს ამო-
სარჩევად“.

-ფსალმ. 24:12;

– მოაქვს სიამოვნება შრომისაგან და იძლევა ხანგრძლივ ნაყო-
ფიერ ცხოვრებას

„ნეტარია ყოველი, რომელსაც ეშინია უფლისა და იარება
მისი გზებით! შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება
შენ და სიკეთე შენ! ცოლი შენი, ვითარცა ვაზი მსხმოი-
არე შენი სახლის კიდეებში; შენი შვილები, ვითარცა ზე-
თისხილის ნორჩი ხეები შენი სუფრის გარშემო. შეხედე,
ასე მიიღებს კურთხევას კაცი მოშიში უფლის!“.

-ფსალმ. 127:1-4;

– ქმნის წარმატებულ ხელმძღვანელებს

„და ამოარჩიე მთელი ხალხიდან უნარიანი კაცები, ღვთის-
მოშიშნი, პატიოსანი კაცები, ანგარების მოძულენი, და
დაუნიშნე ისინი მათ ათასისთავებად, ასისთავებად, ორ-
მოცდაათისთავებად და ათისთავებად“.

-გამ. 18:21;

„მითხრა ისრაელის ღმერთმა, მელაპარაკა ისრაელის
კლდე: მართალი კაცი იხელმწიფებს ხალხზე, ღვთის
შიშით იხელმწიფებს“.

-2 მეფ. 23:3;

ეს არის ღმერთის მხოლოდ რამდენიმე აღთქმა მის მო-
შიშთათვის. არსებობს სხვა მრავალიც. მე შთაგაგონებთ
თქვენ, მოძებნოთ ისინი ღმერთის სიტყვის კითხვისა და სწავ-
ლის დროს.

ეპილოგი

უფლის შიში ძლიერად უნდა ენთოს ჩვენს გულში, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის წინ მივიღეთ დახსნა. სინამდვილეში, სწორეს ის წარმოადგენს დახსნის მიღების გადამწყვეტ ფაქტორს.

პავლე ამბობს: „კაცნო ძმანო, აბრაამის მოდგმის ძენო და თქვენს შორის ლვთისმოშიშნო! თქვენ მოგევლინათ ხსნის სიტყვა“ (საქმე. 13:26;).

წმიდა შიშის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ იმის გაცნობიერებას, რომ ხსნას ვსაჭიროებთ.

მიუხედავად იმისა, თუ როგორია თქვენი ახლანდელი სულიერი ცხოვრება, გთხოვთ ილოცოთ ჩემთან ერთად. თუ თქვენი ცხოვრება ადრე არ ემორჩილებოდა იესოს გამგებლობას, დღეს დადგა იმის დრო, რომ მას თქვენი სიცოცხლე მისცეთ. თქვენ მოისმინეთ სიტყვა, და რწმენამ მოიმატა თქვენს გულებში. თუ სულიერი გამხილათ და მზად ხართ ზურგი აქციოთ ქვეყნიერებას და ცოდვას და მთლიანად ღმერთს მიუძლვნათ თავი, ახლა სწორედ ამის დროა. მოვიდა გადამწყვეტილების მიღების დრო, რომ ჩვენი ცხოვრება სრულად დავუმორჩილოთ იესოს გამგებლობას. დადგა დრო, რომ ეს ლოცვაში დავადასტუროთ.

ზეციერო მამაო, იესოს სახელით ქედს ვიხრი და მოვდივარ შენს წინაშე. მე ვეძებ შენს წყალობას და მაღლს. მე მოვისმინე შენი სიტყვა, და შენი სიყვარულის, მოშიშების და შეცნობის სურვილი გიზგიზებს ჩემს გულში. ვინანიებ ჩემს განვლილ ცხოვრებას, რომელიც შენი პატივისცემის გარეშე გავატარე. ვინანიებ ყოველგვარ უპატივცემულობას და თვალთმაქცობას, რომელსაც ადგილს ვაძლევდი ჩემს ცხოვრებაში.

მოგმართავ შენ, იესო, როგორც ჩემს მხსნელს და უფალს. შენ ხარ ჩემი ბატონი, და ჩემს ცხოვრებას მთლიანად შენ გიძლვნი. ამავსე შენი სიყვარულით და წმიდა შიშით. მინ-

უფლის შიში

და, უფრო ახლოს და უფრო კარგად გაგიცნო. ვალიარებ, რომ ვსაჭიროებ შენს ნმიდა სულს და დამოკიდებული ვარ მასზე. გთხოვ, ამავსე.

უფალო, შენი სიტყვა გვპირდება, რომ თუ მთელი ჩემი გულით მოგმართავ შენ, სულიწმიდა გამიხსნის შენს ჭეშ-მარიტ სახეს და არსს, და მე შევიცვლები დიდებიდან დიდებისკენ. გთხოვ, როგორც მოსე გთხოვდა: დამანახე შენი სახე. ამ საიდუმლო ადგილას, სადაც მოგიახლოვდები, მე შევიცვლები.

უფალო იესო, მადლობას გიხდი უხვი მადლისთვის და წყალობისთვის, რომელიც შენ მე მომეცი. ყველაფრისათვის, რაც უკვე გააკეთე და რასაც მომავალში გააკეთებ, მე გიძლვნი ქებას, პატივს და დიდებას ამიერიდან და საუკუნოდ. ამინ.

„ხოლო ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისაგან და უბინონი დაგაყენოთ სიხარულში თავისი დიდების წინაშე, ერთად-ერთ ბრძენს – ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლის იესო ქრისტეთი დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს ან და ყოველთა საუკუნეთა მიმართ. ამინ“.

იუდ. 1:24-25;

„საიდემლო უთვლისა – მოშიშთა მისთა“. – ფსალმ. 24:14.

ღღ ჩვენს კლიენტს, ლოცვებს და პირად ცხოვტებას რაღაც აკლია ისე, როგორც არასირთს. ეს არის ის, რაც სიახლოეს ქმნის ომეტთან უტთირთობაში. ეს არის ის, რაც ჩვენს ცხოვტებას ჭაშმარიცს და სუჟთას ხდის. ეს არის ის, რაც ჭაშმარიცს ღმეტთის სულით მავალ ღვთის შეიღებად გარდაგვაწმნის. ეს არის ...

უცლის მიმი

ამ შთამშეჭრაზ წიგნში ჯონ ბევერი გვაჩვენებს, თუ როგორ გაჭირება უთვლის შიში. იგი სიყვარულით გაომბრდებას და მოგვიწოდებს ახლოებურად მიზაგოთ ღმეტთს პაციიზ, როგორც ღვთისმსახურების ღრის, ასევე ყოველღირი ცხოვტებაში. ავცელი ამცვეცებებს, რომ ღმეტთის შეცნობის გასაღებს უთვლის შიში წარმოადგენს, შეცნობისა, რომელიც თვით შემოქმედ ღმეტთს სწყუბრდა. ის, ვინც სხვა გჩით შეიცნობს ღმეტთს აუცილებლად მსჯავრდაღებული იძნება.

ეს წიგნი ძირუსზიანად შეცლის თქვენს ცხოვტებას იმიცომ, რომ შეცლის თქვენს უტთირთობას ღმეტთან.



ჯონ ბევერი, პოპულარული წიგნების ავტორი და ცხემული ღვთისმსახური, ცნობილია მთელს მსოფლიოში. უკვე გაყიდულია მისი ნახევარ მილიონზე მეტი წიგნი და კასტეტა, რომელთა შოტოსაც არის „საცანის საცეტურა“, „გაუმედაობის შემუსყრა“ და „ეშმაკის კარი“. იგი მოწოდებულია გამოაცხადოს ჭაშმარიცება. რომელიც ადამიანთა გულებს ღმეტთისკენ მოაწერს. ჯონი, მისი მუზიკური ლიდი და მათი ითხო ზაჟი ფლორიდის შეფაფში დალავ არლანდოში ცხოვტობის.

საჩუქრად ავტორისაგან გამოცემა ვრცელდება უფასოდ

ეს და სხვა რესურსები, ქართულ ენაზე შეგიძლიათ ჩამოტვირთოდ უფასოდ საიტიდან:
www.ResourceLibrary.org

Follow John Bevere on
Facebook & Twitter



Messenger
International.
www.messengerintl.org